

იტყობ გბიშვშვილი

ქალაქური ლექსიკონი

(საბჭოთა მასალა)

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი 1997

ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა
რუსუდან კუსრაშვილმა



W. J. P.

კობეტი-აკადემიკოსი და მკვლევარი იოსებ ბრიშაშვილი, როგორც ლექსიკოგრაფი, ქართულ მკითხველთა უმეტეს საზოგადოებისათვის დღემდე სრულიად უცნობია. არადა, დიდი იმანე ჯავახიშვილის რჩევით იგი 30 წლის მანძილზე აბრუნებდა კველი თბილისის შრავალშერევან ლექსიკას.

ი. ბრიშაშვილის ბარდაცვალებიდან სამი ათეული წლის შემდეგ ქართულ მკითხველს საშუალება ეძლევა გააცნოს მას ახალ ამაღლებაში – ი. ბრიშაშვილს, როგორც ლექსიკოგრაფს.

ქალაქური (თბილისური) ლექსიკონი, ვფიქრობთ, დიდ დახმარებას გაუწევს განსაკუთრებით მათ, ვინც დაინტერესებულია კველი თბილისის ყოფითა და ლექსიკით.

თავისი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული თუ ფოლკლორული ხასიათით ლექსიკონი უნიკალურია, ხოლო ლექსიკონოლოგიური თვალსაზრისით იგი ერთადერთია, როგორც ერთი ქალაქის, კერძოდ, თბილისის ლექსიკონი.

შესავალი

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია საინტერესო სალექსიკონო მასალა, რომელიც შეიცავს ძველი თბილისის მდიდარ ლექსიკას. საერთოდ, ი. გრიშაშვილის არქივში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ლექსიკონი, რომელთაგან ძირითადია „ქალაქური ლექსიკა“. ამას გარდა ცალ-ცალკე გამოყოფილი მცირე მოცულობის ლექსიკონებიც: ხელოსნების, ყარაჩოღლური, ა. ცაგარლის, გ. სუნდუკიანცის, ალ. ჭავჭავაძის, საიათონოვას, ეკ. გაბაშვილის, ფარსადან გორგიჯანიძის, ილიას, ვაჟას, ვ. ბარნოვის, რ. გვეტაძის, შირვანზადეს ცალკეული ნაწარმოებებისა და ა. შ. (ზოგში მხოლოდ რამდენიმე ერთეული ან ათეული სიტყვა შედის). მათგან შედარებით ყველაზე დიდი მოცულობისაა ლექსიკონი „სხვადასხვა“. ჩვენს გამოცემაში წარმოდგენილია ლექსიკური მასალის ძირითადი ნაწილი, რომელსაც ი. გრიშაშვილმა ხან „ქალაქის ლექსიკა“ უწოდა, ხან „ქალაქური ლექსიკა“¹. ლექსიკონი, როგორც აღვნიშნეთ, მდიდარ და საინტერესო მასალას შეიცავს ქალაქური ანუ თბილისური (აღრე თბილისის ქალაქსაც ეძახდნენ) ლექსიკისა. ამგვარი ტიპის ლექსიკონი ერთადერთია მთელს ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და ამდენად დიდად ფასეულიც. მიზანშეწონილად ეცანით, აღნიშნული მასალა იმ სახით დაგვეტოვებინა, როგორც ი. გრიშაშვილის ხელიდან გამოვიდა, ე. ი. გამოსაცემად მოგვემზადებინა თბილისური ლექსიკონის ე. წ. „საარქივო მასალა“. ასეთი იყო თვით ი. გრიშაშვილის სურვილიც (იხ. მისი „წინათქმა“). რადგან ავტორისეულ ლექსიკონს ვცემთ, ამის გამო ჩვენ გადაუხვეიეთ იმ დაკანონებულ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ყველა სახის ლექსიკონის გამოცემას. ამას შემდეგი გარემოებით ვხსნიეთ:

1. ი. გრიშაშვილის ლექსიკონში წარმოდგენილია როგორც სალექსიკონო ერთეულები, ისე საკომენტარო, გეოგრაფიული, საკუთარი სახელები,

¹ დასახელებული ლექსიკონების სიტყვათა დიდი უმრავლესობა ი. გრიშაშვილმა „ქალაქურ ლექსიკაში“ შეიტანა, რომლის გამოცემაც მას სურდა. ი. გრიშაშვილმა ქალაქური ლექსიკა შეკრიბა, ხოლო ამ ლექსიკიდან ჩვენ ლექსიკონი მოვაშაადეთ. ამიტომ წინამდებარე ლექსიკონს „ქალაქური ლექსიკონი“ უწოდეთ.

ფრაზეოლოგია, ქართული და თბილისური გამოთქმები, მდიდარი ფოლკლორული მასალა და ა. შ.

2. სალექსიკონო ერთეულებად გატანილია ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა ფორმები (მაგ. აბიაბრუებს ა-ზე მიღის, ბეაბრობა – ბ-ზე და სხვა).

3. ხშირად ი. გრიშაშვილს განმარტების ადგილზე უბრალოდ მიწერილი აქვს (ზოგჯერ ფრჩხილებშიც) ამა თუ იმ მიწერლის გვარი და მისი ნაწარმოების დასახელება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა მას ამ ნაწარმოებში შეხვედრია. ამათგან ზოგან წელი და გვერდი აქვს მიწერილი, ზოგან – არა. ხშირად ამა თუ იმ ნაწარმოებიდან ციტატაა მოტანილი ყოველგვარი მითითების გარეშე.

4. ი. გრიშაშვილი ხშირად მიუთითებს, რომ ესა თუ ის სიტყვა საბაბს, დ. ჩუბინაშვილს და სხვა ლექსიკოგრაფებს აქვთ ან არა აქვთ თავიანთ ლექსიკონებში. თუ სხვაგვარად აქვთ განმარტებული, ესეც აღნიშნული აქვს. ამის შესახებ არქივში დაცულ რვეულში (№ 1651 ა) ი. გრიშაშვილი წერს: „ამ ლექსიკონის (იგულისხმება წინამდებარე ლექსიკონი – რ. კ.) შედგენის დროს გადავათვალიერეთ შემდეგი ლექსიკონები, რათა არ შეგეპაროდა სხვათა ლექსიკონებში შეტანილი სიტყვები და თუ ასეთი აღმოჩნდა ამ ლექსიკონში, ჩვენ იგი სხვანაირად გვაქვს განმარტებული. აი ესენიც: საბა, დ. ჩუბინაშვილი, ლადო აღნიაშვილი, თედო სახოკია, კ. ბადაშვილი, ვ. ბერიძე, მ. ჯანაშვილი, ილია ტყონია, კ. ყიფიანი, თ. რაზიკაშვილი, დ. ყიფიანი, ეპ. კირიონი, შოთას ლექსიკონები, აკ. შანიძე და სხვა“.

5. არის შემთხვევა, როცა ი. გრიშაშვილი კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს რომელიმე სიტყვას ან განმარტებას ან იქვე გამოთქვამს თავის მოსაზრებას.

6. ლექსიკონში ბევრი ფსევდონიმია მოხსენებული. ი. გრიშაშვილი იქვე შიფრავს ზოგ მათგანს. ზოგჯერ მათ წარმომავლობასაც ადგენს.

7. აუტორი ხშირად უამბობს მკითხველს ამა თუ იმ მოვლენაზე, ძველ თბილისურ ადათ-წესებზე, ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე. ლექსიკონში წარმოდგენილია ქალაქური კულინარიაც.

8. ზოგჯერ სიტყვები განმარტებულია ქართულ-რუსულად ან, იშვიათად, მხოლოდ რუსულად. ზოგჯერ გამოტანილია სიტყვა, მისი განმარტება კი არ არის, ე. ი. გრიშაშვილმა ვერ მიაგნო მის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც არ დაკარგა ეს სიტყვა ან, უბრალოდ, არ ჩათვალა საჭიროდ მისი განმარტება.

9. როცა ი. გრიშაშვილი ხმარობს სიტყვას „აქ“, ეს ნიშნავს – „თბილისში“ (აქ ასე ამბობენ, აქ ასე იხმარება და ა. შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, რაც, საერთოდ, ჩვეულებრივ ლექსიკონს არ უნდა ახასიათებდეს, „ქალაქურ ლექსიკას“ კი აქვს, გვაფიქრებინა, რომ

ჩვენ ხელთ გვაქვს არა ჩვეულებრივი ლექსიკონი, არამედ გამოკვლევა-ლექსიკონი. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი დაბეჭდვა, როგორც საარქივო მასალისა, ე. ი. იმ სახით, როგორც თვით ავტორს აქვს შესრულებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ი. გრიშაშვილის სახე, როგორც მეტად ორიგინალური ლექსიკოგრაფისა და მკვლევარისა, დაიკარგებოდა. ამას მხარს უჭერს ამ გამოცემის მეცნიერული პრინციპიც, როცა ტექსტს ავტორის ნებას ვუმორჩილებთ¹.

ლექსიკონზე მუშაობის დროს მცირეოდენი და აუცილებელი ჩარევა მოვახდინეთ:

1. ეს უამრავი მასალა დაგვალაგეთ ანბანისა და შიდაანბანის მიხედვით.
2. ი. გრიშაშვილს ხშირად რამდენიმე სალექსიკონო ერთეულად გამოაქვს ერთი და იმავე სიტყვის ერთი და იგივე ფორმა. ასეთი იდენტური ფორმებიდან დავტოვეთ მხოლოდ ერთი, მისი სხვადასხვა მნიშვნელობა კი ნუმერაციით აღვნიშნეთ. ასევე გამოვყავით ერთმანეთისაგან ნუმერაციით სიტყვის ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვანაირი განმარტებანი.
3. ხშირად ი. გრიშაშვილს ფონეტიკურად სახეშეცვლილი ერთი და იგივე სიტყვა ცალ-ცალკე ერთეულად გამოაქვს. ჩვენ ისინი გაკაერთიანეთ პარალელურ სალექსიკონო ერთეულებად (მაგ., ამფონანი/ამფუანი, ამსონი//ამფსონი, მიამიტი//მეამიტი და სხვა)².
4. ლექსიკონი ჩავასწორეთ პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის მიხედვით.
5. არის ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც, ვფიქრობთ, მწერლის ლაფსუს-კალამი არ უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში მას უცვლელად ვტოვებთ და სქოლიოში ვწერთ — „ასეა“.
6. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ლექსიკონის შავ ვარიანტში (იხ. არქივი, 1-1651) აღმოსავლური უცხო სიტყვები განმარტების დროს შესაბამისი ენის ტრანსკრიფციით არის დაწერილი. ლექსიკონის გადათეთრებისას ი. გრიშაშვილს უცხო ტრანსკრიფციით დაწერილი სიტყვები აღარ შეუტანია

¹ აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, სიტყვის განმარტებას არ შეესატყვისება მისი ილუსტრაცია. ასევე ზოგი სიტყვის რამდენიმე განმარტება შინაარსობრივად თითქმის ერთნაირია. ზოგჯერ განმარტებას წინ უსწრებს ილუსტრაციები. ზოგი სიტყვა კი სწორად არ არის წარმოდგენილი. ჩვენ ყველაფერი ეს უცვლელად დავტოვეთ. ასევე უცვლელად დავტოვეთ ლექსიკონის ავტორის ენა და სტილი.

² აღსანიშნავია, რომ ამ ასოზე გამოტანილია ისეთი სიტყვები, რომლებიც სხვა ასოებზეც გვხვდება სალექსიკონო ერთეულებად პ-ს გარეშე (მაგ. პაიდოსტ — აიდოსტ, პოუსილა — ოუსილა, პასასი — ასასი...). რადგანაც მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია, გამოწკილის სახით, ისინი აღარ დავაჯგუფეთ პარალელურ ფორმებად მის იდენტურ სიტყვებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ასოზე გატანილი სიტყვების რიცხვი საკმაოდ შეპცირდებოდა და, რაც მთავარია, ი. გრიშაშვილის ნებაც დაირღვეოდა.

და ქართულად მიუთითებს მათ სადაურობაზე. შავი ხელნაწერი კი შემდეგ მთლად გადაუხაზავს. ჩვენ, რასაკვირველია, გავითვალისწინეთ ავტორის ბოლო ნება.

როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკონი შეიცავს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ, ეტიმოლოგიურ, ფოლკლორულ საინტერესო მასალას, რომელმაც თავის მხრივ შეიძლება მკვლევარ-სპეციალისტთა შორის დაეცა კი გამოიწვიოს. მაგრამ ვფიქრობთ, ეს ოდნავდაც არ შეამცირებს ლექსიკონის ღირსებას. იგი იშვიათი შენაძენია ქართული ლექსიკოგრაფიისა.

დაბოლოს, ი. გრიშაშვილის „წინათქმისათვის“. არქივში დაცულია კონვერტი (№ 1650), რომელშიც დევს პატარა წიგნაკად შეკრული კალენდრის ფურცლები (კალენდარი დათარიღებულია 1928 წლის სექტემბერ-ნოემბრის თვეებით). მათი მეორე, სუფთა გვერდები ავტორს გამოუყენებია „ქალაქის ლექსიკის“ წინასიტყვაობისთვის და სათაურად „წინათქმა“¹ მიუცია. იგი დაწერილია ფანქრით. პირველი ფურცელი ყდის მაგივრობას ეწვეა, შუაში დიდი ასოებით წერია „წინათქმა“. ფურცლის ზემონაწილზე მიწერილია ძღვნა: „ამ ქალაქის ლექსიკას ვუძღვნი დედაჩემს, რომელმაც პირველად დამაწყებინა ქართული ანბანის კითხვა. ი. გრიშაშვილი“. „წინათქმის“ ქვეშ ქვესათაურად ფრჩხილებში მოთავსებულია „მასალები ქალაქის ლექსიკის წინათქმისთვის“. ხოლო თავფურცლის ქვემოთ კვითხულობთ: „და მეც ვიკისრე ეს უმაღური საქმე. ი. გრიშაშვილი“. კალენდრის შემდეგი ფურცლიდან იწყება წინასიტყვაობის ტექსტი, რომელსაც სათაურად კვლავ აწერია „წინათქმა“. ამ მთავარი ტექსტის გარდა კონვერტში აწყობა ცალკეული ფურცლები, რომლებზედაც ავტორს სხვადასხვა ჩანაწერები გაუკეთებია. ჩანაწერებს თავზე აწერია: „წინათქმისთვის“, ან „ეს შევიდეს „წინათქმაში“. ჩანს, ი. გრიშაშვილს მთავარი ტექსტის დაწერის შემდეგ კვლავ გასჩენია სხვადასხვა საკითხი, რომლებიც ცალკეულ ფურცლებზე ჩაუნიშნავს და განუზრახავს მათი შეტანა ამ ძირითად ნაწილში. „წინათქმის“ ტექსტი შავის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ თავს უფლება მივეცით ზოგი გაუმართავი ადგილი სტილისტურად დაგვეხვეწა. ამავე დროს გავითვალისწინეთ ავტორის სურვილი და ტექსტი ზემონსენებული ცალკეული ჩანაწერებითაც შევაკესეთ, გაუმართეთ და ამ სახით წარმოვადგინეთ წინამდებარე გამოცემაში.

რ. კუსრაშვილი


¹ ხაზი ყველგან ჩენია — რ. კ.

წ ი ნ ა თ ქ მ ა

„ქველი სიტყვების მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან
ქველი კულტურის აღდგენა“.

გ. ნ. პოკროვსკი

ამ წიგნის ხელში აღებისთანავე ზოგიერთი ცრუმოქართულე, რომელსაც თავისი უცოდინრობის დაფარვა უნდა, წამოიძახებს: „ეს სიტყვა ხომ ქართული არ არის“. ვეთანხმები ჩემს დილექტანტს მტერ-მოყვარეს, რომ აქ მოხსენებული ზოგიერთი სიტყვა არ არის წმინდა ქართული. მაგრამ ასე რომ ვიაროთ, თვით ეს ქალაღი, რომელზედაც ამ წინასიტყვაობას ვწერ, სპარსული სახელწოდებიდანაა წარმომდგარი („ქალღ“). ეს „ოთახი“, სადაც ვიმყოფები, სპარსულია. „ფიქრი“ და „აზრიც“, რომლითაც ამას ვწერ, სპარსულია. ეს კალამიც სპარსულ „კალამს“ ენათესავება და სხვა ათასი სიტყვა. მაშ, მოვდგეთ და ამოვაგდოთ ჩვენი ენის საღაროდან! მე ჩემით კი არ მომიგონია ეს სიტყვები. ეს ლექსიკონი შედგენილია ცოცხალი ხალხური საუბრის მასალაზე და ზოგიერთი სიტყვის გაფენობას თვით ჩვენი კორიფეებიც სცდილობდნენ. ამიტომ არის, რომ ამ ცოცხალ სიტყვებთან ერთად მოხსენებული მაქვს ის ავტორებიც, რომლებმაც ამ სიტყვებს მოქალაქეობრივობა მოუპოვეს და თავიანთ ნაწერებში დააკანონეს, თუმცა არც ერთ ლექსიკონში არ არის ან განზრახ გამოტოვებულია ეს სიტყვები. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმ აზრს, რომ ქართველი კლასიკოსებიც ხალხიდან ჰკრეფდნენ სიტყვიერ მასალას, ტერმინის შესატყვისს და სხვ. მაგალითად, მთარგმნელებს რამდენჯერმე მოუმართავთ ჩემთვის — ლექსიკონებში ვერ ვიპოვეთ ესა და ეს სიტყვა, როგორ იქნება ქართულადო: მორდან ოზორნიკ ან ოზორნიჩესტვო. ამნაირ ტერმინებს და გამოთქმებს მხოლოდ ჩემი „ქალაქის ლექსიკა“ უშველის. მორდა — სიფათი, ოზორნიჩესტვო — ანგლობა. შეიძლება სთქვან ლამაზი სიტყვები არ არისო, მაგრამ განა მორდა და... (გამოტოვებულია — რ. კ.) რუსულ ენაზე ლამაზი სიტყვებია? მაშ, რატომ არ უნდა შემოვიდეს ეს საუნჯე ჩვენს ლიტერატურაში,



რად უნდა განვდევნოთ. დეე იყოს, იცოცხლოს, თუ არ მოგეწონებათ, ვინ გატანთ ძალას, რომ იხმაროთ! თ. რაზიკაშვილის თქმისა არ იყოს: „იყოს ლექსიკონში და ნუ დაისწავლით!“ („ივერია“, 1900 წ., № 127). აქ ბევრ სიტყვას ახალი განმარტება ეძლევა. ზოგჯერ ადგილი აქვს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას და ერთი და იგივე სიტყვა წინათ სხვანაირად იხმარებოდა, ეხლა სხვა მნიშვნელობით იხმარება. ბევრი დავიწყებულია და ახალი სიცოცხლე მიეცა. ცუდი სიტყვაა ჩაროზი? – Деceпт, ნუგბარი, გაუარჯლდა? ბევრია ხელოსნების უცნობი ტერმინიც. რატომ არ უნდა დამკვიდრდეს ლიტერატურაში სიტყვები, რომლებიც ჩვენს მამა-პაპებს ძეაღსა და რბილში ჰქონდათ გამჟღარო და დღეს ნელინელ დავიწყებას ეძლევა. ეს ჩვენს ერს არ უნდა დაეუკარგოთ. თ. რაზიკაშვილის თქმისა არ იყოს: „რაც შეეხება იმ აზრს, რომ უცხო ენების სიტყვები განვდევნოთ ჩვენის ლიტერატურიდანაო, ძალას ვინ გვატანს – ლექსიკონში ესა და ეს სიტყვა სწერია და უნდა ისწავლოთ“ (თ. რაზიკაშვილი, „ივერია“, 1900 წ., № 127). ჩვენი ერის ისტორიული განვითარების გამოსარკვევად საჭიროა ყველა იმ სიტყვის ჩაწერა, რომლებითაც ჩვენი მამა-პაპა ლაპარაკობდნენ. თითქმის ყოველდღე გაზეთებში გვითხულობთ: „ფაშისტების ყალბადანდური ხრიკებით“. რა არის „ყალბადანდი“, თუ არა უცხოური. რატომ იხმარეს არაქართული სიტყვა? იმიტომ, რომ ამ მოვლენას სხვა სიტყვა ვერ გამოხატავს. შეიძლება ასეთ სიტყვებს თბილისის მოსაზღვრე სხვა ერიც ხმარობდეს, მაგრამ მაინც ქალაქურია, თბილისურია და თბილისის ხომ მეტროპოლიაა აღმოსავლეთისა, სადაც ეს ენის შემკრებლობა ერთ მთლიან სანდო ფოკუსშია მოქცეული. თბილისი, როგორც საქართველოს გული, ბევრ უცნობ სიტყვას იკრებს თავის გარშემო. თბილისის ენა ძარღვიანი ენაა, ფერადოვანია. ხშირად ზოგიერთი ტერმინი ამ ენაზე ისე მკვეთრად და მოხსლეთილად ისმის, რომ არსებული საგნის შესატყვისი გულსაკვებდ გამოკრთის. თბილისურ ენას აქვს ინტონაციების საიდუმლოება და მეც 30 წელია სათუთად ვკრებ თბილისში განაგონ სიტყვებს, რომლებიც არც ერთ ლექსიკონში არ არის მოხსენიებული.

აქ ხშირად ვასწორებ ზოგიერთი ლექსიკოგრაფისტის შეცდომებს: მაგ., დ. ჩუბინაშვილი სარგებლობდა ზ. ანტონოვის თხზულებანით. იქ ბევრი სიტყვა არ არის სწორად გაგებული (ზ. ანტონოვის და მასთან გ. ერისთავის პიესებში ნახმარი სიტყვებისაგან არ შეიძლება მათი ფესვის ახსნით დაკმაყოფილდეთ). საჭიროა ამ ცოცხალი სიტყვის დამარცხლა ისე, როგორც ხალხი ხმარობს და როგორც ეს მწერლობაშია შემოსული. ვიმეორებ, შეიძლება ამ სიტყვებს სხვა ერიც ხმარობდეს, მაგრამ საკითხავია ვინ ვისგან წაიღო? ქართველები ერთი პირველი მოდგმაა აღმოსავლეთში. მამ, ჩვენი წინაპრები რა ენაზე ლაპარაკობდნენ? სამართლიანად წერს მ.

ჯანაშვილი: „ნაადრევად მიგვაჩნია ზოგიერთი მეცნიერის აზრი, თუ ქართულსა და სპარსულში, ან ქართულსა და ბერძნულში არის მსგავსი ან ერთნაირი სიტყვა, უეჭველად იგი უნდა იყოს ან სპარსული ან ბერძნული და არა ქართული. მართალია, ქართულშიც ირანიდან შემოდის მძლავრი ტალღა, მაგრამ არანაკლები სიძლიერით ირანშიც შედიოდა საქართველოდან. მედევას მიერ მიდიის დაარსების ლეგენდასაც რომ თავი დაეანებოთ, მაინც შეგერჩება მრავალი წვლილი, მაჩვენებელი იმისა, თუ რა სიძლიერით უნდა ემოქმედნა ქართველთა სისხლს სპარსეთის ერის დადუღებაში“ (მერე აქ მოტანილია ცნობა, რომ V საუკუნეში ქართველები სპარსელებს აძლევდნენ ას-ას ქალ-ვაჟს – ი. გრ.) (იხ. მ. ჯანაშვილის „ნაშრომი“, 1917 წ., გვ. 77). ამიტომ ჩვენ ეს სიტყვები, თვინიერ ორი-სამისა, ქართულად მიგვაჩნია.

სპარსული და თურქული გაელენა ძლიერი იყო საქართველოზე. ეს თითქმის იწყება იმ ხანიდან, როცა როსტომ მეფემ მუსლიმანობა მიიღო (1634 წ.), ამიტომ აუარებელი სიტყვა, რომელიც ჩვენა გვაქვს, სპარსულია, თურქულია და სხვა. ამას მოჰყვა რუსული ენის გავლენაც. მაგრამ ეს სიტყვები შენამატია მხოლოდ ქართული ენისა.

ქართული ენა მდიდარია. ხშირად ერთ აზრს რამდენიმე სიტყვა ეფარდება. ჩვენ ლექსიკონში ბევრი საჩოთირო სიტყვა შემოვიტანეთ... მაგრამ „არა იმიტომ, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აეწერე“ (საბა).

ქალაქური ენაც, ყარგონი (არგო) იქ იბადება, სადაც გონებამახვილი ხალხია, მხიარული, დარდიმანდი; სადაც სიცოცხლის და ადამიანის დაუშრეტელი სიყვარული სუფევს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ეს არ არის „გრიშაშვილის ლექსიკონი“, როგორც პოეტის. ჩემი ლექსის ენა დაემშობილა ძველი მწერლების ენას (შოთას, საბას, ივ. მაჩაბლის, შექსპირის, გრ. ყიფშიძისა და ივ. მაჭავარიანის თარგმანებს). რასაკვირველია, მაქვს ქალაქის ლექსიკის სურნელებაც, მაგრამ ესეც მაშინ, როცა აზრის გამოსათქმელად სხვა საბადლო სიტყვა არ არსებულა. შეიძლება აქ იყოს ბევრი სიტყვა გულუბრყვილოდ ახსნილი, ე. ი. მისი შესატყვისის, მისი ძირის ჩემებურად ახსნა, მაგრამ არავითარი პრეტენზია არა მაქვს – „მცოდნეობის რაყაში“ მივიკრა და შოთას სახედარივით ვუცილობდე. მე მხოლოდ ეს სიტყვები დავაგროვე და, როგორც მასალა, დავტოვე ძველი თბილისელი პოეტის სახსოვრად.



აათამთავა – ითქმის სქელგავიანი ქალის ტანის რხევაზე. იხ. თ ა მ თ ა მ ი.
ააჰაჰა – სცემა, სახეში გაარტყა.

აასოცა – მოიპარა.

აბა – 1. ფართე და გრძელი წამოსასხამი, აქლემის მატყლისაგან ნაქსოვი. ჩვენი კაბა აქედანაა წარმ. 2. თათრული წამოსასხამი ფეხებამდე. 3. საშინაო ხალათი. „მუშაითს მისცენ ხალათი, ზედ წამოსასხემ აბას“ (თეიმ. II, ანთოლოგია, II, გვ. 161). 4. სქელი მაუდისაგან გაკეთებული წამოსასხამი. მოლი.

აბაბანებლა – „ჩემს გვერდით დაჯდა ერთი ნაცნობი, რომელსაც ციებისაგან აბაბანებლა“ (იაკობ სვიმონიძის – ი. გოგება რეცენზია, „ოვ“, 1889 წ., № 51).

აბაზანა –

აბანოზი – მაგარი და შავი ხე. ეკალმუხა. განსაკუთრებით ავეჯის გასაკეთებლად ხმარობდნენ. ჩვენში „აბანოზის კამოლს“ ცაკლის კამოლს უწოდებენ. აბანოზის კამოლი – ერთგვარი შავი და მაგარი ხის კამოლი (ეკალმუხა).

აბანოს ჭია –

აბაში – 1. ექიმი, შინაური მკურნალი. 2. შინაური წამლეულობით მკურნალი.

აბაშლა – „ეს ამოდენა ქუსლები იქნება? ფეხი როგორღა გადავდგა, აბელა ხომ არა ვარ“ (ტ. სუნდ, „ხათაბლა“, მოქ. III).

აბაშლავრი – ვაშლის ჯიში.

აბაჩხარა/აბაჩხარი – გამასხარაეება, აბუჩად აგდება.

აბიბარუშაბან – არცხევენენ. „ამ ჯურის ვითომდა ინტელიგენტები ყოველთვის ყვირიან და ხმაურობენ, აბაბარუშებენ ყველას“. (ფურნ. „ჩვენებური რამერუმე“, გვ. 14, 1894 წ., პატარა კაცისა – ფსევდ. ვ. გუნასი). „მასინძელი ჭკუჭავაძე არავის ნებას არ უნდა აძლევდეს, რომ მის სახლში ა. მორთულაძე მუხურნეს ქიმუნჯს ჰკრავედეს და აბაბარუშებდეს“. („ოვ“, 1889 წ., № 45).

აბლაჟი – 1. მაღალი, მოგრძო, ახმახი. 2. უშნოდ აწოწილი. აყლაყუდა. „იბას ქონდა აბლაჟი თმა და პირი დაკეცილი“ (ვრ. რჩეულოვის თარგ. „აღსარება მარიონ დედოჯობისა“, „ცისკა“, 1865 წ., № ოქტომბრის გვ. 5). 3. მტრედის ჯიშიცაა.

აბლულ-ბალი – ნამდვილად ა ბ ლ უ ლ-ბ ა ღ ი რ ი. კარგი ხმის მქონე მომღერალი იყო. „იფერიში“ ასეთი „მოსწრებული სიტყვაა“: „კინტო საზამთროსა ჰყიდდა.

მივიდა ერთი კაცი, საშაშტორო აიარა და ხელი მოუჭირა. — რატომ ხმა არა აქვს? — კითხა. — ვა! აბლულ-ბალი ზომ არა ზის შიგ, რომ ხმა ჰქონდესო, — მიუგო კინტომ“ (იე“, 1893 წ., № 170).
აბოშაბს — აღუნებს.

აბრაბაშენი — მეტი სახელი იყო ტფილისელი მედუქენისი. იგი მოკლეს პირადულ ნიადაგზე. იყო დარდიმანდი, გულუხვი და გაჭირვებულის მეგობარი. აი, როგორ ასწერს მის დაკრძალვას „დროება“: „თბილისის მოქიფე ხალხმა დიდის ამბით დასაფლავეს კინტო აბრაგენე. თბილისში ძვირად შეხვდებით ვისმეს, რომ აბრაგენეს სახელი არ გაეგონოს, ამ სახელს ბევრი გაუტყუილებია დიღობისაკენ, სადაც აბრაგენეს ჰქონდა ღუქანი. ოთხმა ზურნამ და რამდენიმე არღანმა გააცილა აბრაგენე. მძაბიჭები ერთობ დაღონებულნი მიჰყვებოდნენ გულუხვს მასპინძელს, რომელიც ხშირად მასპინძლობისათვის არა თუ არას ართმევდა, „ცუდად“ დარჩენილებს პირიქით აჭმევდა, ასმევდა და ჯიბის გროშებსაც აძლევდა ხოლმე“ („დროება“, 1885 წ., № 182. იხ. კიდეც სხვა წერილები „Новое обозрение“ 1885 წ., № 572 და ი. გრიშ, „მე. ტფ. ლიტ. ბოქემა“, 1928 წ., გვ. 139).

აბრაშალო — მატყლის ძვირფასი შალი.

აბრუ — 1. ავტორიტეტი. „ილიას დამდაბლება და მისი აბრუს გატეხა“ (გრ. ყოფიშ, „მ. ჭკუკუაბის თხზულებანი“, 1914 წ. შიხ. გეგეანდ გამოც. გვ. LXXX). 2. პატრიოსნება, სინდისი. პირდაპირი შესატყვისის არის „პირისწყალი“ (ნამუსი). „აღებულს მიცმა უნდა თავის ვადაში, თუ არა და აბრუ უტყდება“ — (ავ“. 1886 წ., № 106, გვ. 4). პ ი რ - წ ყ ა ლ ი იხმარება იმერეთში, მითხრა კ. დონდუამ. „აბრუ გაგვიწყდა, საშუსი წაგვიხდა“ (გ. ხუნდ., „აქაო“, 64). 3. პრესტიჟი (არა აქვს დ. რ. - ს) „ვზივარ და ვვჭრობ, სულს ქვეშ უნდა გითხრა, მძაგ, აბრუსთვის ვვგდე ღუქანში, თორემ სად იყო ვაჭრობა? (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 9) „აბრუს გატეხას ეცდება“ (ვაჟა, შოთხ. „დათვი“, თ. II). „ვეროპიული ჩაცმა აბრუს გამიკეთებს“ (ბ. ჯორჯ., „ცისკა“, 1863 წ., აგვ. გვ. 13). „ირაკლი, ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რაღას დამიჯერებ“ (ილია, „მაჭანკალი“, რუსთ. თეატრის ხუნდ., გვ. 18). „როცა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს გარეკლამებული სამხატვრო თეატრი უმაღლეს წერტილს აღწევდა — სუბმთავილი ჭართველური სიღარბისილით აბრუს არ იტეხდა (გ. გენია, „მახტრიონი“, 1922 წ., № 23). „სურთ სახელი გაუფუჭონ, საზოგადოებაში აბრუ გაუტეხონ“ (ილია, ტ. IX, გვ. 87). „ამდენმა წვიმებმა ახალმოსულების თვალში აბრუ გაუტეხეს ბორჯომს (ავ“, 1886 წ., № 137).

აბუაბალო — 1. აბუჩად აგდებული. 2. აჩემებული. 3. განმარტოვებული, მასხრად აგდებული.

აბუაბი — 1. გამოშტერებული, გაოგნებული. 2. ყურყუტი (აბუებული და ცუტი). 3. ჩერჩეტი. 4. ლენჩი. „ეი, თქვე აბუეტებო, თუ მოველ“... (მ. შკალ., „შიაბე“, IX, გვ. 91).

აბუაბა —

აბუაბარი — მკვეხარა. როცა კაცი ბევრ ტყუილს ლაპარაკობს, ეუბნებიან: ჰა, ქარი ნუ ააყენებო, და თვით იმ კაცს კი „აბუქარს“ უწოდებენ, ე. ი. მკვეხარას და ტყუილების მომგონს.

აბუარაპაბს —

აბუარი — საომარი საჭურველი.



აპან-ჩაპანო — გამგებელი, ავ-კარგის მცოდნე, მესაიდუმლე.

აპარა — 1. თავზე ხელაღებული. იხ. „პაჟარნი“, დაღლარა, ხულიგანი, საიდან წარმოსდგება ეს სიტყვა? მე ჯერ მეგონა, რომ ავარა წარმოსდგებოდა დალესტინის სოფლის სახელწოდებიდან (ი. გრიშ.). ეს უარყვავი ჩემს შავად დაწერილ რეკულში. მე მგონი, ავარა წარმოსდგება იავარა-დან. როგორც იავარქმნილი აკლებულ-გაოხრებულს ნიშნავს, ისევე ავარა ხალხი გაოხრებული ხალხია. 2. პაცანი. 3. იავარი-იქმნა, გაოხრდა, ავარა-გაოხრებული თუ ქალაქ ავარი-დან? 4. საკუთრივ „მოხეტიალე“. 5. ქუჩის ბიჭი, ხულიგანი, გამენ. „ერთ კუთხეში ქართველი ავარები ღრუობდნენ“ („ქართ. მწერ“, 1929 წ., № 6-7, გვ. 59. კ. გამს. ნაწერში). 6. მოხეტიალე, მატანტალა (მანანწალა), დაღლარა, „ბობი-კამანდა“. „— გამაგებიხე რად უნდა გასცლოდი? — იმით, რომ მე ავარა კაცი ვარ, დაუდგარი, მფრინავი, დონ-უანი“, (მ. ჯავახ. „ცხრა ქალწული“, „მნათ“. 1935 წ., № 7-8, გვ. 67; „ლაშაზი მეგობარი“, მ. ჯავახ. 461, 474). არა აქვს დ. ჩ.-ს. „ქართლის ცხოვრებაში“ არის ავარი ანუ იავარი.

აპარაბის ერთი —

აპარობა — უსაქმურობა. ავარა-გაქსუებული. „გადავინცხე წიშა მოდის, ნახლოვდა მშრალა, გოგო, ჩუმი ავარობა ეს სულ შენი ბრალია“. (ქალაქ ფოლკ-ის).

აპატალახე — მოვიპარე, ავწაპნე, დაეჭყუე.

აპაშაბაშე — ხელოსანი რომ საქმეს მორჩება, იტყვის ავაშაბაშეო.

აპაჯა — ტკბილი ხმა სიმღერაში; დაღადისი, ლოცვა. ფილ. ქორიძის განმარტებით: „ავაჯა მულოდია“ („მოგზ.“, 1905 წ., № 37).

აპარდანი — 1. გრძელტარიანი, ღრმა ჩამჩა. 2. ანუ ა ბ გ ა რ დ ა ნ ი — სპილენძის ტოლჩა.

აპარადანი —

აპარაოზი — შელოცვილი ქალაღდი, რომელსაც ავადმყოფს დაუკერებენ ტანსაცმელზე, რომ ავი თვალი არ ეცეს (იმერ. „არ გაითვალოს“).

აპიტრუაპა — ავიბუჟკავ დაწუნების ნიშნად. ტუჩს აუჟკრავ, ავიბრიცავ, ავაქანებ.

აპიპურა — წარმოსდგება ძურწა ბალახისაგან. ავიძურწე, ავიბუზე, შემრცხვა.

აპლაბარი — 1. ასელა ბარზე (ივ. როსტომ. ლექსიკონი და К. Ган, "Опыт объяснения Кавказских географических названий", 1909, ст. 3). 2. ავი და ლაბიარი, ავლაბარი: („სქართ. ცხოვრ.", გვ. 230).

აპლარიძა — უშნოდ აწოწილი, აყლაყუდა, ვირჯოხა ადამიანი.

აპრა — „პერსულს გადუხვინენ ფრიუბითა, შებდგე შუაგულ ავრახე დაშკრივდნენ დაღაგებითა“ (მ. მღვ. 1 ტ. გვ. 240).

აპჟაში — ძველი სიტყვაა. 1. ქათმის მკერდიდან ჩამონაგლეჯი ორკაპა ძველი (საწინწინარა) — არის ერთგვარი სანაძლეო-გასართობი, რომელსაც ამ აქჟაშით თამაშობენ და თუ მოიგეს, ეუბნებიან მოგების ნიშნად: „პაი-

დოსტ“, ე. ი. გაჯობე და სანაძლეო მოგიგეო. 2. ქათმის მკერდის ორკაპა ძვალნი. ხშირად ამას სანაძლეოსათვის გაითამაშებენ. „დედამ სადილად ქათმი მოხარშა, ნიკოს აუქამი ერგო“ („პატარა მშენებლები“ ნ. ნაკშიძის, ნ. უნაუქოშვი. და მარიჯანი, 1928 წ. სახელგ. გვ. ბოლო). „მეჯღანუაშვილში“ „საწიწკნარა“ ჰქვიან (თ. VII). აჰუარა — ბალახია, სურნელოვანი, პიტნის მონათესავე, ჩრჩილის წინააღმდეგ ხმარობენ.

აჰსორცობა — („ოტელო“, 1884 წ. გვ. 41).

აჰამბარი//აჰანბარი//აჰარბარი — გათანასწორება: ღვინის სმის დროს, ქეიფში თუ ფხიზელი ვინმე შემოესწრო, ან თუ დაპატიუებულია და დაიგვიანა, მაშინ იმას იმდენსავე ალვეინებენ, რამდენიც თვით იქ მყოფთ დაუღვევიათ. ამბობენ: „აბა, აჰანბარი დაალვეინეთო“ და თუ დალია და იქ მყოფთ გაუთანასწორდა, ეუბნებიან: „აი, ახლა კი აჰანბარში გამოხველიო“. „ლავერდი შენთან (მიაწოდებს ოთხ ჰიქას ერთად), ჯერ ერთი აჰარბარი დაღვი ჩვენთან, გავეისწორდი!“ (აკაკი, „კინტო“, 1899 წ. № 7, გვ. 66).

აჰანი —

აჰანი — არაბული სიტყვაა, რაც ნიშნავს: ხელუხლებელს, ხასხასს, ქალწულს, ცირას. ხაშხედაც ამბობენ: „დღეს აჰანი ხაში მომიხარშია“, „აჰანი ხაში გაქვს“? და სხვა.

აჰარუ! — სიმღერის და ქეიფის დროს სახმარი სიტყვა.

აჰარფუშა — ტარიანი ვერცხლის სასმისი.

აჰარძარი — ზარმაცი, უკეთებელი, გაურჯელი (თ. რაზი, „ოვ“, 1900 წ. № 127). „რაზედ ვეპევი ამ აჰარქრებს“ („სურამის ციხე“, „ფედერაცია“, გვ. 49, 1932 წ.; რ. ერისთ. ტ. IV, გვ. 396-397).

აჰანდარარუ! — იხ. აზარუ.

აჰამი —

აჰამო — 1. ძალთ შერისხვა. ამ სიტყვას ძალს ეტყვიან ხოლმე. 2. ძალის დატუქსვა (აქეთ გამო).

აჰაილი —

აჰივაბ — გულაცრუება, გულის აყრა.


აჰიზი — სათუთი, ნაზი, ნარნარი, ნებიერი; საკუთრივ: ძვირფასი, საყვარელი. „აზიზად მყავს გაზრდილი“ (ილია, 1892 წლის გამოც. ტ. III, გვ. 39). „ამ პატარა აზიზ ბუჩქებს კი ყველაფერი ემტერებოდა“ (კ. ლორთქ. „კომ“, 1934 წ. № 165).

აჰიზიანა —

აჰიზ-მაჰიზი — აზიზი, საყვარელი, ტურფა. კარგი რამე, სათუთი, ნაზი, ნარნარი, ნებიერი. დედა ამბობს ხშირად: ჩემი აზიზ-მაზიზად გაზრდილი შვილიო, ე. ი. კარგად და ნებიერად გაზრდილი შვილიო. „ა ზ ი ზ - მ ა ზ ი ზ ა დ გ ა ზ რ დ ი ლ ი“ — სათუთად გაზრდილი.

აჰირ — ბარემ. „გაირღებით, ჯერჯერობით ეს იყოს და მერე უფრო. კარგებს გამოგებჭე

2. ი. გრიშაშვილი, ქალაქური დიქსიკონი.



ავნითო! დალოცვილო, აზირ უფრო კარგებით დაგეწყო, არ ჯობდა?" („ეშმ. მათრახი“, 1915 წ., № 9, გვ. 13).

აქ აზირ არ არის თავის ადგილზე ნახმარი ალბად ა ხ ა რ უნდოდა: „ერთი დედაბერი წმინდა გიორგის ხატს ყიდულობდა, მაგრამ იწუნებდა, ვინაიდან წმ. გიორგი ცხენზე არ იჯდა. — აზირ, რითი ატყობ, რომ წმინდა გიორგის ხატი არ არის? — ჰკითხა ვაჭარმა. — განა არ ვიცი? წმინდა გიორგი ცხენზე უნდა იჯდეს. — ვა, შე დალოცვილო, სულ ცხენზე ხომ არ იჯდებოდა, ვერა ხედავ, ძირს ჩამოსულა რაღაც საქმისათვის („ნინავი“, 1935 წ., № 5). „მე ორ სხედარში მინტა ვარ ნაყიდი და აზირ შენა ქექვა“ (ი. მჭედ, „ოიანა-ბუანა“, გაზ. „მარჯანიშვილის თეატრი“, 1936 წ., № 3, გვ. 5). „რა ჰქვიანურად ღაპარაკობ, აზირ ჯერ ჯვარს დაიწერ, მერე გიჩვილიო! ჰა, მოლა მოკვდა, თავზე ფლაგი დაყარესო“ (ა. ცაგარ, „კომედიები, „ფედერაცია“, 1936. ი. გრიშ. რედ. გვ. 128). „კახაძე მელა შეტუქსა: რად ქტყუვი, რად იცრუვეო, მართალი უთხრა მახირაჰ ამბავს არ დამიჯერეო“? (ბაჩ., ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 114). „მაგრამ სულ ერთი არ არის? მახირს შერთო სულელსა“? (ბაჩ., ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 466). „აზირ, რა ოსტატურად მოვიქეც“ (გ. სუნდ, „ხათაბაღა“, 1). „აზირ, მაგას ჩემი ქმარი მოსწონს და იმიტომ მეუბნება“? (უერნ. „ჩვენი გზა“, 1925 წ., № 14-15, გვ. 14). „შე კი კაცო, პირველშივე გეთქვა აზირ, თუ მაგისთან ხასიათისა იფავი“? (ვაჟას არაკი „ქართველი კაცი, ლეონის ქვევრი და ბოჩკა“, „ჟანათი“, 1913, № V, გვ. 381). „აზირ სწორე სთქვა“ (მთიულის ნათქვამი გ. ხეჩ. რომანში „ბორიკლები“, თავი 44). აზირ — (გ. ერთისთ. თხზ., 1936 წ., გვ. 137). იხ. უნივერსტ. ლექსიკონი, გვ. 1057.

აზიო — „ნიკილა (დაცინვით): აზიო, ვინ არის მთვრალი? მეუ“? (ა. ცაგარ, გაზ. „ცნ. ფურც“, 1900 წ., 8 დეკ.)

აზრუმაანი — 1. მუქთახორობა. ტფილისში ლოთების ჯგუფი იყო. ბოკ-ემისტი თავადები — კოლია ბარათაშვილი, კოლია რატიშვილი, ლელო ანდრონიკაშვილი თავისი ძმებით, შიხი ტუსიშვილი, ტერშმანოვი, ყარალაშვილი — „ტილიპუჭურას“ რესტორანს იკლებდნენ. დააყენებდნენ „კონკას“, ასწევდნენ რელსებიდან, გადააყენებდნენ, შიგ დაფა-ზურნას ჩასხავდნენ და ცხენების გამრეკს ეტყოდნენ, შუაბაზრისაკენ წაგვიყვანეო. მხოლოდ ყარაჩოლელების დუქნებში არ ახდენდნენ სკანდალს. ამათ ხალხი უწოდებდა აზრუმაანს, ე. ი. მუქთახოროა ხალხს. 2. რომ იქეიფებენ და ფულს აღარ მისცემენ მიიკიტანს, ამას აზრუმაანი ჰქვია. ლექსიც არის „არკადია სადილის“ გამომ: „აზრუმანი რათ უყავით იმ მიიკიტან არტოსა, — კარგი რამე გისწავლიათ, ნეტავი თქვენ პატრონსა!“ (ბეჩარა).

აზღუდი — ქალის ზედწველზე უსახელებო ჩასაცემელი, მკერდის მზღუდავი. „დედამ კახა შემოიკრა დარაია შრიალაო, ვაკვარ ხელი, გავიხადე, სვირში ჩავდე ფრიალაო, ნაპერწყალი ჩაყოლოდა სახელ აზღუდაშიაო, მერე დილით ავხადე, ნავლი მეცა თვალშიაო; დავეექ და ბუერი ვიტირე იმ ოხერ დარბაზშიაო. (ხაღს.)

ათადან-ბაბადან — 1. უხსოვარ დროიდან (თურქულია: ათა-მამა, ბაბა-პაპა, ბაბუა). „საფრანგეთს ათადან-ბაბადან უყვარს ყველაფერი, რაც ახალია: ახალი აზრები, ზელოცება, სიმღერები, მხიარულება...“ (გ. ზოლა „ოე“, 1889 წ., № 13). ამ სიტყვამ ლი-

ტერატურულად მოქალაქეობა მოიპოვა. აი, ილიას „ივერიამი“ რას კვითხულობთ, ისიც თარგმანებში: „ჩინეთში ლედაკაცს არაფრად სთვლიან. ათადან-ბაბადან ისეა, რომ ქმარს შეეძლიან მარტო ცოლის ცემა, გაყიდვა კი არა“ („თე“, 1891 წ., № 91). „ქერი-სა, ამას თუ უცადა, კი დროს შეირთავს. ეს ქვეყანა ათადან-ბაბადან ასე იყო და ასეც იქნება“. („გამს ლიტ. საქ“, 1939 წ., № 28). „გონია ისევის სულობა, თავიდან დავიწყო, ათადამ-ბაბადამ, როგორც თითონ ილიას უყვარდა თქმა“ (ი. ბუნ. „მნათ“, 1936 წ., № 5-6, გვ. 240). „თუ გინდა სთქვით, რომ წვიმს და ნუ მოყვებით ათადამ-ბაბადამ...“ (იქვე, გვ. 246). „...ამიტომაც ათადან-ბაბადან ცნობილია, რომ ბევრს ახასიათებს მიმბაძველობის მიდრეკილება“ (მედგარი, „მუშა“, 1936 წ., 30 იანვ.). „ზოროლოგიურ პარკში მაიმუნები მოჰყავთ, იმათ ტფილისში ცხოვრების ნება უნდა ჰქონდეთ, მე კი ათადან-ბაბადან აქური მოქალაქე ვარ და მუებუნებთან ვრედნი ზარ და წადი აქედანაო“ (ს. ფაშაღლი „საქო და სულიყო“, „ნინავი“, 1936 წ., № 8, გვ. 8). „ერთი პატარა საკითხის გაშუქებისათვის ათადან-ბაბადან არ უნდა მოყოლა“ (ს. ცაიშ, „კომ. ვანათ“, 1936 წ., № 9, 5/III).

2. მამა-პაპათაგან. „ელის. საგინაშვილის მოურავს ჩიკოიძეს უმოგზაურია აზრუმისკენ და გზაში შეხვედრია მამადიანები, რომელნიც კართულს ლამაზაკობდნენ. ჩიკოიძეს გამოუკითხავს ვინაობა, მათ უპასუხნიათ: „ჩვენ არსაიდან არ ვართ მოსულნი, ათადან-ბაბადან აქურები ვართ“ (პ. შირიანი, „ცხოვრება“, 1916 წ., № 4, გვ. 31).

ათეშქაში — 1. ცეცხლის საჩხრეკი, იხ. „ბოკემა“. საკუთრივ: ცეცხლის გამოსაღები (საბას განმარტებით). 2. აქანდაზი. ცეცხლის გამოსატანი. პლ. იოსელიანის განმარტებით „ათეშქაში-ცეცხლის შესანახი ჭურჭელი“ („Описание древностей города Тифлиса“, 1886, ст. 265).

ათლაგავა — ზედმიტტი სახელია, ბევრის მოლაპარაკეს, გრძელენიანს და მოჩხუბარს ეძახიან ათლაგავას. იხ. ალაშა.

ათროკიადამს — ათრეგს.

ათჟლაშუნებას — ხილის ჭამაზე ითქმის.

აი — ანუ ქამანჩის (ჭიანურის) დასაკრავი ძუიანი ჯოხი.

აიბჯუა —

აიბჯა — 1. აიჩემა, დაიბრიყვა. 2. მასხარად აიგდო. „გ. რჩეულოვს შეუბრალებლად და ცემა-ტყეპით გადმორეკა საწყალი ფლორენციის მცხოვრებნი გრემის ქალაქში. ხალხს რომ არ აუბუებინათ, მაშინვე კართული ტინისამოსი ჩააცვა“ („ცისკ“, 1861 წ., № III, გვ. 432).


აიდოსტ — 1. შეცნევა, დაფარულის მიხვედრა. ნაძლევი მოვიგე, მ. ჯანაშ. — კაკ-ელისენის სიტყვები (გვ. 117). იხ. ღუშელი ვანოს მოთხ. „აიდოსტ“. („ცნ. ფურც“, სურ. დამ. 1903 წ., № 9).

აიზუზა —

აიპანჭურა — ცალფეხი რომ დაუშავდება ადამიანს და ცალი ფეხით დანიწყებს სიარულს (წარმ. კ ა ნ ჭ ი დ ა ნ). „აიკანჭურა საცოდავმა ფეხი“ (ს. მგაღ. ტ. I, გვ. 61).

აილანა —

აილამა — გაწითლდა, დაირცხვინა. „შეპოუარე. გენაცო. გული ნუ აგაღწევა“ (მ. მღვ. I ტ. გვ. 19).



აილურსა - 1. აიწეწა; შეიზიზლა, შეიძულა. „ერთმანეთზე ააღურსეს ქაროვლი და სოფხი“ (ქეთა ღალადი, მორე გამოც, გვ. 199) 2. შერცხვა, აილეწა.

აიპროზა - 1. ითაკილა (?). არ მოეწონა. 2. ეწყინა, გასწყრა.

აინოინი - 1. წვრილმანი სანოვაგე. ამ სიტყვას იმერეთშიც ხმარობენ (გ. წერეთ. პიესა „ჯობრი“, გვ. 69, „პრებულში“). „შევედუ, ოთხნი პირნი სხედან ტახტზედ მოკცილები; ლურჯი სუფრა წინ გაშლილი, ნახევარი თუნგი ღვინო, მწვანელი და სხვა აინოინი, რაც შეეუერება შინაურ ვახშამს“ (მოლაყბე „ციხეს“, 1863 წ., № ნოემბ., გვ. 334) 2. „აინოინი-აზრი, ფიჭრი, აინუსილა ჰქვინა“ (სიკ., 1900 წ., № 194). „ეგდე, ეგ აინოინი თოვლის წყალივით ჩაივლის“ (ბაჩ., 1938 წ., გვ. 433. აინოინი აქ ოინის მნიშვნელობითაა სწორი არ არის). 3. წვრილმანი, ხარახურა, ხურდა-მურდა. „ამბობენ: დღეს ბაზარში ვიყავი და აი ეს აინოინი ვიყიდე! და ბაღდან გამოკრულ წვრილმანს აჩვენებს“. 4. ნაყარნუყარი. ვაჟასაც აქვს. აკ. შანიძეს სხვანაირად აქვს ახსნილი (ვაჟა ტ. IV, ლექსიკონი, გვ. 449). „რა თქვენი საკადრისია, ერთობის აინოინი“ (ვაჟა ტ. IV, გვ. 230).

აინუში - (ანუ აინუნში) არაფრად ჩაგდება. „ამანაინუნშიცარ მიილო მამის თხოვნა და სიღნაღში გამაგრდა (მ. ჯანაშ., „საქართ. მოკლე ისტორია“, 1884 წ., გვ. 227). „აინუნში აღარ მოსდის ტანჯვა-წამება“ (ს. მგალ. „წარსულიდან“, „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 51). ილიასაც აქვს, III ტ. 1892 წ. გამოცემა.

აირანი - 1. მუსლიმანების საყვარელი სასმელია სიცხის დროს, შედგება წყალგარეულ მანქნისაგან ("Цветок тифлисской гимназии", ზელ. ჟურნ., 1836 წ., № V, გვ. 24) 2. შეთხელებული მანქონი დოსაეთი.

აიტარიცა -

აიშხორა - ინაური გაუბრაზე, აიფხორა, გაიბერა, გამოძიდვა, გაიქიქცი: „ვერ დაძიჭერ, ვერა, ვერა!“ (ი. გრიშ. სურათ. წიგნი, 1939 წ.).

აიშუჰა - აიშოლტა, აიწია, მაღლა წაყვიდა. გაიზარდა... ნათეს სიძინდზე და მაღალ ბავშვზე ითქმის.

აიჩლიაპა - უშნოდ იღლიაში რამ დაიჭირა.

აიძუა - კუდი აიძუა.

აიფოფა - ამაღლდა.

აიჯაჯა - ცუდად ტანისამოსის ჩაცმა.

აიაკაჰული - აგრეხილ-ამრგვალებული, რკალივით გაკეთებული. კულაკაკუელი ცხენიო - ამბობენ.

აიანტარუშუბ - აკანტურებ.

აპირანეს - აკრიფეს თუ დაკორტნეს ალაგ-ალაგ?

აპნაფუნაბს - „კანტორასთან დგანან და მზეუსუშირას აკანწუნებენ“ (მიქოანის სიტყვა, „სომ“, 1936 წ., 22 ივლ., გვ. 2, მე-5-ე სვეტი) „კანწაყნუწი გააქვს ხოლმე“. ჩემი „იცი, ოლოლო“ (II ტ. გვ. 7).

აპოკოშუბული - ნახშირის ცალზე ამბობენ: ეგრე ლამაზად არის აკოკოშუბული, მაგრამ ქვეშ კი...

აპონკილი - „ეს ხე ძალიან უცნაური იყო, ყველაფერი ზედ იყო აკონკილი“ (მარიჯან, კ. ჩუკოესკი „შხიანა“, 1936 წ., გვ. 8).

აღრუშვება — ერთგვარი ცეკვა-გასართობი. ერთი ადგება — მეორე დაჯდება. ალაბალუსი — 1. კარგი და წითელი დოში, პტყელი და განიერი. „აკულა იღებს დოშის ნაჭერს, მოთალს, მწვანის, ღაჟაშებს: „შახ ამ აღაბალუსსა და! ესეც მწვანელი, ესეც ღაჟაშობი, ესეც მოთალი“ (აქაო, გ. სუნდ. 1880 წ., გვ. 24) 2. თევზია წითელსალებიანი. აღ-წითყელი, ბაღიხ-თევზი: ფორელი, კალმახი, იშხანი, რუსულადაც გამოდის ალის-ბაღის — Балык (ა. ცაგარ, ჩემი გამოც. ლექსიკონი). „ჭიპრას ღუქანი შეყრილან ჩვენი ბიჭები. მეც შეველ. პატარა ზაკესკა, პატარა აღაბალუსი, აქ თელაველ სისუას წითელი ღვინის ჭაშნიკები და გაჩაღა ქეიფი“ (ა. ცაგარ, „არუთინას თავგადასავალი“, „ზანგი“, ჩემი, გვ. 40). 3. საკუთრივ ღვთის თევზი, ზურგიელი, სათალი, დოში.

ალაბაშა — ძაღლის სახელია.

ალაბურდა — არასერიოზულად. „— სად იყიდე? — აქ. — მეგრელმა მითხრა.

ალაბურდას კი არ გეუბნები“. ე. ი. არასერიოზულად კი არ გელაპარაკები.

ალაბობრივი — ადგილობრივი. იძახიან: ფული ნუ გსურს, ალაგობრივი ფული ხარ. აკაკი ამ სიტყვას ასე ხმარობს: „ერთი შეხედვით ფეხ-ალაგობს, საჯიპურადი ეგონებოდა კაცს“ (აქრებ., 1897 წ., № IV, გვ. 14). „ვერელმა შაქრომ ზარყუხელი რომანა ორ „ნიმუტში“ ლაფატკებით დასდო ალაგობრივ“ (მოჭიდავეთა გამოთქმა), „მუებნებთან: ფული ნუ გსურს, ალაგობრივი ფული ხარ!“ (სკანდ.).

ალაპი —

ალათ-მალათი — გამხმარი თევზის შიგნეულობა.

ალაღბადად — იღბალზე.

ალაღ-მართალი — „ალაღ-მართალი კაცი“. „ალაღმართლობა კაცს ხიშპილითა კელავს“ (დაქცული ოჯახი, გ. სუნდ.).

ალაღმშჰმბი — ადამიანის დაფარული ავანტურისტული ოინები. „კიკილას აღაბუქები სულ გაღოიყუაქუ“. (ელ. ჩერქეზ.).

ალაღო და სამართალო! — ადამიანი რომ მიდის სადმე გასამარჯვებლად; ამბობს რამდენჯერმე: ალაღო და სამართალო! ალაღო და სამართალო! ე. ი. მე ალაღო (მართალო) და შენ ღმერთის სამართალო, მიშველეო.

ალაღდარი — მედროშე, მებაირადე.

ალან-თალანი — ამბობენ: ეა, ქვეყანა ხომ ალან-თალანი არ არის, რა გინდა ჩემგან, ძალით არაფერს მოგცემო, ვითომ ქვეყანა ხომ გაგლეჯ-გამოგლეჯაზე არ არისო. „ვა, გვმინან, რომ არ წაგართო? ქვეყანა აღან-თალანი ხომ არ არის?“ (აქაო, გვ. 277).

ალანთაღნობა — გლეჯა-ფლეთაა.

ალანაული —

ალაო — „ალაო ფქვილია“. ხორბალს რომ დააღობობენ, იმას ალაო ჰქვიან. რომ გაღეწავენ, არ არის კარგად გამოშშრალი. პურს აქვს ალაო; რომ მოზელავენ, წყალივით მიდის, რომ ჩააკრავენ-ღვენთავს. ა ლ ა ო — დაფუებული წებოსავით.

ალაფი - ხორბლეულით მოვაჭრე. ა ლ ა ე ა ყოფილა პირუტყვის საჭმელი ბალახეულობა. ა ლ ა ფ ი - 1. ხორბლეულის, ფქვილეულის ვაჭარი. „ღამე ქრამი ვიღოდი, შემთხვევით შევხვდი ალაფს, მოჯამაგირედ მიმიღო, მაგრეხინებდა კანაფსა“ (ლექსი საბა შიოელისა, „ფოსტა-ტელეგრაფის ხმა“, 1919 წ., № 3, გვ. 9). „იმის უცნობი არ იყო ბაზი, აღარც აღაფი“ (ეპიკ., ტ. IV, გვ. 328). მელექსიკონე ამბობს: ალაფი მეფე ქვილეაო (იქვე). ფქვილის გარდა სხვა რამესაც ჰყიდის. 2. ნატაცები, ნაძარცვი, ხარკი; ალაფი არის აგრეთვე ხორბლეულისა და მისთანათა ვაჭარი (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 233).

ალაშა - 1. ანჩხლი, კაპასი. 2. აჯილგა, აშარი. 3. უსირცხვილო, ლაშახეული, შუბლგარეცხილი, ხულიგანი.

ალაჩხსი - 1. ნაუტბადევად აშენებული ქოხი; ხის შენობა. 2. ხარგა. კარავსავით დადგმული ქოხი ჯოხებისა, ნაბდით გადაფარებული, თავის შესაფარებლად ხმარობენ ეულნი მწყემსნი, ხალხი, მეთევზენი, მომთაბარე ხალხი. 3. Шатер. „ყველას თავისი საკუთარი სახლი ექნებოდა, ყველას ერთნაირი ტყავის აღაჩუხები“ (ალ. სარაჯ. „ნოშად“, 1908 წ., № 52, გვ. 11). 4. Лягушка. ასე სთარგმნის ჰლ. იოსელიანი (Путевая записка от Тифлиса до Ахталы, 1850, ст. 2). 5. კარავი მრგვალ ხეებზე. Кибитка (Сисоев В. М. Тюрское население Азербайджана в XVII веке, 1926, ст. 5) „გაზაფხულიდან მუხრანსკი აპირობს სალდათის ბაზარზე აშალოს აღაჩუხები და მის ადგილზე აგოს სამღვილი სალქსი“ („დროება“, 1884 წ., № 3, ნოემბ.).

ალაწოდა - ახმანხი, აყლაყყუდა.

ალაჯა - 1. ჭროლა თუთა, ალაჯა თუთა. 2. მუდის მსგავსი ნაჭერი. 3. ალაჯა სოფელიც ყოფილა სომხეთში ("Очерк Верхней Армений", В. Штреккера, 1873, ст. 3). 4. "О нижнем платье из лучших шелковых материй, называемых Аладже, монументами и бахрамоу" ("Жизнь Артема Араратского", ч. I, 1813, ст. 208).

ალდიყაწრობა - ტაციობა. პირდაპირი თარგმანი ასეა: მოიტაცა და გაიქცა.

ალუარსი - საცვალი; „პერანგის ალერსი“ - პერანგის ამხანაგი.

ალუა-კალითი - ალებმიცემობა, კომერცია.

ალუაში - ალუმს საზოგადოდ ეძახიან იმ ვაზებს, რომელიც ბევრს ყურძენს ისხამს და მდარე ღირსების ღვინოს იძლევა.

ალუაწილი - „დაღლილს, აღეწილ საზეუ ისევ ის უცნაური ტანჯა აღებუჭდა (სე. ყიფუ. „საქართველოს მოაზზე“, 1909 წ., № 15, გვ. 9).

ალთაფა - 1. სპილენძისტარიანი კოკა, რომელსაც აქვს გრძელი ლულა, „ლულეინი“. ამ ალთაფას უფრო მაჰმადიანები ხმარობენ ნამაზის წინ. 2. ხელტაშტი, წურწუმა (ალ-ხელი, თაფა-ტაშტი). 3. „რკინის სამფეხა პირისაპანი ჩინური ტაშტ-ჯოთაფით“ (ნ. ავაჯ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 71). 4. „თითონ საყვე აღთაფით ხელში იმის წინ გამოქიმული დაღებოდა“ (ერ. ყაზბ. „მეგობარი“, 1924 წლის „მნათ“, № 7-8, გვ. 321).

ალიან-ჩალიანი — „სჯობს ისევ საქმეს შეუდგე და აქური ამბები, ჩვენი აღიან-ჩალიანის ამბები, მოგწერო“ (ს. მესხის კერძო წერ., „მნათ“, 1932 წ., № 8-9, გვ. 199).

ალიბუხარი — 1. ალუჩა ბუხარიდან. ქლიაგია ყვითელი და მოგრძო, თხელკანა, რომელსაც კურკა ადვილად შორდება, ყველგან ხეირობს. უსათუოდ უნდა დაიმყნას. ნაყოფს ისხამს მესამე წელს. ინახება ზამთრისთვისაც. 2. ქლიაგია ერთი, რომელსაც ახმობენ და აშრობენ.

ალიაბი — 1. ლაგამი ცხენის ლაყუჩებზე ამოსადები, პატარა ლაგამი. 2. „ჯოხ-ცხენას აღიკაი“ (ა. ახანო, „თე“, 1888 წ., № 87).

ალილიოს-გალილიოს/ალიოს-გალილიოს — როცა ერთი აბდაუბდას ან სიცრუეს ჩმახავს და აღარ ჩერდება, მაშინ მეორე ეტყვის: „ალილიოს-გალილიოს“. ალილიოს-გალილიოს ერთგვარი შელოცვაა კარიჭის (მორიელის) წინააღმდეგ-დაძინების წინ, ზოგიერთ ძველებურ დედაკაცებს ენლაც აქეთ ჩვეულება ამ შელოცვის თქმა: „ალილიოს-გალილიოს, ალა სტეფან-სტეფანიოს, ალილო, კაილიო უშატოვ, ერკე ბოვ, სუხარქისი ძიუნ მაროვ ასტა აწნი, ქასტრ კათოვ, კრჭ, კრჭ, ღუნ ჩი მორიელი, ჩუშ! ჩუშ! ჩუშ! მანჩევ არეგაქ ღუზგა!“ იმათი აზრით, ამ შელოცვით აღარ უტებენ მორიელი და თუ შემოესწრო, მაშინათვე გაქვადება, გაქვადება მზის ამოსვლამდე („კაიიშონი“, გვ. 44).

ალიყული — 1. მაგარი და მადიანი ლაწანი. (სილა) ყურის ძირში. ალიყული სპარსულად ყოფილა აკენის ქლარუნას მასხალა; ამ ქლარუნას, რომ თვალი არ ეცეთ ბავშვებს, ჰკიდავენ აკვანზე. ამბობენ: დაჩუმიდი, თორემ ალიყულს გაგაწნავო, ე. ი. ისეთ მძლავრ სილას, რომ ყურებში აკენის ქლარუნასავით ყლერა დაგეწყოსო. 2. სილა, სილაქი, ლაწანი, შნოიანად გარტყმული დიდი სილა. „ალიყული გაეარტყი“, ე. ი. გაულაწუნე. 3. სილა ყბაში. „მოდი და იცოცხლე. ერთი ენახოთ, წამოგვივლის სიკვდილი, ერთს ალიყულს გერავს და მშვიდობით“ (რ. ერისთ., „ჯერ დაიხონენ, მერე იქორწილეს“ 2 მოქ., 19— გვ.)¹. 4. ყურის ძირში გაწნული სილა. „იმის ალიყულებისაგან ჩანები ამაძქვრალი მაქვს...“ („კაიიშონი“, გვ. 36). „ერთხელ მაგრად ვაიცი და ისეთი ალიყული მითავაზა, რომ თქვენი მოწონებული. დღესაც მეწვის ყურის ძირი“ (აკაიო, „ქრებ“, 1899 წ., № 7, გვ. 73). „ლევანმა ასეთი ალიყული ჰქრა ბიჭსა, რომ სახრალომ სამჯერ ალაყ-მალაყი გაღაიარა“ (რ. ერისთ., „ციცკ“, 1857 წ., № VI, გვ. 27). „ეხლა სხვა არა მინდა რა, ნეტავი ფეხზე დგომა შეეკძლოს, რომ ერთი ალიყული სილა გაგრა“ (ივ. მაჭუკე, „გლეზი კაცის ისტორია“. 1931 წ., გვ. 86). „თავი დამანებე, ბაღლო, აი, ღეთისმშობლის მადლმა, ისეთ ალიყურს გაჭმევ ამ გაჯავრებულ გუნებაზე, რომ ხარი კი არა, თავი დაგვიწყდეს“ (შ. არაგვი, „ქიშო შინდაე“, თავი II; რ. ერისთ., თხზ., ტ. IV გვ. 29). „იმან სახეში გაგარტყათ, თქვენ ალიყული აჭამეთ“ (კუშქინის „კაიიშონის ქალიშვილი“, სასცენოდ გაკეთებული გ. ნახუცრი. და ბ. გამრ. მიერ. მოზარდ მაყურ. თეატრ., 1937 წ., 6/III). „მან მეგობრულად გაუღიმა ბატონიშვილ რუალისტებს, მე კი ალიყური მაჭამა“ (დ. თურღ., „ეპიზოდები ახალგაზრდას

¹ ასეა — რ. კ.

ამბარჩა - ფარღული, შიბი, მანიაკი, გულქანდა. „კვლე მითარტა მის დანიშნულს ერთი ხელი ღიბ-ფარჩა, ფასულუბი მარგალიტის გადკილა ექლს ამბარჩა“. (ს. გუგუნ, „თამარანი“, 1912 წ., გვ. 21).

ამბიწობა - 1. სომხურად „ანბიწ“ არის „უბიწო“, უმანკო, „ბიწ“ სომხურად ნიშნავს „ლაქას“; ანბიწ - ულაქო, უმანკო, ალეგორიაა: ზნეობრივად სუფთა ადამიანი, ლაქას მოკლებული. 2. უეარგისობა.

ამბურა - დაირა.

ამღლით - ყოველდღე.

ამაჰმიატა -

ამლიკი - ქორფა, ახალგაზრდა.

ამოგლებილი - თვალეზზე ითქმის.

ამოვიწყალა -

ამოიყორა - „ამოიყორა მუცელი“.

ამოლუშვა - დასველება.

ამოსაპარდნელი - წყევლა. „ღამაცაღე, შე ამოსაპარდნელი!“.

ამოღებული ხეალივით თაჰვა დასდგომია -

ამოყორა - უწესრიგოდ ჩაყარა, ამოავსო. წარმოებულია „ყორედან“.

„მუცლის ამოყორა“, ე. ი. მაძღრისად ჭამა.

ამრამბაული - ფერ-მრემიანი.

ამრიზაბული - განრისხებული. იხ. აიმრიზა. „მზავს არს საწუთო ესე კაცს, რომელსა სდევსა სპილო ამრიზებული და მიაწყვილია იგი ჯურღბულსა საშინელსა“ („სიბრძნე ბლავარისა“, ე. თაყ. რედ., 1895 წ., გვ. 25).

ამშა - შესაფერი, ყადრი.

ამშარ-ამშარ - ახლა დაიწყობა თქვენი ამფარ-ამფარ სიარული, ე. ი. სოფლიდან სოფელში და კარიდან კარში წანწალიო.

ამფონი//ამფონი - ბაღდახინი, გენერალ გიორგი რომანოზის ძე ერისთავის გარდაცვალების გამო კვითხულობთ: „ეუბო დაჰხედეს, ხის ყუთში ჩადეს, ამფონზე დასდეს და წაასვენეს სოფ. ოძისში“. („იე“, 1891 წ., № 38).

ამფსონი//ამფსონი//ამფსონი - 1. ჰამსონი - დაახლოებული მეგობარი, დოსტი; ამყოლი, თანამესუფრე. „მაშინაღვე თავის ამფსონებს ახარა“ (რ. ერისთ. „ციხე“, 1857 წ., № 5, გვ. 36). „თქვენი ზთრით, რამოდენიმე კვირას ამფსონობას გაგიწევთ“ (ს. გამს. „ლილ“, „მნათ“, 1828 წ., № 3, გვ. 32). „არსენამ ერთი ქისა ოქროს ფული დაუყარა წინ ამფსონებს“ („ატონეჟობის მასალები“, ტ. 2-3, გვ. 20; რ. გვეტ. მოთხ., „ქართ. მწერ“, 1930, № 2-3, გვ. 17).

2. წარმოებულია სიტყვიდან ფსონი, ფსონით პურის ჭამა. ამფსონი ამხანაგი სუფრაზე. 3. პურის მტე ანუ ამქარი (ჩ. გვ. 36). „საქმე გადაწყვიტა სახლის პატრონის ღამის ამფსონების სასარგებლოდ“ („მუშა“, 1932 წ., № 143, გვ. 4).

„რატომ არის წინანდელადგილზე აღა სულთანოვისა და ტულუშის ამფსონები?“ („ყოზ“, 1936 წ., № 153, გვ. 4). „ე. მკვლარიელაჰიაჰე, შესასახეს ამფსონებმა“ (შინ-ჩინ, „იე“, 1894 წ., № 17).

პე ვიცი, ან მთერალი შემობრწყინდებოდა, ან ამფსონებს შეყვრიდა საბნჯოლ“ (ე. ბარნ, „პროფესორი“,

„მოაბე“, 1901 წ., № VI). „თუ როგორ გასწირეს მეგობრებმა და ამფსონებმა“ („ათას ერთი ღამე“, თარგ. ს. აბულა, 1937 წ., გვ. 50). „ვერც პრაჩები, თავის ამსონ-ლოთები“ (პეტრე ლარაძის ლექსი, საქ. მეზ. ხელთ. № 2130, გვ. 42ბ). „ღუქვანში დიწყო ღვინის სმა ორ-სამ თავის ამსონ ბიჭებთან“ („ოფ.“ 1886 წ., № 118). „...ანდა იოლად ვით ბანქოს აუსონს, ზარს რომ ისერის და ფულებს მოხვეტავს“ (პ. იაშ. პუშკინის თარგ. 1936 წ., გვ. 125). „მე ვითხრა, ჩემო აფსონო, არ ვიცო, რა დაგიძალო!“ (ბაჩ., გვ. 449).

ამფსონებს — ამადლის.

ანაბარი — ჩაბარებული.

ანარაბი — წმინდა, უმანკო, შეუკეთებელი, ბუნებრივი, ნამდვილი, ითქმის ადამიანზედაც.

ანასუნდი — „ეე, რაც მამივა მამივა, ანასუნი მათ საქმესა, შევივინე სომხურად“ (ს. მგალ. მოთხ., „მოაბე“, 1889 წ., № VIII, გვ. 80).

ანაჯოგად — 1. სრულებით, საცესებით. იმერულად: „ან ა გ ე ბ ა დ“. „ანაგებად არ ჯოფილვარ ამ ქალქში, მისი ასაკულ-დასაკული არა ვიცი-რა“ (პ. შ. საყვარ., „ჩატეხილი ხიდი“, 1934 წ., გვ. II). „შენ რომ ეს სახელი გცოდნოდა და გეთქვა ანდუყაფარისათვის, ის ისევე გადიკარგებოდა ანაჯოგად, როგორც სუფსარქისი“ (ხსენებაზე „უშმაკები“, მელან., „საქართ“, 1918 წ., № 832). 2. პირწმინდად, უკვალოდ მოისპო. „როგორც კი ვეცყოდი, უნდა თქვენი სურათი გადავიღო-მეთქი, აღარავინ შეკარებოდა და სულ ანაჯოგად (!) ეკარგებოდნენ (ნ. აღნ., „სმარსეთი და იქური ქართველები“, თავი V). 3. სრულებით. ამბობენ: ესა და ეს კაცი ანაჯოგად ხმას არა მცემსო. ამბობენ კიდევ: ესა და ეს საქონელი რომ გინდოდეს, ანაჯოგად ვერ იშოვიო. მერე კი — ანაჯოგად დაიკარგაო. „ანაჯოგად ჩაიყლაპა“. გურიანში — „ანაგებად“. ეს სიტყვა ხომ არ წარმოსდგება „გადღვიჯანგო“-დან. „ისეთი სიცხეა, რომ, არ ვიცი, სად გაღვიჯანგო“. („ერებ“, 1871 წ., № 2, გვ. III).

ანბალი — 1. მცონარა, უსაქმურა, დავარდნილი, დაცემული, ზანტი. მიკიტინის ღუქანში ხშირად არიან ისეთი კაცები, რომელნიც მუშტარს იზიდავენ იმ განზრახვით, რომ მუშტარმა მიიწვიოს თავისთან და უფასოდ გამოძღვნენ ან გამოთვრინენ და ამითი მიკიტანსაც ხეირი მისცენ. აი, ასეთ ხალხს უწოდებენ „ანგლებს“. „სადაც ქარი ანგლი პერანგივით ქანაოს“ (ა. მამაშ., „მნათ“, 1925 წ., № 8-9), „კვალში“ (1901 წ.) მ. გორკის ერთი მოთხრობის სათაური ასეა თარგმნილი — „უკუღმართი“ (ОЗОРНИК). „როცა ქარი ანგლი“... (ა. მამაშ. ლექსი „ღმადარია-ღარია“). „ბნის მომეტ, გენაცვალე; მტესახელად ანგალო“ (მ. მღვ., წითელი სხივი“, 1926 წ., 3, გვ. 32). „მოსკეთ ასეთი ანგალი“ (ლექსი ი. იზიძისა სიც-დაზღვევის კედლის გაზეთზე. 1932 წ., თებერვალი). 2. მასხარა. ОЗОРНИК „ვიღაც ანგალს საკონტროლო ორმოსათვის ხუფი აუხსნია“ (ე. გამს., „ნატახტარი“, „სალიტ გაზ“, 1932 წ., № 17, გვ. 4). „რამდენჯერ ორ მეგობარს, ორ ბედის ანგალს მთელი წლობით ხელზე დაგვიხვევია რომელიმე ანდაზა“ (ლ. მეტე მიერ შეკრებილი „ქართული ანდაზები“, 1926 წ., გვ. IV). „დაჰვეო ყოველი, ნუ ხარ ანგალი-წადი სოფელში გლეხურ ნამგალით, მენდე, მოიმი ვარდისფერ დღეებს!“ (ლევან ანანაშ., „ლექსები“, 1933 წ., გვ. 42). „ეს ანგლები, ესა, — ბურტყუნებდა მღვდელმსახური, — რომ

არ დაიშლიან!" (ფელობერის „მადამ ბოვარი“, თარგ. ა. ქუშბ., გვ. 104). „მთლად მოგვისსეს ტამაზლუხის ცხერები, თავს დაგვისხდნენ მუქთახორა ანგლები“ (ხოხოს ლექსიდან).

ანბალ-მანბალი — „ანგალ-მანგალი ბიჭები“ (ძილა მახვილაძის პატარა ფელეტონის სათური, „კომ“, 1936 წ., № 259).

ანბლობა — 1. სიანგლე, „ვანგლობ“. „სტალინი შეხვდა ამიერკავკასიაში ახალგაზრდა კაცს (ლაპარაკია კამოზე — ი. გ.), რომლის ფიცხმა, ანგურმა და ოდნავ ეშმაკურმა გარეგნობამ დაინტერესა იგი. ამხანაგები აღიარებდნენ კამოს განწყობილების რევოლუციურობას, მაგრამ ამინებდათ უაღრესი სიფიცხე, წინადაზნადობა და ანგლობისადმი მიდრეკილება“ (მის. კოლტოვი, „აკაცი ლევენდა“, „კომ“, 1934 წ., № 268, 21/XI). „მე-15 სკოლა ტფილისში ერთ-ერთ მოწინავე სკოლად ითვლება. მოსწავლე კობახიძე ყველაზე ანცი და მოუსვენარი იყო ჩემს კლასში (მე-3 კლ.), — მოგვითხ. მასწ. თამარა მადრაძე, — იგი ჯერ რაჭის ერთ-ერთ სკოლაში სწავლობდა, საიდანაც გაურიცხავთ გადაჭარბებული ანგლობისათვის, როგორც „გამოუსწორებელი“ (ვ. მესხის და ი. მარგ. წერილიდან. „ს. კომ“, 1935 წ., № 70). „სათვალე ქალაქგარეთ ქეთოსა და ანგლობაში დაუკარგავს“ (დემნა შენგელაია, „ბაშკადიკლარ“, „მნათ“, 1934 წ., № 10, გვ. 6). „ჩემი საქციელი ანგლობად ჩასთვალეს“ — „ცოტა არ იყოს, ანგლობს, მატოცობს“ — „ამწველი ვიყავი, ვანგლობდი“ — (მ. გორკის წერილი კამოზე. „სალიტ გაზ“, 1932 წ., № 4). 2. Озорничество. „ა, ა, ნუ ანგლობთ, თუ ჯერია, ჯერი იყოს“ — (ირ. ევლ. „ივ“, 1905 წ., № 184). „იხვები შენა და იბათი ანგლობისათვის მასუხი შენ უნდა აგო“ (ს. ფაშაძე, „წინანგის კრებული“, 1933 წ., გვ. 22). „უფლება მიეცეს მილიციის ორგანოებს, დააჯარიმონ მშობლები აღმინისტრაციული წესით 300 მანეთამდე ბავშვთა ანგლობისა და ქუჩური ხულიგნობისათვის“ („კომ“, 1935 წ., № 137, 2 ივნისი). ეს ინსტრუქცია დაიბეჭდა აგურეთზე „საბჭოთა აჭარისტანში“ (1935 წ., № 126). იქ ბავშვთა ანგლობის ნაკვლად ბავშვთა სიანგლეა. 3. ეს სიტყვა ამ ბოლო დროს ხშირად გვხვდება ყოველდღიურ პრესაში, განსაკუთრებით თარგმნილ სტატიებში. „...მახინჯებენ ბავშვთა ჩამოუყალიბებელ ხასიათს, აღვიკვეენ ვნებათა დელვას, აქვებენ ანგლობისა და ხულიგნობისათვის“ („კომ“, 1935 წ., № 85, 10 აპრილი, „პრავდის“ მოწინავე). „კეთხეებში მიგროვილი მოწაფეები... ანგლობდნენ“ (ე. გამს. „უფლისა არაბული“, „ლიტერ. საქართ“, 1939 წ., № 28). „შუალამა, მთვარე კვლავ ანგლობს, სურს სურვილების დაფაროს კიდე, ქუჩა ემასის ქუჩის ანგელოზს, ქუჩა ბარდება ქერდს და როსკიებს“ (პიერ კობახ, „ლომისი“, 1924).

ანბლური —

ანბუპანბი — უდროოდ გარდაცვალება (ანგიუმან). დედაკაცები იწყებულებიან ხოლმე: აი, ანგუმანგად გაქციოს მამაზეციერმაო, ე. ი. არად, მტვრად და უჩინრად გახდით.

ანდაზა — „თოფს წელიწადში სამჯერ ეშმაკი გატენის“ — ანდაზა.

ანდაბალუცი — 1. დამბლა, ზანტი, ზარმაცი. იწერება: ანდამალუცი — ანდამ-ლუცი, ლუწანელ — მოშლილი (სხეულის ერთ-ერთი ნაწილი) დამბლა, რომელიც ალეგორიულად ითქმის ზარმაც ადამიანზედ. 2. Расслабление (ე. თაყ, I, გვ. 726).

ანსაპი — 1. უსირცხვილო, პირმაგარი, თავისნათქვამი, გაუტეხელი. ნამდვილად: „ანზგამ“ — უნამუსო, სზგალ — გრძნობა, ან — უგრძნო

(პირახდილი, უსირცხვილო). 2. ბტკერესი, თაეისნათქვამი. 3. პირახეული, 4. პტკერესი, უჯიათი.

ანტიმას - 1. ანტიური. 2. იშეიათი, მზეთუნახავი, კარგი რამე.

ანტიპორა - ქსოვილია ერთგვარი. „საქორწილო ანტიპორეს მიეილი“? (გ. სუნდ, „ხათაბაღ“, შიქ. III).

ანუპამანუკი - კარგად გაზრდილი და ნასწავლი პირი, დედის ნებიერი. სომხ. ანუშმანუკ, რაც ნიშნავს „ტკბილ ბავშვს“, ნებიერად გაზრდილი შვილი.

ანუშუშური - „მაშინ დაუვლი მელეკურათა, ფენს ავაყოლებ ანუშუშურათა“ (რ. ერისთ, პიესა „მბრუნავი სტოლები“, „თისკ“, 1868 წ., № XI, გვ. 14).

ანჯამა - 1. ანჯამა არის კარის სახელური. „...მხოლოდ ანჯამამოვარდნილი კარები რახუნებს“ (ცქვიტი, „კომ“, 1935 წ., 30 ივნისი). 2. უფრო ამბობენ - ანჯამები. კუბოს დასაჭერი სახელური. „მოდი კუბოს ზუფს ზაჟადი მოაკლე და ანჯამები დაღურსე“ (რაფის „ზედსიძე“, თარგ. დ. ყაზაროვისა, 1917 წ., ტფ., გვ. 7). 3. ფანჯრის, კუბოს სახელური.

აოკაბს - აკმაყოფილებს, დაოკდა.

აარუშუშუნ - ტუჩების ხმაურობით გამოჯავრება. „აარუშუშუნის წამალი პარასა და ნახურია“ (ხალხ.). „მე გამხტომი, კარგად მხტომი, აღისფერათა მაქ ფრთები, აარუშუშუნს დაგიძახებთ, ციხე მაქ და ზედ შევხტები“ (ქართ. გამოცანები, „თეატრი“, 1887 წ., № 2).

ააურაქამადა - ნერწყვაგადა (ჩიბუხის წვევის დროს ტლანქი გადაფურთხება).

ააუსხი - დამარილებული და კვამლში გამოსული ძროხის ხორცი. (აპუხტი ძროხის ხორცისაგან მზადდება, შაშხი - ფრინველისაგან, ლორი - ლორისაგან).

ააშაბ - 1. ძარღვია შუბლთან. ლაშლაშა და ყბედ, უსირცხვილო აღამიანზე ამბობენ: ვა, ყბები ერბოთი აქეს მოქონილი, რამდენს ლაპარაკობს, ან რა აპწკა გაწყვეტიაო, ე. ი. ნასკვი, ძაფი გასწყდომია, რომ აღარ ჩერდება და ლაქლაქებს დაუსვენებლივო. 2. აპკა. „ისააკაგაწყვეტილი ნათლა ვნახო! (აჟპო“, 17), ე. ი. უნამუსო, უსირცხვილო ნათელაო („ნათელა“ მაჭანკლის სახელია).

ააშაპარი - უზარმაზარი.

არაბა - ცხენის სახელი.

არაზი - მდინარე რახსი, არაქსი.

არალული - 1. ხუროების ტერმინია. დაწყობილ ფიცრებიდან ან ფიცრის შენობიდან როცა ციციანთელა გამოჰკრთის, ამას არალულს უწოდებენ. ამბობენ: „არალულიდან გიცქერდიო“! 2. ცარიელი ადგილი ფიცარსა და ფიცარს შუა.

არამარა და დარდუბადა - სიტყვის მასალაა. მაგ., დასატუქსავად დედა თაეის შვილს ასე ეუბნება: არა? აი, არამარა...

არამზადა - „არამზადები, რა ესმით ნეტავი, რომ ბოღმევიკობენ! (ჯუანვი“, 1931 წ., № 1-

2, გვ. 104). „არამზადები“ – ამ სათაურით პიესაც ჰქონდა ე. შალიკაშვილს. არაჰანი – მოღულებული რძის ნალები.

არატუნებ – უთავბოლოდ ლაპარაკობ.

არაჰათი – 1. არაბული სიტყვაა (საზოგადოდ სიტყვა, რომელიც ათი-თ ბოლოვდება, არაბულია) და სახელწოდებაა იმ მთის და ხეობისა, რომელიც მდებარეობს მექას აღმოსავლეთის მხრით. მექაში მიმავალი მლოცველები ამ ადგილას, ადათის მიხედვით, შეისვენებენ და ხმამაღლა კითხულობენ ყურანს („ათას ერთი ღამე“, აკად., 1931 წ., გვ. 111). 2. ღონე, ძალა, ჰოესილა. „ემშაკმა“ დაუწერა აკაკის „მეჩონგურეს“ შესახებ: „ძლიერ მწყის, რომ აგრეროვად დახურავდა მძაური მუხა - და არაქათ-გამოცილი „ბნელ ყვლებში“ შეიტუხა („ემშ. მათრაზი“, 1908 წ., № 19). არაქათი, ჩუბინაშვილი ამბობს – სომხურიია.

არალჩინი/არაჩინი – ფართლელულიდან შეკერილი ქული; ჩეფჩიკი. „ბებამ პატარა მიხაკოს ვიწრო არაჩინის ჩამოაცა“ (ნ. ლომ., „მოთხ“, გვ. 202). „ჯუჯებს ყველას ხელი ჩამოართვა, იმათაც თავიანთი არაჩინები მოიხადეს“... (ან. თუმ.-წერეთ., „ჯუჯილი“, 1914 წ., № 3, გვ. 150). „მეცნიერის ქურქი წამოესხა, არაჩინი თავზე ჩამოეჩაჩა“ (აკაკი, „ივ“, 1901 წ., № 70). „ტყაის ქულები აჭრელებული, მოქსოვილი არაჩინები და ღელაკების ჩადრები“ (რაფის მოთხ., „ნობათი“, 1884 წ., № VII-VIII-IX, გვ. 360). „შემოვარდა ზღაში აფარებულის თეთრის ტილოთი და თეთრის არაჩინით“ (წერ. კ. დაღეშქ.-ზე, „ივ“, 1884 წ. № 2, გვ. 134).

არარნათი – არაჩინაც – წინამსვლელი.

არაბაზა – რომელიღაც ქსოვილის „უზორია“.

არდასატალბაღალი – ქალების წყევლა; ალერსით წყევლა. „არაინ დაგძრახავს, რომ შენ შეს ქვარს აკოცო. მიიღი, შე არდასატალბელო, – მიუმატა სელის ხმით და ჩემად მუშტი უჩვენა“ („ეისკ“, 1863 წ., ნომბ., გვ. 169).

არამარად მორთული –

არზანაი –

არზაქარი – არზაქარი გამოვიდა, ე. ი. ცუდი, მპარავი.

ართორმა – „ჯიხვები, ხელალები, ყანწები, კელები და აზარეულები ართურმასა და მიჭკამალას (იხ.) გადადიან („ივ“, 1888 წ., № 87). „ჯერ ართურმა არ გაუმართავთ“ (პეპო, გვ. 21). 1. სათამაშო ბტომპ-გასართობი: ერთი დაიხრება და მეორე ზედ გადაახტება. 2. ზოგი ახტურმას უწოდებს, რაც შეცდომაა. წარმოსდგება თურქული სიტყვიდან ოთურ – დაჯექ!

არიშანა – ფსონით ქეიფი. „ჩვენს ოჯახში ერთი ჩემზე უფროსი გოგონა იყო, რომელთანაც ხშირად არიფანას ეთამაშობდი“ (ალ. ყაზ., „მეშუარები“, „მნათ“, 1924 წ., № 5, გვ. 390). „გვიწოდდა ერთი დიდი არიფანა გაკუმართან კაკლის ქვეშ“ (ს. შგალ., „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 59).

არიში – 1. მეგობარი, ტოლი, მოზიარე, თანამზრახველი; 2. მიამიტი, ხამი, ადვილად მოსატყუებელი, მიმნდობი. არაბულად ჰ ა რ ი შ ი ხ ელოსანს ნიშნავს (ფარს. გორგიჯ. ლექსიკონი, გვ. 5). „ურადლებას რომ არ მაცქვ არიფი თუ

გონივარ! („ნახე“, 1933 წ., № 5). 3. ინდოეთში მამაკაცის სახელია (Вост. сборник, 1924 წ., I, გვ. 131).

არიძა – სიტყვის მასალაა. „არიქა, წყალი“ და სხვა. არიქა, ჩქარა! – შორისდებული, რომელიც იხმარება სიჩქარეში წასაქეზებლად.

არაპაჰში//არაპაჰა – თავისნება, გაუგონარი, ზანტი.

არნაუბი – ბოროტი, ავი.

არტალა – საკლავი საქონლის უკანა წვივ-ბარკლის ნაწილი. კეთდება ცივად, ნიორში.

არუჰ-ჰარუჰი – აზიზმაზიზი (ნამდვ. აროქ-ფაროქ). დიდის ამბით ვინმეს შემოსვლა. ამბობენ: როგორ, ჩემი არუქ-ფარუქად გაზრდილი ქალი ვილაც ხარაზს მიეცყო. ვითომ ნებიერად და ნაზ-ნუზად გაზრდილი ქალიო. ამბობენ კიდევ: ჩემი სახლის არუქ-ფარუქი გინდა გაიგო? არუქ-ფარუქათ – ნებიერად, სათუთად, აზიზმაზიზად, „არა, გესცალებით, ამ ჩემს არუქ-ფარუქათ გაზრდილ კეკელს მიიქტანს არ მიეცემ“.

არღანალი – სია, უშნო.

არღუბი – „არღუცი აგიტყდეს შენ, კი დედაკაცი შენ ხარ“ („ოჲ“, 1891 წ., № 172).

არშადრის შალი – აბრეშუმის შალი, ფოჩებიანი და კუთხეებნაქარგი.

არშია – ქობა.

არხა – ქომავი, დამხმარე, მფარველი.

არხინი – არა აქვს დ. ჩ-ს.

არჯალი – „ცხოვრების მომწამელელი არჯალი“ (გ. ხეიუშ., „ბორკილები“, თავი 35). „ბოზო, რას ამბობ, დიაცი არჯალი, აუციანო!“ („აკაის კრებ.“, 1897 წ., № III, გვ. 41).

ასალი – ცხენზე გადასაფარებელი, ცხენის შესაკაზში. ასალი-ყაჯარი.

ასარსალუბ – „ენას ნუ ასარსალუბ“.

ასასი – 1. ღამის დარაჯი; სავაჭრო დუქნების მეთვალყურე (საიათნოვა); ასასს აბარია ხშირად რამდენიმე დუქანი და ნება არა აქვს თავის ადგილს მოშორდეს, თვით პოლიციელსაც არ ჰქონდა ნება დაეპატიმრა ან სხვ., როცა იგი სადარაჯოზე იდგა (დადის ღამლამობით ეს ასასი ჩაბარებულ დაკეტილ დუქნების ირგვლივ და ყოველ წამს კლიტეებს ხელით ეხება, რომ დარწმუნდეს დუქნის ჯანსაღობაში). ასასი - კერკეტონი („ქილია და დამანა“). პროფ. გ. ნათაძე ასასს ასე განმარტავს: Низший политический чин в городе (Старый Тифлис, 1929, ст. 56; საბს კერკეტონი, გვ. 145). „1860 წლებში ბზრებში ღამე მასსები არსებობდნენ ყარაულბად დუქნებისა. მედუქნები იხდიდნენამათ ჯამაგიერებს, რადგანაც მასსები გათუნამდის უძილოდ ფეხზე უდარაჯებდნენ, ზამთარ-ზაფხულ, რომ ქერდებს არ გეტყვანთ დუქნები“ (იხ. „ზელსიძე“, რაფის მოთხრობა, თარგ. დ. ყაზაროვისა, 1913 წ., გვ. 23).

2. ღამის ყარაულია უეჭველად დუქან-ქარვასლებისა, ასასი სრულიადაც არ არის გოროდოვოი, როგორც მ. ნ. პოკროვსკის წიგნშია „რუსეთის ისტორია“ (მთარგ. მ. ბერძ., 1932 წ., გვ. 296, სხელგ.). 3. ღამის დარაჯი, დუქნების

ჩემი თვისების ფარდია და გასართობად მე მქონდა ასონანსი და ნარდია“ (ქ. ავალ. ლექსი, „თეატ-
ლა ცხოვ“, 1918 წ., № 1, გვ. 6).

ასტამი — ცომის ასაფხეკი.

ასხაბადელი თათარი — ასხაბადი დაარქვეს სპარსელებმა და თურქმანებმა იმისათვის, რომ თექვს არეშარეში საუკეთესო ადგილი უჭირავს. სიტყვა ასხაბადი ნიშნავს „სიყვარულის სადგურს“. („დროუბა“, 1885 წ., № 186).

ასხაპა — ასჭრა.

ატაცეხული — 1. ატაცებულს უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომელიც ხან ჭკვიანურად ლაპარაკობს და ხან ძალზე ტუტუცურად. 2. ითქმის შეშლილ ადამიანზე.

აბინგიცაბს — აპამკულებს, მასხარად იგდებს.

ატოცის გლახა — ეკლესიის მათხოვარი. ატოცი ეკლესიაა. ატოცის გლახა თურმე ძალიან პირმაგარი ყოფილა. ვიდრე არაფერს არ მისცემ, ვიდრე არ შეიწყალებ, ვიდრე არაფერს არ გამოგვინცლავს — ისე არ მოგშორდება. აბეზარ ადამიანზედაც ამბობენ: კაცო, ატოცის გლახა ხარ, წადი რაღა, გამეტალე, რას ჩამაცივდი ციებ-ცხელებასავითო?!

ატრაქუნეზ — არ არის ლიტერატურული სიტყვა. თუმცა სოფ. მგალობლიშვილი ხმარობს ერთს მოთხრობაში: „ლას ატრაქუნებს, მამაჩემი ვერ მოშველდა?“ (ეს მოქმედი პირი „რაეს“ „ლასად“ გამოხატეა „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 78).

ატრუჭულა — ატუჭულა, აყუდებულა.

აუთორიტა — აუშფოთდა, აუდუღდა, აყვინჩილდა, საღერღელი აეშალა, გული აუკორკოტდა (ს მგაღ, I, გვ. 123).

აუსუყა — გული აუსუყდა.

აუშურათან — აურია, აუქოთა, აზრები აუფურთგენა. ქათამი რომ იფურთგენა, კვერცხს სდებს.

აუშარე — ურიკა რომ ვერ ავა აღმართზე და პატრონი რომ აწეება, იმას ჰქვია აქარეა. „აბ, ერთი აუქარე, ბიჭო“.

აუშპინი — გაიარე.

აუჩუჩუნა — გაუღვიძა.

აზალი — 1. გარემოება, თავგადასავალი, ავლადიდება, მდგომარეობა. 2. ავანჩავანი. ამბობენ კიდევ „აღლუაფალი“. „თავის აფალი არა უთქვამს რა“ (გლახის ნამბობი, თავის II). „და ერთმანეთთან თავთაიანთ აფალი მოაყოლეს“ (ბაჩ, ლექსები და პოემები, 1928 წ., გვ. 432). 3. ავანჩავანი, თავგადასავალი, გარემოება. „ყველამ ჩემი აფალი იცის“ (გ. ხუნდ, „ლაქც. ოჯახი“).

აზაფია — 1. მოჩხუბარი, მყეფარი. 2. მეტი სახელი იყო ერთი მოჩხუბარი ბუკინისტისა (იარმუკის ბაზარში ვაჭრობდა, გარდაიცვალა).

აზერუშ — 1. ხმა მოწონებისა: ეაშა, ბრაეო. „ნარვს ექებს თავის ბღის ნაცულსა, ნოგაგორღს ბროწეულის მარცულსა. აფერუშ, ამ სოვღაგარის საცულსა!“ (გოდერძის ლექსი,

საქ. მუხ. ხელნაწ., № 1534, გვ. 12). 2. (სპარს.) აფერუმ — (რაფის „ჯალაღლინი“, "Русская мысль"). ... წავიკითხე „მეფე ღირის“ ქართული თარგმანი და ძალიან მოიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იძახოდნენ“ (ილიას წერ. ცოლისადმი, პეტერბურგიდან, 1873 წ., 19/XII). „აფერუმ, ღელაკაცო, სიყვარულიცგოდნია და მეგობრობაც“ (აკაკი, „ბაში-არუი“, 1913 წ., გვ. 63).

აფოლებ — 1. ამცირებ, აფუჩეჩებ, მალაფ. ამბობენ: კაცო, შენ რატომ აგრე მაფოლებო, ან კიდევ: შენ რატო ეგრე ჩულში მხვევო, ე. ი. რას მამცირებ, რას მიქმალავო!... „ბ-ნ მესხიშვილს უეჭველია ნიჭი აქვს და ვწუხვართ, რომ ასე აფოლებს“ (ე. გუნ, „ოე“, 1888 წ., № 44). 2. აფუჩეჩებს, ჩრდილავს. „ზოგი ისეთი ნაკლულეაზებაა, რომელიც აფოლებს კაცის ღირსებას“ (ს. ჭრულ. — სანოს ფულ. გრ. ირბ-ზე „ოე“, 1888 წ., 77).

აფოშაძილი — თხელი ფიცრის ღობე.

აფრაჰი — 1. ფიცარი რო გახმება და აიფშრუკება, იტყვიან: აფრაჰი გახდაო. მსუბუქ და ცანცარა კაცზედაც ამბობენ: რა აფრაჰი ვინმეაო. 2. ფიცარი აფუშტული. 3. სულელი, შერევილი. „აფრაჰი ვინაა, მაგას ორსული კ გონისართ“ (ტრ. რაშიშ, „მონადირე ქალები“, 1927 წ., № 5-6, გვ. 92). „ა ფ რ ა ჰ ი ფ ი ც ა რ ი“ — სიცხისაგან რომ ფიცარი აიფრუკება.

აფრანბი — წითელი მტრედი თეთრ წინწყლებშეყრილი.

აფრინდა ბოზო — მეძაფე.

აფრინდა ძალი — ცუდი ყოფაქცევის ქალს ეწოდება.

აფსუს — დანანება. „აფსუს, დრო შეიცვალა“ (ზ. ჭიჭინა, „ნიკ. ბართ“, 1885 წ., გვ. 26). „აფსუს, ტია შელიას შვეირდო“ (ე. გამსახ, „დიონისოს ღობილი“, 1925 წ., გვ. 187).

აფტაბა — სპილენძის ჭურჭელია, ხელების დასაბანი.

აფუ — 1. შეცდომა. ბავშვები (და ხშირად მოზრდილებიც) ხუმრობით ამბობენ: „აფუ მე“. 2. კოჭების თამაშობის დროს ბაღლები აავდებდნენ ხოლმე კოჭს „აფუს“ თქმით.

აფუშე — შეეცდი, მარცხი მომივიდა.

აფშრუკული — ქადაზე იტყვიან: აფშრუკულიაო!

აფხალია — მეტი სახელია კაცისა.

აფხაფუჩა — უთაბოლოდ მიყრილ-მოყრილ ბარგზე იტყვიან: ეს რა აფხაფუჩად შეყურიათო. უთაურ და უშნო კაცზედაც ამბობენ: წადი შე აფხაფუჩა ვირისშვილოო.

აფხალული — არეული.

აფხორილი — „კაბა აფხორილი ჰქონდა“. „ინდაური აიფხორა“.

აჰანდაზი — რკინის მომცრო ნიჩაბი, ნაღვერდლის გამოსაღები (აქენდაზ. ხაქის, მიწის ასაღები ხელსაწყო).

აძია — 1. ისტორია (ლ. აღნაშ). 2. ანეკდოტი (თ. რაზიკ, „ოე“, 1901 წ., № 138).

აღა — 1. ბატონი (აღალარი-ბატონები). „ქელს მიხდიდნენ თავს მიყარდნენ, დავდიოდი, როგორც ჯა“ (აკაკი „ოე“, 1906 წ., № 4). 2. ხშირად შეილი მამასაც

პ. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

უწოდებს „ალას“. არ იცის მეცხვარე, ვინ არის მისი ალა, ვინ აძლევს უამაგირს“ (მეცხვარე, თარგმნილი მოთხ. „ვ“, 1891 წ., № 35). გ ე უ რ ქ ა ლ ა წ ე რ ე თ ე ლ ი (ილია, I ტ, გვ. 336).

ალაბანი – საუკეთესო ხარისხის თეთრი ქსოვილი, განსაკუთრებით ჩარსავეებისათვის (ზეწურებისათვის) და სარებისათვის (ბალიშის პირებისათვის) ხმარობდნენ.

ალა-დედაკაცი – 1. გაქვაცური დედაკაცი. გამიგონია: ის, რო იყო, სულ სხვა იყო, ის ალა-დედაკაცი იყო, იმისი „პო“ – პო იყო და იმისი „არა“ – არაო! 2. ბოიბაბა.

ალალარი – 1. უფროსი, ზედამხედველი, ბატონ-პატრონი. 2. მრავლობითი ალა (С. П. Зелинский-ის "Объяснительный словарь..." 1889, ст. 3).

ალაჯი – ეჯი. ამბობენ: ერთ ალაჯზე გამიბროდაო.

ალბათხიპირი – ალბათხი იყო ჰაპქრებისა“ („ცისკ“, 1864 წ. სექტ. გვ. 41).

ალბაში – თაეთეთრა მტრედი, წითელნარევი.

ალდაშის საზამთრო – ყველაზედ კარგი ჯიშის საზამთროა, ტყბილი და დიდი, აღდაშიდან (მხარეა თათრებისა) მონატანი.

ალაბის ღამე – მარხვის წინაღამე.

ალაჯდა – Огрубел. კომბოსტო ბოსტანში რომ გადაგვარდება, იტყვიან: ა ღ ე ჯ დ ა .

ალლარსან-ტყაპასთან – „ერთხმად შეკვივლეს ალლარსან-ტყაპასთან-ო და კერეს ცხენებს უზანგი“ („ვ“, 1887 წ., № 147).

ალრალი – „სართი ნიშნავს ძვირფას თვლითა და აღრალეობითა შემკობილ, მოჭვდილ ღარბაზის რომელიმე ნაწილს (მაგ. ჭერს)“ („ვ“, 1886 წ., № 234).

ალრანი – ცისფერი მტრედი.

ალსაპალი//ალსაპალი – 1. ტაჯიკურადაც თეთრწვერას ნიშნავს – სოფლის მამასახლისის მიმატებით (Таджикский сборник, 1933 წ. გვ. 18). „არსენა მარაბდელი“, გვ. 599. 2. ამქრის საპატიო წვერი (საკუთრივ: თეთრწვეროსანი), აღსაჰკალი ანუ „ასაჰყალო“ – უსტაბაშის თანამემწე. იოსებ დავითაშვილის ლექსთა კრებულში აღსაჰკალის ნაცვლად შეცდომით დაბეჭდილია: „ასაყოლად“. „უსტაბაშდ ოსანუზ, ასაყოლად ვართანაო“ (1927 წ. გვ. 112).

ალუჩა – პატარა ბეშვი, ადვილად მოსატყუებელი.

ალჩი-პარუნ – სომხურია, მაგრამ ქართველი მწერლები ხმარობენ პიესაში: „ღვიწყო ქუჩა-ქუჩა სიარული და აღჩი-პარუნ და ქრისტე რაღი ვიძახო“ (ა. ფურც, „კუჩაკი“,

✓ 1880 წ. გვ. 45). აღჩი-პარუნ – საკუთრივ, „ქალბატონს და ბატონს“ ნიშნავს.

ალხურული – მტრედის სახელია, მთლად შავი, მხოლოდ ბოლოთეთრა.

✓ ალჯანაბადი – 1. სიტყვასიტყვით ნიშნავს „თეთრ ყინვარ შაქარს“, ლეღენეც, მოყვითალო ხილია, როცა მწიფდება, ჭიანდება. ხეირობს სპარსეთში. აღჯანაბადს ნელსაც სჭამენ და გამხმარსაც, მაგრამ გამხმარი უფრო

ცნობილია. ხმარობენ ავადმყოფობისათვის. ხეირობს...¹ ქვეყანაში, სპარსეთში და ერევანში და უყვარს განსაკუთრებული ნიადაგი. „აი ზაქსკული ვიყიდე, კამეც ტბილეული: ნუელი (იხ.), ფსტა (იხ.), აღჯანაბადი“ (ს. ფაშაძე, „ზნანგი“, 1936 წ., № 8, გვ. 9). 2. ხმელ ხილთაგანი, ტკბილკურკიანა ჭერამი, გარგარი (საბას-ღარანდო, აბრიკოს). „...უგზავნიდა... ხმელ ხილს: იხდის ხურმას, ნუშს, ქიშიშისა, აღჯანაბაღს“ (ს. ა. მეჯღან, I თავი).

✓ ავბაშური — ქალის სამკაული: მარგალიტის მძივი, რომელიც ყბებზეა აცმული და წვერები კი ჩიხტიკოპში აქვს დამაგრებული. არა აქვს დ. ჩ-ს. ავლაშურა — „თითონ იყო აუღაუღა, ჭკუა ჰქონდა — მოკლეაღა“.

აშა — 1. „აშა ჰკრა“, უარი სთქვა, „მეშინიან ჩემი უარი, რუსულ ატკაზთ არ მიიღოს“ (დ. ერისთავის კერძო წერილი) აქვს ჩ-ს, გვ. 77. 2. Отказ (პირველად გ. სუნდუკ. „პეპო“). „უარყოფა პატიოსან კაცისა და ამას კვრა ჰქრდისა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაირჩეს ამისთანა შემთხვევაში?“ (ილია, ტ. IX, გვ. 183). „ამაზე ცხელ-ცხელი აშა ჰკრა“ (იქვე ილია, ტ. IX, გვ. 339). ა შ ა ა ნ უ ა შ ი — უარი. „გვიანდა ასეთი ამის კვრა“ (ილია, „ივ“, 1893 წ., № 234).

აშარი — 1. ანჩხლი, კაპასი, გლისპი. ბლან აეშართიდან ხომ არ წარმოსდგა? იმერ. ქ ა ფ ა რ ი. 2. თავაშეებული. იხ. ალაშა (არა აქვს არავის). ანჩხლი, კაპასი. „ნელა ამოდი, ტარიელ, რა თავი გაშრება“. 3. დ. ჩ. — „თავხედი“. „სულზე მიუსწარ იმ აშარ ნათელას“ („პეპო“, 25). „ის მიკლავს გულს, ის მადონებს, ის მიიკლავს ცეცხლისალებს, შენს სატრფოს შვილს რომ შენს ნაცულად ეს აშარი დამტრიალებს“ (იმერ. კრებ. „სონარო“, გვ. 9). რუსულად რას ნიშნავს? „Ты все еще такой же ашара“ как и был“ (შოგონ. ა ჩეხოვზე თავის უფროსი ძმისა — ალექსანდრეს, „Лит. Ленинград“, 1934, № 57).

✗ აშაშარი — 1. ცრუ, მატყუარა, თაღლითი, ყალთაბანდი. „რას ელაპარაკებო მაგ აშაქარ დედაკაცს“ (ა. ცაგარ, „ზანუშა“, 1897 წ., გვ. 113). „წინიტლაძე მამო, ის აშაქარი, დალუბა ხალხი, თავს დასცა ზარი“ (გ. სკანდ. „ორსულუბის კასსა“, 1908 წ., გვ. 5). 2. ანჩხლი, ჭინჭყლიანი, ჭირვეული. 3. უარისმთქმელი, მყვლეფუავი.

✗ აშაღლარა — 1. ავსული დედაკაცი, ბოროტი. იხ. ჩაფარხანა. „იმის ღვიდა ერთი აშაღლარა რამ არის“ (გ. სუნდ. „ზათაბოა“. III შოქ). „ნატას, მათთვის თავდადებულს, ვინ იცის, რა სახელებით არ ნათავლებენ აშაღლარა, კაბა, ტურტი“ (ჭეკაი გზა, 1925 წ., № 14-15, გვ. IV). „ანაფორა შეეკრე, დავიკიდე ზედ ილარი, სულის საქმეს შევედექი, სხვასებარ ვარ აშაღლარი“ (თემი, 1912, № 53). 2. ავარა. 3. თავზეხელაღებული, გაეარდნილი. აშაღლარა კახეთში — ჩაფარხანა, ავსული დედაკაცი. „ამ პირველ გამოხვალზე შევატყე გაბუნას ქალს ყველაზე უკეთ შესრულებს ანჩხლ, კაპას, აშაღლარა ბებერი დედაკაცის როლებს და არა ახალგაზრდა ქალისა“ (ღროება, 1879 წ., № 261).

აში — ქელები.

აშია — რანტი.

¹ ასეა. — რ. კ.

აბაღლაგულის შვილი — ტფილელ დედაკაცების გინება.

აბაშაბული — აღტყინებული, ვულგარულად ახურებული.

აშანა — აპკრა, აარტყა, ააცოცა, იქურდა; ჩუმად ამოართვა, ჩუმად აიღო. მგონი რუსულიდან არის წარმოებული — *шанать*. „პატივისტური სახელწოდება აჯანყების მსვლელობა შეაფიქრა, თან ზოგიერთს წაგლეჯის, აწაქნის სურვილი გაუღიზიანა“ („ოქლექტივიზაცია“, 1935 წ., № 59, გვ. 3, ფელეტონი) „ერთს წაძს რომ იქით მივიხედოთ, ქერდაცა ცები ან ბოთს აგწანან, ან სხვა ნივთსაო“ („თე“, 1891 წ., № 159) „სიგელებს და ძველ ფულებს აწწანის“ (გ. სუნდ. „პეპო“, გვ. 63) „მოიპარაკდნენ... და მერე დიდხანს აღარ იხილავდნენ იმ სოფელს, საიდანაც მოახერხეს აწანა“ (მ. გორკის „დოსტეი“, თარგ. ვ. გუნე, „კვალი“, 1902 წ., გვ. 18).

აშანდილი — „მგზით აწანოლ ფულით გიბეებს ისქელეს“ (დ. შენგ. „ბაშკადიკარ“, „მნათ“, 1934 წ., № 10, გვ. 15).

აშთაშთიბას — ახამხამებს, აწამწამებს. ამბობენ: რატო ეგრე აწიწიბებ მაგ თეალებსაო.

აჭალ-ბაჭალა — იხ. უჭულ-ბუჭულა.

აჭიჭინილი —

აჭაჭაჭა — 1. ხალხი, მომცრო და უღლეური. აჭმაჭუჭი, ლილიპუტი — ქონდრის კაცი. 2. აჯუჯმაჯუჯ — ჯუჯა ხალხი, ქონდრის კაცუნები. 3. ქონდრის კაცუნა, კარლიკი, აჯუჯმაჯული („ნაუხო“) იხ. „ხალხინო საზანდარი“ 1912 წ., გვ. 276.

აჭოტილა — მაღალ, აწოწილ კაცზე იტყვიან.

ახალუხი — „Ахолук“ — ამ სათაურით სასიძლერო ლექსი აქვს რუს პოეტს Полежаев-ს.

ახარ — 1. ბოლოს და ბოლოს. აქედან ახრიზამანი, ბოლო ჟამი, განკითხვის წუთი. „Окажи наконец (ахир) милость этому нищему“ (Доклады Ака. Наук СССР, 1937, т. 2, ст. 38). 2. წარმოებულია სიტყვიდან „ახ“. ეს სიტყვა ძლიერ უყვარდა გრ. ორბელიანს (მისი კერძო წერ. აკ. გაწერ. რედ. გამოც. გვ. 125, 126 და სხვ; იხ. ჩემი ა. ცვარული). 3. ახარ სიტყვის მასალაა. ამბობენ: „ახარ, რომ ვამბობ, გაიგონე რაღა“. „ახარ, მითქვამს და...“ „ახარ, ზომიცი, ვჭრობა უმუშტოდ როგორ ძნელია“ (რ. ერისთ. „თე“, 1887 წ., № 2) „ახარ, წელიწადში ერთი შაური რო ესწავლებინათ, ექსი წლის უკან გეცოდინებოდა, რომ „ტ“ ექსი შაურია“ („თე“, 1892 წ., № 253). „რაფიელ, ახარ, უნდა ჩვენ მოვახერხოთ“ (გ. ერისთ. „დავის“ ხელთ. მოქ. I, გამოცემა II). „ახარ, რას ჯავრობ, დალოცვილო“? (ილია, ტ. III, 1936 წ., გვ. 140) ახარ — აქ თავის ადგილზე არ არის. „ეიცი, რომ იტანჯები, ახარ, იმასაც ძლიერ უყვარხარ“ (ვლ. ჩერქეზ. პიესა „ხაოცი წლის არშიე“, 1899 წ., გვ. 28). ამ სიტყვას ლაპარაკის დასაწყისში ამბობენ და საკუთრივ ნიშნავს დაბოლოვებას, დასასრულს; ახარ დღევანდელ ვულგარულ გამოთქმას უდრის ბოლოს და ბოლოს („ბოლოს და ბოლოს, არ იტყვი, ვინა გცემა“?).



ახვარი - 1. ანგალი, უპატიოსნო, გამოუსადეგარი, არამაქნისი. 2. ნარჩომი. 3. აეარა, უსახლკარო, მოხეტიალე.

ახი - 1. კუთენილი. (იხ. ჰახი). „სნამ არავინ იცის, ახსაც უჭერენ“ (აქო, გვ. 184). „კა, შენი ახი მიიღე“ (ორ-ანი, აქ, 1894 წ., № 174). 2. კუთენილი ფული. „მე ღადა არ შემოძლიან. ეხლავე უნდა მომეჩე მი ახი. თუ არა, მანდ ციხეში დალიო“ (ალ. ცაგარ, მოთხ. „მენახშირეთა ცხოვრება“, „დროება“, 1867 წ., № 20). 3. ხვედრი. საკუთარი ოფლით მონაგარი ფული, ე. ი. რაც მისი მონაგარია. 4. კუთენილი გასამრჯელო. „ფარსელა (შვირდს ყერებს გაუწევს) „ყერებიდან ამოგართმევ ახსა!“ (გ. სუნღ, „დაქცეული ოჯახი“) ხელოსანს, როცა ხვედრს ფულს მოუჭრიან და აღარ მისცემენ, ხელოსანი ეტყვის: რას მემართლები, მიმუშავენია, საქმე პირნათლად შემისრულებია, ჩემს ახსა გთხოვ, მომეცი რაღა. მოწყალებას ხომ არა გთხოვო. ა ხ ი ა მ ა გ ა ზ ე დ! - მაგიერი მოუვიდა.

ახიო - არაბულად - საბოლოო, უკანასკნელი.

ახმახ - 1. უგუნური. „ახმახ, შენს სიცოცხლეს რათა აქლექებდი“ (თხზ, ზ. ანტ, გვ. 135). „- ჩოქი არ გახლავს, ალა, ოთახი რით დაეხვეტო? - ტო ახმახ, დახვეტო, განა გოპურია?“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8). „ადამიანხედაც ითქმის: „ცხვირიღა და თვალდიდრონა, მსუნავი და ტრაბახია, ერთი უშნოთ აწოწვილა, ერთი რაღაც ახმახია“ (ილია). 2. უბირი, ბრიყვი. ამბობენ: ახმახო ჩემო თავო, ეგ რა ჩაგიდენიაო! ან კიდევ: ევე... ახმახ! რას ჩადიხარო. 3. ახმახს უწოდებენ აგრეთვე მაღალს, მოგრძოს (იხ. აბლაყი). ჩვენს უბანში ახმახი სულელის სინონიმად იხმარება. ისე კი მაღალ კაცზე ითქმის. „სასცილო იყო ის სურათი, როდესაც ეს პატარა ადამიანი ამ ახმახ ხომებს კისრულით წამოიღებდა“ (შენსის „მოგონებანი“, „ქართ. სიტყვა“, 1924 წ., № 36). „გავხდები ნამდვილად უღმერთო გამცემი, ახმახი“.

ახიო - Подъём (ფენსაცმელისა) (მ. ხუბას თარგ., „ჯემალზადეს ნოუელები“, „მნათ“, 1935 წ., № 5, გვ. 108).

ახორმაჰი - ავხორცი (ზ. ზგალ, „ჯორჯაქარა“, თავი I, ორი ფურცლის შემდეგ)

ახრი თუთა - უკანასკნელად შემოსული თუთა, მეტისმეტი ტკბილია, მომწვარივითაა.

ახრიზამანი - 1. აღსასრულის დღე, განკითხვის დღე, მაგ., კინტოები, როცა თუთას ჰყიდიან, ჰყვირიან ხოლმე: აბა, ახრიზამანი თუთა! ახრიზამანი თუთაო! ე. ი. უკანასკნელი, ბოლო თუთაო. სხვანაირად ამბობენ: ერთი დესეტნიკი ვცემე, მაგრამ გული ვერ ვიჯერე, ხელეები ისევ მექაყებოდა. ეხლა კიდევ მეორე შემხვდა და მეუბნება: რათ დამთვრალხარო, გავეცალო, როგორ გავეცალო, თუ არადა ახრიზამანში აქაც ცემა გამოდისო!.. 2. ბოლო, დასასრული. „ახრიზამანში აქცე ტყეა გამოდის“ (ა. ახმახ). „ღარაა ძველი დროება, მოვიდა ახრიზამანი, ჩიტებს ზენი შეეცალა, იასისარ ჰყივა მამალი“ (აჭარ. ფოლკ., ჩაწ. ა. წულაძის მიერ).

✓ **ახტაფა** — თუჯის ქეთლი, რომელსაც მუსულმანები საპირფარეშოში ხმარობენ.

ახტაჯანა — 1. თამამი, ცელქი, მხიარული, უშიშარი, გამჭირახი. „რასაულია თავი იმ ახტაჯანს და რას დალაჯუნებს?“ (დ. თურღ., „ოქროს თავთაი“, გვ. 4, 1929 წ.). 2. ონაეარი, ცელქი, დაუდგარი.

ახშრაი — თავლაში გრძელი ფიცარი, ნავს რომ ჰგავს, ბაგა — ძირსაა, ახურა — ზევით.

ახში — 1. მაინც. „ხანდეკელის ბაქიბუქმა მეც დამაკუნა ახში“ (ვაჟა, ტ. IV, გვ. 181). 2. ბოლოს და ბოლოს. „ახში ყველანი ხომ უნდა ჩამოვიდეთ?“ (განგორი ტრამვაიში დედაკაცოსაგან). „ვიწრო კაბა მოვიგონეს ახლოდისო, ეს რომ გოგომ გაიგონა, გული მისდისო. დედიჯან, ჩქარა მიყიდე, თორემ მოკვდებიო... შენი ბუნწულა გოგონა არ გვეყოლებიო, დედა ძალან დაღონდა, ფული არ ჰქონდაო, აქეთ ეცა, იქით ეცა, ახში უყიდაო“ (ხალხ., „კოლმეურნეს ხმა“, თელავი, 1935 წ., № 15).

3. მაინც და ბოლოს. ამბობენ „ახში შენ შენი გაიყვანე“. ან კიდევ: „ახში მიხვალ და არა რჩები“? (ახრიზამანი). „ახში ჩემს ნათლას ჩემს მალვით მამაჩემისათვის წიგნი მიეწერა“ (ბაბ., საჭირო ბიბლიოთეკის „შრომები“ წიგ. III, 1937 წ., გვ. 154). „ახლა კი შეიგნო იმან, რომ ახში თვითონ უნდა გადაესდნა ვალი“ — „რა კარგი ხანი გავიდა, ძილის დრო იქნა ახშია, მზექლამ დაწოლა პოხოვა, ლამფა ჩაქრო სახლშია“ (ბაბ., ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 366). „ეგ ხომ ვერეა, მაგრამ ახში ხომ გაიგებს?“ (ა. ცაგარ., „ცისარტყელა“, „მოამბე“-დან ამონაბეჭდი, 1901 წ., გვ. 19). „ახში მაინცარ დამალება“ (ა. ცაგარ., „მოამბე“, 1900 წ., № IX, გვ. 40).

აჯაბსანდალი — 1. მოხარშული საჭმელია, მზადდება კარტოფილისა, ბადრიჯნისა და კამიდორისაგან. 2. კამიდორის (ოქრო-ვაშლას) და ბადრიჯნის შეჭამანდი, ხახვით, ერბოთი, მწევანილით და სხვა სანელებელ მცენარეულობით.

✓ **აჯალი** — 1. ბედი, ყისმათი, ბედისწერა, იღბალი, მარმენიოს. ეს სიტყვა ერთ საფლავის ქვაზე ამოეიკითხე. ამბობენ: რის ავადმყოფობა, რა ავადმყოფობა, აჯალი მოუვიდა და მოკვდაო, ე. ი. შუბლზე ეგრე ეწერაო, იღბალის საქმეა ყველაფერიო. „რასოდეს აჯალი არ ყოფილა ისე ამაყი და სმინელი, როგორც 1924 წლის იანვრის 21-ს ლენინის სიკვდილის დროს“. (დ. შენგელია, „ფიცი“, „კომ“. 1934 წ., № 9) „ჩერქესკას მოველინა აჯალი“. (გ. სკანდ., „ჩემი საკრავი“, 1906 წ., გვ. 10). „მე დამლუქე და, მაგრამ კი შენც მოგივა აჯალიო... ვიცი მალე თავს წაგაქვთამს რუსის მჭრელი ხანჯალიო“ (ბაზრული წიგნაკი ვინმე ა. ოპირელისა კერამანა და თათრის დაღუპვა კარმაქასთან, 1915 წ., გვ. 13). 2. სიკვდილის უკანასკნელი წუთი. იხ. ჩემი „ბარაშკა“, „საიათნოვა“.

✓ **აჯამი** — 1. უცოდინარი, რეგენი (აჭური სიტყვა). 2. ბრიყვი, გაუთლელი. („ოვ.“ 1900 წ., № 160). 3. გაქირი, ჯიუტი, კერპი, თავისნათქვამა. 4. თავნება, გაუგონარი, ძველი დროის კაცი. 5. სპარსულად ჰანგის სახელია. 6. ძველი დროის და ძველი შეხედულობის კაცი.

აჯანი — არის შეძახილი ქეიფის დროს, არის აგრეთვე შეკითხვა: აჯანი?



აჯაჯული — 1. ცუდათ ჩაცმული. 2. უშნოთ ჩაცმული. „აჯაჯული ტანისამოსით დაიარებოდა“. 3. სახელდახელოდ ჩაცმული; აიჯაჯა, ცუდათ ჩაიცვა.

აჯიღლა — 1. ხარფუხში და საზოგადოთ ქართლ-კახეთში თამამ და თაეაწყვეტილ ქალზე იტყვიან ხოლმე: „აი, შე აჯიღლა!“ ნ. შიუკაშვილსაც ამ მნიშვნელობით აქვს ნათქვამი თავის პიესა „სიმახინჯეში“. „შენ ისეთი აჯიღლა ხარ, რომ!!!“ (მაროზე), (ჭურნ. ჟერი, პ. სურგ. რედ. 1910 წ., № 17, გვ. 6) 2. აფთარს დედაკაცს აჯიღლას უწოდებენ; აგრეთვე ბედაურ ულაც ცხენსაც აჯიღლას უწოდებენ, რომელსაც ჯოგში გაუშვებენ ხოლმე კარგის ჯიშის მოსაშენებლად. ანდაზაა: „აი აჯიღლა თავის დედას დაწვაო“. „რაცა ხანია ვე კაცი აჯიღლასვით დაძრწის და აღარ გაჩერა აღარც ქალწული, აღარც ქმრიანი და აღარც ქვრივი“ (მელან, „მამა ქრისტეფორე“, 1934 წ., გვ. 38) 3. კაპასი. „ერთი ვიღაც აჯიღლა ათასჯერ იობებს, რომ მე ტიტულიარნი სოვეტნიცა ვარო“ („ივ“, 1886 წ., № 200). აჯიღლა — ეს სიტყვა არის „დასტურლამალში“ (გვ. 12, იხ. წინა თემა, გვ. V). „გლახა აჯიღლა დედას შეატება ზურგზედაო“ (ხაღხ.). „შეოთხე — ხართუთანთ აჯიღლა ქალი იყო“ (გ. სუნდ. „ვარინკას ვერერი“, „ივ“, 1879 წ., № 5-6, გვ. 109). „რა გასაკვირველია, მაგათი ჯიშისაგან, ერთი აჯიღლები არიან“ („ივ“, 1887 წ., № 164, გვ. II). ჯიღალა ხარის სახელია. „აჯიღლა იგი მხატვრის ქალს გამოსტყუვა, წამოისხა“ „ქიღლა და დამანა“, გვ. 201). „ერთხელ გორში ვითამაშე ყობარი, კაცი ვნახე აჯიღლაზე მჯდომარი“ (1936 წ. „აქოლექტივიზაცია“, № 44).

აჯიღლოსანი — თეთრჩადრიანი მანდილოსანი; „მთხოვა, გარე აჯიღითა მოიბურა ტანი, პირი“ (შოთა). „ივერიაში“ ქართველი მანდილოსნების მიერ ხმარებული ჩადრი ასეა აწერილი: ფართო, სრული იმდენად, რომ მთლად მანდილოსანი დაფაროს. ოთხკუთხი. ორთავ მხარეს სარტყელში ჩაიკეცდნენ, თავს წამოიბურადნენ ისე, რომ თვალებიღა გამოჩნდებოდა. ფეხებს პფარავდა („ივ“, 1904 წ., № 103). ჩადრი — იგივე აჯიღლა.

აჯიღლოსანი — ჩადრით მოსილი.

აბთაზ — რემონტი.

ბაბა – პასკასავით რაღაც საჭმელია; ბაბას აგრეთვე ბავშვები უწოდებენ პურს.

ბაბალაპრიში –

ბაბალე – ბარბარე (ქალის სახელი), ბაბო, ბაბულია, Барбара, ვარინკა(!).

ბაბანო – 1. ის ბაბანებდა. „თან ისეთი სიცივე გამოუშო, რომ ყველას ბაბანი დაგაწყებინა“ („სპარსეთი და იქური ქართველები“, თავი V, გვ. 10 ფურც.) 2. ცახცახი.

ბაბაყული – 1. ფრინველია. არა აქვს საბას (დ. ჩ-ს აქვს). 2. ბაიყუმი, მარტოობის მოყვარული. „რა ბაბაყული ლაშა“ (ს შგლ., I, გვ. 70).

ბაბაში – 1. ღონიერი, გაბედული, გონებადამჯდარი, გამოცდილი. 2. ამაყი, ყოჩაღი, არაწვრილმანი. 3. გაბედული, თამამი.

ბაბაშური – ქცევა ყოჩაღური, არალაჩრული.

✓ **ბაბაჭუა** – 1. ობობა. მეტი სახელი იყო ტფილისელი მოჭიდავესი. თუ ყაბაჭუა (გ. ერისთ., თხზ., 1936 წ., გვ. 332). 2. მიწის ერთგვარი მატლია. მახინჯ კაცზედაც ამბობენ: რა ბაბაჭუა ვინმეაო. ბაბაჭუა მეტსახელად ერქვა ერთ ცნობილ მიკიტანს.

ბაბთა – აბრეშუმის ვიწრო ჩაფარიში, ბაბთა.

ბაბთი – ბავთი, სამზითვო ტანსაცმელზე ოქრომკედით ნაკერი მორთულობა.

ბაბლაწუა – წმინდათ ნაქსოვი ნაჭერი.

✓ **ბაბლები** – მუთაქის ნაოჭასხმული სათავეები. მუთაქის პირის ნაოჭიანი ბოლოები.

ბადაზნანო – 56 ძვირფასი ლალი (ქალაქ ბადაზშიდან).

ბადგირი – ბანის ფანჯარა, სანათური. გამიგონია „დარბაზის ბადგირი“.

ბადე – თევზის დასაჭერი დიდი ნაქსოვი.

ბადეზნან – ბადაზში, ერთგვარი წითელი ქვა.

✓ **ბაზაზი** – 1. ფართლეულობის ვაჭარი. 2. ბაზაზი – აქედან ბაზაზხანა. 3. დ. ჩ-ს შეცდომით აქვს „წვრილმანით ვაჭრობაო“ (გვ. 92). ყველა წვრილმანით მოვაჭრე ბაზაზი ხომ არ იქნება? ბაზაზი ფართლეულობით მოვაჭრეა.

ბაზაზხანა – ფართლეულობის ფუნდუკი (ქარეასლა). ქარეასლა შესდგება ორი სიტყვისაგან ქარაევან (ულამი) და სარაისაგან (სახლი). ბაზაზხანა ისე როგორც ყასაბხანა, დალაქხანა, დაბაზხანა, ბაყალხანა, აშპაშხანა, ე. ი.

ხანა ნიშნავს ბუდეს. ბაზაზების ბუდეს, რიგს, უბანს, რაიონს. „ბაზაზხანის მოკატრები თავს გავიდნენ. ხალხს ვერ გაეუღება, კალთებს აკლევდნენ: არა ჩემთან იყიდე ფართლი, არა ჩემთანო, სჭირაო პოლიციელი დააყენონ წესრიგისათვის“ (აგ., 1887 წ., № 271). „შემდეგ უფ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა ერისთავის თარგმანზე აქამოდეს ისე მიბუჯის ყურები, თითქოს ეს არის ესლა გამოველ მეთუი ბაზაზხანიდამ“ (გ. ბარათ. „ციცქ. II“, 1861 წ., № 6, გვ. 147).

ბაზი — შური. ბაზი არის აგრეთვე რომელიღაც ფრინველის სახელი.

✓ **ბაზმა** — სანათია ერთგვარი: შაქარს, ბამბას, ნიგოზს დანაყავენ, სამად დააწვრილებენ და აანთებენ ხოლმე ქენტრუშას, ყვავილის და წითელას წინააღმდეგ. ამბობენ: ანგელოზებს უყვართ ამის სუნით.

ბათილი — მოსპობილი, უარყოფილი, ძალადაკარგული.

ბათილმა — გაუქმების ბარათი.

ბათქა-გუთქი — ხშირი თოფის სროლა.

ბათქაში — კედლის შეღესვა კირით ნარევი ქვიშით. „დილით აღუშოთველი მდრიდელი დამაგებელი ქალები მასლათით აკვიდნენ ჩამოცვენილ ბათქაშს“ (აქომ., 1937 წ., № 178, 5 აგვ. გვ. 1).

ბათხი — ბავშვი? ახალგაზრდა? ნორჩი? — ყმაწვილი ვაჟია? — გუბნები ჯერ ბათხია“ (გ. ჯორჯ., პიუსა, „ციცქ“, 1865 წ., სექტემბერი, გვ. 24).

ბაიათი — 1. აღმოსავლეთური ერთხმოვანი ჰანგი, როგორც „რომანსი“. ბაიათს ყოველთვის მღერის ერთი, ბაიათი ერთის სიმღერაა (სოლო). ბ ა ი ა თ ი არ არის ახსნილი („ლოტკრატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია“, 1928 წ., გვ. 36). 2. ანუ ბეითი — სპარსული ლექსის ერთ ხანას ნიშნავს; ჩვენში სასიმღერო ჰანგია.

✓ **ბაიბურთი** — ერთგვარი თამაშია კამათლებით.

ბაიბური — 1. ჩამიჩუმი, მცირე ხმაურობა (აგ., 1900 წ., № 194). „ქართული მკითხველი ბაიბურში ჩაგდებს ამ ახანოებთან განსწავლულ ვაჟბატონების ჩხახხას“ (ჩიორა, აგ., 1900 წ., № 121). „ვაჟი არაფერ ბაიბურში არ არის“ (აგ., 1887 წ., № 38). „მაგრამ არავის ყურს ბაიბურადაც არა გაუგონია რა“ (რ. ფაულენ. „მოამბე“, 1896 წ., № VI, გვ. 9). 2. ხმაურობა, ჩამიჩუმი. 3. სიჩუმე. შველა, ხსნა.

ბაინდურა — 1. დიდთავა, მაგრამ სუსტი ჭკუის პატრონი. „ისე ვაგისდი მაგ ბაინდურა თავს, რომ სულ ბუზები ვეხვეოდეს“ (ა. ცაგარ. პიუსა „ბაიუში“, მოქ. II). აი, მეზი კი ღაყყარე ბაინდურა თავზედ“ (თეატრი, 1886 წ., № 31, გვ. 359). 2. არის სოფელი, სადაც ომი იყო 1855 წელს. მგონი, ბაინდუროვი გვარიცაა. 3. დონდლო ადამიანს ბაინდურას უწოდებენ. ბ ა ი ნ დ უ რ ა — სახელია კაცისა, „რამდენი ხანია ვეხვეწები სათვალეები მომეკით-მეთუი, მაგრამ შენც არ მომიკვდ, ყველამ ბაინდურას ყურები გამოიბა, ვილა არის შენი გამგონი“ (ცქეიტა „პიონერი“, 1935 წ., № 1-2, გვ. 4).

ბაიშუში — ღარიბი, საწყალობელი (ასეა ჩვენს უბანში, ეს ახსნა დარჩეს).

ბაპი — საქონლის სადგომი საზაფხულოდ.

ბაპლა — მცენარეა ერთგვარი, რომელსაც ლობიოს მსგავსი მარცვალი აქვს, მხოლოდ უფრო ბრტყელი და უფრო მაგარი.

ბაჟუზა — მეტი სახელი კაცისა, ვითომ მახინჯი და კუზიანიო.

ბალა — 1. მოხეტიალე აშული. 2. ხათაბალა. 3. დაეიდარაბა, გამოუსვლელი მდგომარეობა. ბ ა ლ ა სახელი იყო ტფილისელ ცნობილ თარის დამკვრელისა (1888 — 1935 წწ.). „აი, ხათა, აი, ბალა“ (რ. ერისთ., „პარიკმახერისას“, 1880 წ., გვ. 28).

„აჰა, თუ კიდევ ბალაში გავეხვიო!“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ., გვ. 134). 4. უბედურება.

ბალა-ბალა — სიმღერის დროს სახმარებელი სიტყვა.

ბალაბაში — ზედამხედველი. ბალა-პატარაა(!) ბაში — თავი.

ბალაში! — სულიერი მწუხარების ამოძახილი: აი, ბალაში!

ბალახათა — ბალა და ხათა.

ბალახანა — 1. ოთახი ოთახში, ოღონდ ჭერის ქვეშ. 2. ბალაგანის მსგავსია.

3. ბალახანა — ოთახშივე გაკეთებული ფიცრული, რომელიც ჭერთან ახლოს არის მიკრული და მუდმივ დასაწოლ-დასაძინებლად იხმარება. „იყ მყეფეს, რომ ორი კვირა ღუქნის ბალახანაში ვიწვი“ (სოე, 1887 წ., № 1).

ბალი-ალა — ბატონი ბრძანდებით, „მზად ვარ, ბატონო“. ი. ევლოშვილი თავის ლექსებში ამ სიტყვას ასე აბრუნებს „ალა ბალი“.

ბალქამ//ბალქამ — იქნებ. „ბალქამ ეს არის“ (გაყრა, I მოქ.). „შვილო, შენ ფულეშა კენჭი გგონია, ბალქამ აუტყდეს რამ, მერმე ფულეშა დაიკარგოს?“ (მ. ჯორჯა, სოე, 1891 წ., № 153).

ბალყუში — ბაიყუში. „ისიც ჩვენებიანთ ბაალესკით ბალყუში იქნება“ (მელან, „ბნელო“, გვ. 87). „ბ ა ლ ყ უ შ ი ფ ი ქ რ ე ბ ი“, ე. ი. „შავი ფიქრები“.

ბაშბი — ბოხი ხმა ღუდუკის დაკვრის დროს (იხ. ჩემს „სათნოვაშიც“).

ბანდაყული — პირდაპირი თარგმანი: მ ო ნ ა - მ ს ა ხ უ რ ი. „ღუშთები თქვენი უმორჩილესი მონა და ბანდაყული“ (ძველი წერილებიდან). „უი თუ... მარტორქას წელი მომიწყდეს და მეც, თქვენი ბანდაყული ერთის დაკვრით გადმოვარდე“ („ცისკა“, 1861 წ., № III, გვ. 427).

ბანდი — ამბობენ: ერთი სიტყვის ბანდიაო, ერთი სიტყვის მეტი არ უნდაო. შეეკრა.

ბანდიანი — 1. ბედშეკრული, ნავსი. 2. მარცხიანი.

ბანდუში — სწორად დაყენებულ ბოძს რომ დაუმატებენ სიგრძეს, ამ პატარა ნაჭერ ბოძს ბანდუში ეწოდება.

ბანი — „ყორანი ჰქალავდა ბანის კრამიტის ქვეშ“ (ი. გოგუბ, „ყონა“, 1884 წ., გვ. 50). „ნობათი“ სამართლიანად შენიშნა, რომ ბანს კრამიტი არა მხოლოდ (ანობათი, 1884 წ., № 7-8-9, დამ. გვ. 101).

ბანნახ — კალატოზი(?).

ბაო — ძუძუთა ბაღლი.

ბარამბო — ყვაეილია ერთგვარი, საიდანაც გამოჰხდინან ხოლმე მუცლის (კუჭის) წვეთებს. ეს სიტყვა ბაჩანასაც აქვს: „ბარამბოსა და იასა მეც კარგად ამოვსრუტაო“ (გვ. 319) („არუბ“, 1871 წ., № III, გვ. 8).

ბარამბოზილი — გვ. 152, გრ. ორბ. წერილები.



ბარაქათი — ხეაეი, უფლის კურთხევა. მაღლი, საესება, სიკეთე. „ღმერთმა მისცეს იმათ უმეტესი შნო და ბარაქათი“ („ცისკ“, 1864 წ., სექტ. გვ. 38, II განყ.).

ბარაქალა — ყოჩაღ! (არაბულად დალოცვა ყოფილა: ღმერთმა გაკურთხოს!). „კარგათ სთქვი, ბარაქალა!“ („ცისკ“, 1863 წ., აგვ. გვ. 25). ბ ა რ ა ქ ა ლ ა — შექებთით სიტყვა — ყოჩაღ! ეაშა!

ბარაქიანი ხელი —

ბარბარობა — წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიის დღესასწაული (ობა საკუთრივ დღესასწაულს ნიშნავს). წმ. ბარბარეს ტაძარი ქვემო ნავთლულშია. დღეობა 4 დეკემბერს მოდის.

ბარდა — ცერცვის მსგავსი მცენარეა.

ბარაბარი — 1. მზგავსი, თანატოლი. „ხოსროვის ტახტი ხარ, ტრღატის გარი, ვერა ვნახე მე შენი ბარბარი“ (სეფილოლანი, ცენტრ. არქივი, № 495, გვ. 24). 2. თანადარი, თანასწორი, გამიგონია: ასე ბარბარს რომ ველაპარაკები და არ ვეპუები, იმიტომ მოსდის ჯავერიო. ბ ა რ ი ბ ა რ შ ი — თანასწორობა. „ძალიან კარგი, შენ შენის ბასით მაშე და მე კიდევ ჩემი დაძირებით — ბარიბარს ვართ“ („მანვილსიტყვაობა“, შეკრ. დ. ჯავახ., 1938 წ., ბთ. გვ. 66). „კატა თუ გეძვირებათ, ცხენი იაფიაო, „ბარიბარში“ გამოდის, ჩემი ქვიფიაო“ (აკაკი, ავაჭრული ჭკვა). ბ ა რ ა შ ი: „დალეული, ნასვამი კაცი და ბავშვი ერთ ბარში გამოვლენ“ (ი. მანვეტა, „შნათ“, 1935 წ., № 11-12, გვ. 227).

ბარი ბაზარი — კაი ბაზარი.

ბარიშალი — ანუ ბარიშანი. შერიგება. „ბარიშანი მომხდარა, ბარეშანე“ (ა. ყაზბ. თხზ., ვოდ. „დილა ქორწილის შემდეგ“, 1885 წ., გვ. 41). „ჩახალ-ოღლი, შებირიღლი, გავაკეთათ ბარიშალი“ („ქართულ მამადინათა სახ. ლექსები“. 1891 წ., გვ. 4).

ბარობა — ბრალობა. ამბობენ: ვინცა კვდება, მხოლოდ ექიმების ბარობითა კვდებაო.

ბარუთი — 1. (სომხ.) თოფის წამალი, როცა ვაზნაში ჰყრიან. ფხვიერი წამალი, არამარილის მსგავსი, ცოტა ხოშორი. 2. ღენთი, საფანტზე წერილი. „ფეთქს მანქანა, როგორც ბარუთი“ (მ. უზნაძე, გვ. 34).

ბარცაქალი — ბალიშის მისადებელი ფიცრის მუთაქა; მუთაქის მაგიერი. „თავითველ მსხვილი ჩითი ბლიში, ბარცაქალზედ მიღებული“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ., გვ. 27). „ოთარაანთ ქვრივეშიაც“ არის.

ბარხანა — 1. ბარგი, ბარგი-ბარხანა. „სჯობს მოვიშროო თავიღამ, თორემ უფრო დიდი ბარხანა გამიხდება თავზე“ („კაპიშონი“, გვ. 19). 2. ხაბაკი(?) ეს სიტყვა, „ბარგი“ და „ხაბაკი“ არეულად აქვს რ. გვეტაძეს („ქართ. მწერ“, 1930 წ., № 2-3, გვ. 21).

ბასმა — თმის შავი საღებავი. ამ საღებავს შეაზავებენ რძეში ან მაწონში და ხმარობენ თმის შესაღებავად. ბასმავენ აგრეთვე ჩიქილას (ლექჩას) ცარცით და წებოთი შეზავებულ წამლით.

ბასმადი —

ქ **ბასტა** — 1. ამ სიტყვას თულუხჩები ხმარობდნენ, როცა თულუხი წყლით აეგსებოდათ. „მორჩა და გათავდა! ბასტა“ (მ. ხუბუას თარგ. „ჯემალ ზადეს ნოველები“, „მნათ“, 1925 წ., № 5, გვ. 112). „ბასტა“ — იტყვიან ხოლმე ევროპიელები. ამ დაძველებულების და დაუნეგანებულების საქმეც სწორეთ ბასტა: ამათი დასასრული მოახლოვებულა“ („სისკ“, 1864 წ., აგვ. გვ. 352). 2. კმარა! თულუხჩს, როცა წყლით აეგსება ტურტელი, ამბობს: ბასტა!

ბასტიბუბუ — 1. აყალ-მაყალი, ალიაქოთი, განგაში. ესეც წაუთავზება კიხერში და იყო ერთი ჟრიაპული და ბასტიბუბუ“ (რ. ფაფუნ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 63). 2. ყაყანი. „მეორე ოთახში მოეყარათ თავი მეტორე ქალებს და გაქონდათ ერთი ბასტიბუბუ“ (რ. ფაფუნ, „მოამბე“, 1895 წ., № XII, გვ. 25). 3. უთავებოლო ქეიფი, ღრიანცელი, უშინაარსო ღროს გატარება. „რაც გარეთ ანევეს ფულსა, ზო ანევეს, რაც შინ ბასტიბუბუსა მართამს, ის კიდევ სხვა“ (ნ. აზიანი, „ფული და ზარისხი“).

ბასტურმა —

ბატიბუტი — 1. კუტი პური ნაპარალი (...) პური, თონეში ჩაყარდნდი. 2. მოხალული სიმიინდი (მზესუჭვრიტას თესლი). 3. არა აქვს დ. ჩ-ს. იხ. ჩემი „ბარაშკა“. დაბატული. 4. თეთრად დახალული სიმიინდი. თ. რაზიკაშვილით: „ბატილა“ („ოე“, 1900 წ., № 160) ამის შემდეგ ეს სიტყვა იხმარა ახალგაზრდა პოეტმა გრ. აბაშიძემ. „შორეული გზით ზამთარი მოღის, რომ შეგათუთრონ ბატბუტებმა“ („სიტყვა და საქმე“, 1934 წ., № 8). 5. დახალული სიმიინდი. დაბატული სიმიინდი. თუ კაცი უცნაურად გაიციინებს, იტყვიან ხოლმე — იმის სიცილი ბატიბუტის ტკაცატყუცსა ჰგავსო.

ბატყაჭა/ბატყაჭი — უშნო, პრტყელი სახე, გატყლაჭული სახე, „პატყაჭა პური“. ადამიანს უებნებიან, ვისაც გაგანიერებული სახე აქვს. მგონი პურზედაც ითქმის (ეს სიტყვები გადახაზულია — რ. კ.).

ბაჟა — ჩვილი ბავშვი.

ბაჟა — ნდობა. „ჩვენი ბაჟა გატყდა“ („ოე“, 1892 წ., № 353). „ძალს უფრო ბაჟა აქვს, ვიდრე ზოგ-ზოგ ცოლს“ (ქალაქ. ანდაზა).

✓ **ბაჟაზი** — დადუღებული ღვინოა, წამლადაც ხმარობენ.

ბაღაჭი — უმარილო, პატარა კვერი-ხშიადი. უმარილოდ გამომცხვარი პური. ერობიანი კვერი. ნაზუქი.

✓ **ბაღდადი** — 1. მამაკაცის ხელსახოცი; 2. „მწვანე ბაღდადი“ — აბრეშუმის ხელმანდილი; თავდახურული ქალების თავსახვევი (სახელწ. ქ. ბაღდადიდან წარმოებს). 3. ყავრით შეტკეჩილი კედელი. 4. თხელი და შეფიცრული კედელი, რომელიც გაჯით ილესება.

✓ **ბაღჩა-ჰინისთავი** — თელებით შემკული შუბლის ქინძისთავი; ჩიხტში გასამაგრებელი დიდი თვალი, ირგვლივ წერილი ქვებითაა „ჩაქვაკებული“. არის აგრეთვე: „ბაღჩა ბეჭედი“, „ბაღჩა საყურე“ და სხვა.

✓ **ბაჟალი** — 1. მესხილე; მწვანილეულობით მოვაჭრე. ლიხს იქითელები

შუბ-მათრახი, 1907 წ., № 1. აკაკის „ბოდვა“, „ჩვენი შვერლობა“, გოგაძისა, გვ. 80). „ღმერთის მადლმა, ქვეყანა გადაბრუნდა, აღარა გაიგება რა... ბაშხადურ (?) ბიჭო, ბიჭობაც ასეთი უნდა...“ (ი. გუდუაძე. „მსხვერპლი“, „დრამები და კომედიები“, გამოც. „სორაანი“. 1911 წ., გვ. 42) სოლ. ახელედინანის თხოვნით, გადამწვარი ქართული თეატრის ასაგებად რომ ლატარია დაარსდა, დაეწერე ეს ლექსი შეკვეთით: „ამავე გეტყვით, ხალხო, ამავე გასაკირალს, ლატარია უნდა გათამაშდეს კვირას, სულ ერთი დღე დარჩა, კმარა რაც იძინეთ, ბილეთები, ჩქარა! ჩქარა შეიძინეთ. თორემ თუ სხვამ, გესმის? იქ მოგება ნახა, მაშინ უნდა დაჯდე, და დალო ხახა, ხომ ერთ ვინმეს უნდა ერგოს ბედის ღებუნა, და ეს ერთიც, ვინ უწყის, იქნებ იყო შენა. მაშ რად დახვალ, ძმაო, ეგრე განდაგანა, ასი ათას მანეთს ესუბრები განა?! ბაშხადურნო! ბიჭოს! ერთიც ენახათ, რომ არ დაგჭირდეს ჯაფა, არ დაგჭირდეს შრომა, და იზილო უცბად სამოთხისა კარი, დაჯექი და ბერე ქელი ჭერსა კარი“. თურქ. ნამდ. „ბაშ-ად-დონემ“ ნიშნავს თავს შემოგვევლე. 4. ნამდვილად (თავს შემოგვევლება, ყურბანოლუტ). „ბ ა შ ხ ა დ უ ნ ი“ — ჰი, გიდი, ბაშხადური, ლუარსაბ ბაშხადური! (ა. ცაგარ. პიუსა „შკითხავი“, ილას „აკაია აღმინისაგამ“ გადაკეთებული, ზედთნაწერი). „ცოჩა, ძმაო, ალექსანდრე ბაშხადური, ბარაკალა“ (გ. დვანიძის ლექსი ალექს. ნიშნავილზედ. ზედნ. მაჩვენაბიჭტ. შავლაძემ). საკუთრივ: „თავს შემოგვევლე!“ „ჰი, გიდი, ბაშხადური, ლუარსაბ“ (ა. ცაგარ, „შკითხავი“, ჩვენის რედ., „მნათ“. 1937 წ., № 5, გვ. 38). „ბაშხადურ? მაგრამ ბაშხადოს, ბიჭო და სხე“. (ი. გუდუაძე. „მსხვერპლი“, მოქმ. სულ ბოლო).

ბაჩა — პატარა ტანის ცხენი, უფაფერო. რა ბაჩა რამე ხარ, — დაბალი ტანისა. ბაჩუხი — (ბაჩუყები) ქალის ზედატანის („რუბაშკის“) ილღიების ქვეშ ბოლომდე ჩაგდებული სამ-სამი ვიწრო ნაჭერი, რათა სამოსი ვიწრო და გამოჭირებული ყოფილიყო (დვიდისაგან განაგონი).

ბაძანაძა — ხის სასთუმალი. დ. ჩ-ს არა აქვს. „შემდეგ მიიწვედნენ და-ძანა ჭილბოზე ხის ბატანკალს“ („ხმა კახეთსა“, 1913 წ., № 59). ილიასაც აქვს.

ბაცი — ღია ფერის.

ბაჭიჭი//ბაჯიჯი — პარკოსანი მცენარის პარკი, რომელშიც მარცვლებია. განსაკუთრებით ამ სახელით ცნობილია ლობიო. ბაჭიჭი — პარკოსანი მცენარის მწვანე ტყავი (გოლდონის პიუსა „Игумен“).

ბაჭქალი — ბავშვი. „როცა უამბობდა თავის ბჭყალების ღუდას მოულოდნელ გამდიდრებას“ — (ან. თუმან, „ხუთი ამბავი“, 1888 წ., გვ. 40).

ბაჭყაბა — ბაყაყის შვილი.

ბახტაბი — მსხვილი ცოცხალი თევზი.

ბაჯაღლო — მაღალხარისხოვანი ოქრო. ბაჯაღლო, ჰოლანდიური ფული.

ბაჯაღლო ოქრო — ნამდვილ ოქროზე უფრო წმინდა და ხალასი ოქრო. „მას წინათ ას ხუთი მარცვალი ბაჯაღლო ოქრო გამოგზავნეთ“. (პ. იოს. „ესოვრება მუჟე გიორგი XIII-ის“, 1895 წ., გვ. 23).

ბაჯაღლანა — უშნო. უშნოდ ნაგები ადამიანი, მოკლე ტანისა და სქელი, მახინჯი. „ჯარისკაცებმა ათფაღიერეს ეს ბაჯაღლანა კაცი, გულანად გადახარხარეს“ („ჯუჯილი“, 1914 წ., № 5, გვ. 279).

ბაჯიაშვილი — განთქმული დოსტაქები. „ბასტამოვი მოიყვანეს, ნეტავ ფეხი არ შეეხსნა, ეცალა ბაჯიაშვილისთვის, იქნებ იმას ჩემთვის ეხსნა“ (ერთი ქალაქ. ლექსიდან).

ბაპარი — სუნოვანი სანელებელი მცენარე.

ბაბიდა — და ბებიისა, და დიდედისა.

ბაბუთი — ირიბი დანა ორპირზე ლესული.

ბაბთარი — მორკინული საცმელი.

ბადასლი — 1. უშნო, უფხო, უქნარა, უეარგისი. 2. გამოუსადეგარი.

„ბელასლად დამძინებოლა და იმ ჯრანმა ტრაქტორმა ზედ თითზე გადამიარა“ (დ. ნადირაშ, „ოქტომ“, № 7, 1939 წ., გვ. 10).

„გოგონი, შენი ბელასლობა სულ მართვეს“ (გ. სუნდ, „აქაო“, გვ. 42).

3. უჯიშო. დ. ჩ-ს სწორედ არა აქვს ახსნილი. იგი, ამბობს ბელასლი — ფლიდიანო. „...დას, ის ბელასლები, ჩვენ ძვირად გვიღირან, მაგრამ გაფრთხილდით“...

(„შეოღლის აღზრდა“, თარგ. ვაჟასი, „ივ“, 1880 წ., № IV, გვ. 22).

„გარან ამ აუზაქმა, უგანმა და ბელასლმა ივან ივანის ძემ“... („კრებ“, 1871 წ., № III, გვ. 31, გოგოლის მოთხ. გ. ჩიქოვ. თარგ.)

„ამაზედ მეტი ბელასლობა და უხეირობა იქნება“... (ზ. ჭიჭინ; „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 24).

„ბელასლი“ ნახმარი აქვს განსვ. აღ. წინამძღვრიშვილს თავის თარგმანში „ევა“ („შოამბე“, 1902 წ., № 11, გვ. 60).

4. უბედო, უბედური, უქნარა. გედასლობა — უმსგავსობა.

ბაღინა — ვაჟა ასე აბრუნებს „დათუნია ამავინ გააბედნა“ (მოთხ. „დათვი“, თავი I).

ბაღმლაშა — უბედო.

ბადოვლათი — მფლანგაკი, უქონებო, უეარგისი, უმნიშვნელო. „არ დარჩენილა არც ერთი ფრონტი, რომ მას თავისებური ბედოვლათური შტრისები და შესწორებანი არ შეეტანა“.

(„სხ. კომ“, 1931 წ., 94, გვ. 4 „სატარა ფელეტონი“ — დამკვერი).

ბადრანგი — 1. უფერული, უემშო. „ბე“ სპარსულად „უ“-ს ნიშნავს და „რანგი“ — ფერს. 2. არის სიტყვა ბადრანგი-ც, რომელიც გრძელ კიტრს ნიშნავს („ივ“, 1890 წ., № 13, ვ. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი კარაბადინი).

3. თუ „ბიდრანგი“? („შამანე“, ტ. II, გვ. 57).

4. უხეირო, უშნო, ულამაზო. 5.

„გ ა ბ ე დ რ ა ნ გ ე ბ უ ლ ი — გახუნებული“ (თ. რაზიკი, „ივ“, 1900 წ., № 160).

6. უფერული. „დ. ერისთვის მიერ გადმოკეთებულ პიესას („სადაო მუღობელობა“) მესამედ სდგამენ. ნეტა რა ღირსებას ხელავენ ამ ბედრანგს პიესაში?“ (დ. კავთელი, „თეატრი“, 1886 წ., № 6, გვ. 54).

ბადხაირი//ბათხაირი — 1. უხეირო, უბედური. „ამ კარგებს რომ დაკარგავთ, ხომ გაწრიოკდა, გაუნიჭოდა, გაბეზუორდა ამისთან ნიჭიერი და მახვილი ხალხი, როგორც მგერელნი“

(„ა. ფურც, „მატი ხვიტა“, გვ. 174, 1935 წ.). „მერე მედროშეთ დადგა, მაგრამ ამაში უფრო ბელხეირი აღმოჩნდა“ (აღ. ცაგარ. მოთხ. „დროება“, 1867 წ., № 30).

2. უსარგებლო. „ბიჭო, გაიცინე და ამ ბელხეირზედ“ (ნ. აუკლიშ, თარგ. „ყაზალები“ გვ. 82).

„აი, მე არა ვარ, რომ ასე ბელხეირად დავეთრევი?“ (დ. კერეს, „ცისკ“, 1868 წ., № XII, გვ. 43).

ბაზაბადა — უსადილოდ დატოვება სასწავლებელში. წარმოებულია „ნეზინება“-დან.

ბაზიკი — ერთგვარი ქალაქის თამაშობაა.

ბაზირბანი — ოჯახის ბურჯი, მხოლოდ არა გამრჯელი, — მბრძანებელი, ზედამხედველი. „ერთს ბუზირგანსა დაცსა“ (ეჟა, I ტ. სხელგ. გვ. 75).

ბაზირბნის შარჩა —

ბაიბაზა — უნდობი. იხ. ბაფა.

ბაითალბანი — უემეკვიდროთ ამოწვეტილი კაცის დარჩენილი ქონება.

ბაითარი — უარესი. ამბობენ: შენ რა შეგიძლიან, ჩემზედ ბეითარი შენა ხარო.

ბაილბალი — უილბლო, უყისმათო, უბედო.

ბაიფუფი — გამოტყინებული, გამოყრუებული, გამოჩერჩეტებული.

ბაიპუში — ჯუბის მსგავსი თბილი ჩასაცმელი.

ბალა — ერთსახეობა, ერთფერობა, ერთიდაიგივეობა. ამბობენ: შენ კი ბელა ავირეშია: სად იყავი, სად იყავი, სხვა სათქმელი აღარაფერი გაქვსო, ვითომ სულ ერთი და იგივეს რას მელაპარაკებო?..

ბალბა — 1. ბე, დაწინდვა. ქალ-ვაჟთა ნიშნობის პირველი სამკაული. „იქნებ რო ბელგაც დატყუო“ („საქ. შოაბე“, 1863 წ., № VII, გვ. 24; „არსენა მარაბელი“, გვ. 608).

„ლექსანდრე (ნატოს ხელზე აკონის). ნატოს დედა: ლოყაზე, ლოყაზე, შვილო, და ბელგაც მიეცი“. (გ. სუნღ. „დაქცული ოჯახი“).

2. ჯერ ბელგაა, მერე ნიშნობა, მერე ქორწილი. ბელგა — ე. ი. ბე, ქალის დაწინდვა. ბელგა — რაიმე ნიშნის მიცემაა საპატარძლოსათვის (მთიულეთში ასე ყოფილა. იხ. ს. მაკაღ. „მთიულეთი“, 1930 წ., სხელგ. გვ. 114).

3. პირობა. ჯერ ბელგაა, მერე ნიშანი. „ბელგა მშრალი რამ არის. ნიშანს რომ მისცემენ, მაშინ დაქორწინდება“ (გ. სუნღ. „სათაბლა“, შვირე მოქ).

4. ნიშნის მიტანა საცოლესათვის. „სწორედ სიყვარულის წამალი მომცხო; ბელგას მიცემ, სახლში შევალ, ნიშანსაც ვაკურთხებინებ და მერე...“ (ე. ბარნ. „თებურას დანიშნული“, „გოდულო“, 1913 წ., გვ. 260).

5. ერთგვარი ნიშნობაა უღველო. საზოგადოდ ქალს რომ გასინჯავენ და საცოლოდ მოეწონებათ, მაშინ ქალს ბელგას აძლევენ (ბეჭედს, საათს ან სხვა რამეს) და ამბობენ ესა და ეს ქალი დაბელგესო, ე. ი. ბეი მისცესო.

ბალბუში — უსაქმური, ზანტი. „შინ კი ყყრიან ბელუმად, მუქთად და ცუდათ“ (რ. ფაჯუნ. „შოაბე“, 1896 წ., № 1, გვ. 32). „სახუბდროდ და ქართველების ბელუმობით მე არ მიწერია მემურები“ (ე. გუბ. 1914 წ., № 4, გვ. 4).

ბამპურაზი — უმურაზო, სურვილ-დამტყნარი, მიზანმიუღწეველი. იხ. მურაზი.

„ერთ ოთახში თითონ ეძინა, მერეში — საბადი და მოსამსხურები. პო, მამ, ის ბუმურაზი“. (გ. ბაშინჯაღ. „პირიებული მასხინძელი“, იხ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 1009). „ბოკპემის“ შემდეგ გავერცელდა. „რამტოლუჯერ ჩავიგდივარ იმ ბუმურაზ ნიანგში, აღარ გახსოვარ?!“ „იმ ბუმურაზმა მილიციაშაც ბაშორთებზე ატკაზი დამარტყა“...

„ერთიც ვნახოთ ის ბუმურაზი სულიყო ზანჯალს იღებს“ (ს. ფაშაღ. „ნიანგი“, 1936 წ., № 8, გვ. 8-9). „ამხანაგი ოქვას ნაბადივით ჩამოჰყიდა — წავიღეთ, ზემელის ბაღში დავისუფნოთო, კარგად არ ვიცოდი ამ ბაღის ბუმურაზთა ამბავი“ (ე. მესხი. „ახ. კოშ“, 1936 წ., № 230, გვ. 2).

ბამპურაპთი — უღმობელი, უჯიგრო, შეუბრალებელი. ბემურაზი? („სახლბინო საზანდარი“, გვ. 113).

4. ო. გრიშაშვილი, ქლაქერი ლექსიკონი.

ბენტარა — 1. სულელი. „ერთი მამა მყავდა ბენტარა“ (დ. ნახუცრ, ლექსებიდან). 2. ჩერჩეტი, ყვრეეტი. 3. ყვეყნი, უბირი, ბრიყვი, გაუთლელი.

ბარახუა — სიბერისაგან გამოყვეყრებული, ბებრუცუნა, ხნიერი.

ბარიბა — ნილაბი.

ბარაზანა — ხუა, ფოთოლი აქვს ფშატის მსგავსი, ნაყოფი კი პანტაა.

ბასაბი — 1. ღმერთგამწყრალი, უღვთო, უღმერთო (?) (რ. ერისთ., „ჯერ ღაიხონენ ზერე იქორწილეს“, II მოქმ., მანგი). 2. ბესაბად ნუ მხდი. შურაცხყოფას ნუ მაყენებ. 3. მიქარვა, უანგარიშოდ როშვა. 4. უსირცხვილო. „შე ბესაბო“ („შის ღახნულა“, I მოქმ.) აკაკის ეს სიტყვა თავის ადგილას არა აქვს ნახმარი: „ქორივით ვებღენები გულზედ ღა ერთ ბესაბს გაღაჯუილები“ („კრებ“, 1871-1872 წ., № VI, გვ. 117).

ბასაბანაშაღული — საკუთრივ: უანგარიშოდ ღაპარაკი, როშვა, როტვა.

ბაუაუვი — 1. უგულისყურო. იხ. უყუფი. 2. უგუნური — ნამდვილი ახსნა.

3. არახელმარჯვე. შღრ. უყუფი.

ბაყირათი — მფლანგაყი, დაუზოგველი, უყაირათო, ყურყუა.

ბაჩარა — 1. ბეჩაყი, უილაჯო. იხ. „ჩარა“. 2. უჩარო, უღონო, უგზო, ბეჩაყი, საწყალი. ტფილისელი პოეტის ფსევდონიმი — ვასო ბერიანშვილისა (18... 1935). „ძე. ტფ. ბოქემა“. „ბე. ბეჩარა, შენც უჩაროდ მღერალო“ (პეპანოღანის ლექსიდან).

ბაჭყაბა — მეტი სახელია კაცისა („ბუ-ჭყეტია“-დან).

ბახუხური — უბედური. გამიგონია დედაკაცის წყევლა: შე ესა და ესო, შე ბეხუხურად გასატარებლოვო და სხვ... ვითომ უბედურად გასატარებლოვო.

ბაჯაბატი —

ბაჯინი — უმსგავსო, უშნო, უჯიშო, უზრდელი, უხეში, ხეპრე, ტლანქი.

ბაპია — საწყალი, საცოდაყი, ოხერი. „ბეპია“ ნიშნავს აგრეთვე „უნამუსოს“ (დ. ჩ., რუსულ-ქართ. ლექსიკონი, გვ. 186; სიტყვა „ЖИВОТИНА“ — პირუტყვი, ბეპია). „ეს რაღა ბეპიარობა, ეს რაღა შესარცხვნი საქმე მოგხვლიათ თავსო“ (ვ. სუნღ., ჟვარინკას ვეჩერი“, თარგ. პ. უმიკო-ყვ“, 1879 წ., № 5-6, გვ. 109). „რა მასმევს ღვინოს? ჩემი ტოლ-ამხანაგის, ჩემსავით ბეპია ღოთის გამარჯობა-გაგიმარჯოს მასმევს (ა. ახანაზ., ი. იმედ. პიესები, კრებ. „ცხოვერების სარკე“, I, გვ. 210).

ბაპი — „ბეპი მოვართო“ (რ. ერისთ. ტ. IV, გვ. 240).

ბავუპუნი —

ბიბარო — გაბიბარუება (რ. ერისთ., „ჯერ ღაიხონენ“...). ამ სიტყვას ნ. ნიკოლაძეც ხმარობს თავის მოვონებებში. „უხლა კი მოვესწარით ცხნურის გაბიბარუებას“ („ახალი კაკასიონი“, 1925 წ., № 1-2, გვ. 105). „რატუ არ ცოლად შვირთო, ბიბაროდ რისთვის გახალა?“ (ბაჩ., გვ. 456). „ჟვარა მოეპარო და აუღად გაბეპარუებულიყო“ („ჟვარინკას ვეჩერი“, გვ. 110 და 116). **ბიბარობა/ბეპარობა** — შურაცხვილი. ბიბარობა მაჭამოს? „ზვიადს უთქვამს მიკვირს, რატომ არ გრცხვნიათ, რომ ამღენი ბიბარობა ბატონათვის შვირჩენით“ (ხაღზ., ლ.

ფ-შვილი, 80 წლის კაცი, წააქციეს, ორმა თავი და ფეხები დაუჭირეს, ორმა კიდევ ბირდაბირით თავი მიახერხეს" (ზეობულო „ნიშაღ“, 1908 წ., № 34).

ბირდაბირი — ურთიერთმტყუნების თესლია, რომ ხმება, შვინდის კურკას ჰგავს და ტანისამოსს ეკერება.

ბირუვად ან ბითუვად —

ბილი — იხ. ქილეაში. „ერისთავს აქეთ-იქით ლეგებზე ჩამოშვებული ბილები უმშვენიერდნენ“ (ს. მკალა, „ერი“, 1910 წ., № 26).

ბირალნი — მედანე (დანების მკეთებელი).

ბიჭოხი — გაკვირვებისათვის სათქმელი.

ბლანტა — ღუნე, მოშვებული.

ბლანტანი — უმნოდ სიარული.

ბლანტა — Дубина.

ბლანტა — ნაბეა. „თვალების ბლეტი“ — თვალების ნაბეით. „საქონელი სიცივისაგან შემინებული კანკალდა და უილაჯოთ თვალების ბლეტი იცოხნებოდნენ“ („მოამბე“, 1896 წ., № VI, გვ. 21).

ბლითი — 1. რგვალი გამომცხვარი კვერი. 2. Бублик. „ელენებ ორი ბუღკი და რამდენიმე ბლითი იყიდა“ (ს. ავალი, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 280). 3. (რუსულია?) კვერი. „ამ ყმაწვილებს ივან ივანიჩი მუღამ აძლევს ხოლმე სათითაოდ ან თითო ბლითს, ან პატარა ყანჭის ნაჭერ ნესესს“ (გოგოლი, თარგ. გ. ჩიქოვ, „კრებ“, 1871 წ., გვ. 89).

ბლომი — ხალვათათ შეკერილი სამოსი. „ბლომი აიღე“ — ითქმის დერციკებში, ე. ი. ხალვათად გამოსჭერ.

ბლონი — „ი. ბლონდის თეთრი სამოსი“ (ე. ვაზ, „ჯუჯილი“, 1911 წ., № XIII).

ბლონი — დაუბასმავე, კარგი ხარისხის წმინდათ ნაქსოვი ლეჩაქი.

ბლონი — 1. ენადაბმული. 2. ბლუ, ენამოჩლექილი. საბა: „ჩლიგი-ენა ლასზედ მოუბარი“.

ბლონი — („ბუნწი“, გ. ერისთ.).

ბობოლა — დაბალ ხალხში „ბობოლა“ ერთგვარ კალენდარულ სისტემას წარმოადგენს. „როცა დიდმარხვა დადგება, ერთ თავს ხაზეს გაუკეთებენ ხოლმე შვიდ ფრთას — ბატისა იქნება თუ ინდოურიისა“. რამდენი კვირაც გავა, გარდა იმისა, რომ ბობოლას საშუალებით დიდ მარხვის კვირეებსა სთვლიან, ბავშვებსაც აშინებენ, რომ მარხვა არა ჭამონ (მელან, „ბუნწი“, 1891 წ., № 26).

ბობოლა — ბლანდინ, თეთრგერემანი.

ბობოლა — ერთგვარი დასათრობელი სასმელია, რომელსაც უფრო მთიულები ამზადებენ ბრინჯით და სხვადასხვა მცენარეულობით, ბ უ რ ა ხ ი.

ბობოლა // ბობოლა // ბობოლა —

ბობოლა — ცხვრის ხორცი წვნით მოხარშული, დაჭრილი ღუმეგარეული. „თუ რომ ვინდათ, რომ მერმისაც კონდეთ ტყბილი ფლავ-ბობოლაში!“. (ა. ხ. შვილის ლექსი, „ოვ“, 1905 წ., № 55). იხილეთ ანტიკლოვის „სამზარეულო“, გვ. 6.

ბოზაურობა — კახობა, მრუშობა, ბოზობა, გარყვნილება.

ბოი — სიმაღლე. ამბობენ: ვა, ამ კაცს რა ბოი აქვსო, ვითომ რა ახოვანი და ტანადიო (სოფს.).

ბოიანხი — შალეულობის მღებავი.

ბოიბუსათი — 1. ტანის მოყვანილობა. 2. წარმოსადგევი. 3. ახოვანება, სიმაღლე. „შენ ბოიბუსათს ჟნაცაღე“. ბოი-ჭანურშიც სიმაღლეს ნიშნავს (ა. ყოფმ., „Дополнительные сведения о Чанском языке“, 1911 წ., გვ. 35). მაგრამ ქალაქში ბოი ცალკე არ იხმარება. გამბობთ: ბოიბუსათი.

ბოინბალი — 1. ქალის დამამშვენებელი ნივთები, ქალის მოკაზმულობა, ყელსაბამი. 2. ყელზე ჩამოსაკიდი ძეწკვი. 3. „ბოინბალი — ქართული უნაგირის სამკაული“ (სოფ., 1900 წ., № 194). ბალი — არშიაა. აქედან „ბოინბალი“.

ბოლად — ერთნიარად, ბითუმაღ.

ბოლთა — 1. „ბოლთის ცემა“, აქეთ-იქით სიარული. „უნებლიედ შეხედა ლუარსაბს, რომელიც ბოლთას სცემდა (აკაცია-ადამიანი“, თავი IV). „ბოლთას სცემდა მალაღი კარგად შენახული მოხუცი ნიკო ნიკოლაძე“ (ქ. ღორთ., „კომ“, 1934 წ., № 185). „იმ დროს გლახა მნათიშვილი ბანზე ბოლთას სცემდა“ (საქ. მუხ. ზელთ., № 2130, გვ. 45). „სახლ-შიდაძის დათვლიერების შემდეგ აივანზე ბოლთის ცემა დაიწყო“ (მ. არაგვ.). „უცხო ყმაწვილკაცთან მკლავყაყირილი ბოლთას ეწევა“ (გ. სუნდ., „დაქცეული ოჯახი“). 2. „ბოლთის კერა“. „როცა ჩვენ გგონია თავისუფლად ვესწრაფეთ და ბოლთას ვცემთ“ (ქ. გამს., „გზობრივი ნოველები“, „ციხარტყელა“, 1920 წ., № 11, გვ. 58). „ჭაბუა მღვიმნევი სასეირნოდ მიდიოდა ქარაში — იმ დროს გლახა მნათიშვილი ბანზე ბოლთას სცემდა“ (მეფისაძე გრიგოლის დათარი, საქ. მუხუშეში, ზელთანწ. № 2130, გვ. 45). „ის ვაჟიც იქ რომ ბოლთას სცემს, დიდი მშრომელი კაცა“ (ზემარას — ვ. რუხ-ის ფსევდ. — ლექსი, „კომ. მათრახი“, 1930 წ., № 53, გვ. 6). 3. ბოლთა — გავლა, სეირნობა, სიარული კუთხიდან კუთხემდე.

ბოლნისობა — ბოლნისის ეკლესიის დღესასწაული (10 ნოემბერი).

ბორა ვაშლი — წითელი.

ბორბალა მსხალი —

ბორდო შირი — მუქი წითელი ფერი, მუქი ალუბლის ფერი.

ბორდოხი — „სახურავთ დეღაგებინათ ხის კოჭები, ზღ დეგარათ ბორდოხი და გადაუარებინათ ბრუზენითა“ (ა. ფრონ., „წარმოდგენა მცხეთაში“, სოფ., 1890 წ., № 135).

ბორნოხა — „ბორნოხა ცხვირი“ — გადღრენილი ცხვირი (მაროჯანის ჩაწერილი სიტყვა).

ბორჯი —

ბორჯალი — ბანჯკვლიანი, ბორჯღლიანი.

ბობობი — მოსქო წვინტილი (საბა).

ბოლღოფო — ღვინოში დამბალ-გაუღენთილი პური. საზოგადოთ ძალზე

მთვრალ კაცზედაც ამბობენ: „ვა! კერ უყურებთ პროხორა დესეტნიკივით რა ბოლოწო გამხდარაო. თუთიყუშს, ყაფაზაში დატყევევებულს, ხშირად ენის ამოსადგმელად ბოლოწოს ატყევენ. „თავზე მდულარ წყლი დასხეს მამაშენს. ამით არა დაუშავდა რა, პატარა ბოლოწო და იფინს მელანი, – ტყავი ისევ გაუკეთდა“. (ა. ფურც-აკაზაკი, 1880 წ. გვ. 15) ბოლოწო – (ანუ ბოლლიწო, ბოლლორწო) ღვინოში დამბალი პური; ბოლოწოს უწოდებენ აგრეთვე მთვრალ კაცს. „შენი ხმლის ტარი თავში ჩაქარ და მერე მეორე ოთახში მალეუაზის ღვინის კოთხში ჩაგადოთ. ეგ კი ფიქრია, ბოლოწო გაუკეთოთ“ („რიარდ მესამე“, თარგ. ივ. შამაძე, 1893 წ. გამოც. გვ. 40). რუსულ თარგმანში არის Настойка.

ბოლოლა – 1. ბავშვებს აშინებენ: აი, ბოლოლა მოვიდაო! 2. აესული, ეშმაკი (?). საბავშვო სიტყვა შესაშინებლად. რუსულ „ბოგ“-იდან ხომ არ არის? 3. ბავშვური ენაა: „Бог“-იდან წარმოებული.

ბოლჩა – გამოკრული რამე. ასე ხსნიან დ. ჩ.-ი: იქ არის ბოხჩა.

ბოშა – 1. ეს არც ციგნები არიან და არც ქურთები. ამ ორი ერის ნათესავი ერია, ჩვენთან ერთ დროს მოქსოვილ საცრებს და ხახლებს ჰყიდდნენ, ციგანს იმერლები ჩაჩანს ეძახიან, შავტუხა კაცსაც ეძახიან. 2. „ბოშას“ ქალაქში უწოდებენ სომხეთის „ციგნებს“, რომელნიც განსაკუთრებით საცრებით და ნედლი მასალისაგან დაწნულ კალათებით ვაჭრობენ. 3. იხ. სტატია ამ სათაურით („Новое обозрение“, 1898, № 1).

ბოში – 1. ღუნე, ფონფლე, მოშვებული, მოფოლხვებული (საბა). 1897 წელს (?) „ცნობის ფურცელში“ უნდა დაბეჭდილიყო ერთი ლექსი („გამოცანა დიდრონებისათვის“), რომელშიაც სიტყვა „ბოში“ ღუნეს აზრით არის ნახმარი. ვინაიდან ეს ლექსი ცნსურამ არ გაუშვა (ამ ლექსში იგულისხმებოდა გ. წერეთ.), ამიტომ აქ მოგვყავს მთლიანად: „ერთი ვინზე სულიერი, ბერი არაფერი, სეგაგებს მძად გაუხდა, მეგრელებს მტერი, გამოიციან, რა მანებზე მას არ დაუმღერიაო, მისი საქმე დეჟმირია, ცარიელი მტკერი, „მოყვრებს“ სწყალობს, დასებს აწყობს, ვითომ მეცნიერი, ისევ ისე „ბოში“ არი, თეთრი გამორევი, ბერი რაღა გავატყულო კიდევ არაფერი, ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან აღისფერი, ამას ვინ არ გამოიციან? გურქ წერეთელიაო! ა ს ო თ ა მ წ ყ ო ბ ი. (ცენტარხვის საცნს. საქმე, № 724, გვ. 83). 2. მოშვებული. „ფოლადი უნდა გაუკაცი, არ უნდა იყოს ბოში“ (ვაჟა ტ. IV, გვ. 64). „ინტელიგენტური მოსაზრებათა ძაფები უბოშდებოთ“ („მოამბე“, 1896 წ. № VI, გვ. 131). „რაც დრო გადის, შეუმჩნევლად სხუელს გიჭამს ტუჭყვი, ჟანგი, გაბოშებს და გაუძღურებს, როგორც ცლოთ კაცს ჩუმი ბანგი“. (შ. მღვ. ლექსებიდან „პატარა ფაცანებს“ მაჩვენა მისმა ქალმა ქეთომ 1937 წ. 16/X-ს არა აქვს ჩ.-ს) „ზარფუხში წმინდა სანთლის ქარხნის გაღვანი გადმოიქცა; ეს გაღვანი კიდევ რამდენსაჲ ალაგას დაბოშებულა...“ („თე“, 1887 წ. № 264). „მარტო ჩვიდმეტნარი სონიქა იყო: მალალი, დაბალი, სრული, მჭლე, ფუნჩულა, განდღრეული, ვეება, ჭნაკო, ნაზი, ბოში, სათუთო, ნეწინაროქა, ჭკვიანი, ტუტუცი, ცეტი, შეტახუტა, (იხ.), აქარაფშუტა“ (გ. სუნღ. „ჟარინკას კერქი“ თარგ. კ. უბიკი, თე“, 1879 წ. № 5-6, გვ. 95). „ქალი ვერე რიდი უნდა მობოშდეს“ (ნ. აქაღ.



არისო, ე. ი. დაშლილია და რიგზე არ არის შეკონილიო. ამბობენ კიდევ: ეგ ბოხჩა რა ბუთად შეგიკრავს და თოკებით დაგიშარტავს, აბანოში ხომ არ მიდიხარო.

ბუანაჭოტი — იგივე ბუკნაწო, ბუკიოტი.

ბული-ბული — ბატების დამახება საჭმლის დროს.

ბუნჯალი — სხივების ფუნჯი; სხივის შეკონილი ნაპერწკალი. მაგ., ანთებულ შუშუნაზე იტყვიან: „რა ბუნჯალ-ბუნჯალი ნაპერწკლებია“.

ბურბულაჭი — ბურბუმელა (რანდით ანაფტკვენი ფიცრის ზედაპირი).

ბურბური — დიდი ცეცხლის ხმაური.

ბურდა — რუსები ამბობენ: „ეტუ ბურდუ“ — ე. ი. ქაოსი, დომხალი (იხ. „ალაბურდა“. საიდანაა?).

ბურნუთი — „ისპანახისაგან ბურნუთი არ გაკეთდება“ (თურქ ანდაზ). „ლალს ვაკოცე ვერტისსო, ზეშინოლა ღმერთისსო, ქალს ვაკოცე ბორბალასა, კამეჩს კვეანდა გორგალასა, ქალს ვაკოცე ლურნესსო, ეწეოლა ბურნუთსა“ (ხალხ).

ბურსაული — ბურსა ანუ ბრუსა ქალაქია ოსმალეთში; „ბურსეული პერანგი“ — ქ. ბურსიდან გამოტანილი საქერანგე თხელი ქსოვილი. „ჩემო ნათლიდელო, ჩემთვის რას ბედავო? — კი ქელსცმოგიტან, ბურსეულსაც ზედაო“. (ხალხ). ბ უ რ ს ე უ ლ ი — თხელი საქერანგე.

ბურსო — ხაოიანი აბრეშუმი.

ბურბაუნე — დათვთა ლაპარაკი (თ. რ.). „მითხარ, რათ გინდათ სიტყვა ქართული, მოდი დათურად ეობურტყენოთო“ (მ. გურ. ალგორ. პიეზა, „ირმის ნაპბობი“, 1932 წ., „მნათ“, 3-4 გვ.).

ბურლი — ჭახრაკი.

ბურბული — ბეწვი, ჯაგარი. „ბურბულებს აიკრებ“ („ყაჩაღები“, ნ. ავაღ. თარგმ., გვ. 81).

ბურჯული — ნაპერწკალი. საბას აქვს ბ უ რ ჯ ლ უ ლ ი. „მოწილა ცხენს ლავში, რაც რომ ღონე და ძალია, და შუაფორხა მერანი, ბურჯულებსა პყრიდა ნალია“. (რ. ერისთ., „თამარიანი“, გვ. 4).

ბუსა — კოცნა.

ბუსტული — Фисташка.

ბუტაუნა — 1. ბუტკოსავით (ახალი ყლორტი) შეკრული, ჩაბუტკუნებული, ათქვირებული, იმერ. პუტკუნა. „ამათ შორის იყო ის პუტკუნა პატარაძლი“ (გ. წერეთ. ავ., 1886 წ., № 12). 2. ჩასუქებული. 3. გოგონა.

ბუტაუსუნა — ჩასუქებული, ბუტკუცუნა გოგო.

ბუტუსარა//ბუტუსურა — ყეყეჩი, უშნო, უხეში, გაიძვერა, ქვეშ-ქვეშა. „შეხედე დათოვლილ სერებს, ყელუბი უგავთ სურასა, ზამთარი მხოლოდ ამინებს ლაჩარს და ბუტუსურას“. (მ. შღვ. ტ. 1, გვ. 45).

ბულავი — (მულავი). ამბობენ: ბულავი ჩამარტყავო. სიტყვის დასწრება.

ბულავა — 1. ბულში მოხარშული უწვეწო კერძი, ჩახოხბილივით. 2. ანუ ბოლღამა. საჭმელია. ჯერ ხახვს და ერბოს მოხრაკავენ, მერე ჩაპყრიან

დაჭრილ ცხერის ხორცს ან ვარიას, მოხარშავენ უწყლოდ, აგრეთვე თევზი შენელებული მოცვით, ტყეპლით და სიმეავეით. ჰკავს ჩახოხბილს. 3. რაგუ(?) (ქართ. ზურგლ", 1929 წ. № 6-7, გვ. 58, კ. გამს.) ბულღამა — კერძია. მაგ. ვარია პამიდორით. გინდ ხორცი უპამიდროთ, ოღონდ ხახვი ბლომად ჰქონდეს. ბულუთუნო — ღორმუცელობა, გაუმადლობა. ამბობენ: კაცო რა ბულუთუნი გაგიჩნდა, რომ კვლარ გამოძეხიო.

ბუზბუზი —

ბუზულა — 1. მეტი სახელია კაცისა.

ბუზული — 1. ნაშალი ფული, თუმიცა ერთი ჩვენებელი კარაქეცა მეუბნებოდა, რომ ოსმალეთში ბურჯლი — ათ შაურს ნიშნავს. ხურდა. 2. ბურჯლი — ტაჯიკისტანში პაჭუას ნიშნავს. „ფული დრამის (ე. ი. „მოკეთილის“, ი. გ.) სრულიად მივიღე მხოლოდ თქვენზე დარა ბურჯლები“ (თუ ბურჯლები?) (ვაჟს წერილი სოლ. ყუბანიშვილი, გვ. 456). 3. ანუ „ბურჯყი“? „გენაცაღე აქ უფრო მსხვილ ბურჯყებში“ იყიდება („ნანაგი“, 1936 წ. № 20, გვ. 15). 4. წერილმანი. „ეხელმა უპასუხა, ამისთანა ბურჯლებზე არ ღირს მადლობა“ (ს. ჭრელ, „ივ“, 1888 წ. № 54).

ბუზი — ბეწვი. ბუწუწი? ზედმეტი ბალანი. ბუწენარიდან: „იძის ნაჭირაღზე ერთ ბუწს კვლარ ვაოულობთ“ (ს. შვალ, გვ. 188).

ბუზაკაბი — ბუწუწებივით პატარ-პატარა კიკინები, დაუვარცხნელი თმა.

ბუზაფი — თმის რამდენიმე ღერი, დაუვარცხნელი და აშლილი.

ბუჯულა — იხ. „უჭულბუჭული“. ბუჭულა ცალკე იშვიათად იხმარება ხალხში. არის ასეთი გამოთქმა „უჭულბუჭულები“. „შვილი წავირთმევია, ბატის ჭუჭულია“? (ა. ცაგარ, „რაც გინახავს კვლარ ნახავ“, II შოკ. გამოსვ. 10). უჭულბუჭული ნიშნავს სახლის წვრილფეხობას, წვრილშვილებს, ქუფათებს, წარმოსდგება სიტყვიდან — ჭუჭული (ჭუჭული ბატის ჭუკი). იმერეთში ბუჭულა კაცის სახელია, რომელსაც ნათლობის სახელი ივანე ჰქვია.

ბუხუნო — შეძახილი.

ბლუჯა-ბლუჯა — ბლომად.

ბარჯლება – ამბობენ, იარა ჰკავს აიღებს და გაარჯლდებაო.

ბასარსლაპა – გააჩანაგა, გაფლანგა.

ბაატატანა – გაშალა, გაპარჭყა, „ხელები გაატატანა“. – „უი, შენ ჩემო თაო!
– გაატატან ხელები ლოთსიმე“ (ლ. არაბ., 1936 წ., გვ. 123).

ბაატროზაპა, ბაატროზაპე – გაუცრუე.

ბააფასა – აჯობა.

ბააფასონ – გააბათილონ. იხ. ფას. „მართლაც, პორაციო, ესლა ხალხი თითქოს ისე გაოსტატა, რომ გლეხებიც კი ცდილობენ თავლებს უკან აღარ ჩამორჩნენ და ოხუნჯობაში ლამის გააფასონ“. („საბლეთი“, 1887 წ., გვ. 126).

ბააჰილია – იხ. ქილიკი.

ბააჰანჯლა – გააჭიანურა.

♣ **ბაბა** – 1. ხელოსნების ერთგვარი საგარეო ტანისამოსი. 2. მგონი, ფარჩეული.
ბაბარჯლული – ხეზე იტყვიან. მჭიდროდ გადაშლილი ტოტები (?).

ბაბაზრდა – მოთმინება გამოელია.

ბაბიაბრუება – „ამაჟ დროს ხ. შანშიშვილმა სცადა ამხანაგური თვითკრიტიკის იარაღი გადაეყვია შწერლის გაბიაბრუებისა და დისკრეტიზაციის საშუალებად“ (აკ. თათარ, ლიტ. საქ., 1936 წ., № 5, გვ. 3, სექტი 4 და 7). „განა ეპატიება უსამართლო გაბიაბრუება ადამიანისა?“ (ილია, ტ. IX, გვ. 180). „ჩემო რძალო, მოითმინეთ, რათა მლანძღავთ, რათ მბიაბრუებთ?“ (ალ. ყაზბ. პიესა „არსენა“, 1885 წლის გამოცემა, გვ. 68). „პატიოსანი დის პიროვნების გაბიაბრუება, სწორეთ ვითხრათ, არ არის მოსწონი“ (კ. გერგესელი, დრამა „ზაჯუკარედინზე“, „კოსარტყელა“, 1920 წ., № 4, გვ. 55). „რა საჭიროა სხვისი გაბიაბრუება?“ (ტ. ტაბ, „ქართ. შწერლ“, 1927 წ., № 11-12, გვ. 197). **გაბიაბრუებული** – შეურაცხყოფილი. „ლფონს დოდეს ახალ პიესაში პოლასტიეს კელავს მისგან შეურაცხყოფილი და გაბიაბრუებული მოხუცი კაცი, რომლის ქალიც პოლასტიეს შეუცდენია“ (სვ. 1889 წ., № 24). „საქვეყნოდ გაბიაბრუებული იმყოფებოდა“ („ერუბ“, 1871 წ., № III, გვ. 57).

ბაბოტილი – რა გაბოტილი დგეხარო.

ბაბოცება – გაბეცება (იხ. ტომის თავგადასავალი, ძველი გამოცემა, გვ. 1).

✓ **ბაბოცაბული** – 1. ერთ ადგილას რომ იდგება ადამიანი თვალგაშტერებული ან ჩაფიქრებული. 2. გაოცებული, გაშტერებული, გაკვირებული.

✓ **ბაბუაბული** – მიამიტი.

ბაბუსხული - ნაწყენი, გაბუტული, გამწყრალი.

ბაბანება - პაპანაქება. „ბეშეიპყოლიაჲედ, მართჯან, აი, დახედრა გაგანება სიცხეაქს“ (ნ. გვანც, „შკურნალები“. 1932 წ. გვ. 4). გ ა გ ა ნ ი ა სიცხეა.

ბაბიმარჯოს - ყარაჩოლელებს ეს „გამარჯობა - გაგიმარჯოს“ შებრუნებული აქვთ. იგი ხშირად ასწრებს იმ კაცს, რომელმაც გამარჯობა არ უთხრა და თითონ ირონიით ეუბნება „გაგიმარჯოს“. ერთს ყარაჩოლელებს სირაჯის დუქანიც ჰქონდა, რომლის ფირნიშზედ ეწერა: დუქანი სერგო ყაითმაზშეილისა „გაგიმარჯოს“ ოლიჟერ უორდროში თავის მოგზაურობის დროს სიყვარულით იგონებს ამ ორ სიტყვას და ამბობს: „ეს ქართული საღამო „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ თითქმის იმდენსვე ეუბნება ადამიანს, რის თქმაც შეუძლიან თორმეტ ტომს ისტორიულის თხზულებისას“ („ივ.“, 1888 წ., № 276).

ბაბლუჯილო - აი, შე გაგლეჯილო!

ბაბოზა - გაღესვა.

ბადაამლაზა - გადაამეტა, გადააჭარბა. (ნამდვილად კი-მარილი ზედმეტი ქნა).

ბადაბგული ავაღმყოფი - უიმედო ავაღმყოფი, განწირული.

ბადაახარისა - გადაეღობა.

ბადათხლუშილი - კაცი რომ უშნოდ გადაწვება სკამზე.

ბადაიპუჭიპუჭა - ატეხილი სიცილი.

ბადაპრულშია - ე. ი. ღვინონასეკამია.

ბადაიპუჭული - „ახლა-ახალი გადაეჭული შვი ღლევი“ (ცქვიტი „ნაკაღ“, 1909 წ., № 19, მ. ც. წლ.)

ბადამეობირა - გადამეღობა.

ბადამეზაზრა - გადამეღობა, წინ დამიდგა; არ მიშვებდა.

ბადამღრკაპალი - მიხრწნილი ჩაჩანაკი. იხ. ყ რ ა თ ი.

ბადამჭიჭული - პირთამღე საესე, გაზეიადებული, გადაპრანჭული.

ბადაფიბნა - ვაზის წალმის ან ვარდის ტოტის მიწაში გადაწვენა.

ბადავიჯანო - ისეთი სიცხეა, რომ არ ვიცო, სად გადავიჯანგო („პრუბ“, 1871 წ., № 2, გვ. 111).

ბადამორღნილი -

ბადაღრანილი - გასუქებული თვითკმაყოფილად.

ბადაალა - „გაეცალე“ მეტი სახელი იყო ერთი კალატოზისა, რომლის აშენებული კედელიც აშენებისთანავე ინგრეოდა. როცა კედელს აშენებდა, მის გვერდით მიმაკალ ხალხს თვით ეუბნებოდა: „გაეცალე!“.

ბაპანა - რუხი ფერი.

ბაპაშულალა - ერთ ხაზზე გაკეკრე.

ბაპულაფუნა - „ერთი ისეთი გაეულაწუნე ყბაში“ (გ. ბუხნიკ, „ჯანგი“ „პრ. მწერლ“. 1931 წ., № 1-2, გვ. 104).

ბაზაშპარაპება - „რაც უფრო შინაურულად ვიქნებით და გაზამბარავება არა მოხდება-რა, ის უფრო სასიამოვნოა“ (დ. ყოფ. კერძო წერილი, „სახ. ფურც.“, 1912 წ., № 534).



ბაზუბი – პრჭყალები. „გულჭყერღს და გაზუბში“ (მ. ზღუ).

ბათათხვა – გაღანძღვა, გათრევა. „ამა და ამ კაცმა ისე გამათათხა, რომ დაბღღნანაც ვერ გამრეცხამსო“ – ამბობენ. **გ ა თ ა თ ხ ა** – გამოღანძღვა.

ბათანგვა – „ღაღანის კკუ-გონება ერთ ღონეზე გაჭრღღს, გაიყინოს, გათანგოს“ (იღ. ჟღაზ, ჟღანთ., 1914 წ. № VIII, გვ. 568).

ბაიბრუნა – გაიბუტა.

ბაიბრუმა – ძღღზე ღათერა. „მეღღონე მეღღინესგან მიბრუჭუთ მოციწარობენ“.

ბაიბულა – „ერთხელ როცა ოჯახი გარედ გაიგულა, სოღოროწმა ღაითღღა ფუღღები“. **მ ი - გ უ ლ ა** – მიხურა.

ბაითხღიშა – გამეღღიდურღა და გაიბერა. იხ. გაღღრენიღღი.

ბაიღღუსა – გაიბუტა, გაჯაგრღა. ცხენი საკბენად რომ ყურებს გაღღინეწენს, იტყვიან: „გაიღღუსა“, ან „გაღღუსღა“.

ბაიბრუნა/ბაიბრუწინა – სული გაკმინღღა. „სული გაიბტრინა“.

ბაიმაბა – გაიწია.

ბაიჭაჭა – ძღღზე იყვირა.

ბაიხანღღღ – 1. გაეთრიე, მოუსვი, მომშორღღი, აიკრიფე, 2. წაეთრიე, კაიღღა.

ბაიარაბუღღი – ჯიუტი.

ბაიორაფაბუღღი – (გამმზარი?) „გაკორაწებულღი კური“-გ. ქუწი.

ბაღღა – 1. ნივრის ან ფოწიანი ხახვის ასხმულა. 2. ყომარის თამაშობის ღროს იციან: გაღღა!

ბაღღაუბი – ყანასა და ყანას შუა ღატოკებულღი მიჯნა (განაგონი მთაში).

ბაღღაშიღღი – 1. გამომთერაღღი, გაღღაპრუწულღი, გამობრუჭულღი. 2. გაღღეშიღღი, გაღღოთებულღი. 3. უაღღრესად გამამღღარი.

✓ **ბაღღიბანღღი** – ყარაწოღღელთა ქუღღი, ჩვეუღღებრიე შაეღღი ფერიწა, ცხერის ღახუჭუჭებულ ბოჭკოსაგან გაკეთებულღი, მრგვაღღი და ღაბაღღი. „იოსებ ღავითაშვიღღს სულ ერთი ღა იფივე ტანიწმოწი ეცა გახუწებულღი შაღღის წოწა და თაეზე ასეთივე გახუწებულღი გღღიბანღღის ქუღღი“. (ი. მანსვეტ, „ჩემი წარსულიღღან“, „მწათ.“, 1935 წ. № 10, გვ. 200).

ბაღღორუბაბუღღი – გარყენიღღი.

ბაღღუგაუღღი –

ბაგათათრა – 1. გამიჭირა საქმე; აბეზარს მომიყვანა საქმის გაჭიანურებით და ღღღეს-ხეღღიობის თქმით. „თუ ვსტყუოღღე, ოსმალთ ჯიში მიწოღღე“ („ოტღღლო“, II მოქმ.). „Незванный гость, хуже татарина“ (რუს ანღღაზაა, პუშკინის „Капитанская дочка“, თავი VIII). 2. გამაწვეღღა. ათასჯერ ვიყავი, არ ღაუღმზადებღღა, გამათათრარღღა! (აქ განაგონი). აი, შე თათარო! (აჭარღღებში განაგონი). საზოგადოთ მუსულმანნი ოღღიღან აუგად იხსენებღღან, გაიხსენეთ „ოტღღლო“ („თუ ვსტყუოღღე, ოსმალთ ჯიში მიწოღღე“) ამბობენ. ე. ი. რჯულღი შემიცვღღაღღა, მამამაღღიანობა მიმღღღებღღინა. თათარი რაღღაც სიმბოღღოღღა ცუღღისა. ერკმან-შატრღღიანის „გღღესკაცის ისტორიღღაში“ ასეთი აღღღიღღია: „იხე მოვრიღღებოღღი ღღუკანს და ღღღღსანს,

როგორც თათარი" (გვ. 540, 1931 წლის გამოც.) აქ იგულისხმება ბუნებით მათი უფლებობა, თავის ჩეხა, სხვისთვის ჭრილობის მიყენება და სხვა. უსიამოვნების მიყენება თათრის საქმეაო.

ბაგალაბული — გაჩქარებული, ბეჯითი.

ბაგატრიზაპა — „სიტყვას ნუ გამოიტრიზებ“, ე. ი. ჩემი ნათქვამი კარგად გეხმის, მაგრამ განგებ ისე მიპასუხებ, თითქოს არაფერი გეხმის (საბას ტრიზაპა). „გამაპუსტიკა“. აღსარაჯიშვილს მიუღოცე ცენზორობა. იმან კი გამატრიზა და გამშორდა: ჯერ ისე პლაჩობა რა არის, რომ გრძნობა-გონების პალაჩად დავდეგო“ (აკაკი, „მოგონება“, ვ. გუნიას ურნ „საქართ.“, 1908 წ., № 3, გვ. 10).

ბაგალა — „სული გამელა“, ე. ი. გაჩუმდა, გაიტვრინა (აღბად წარმოებულა „მელა“-დან).

ბაგინარჟლა — „ურესად რად გამოარჯლა ჭრილობანი“ (დ. თურღ. „ჟანათლება“, 1915 წ. № VIII-IX, გვ. 600).

ბაგინაზამბარაპის — გამიძნელეს, გამირთულეს. „უთოდ გგონათ ძლიან ავად ვიყო, რა მივირს, ჯერ თავათც ღმერთსა ვფიცავ, ისეთი არა მჭირდა რა, რაც გამოზამბარავეს“ (წერ. მართა სოლოღ-ერისთ. 1856 წ.; წერ. არტ. გაბუნას).

✓ **ბაგირი** — რკინის რკალი.

ბაგიტაშურდი — გაგარეულდი, აღარ სჩანხარ.

ბაგოიჩირჩნა — გამოიცადა. „ვინ იცის იქნება გამოიჩირჩნას და რიგანი დედაკაციც დადგეს“ (დ. ავაღ, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 194).

ბაგოიჯბიმა — გამოიჭიმა, ჯარისკაცზე იტყვიან.

✓ **ბაგოჟანაღული** — 1. გამოპრანჭული, გამოკონტაქტებული. 2. გამოწყობილი.

ბაგოჟაინტარიშის — გამოჟაპანღურეს, გამოჟაპანწურეს, გამოჟაგდეს, დამითხოვეს.

ბაგოჟინტაღი — ანუ როგორც ივ. მაჩაბელი ხმარობს „გამოჟინტაღი“. (გოლდონის კომედიის „როგორც წვიმის ისე არაჟქუხს“, ხუნჯ). გ ა მ მ ც ი ნ ც ლ ე — დამტყუე.

✓ **ბაგოსურაღული თვაღები** — ჩაშავებული და გაფართოვებული თვაღები. ს უ რ მ ა შაეი საღებავია, სუნოვანი, აღმოსავლეთური.

ბაგოტაჟრა — მოულოდნელი ჩენა, უეცრად გამოჩნდა.

ბაგოტაჟრანს — „ერთი აფიცანტი ან მუჟა საქმრო იმასც გამოტყვერეს“ (დ. აზიანი „საქართ.“ 1917 წ., № 148).

ბაგოუშარდა — გამოფხიზლდა. საზოგადოთ გამოუშარდაო, ღვინის სმის შემდეგ რო გამოფხიზლდებიან, მაშინ ამბობენ.

ბაგოჟისაბაბული — დატაკი, ჯიბე გამოფხეკილი.

ბაგოუშარანს — გამოლანძღეს; გამოუშუშკრვა-გალანძღვა.

ბაგოცანცაღული — გამოპრანჭული, გამოწყობილი.

ბაგოცინცაღა — დატყუება. „რაკი ვნახეთ, რომ საქმე გარიგდა, უკანვე გამოვცინცაღეთ“ (ივ. მაჭავ. „ფლენიკაცის ისტორია“, 1931 წ. გვ. 782).

სხვადასხვა მნიშვნელობითა და რობელსაცასწოდება „განჯაუა“ („ცისკა“, 1857 წ., № 12, გვ. 48); ხალხური ლექსი ამბობს: „ნარდი ბედია, ჭადრაკი ჭკუა, ბანქო ცუდია, განჯაუა სტყუა“ (მ. საყვარ. წიგ. „ჭადრაკი“, 1926 წ., გვ. 166 და ი. ჭყონას „სიტყვის კონა“, გვ. 6).

ბანჯის პარი — იყო იქ, სადაც ეხლა ბალი გააშენეს ორთაჭალისაქენ, ყოფილ „საზამთროს ურემბ“-ზე (Арбузная плантация) ბურჯები ეხლაც მოსჩანს (ე. წ. დამოყნაში; ძველი დამოყნა საგუბერნიო ცინხესთან იყო).

ბაოზნაბული — გაშტერებული. „გავიდა მცირე ხანი და გაოგნებული ავადყოფი დამშვიდდა“ (ნ. ლომ, „მოთხ.“, გვ. 485).

ბააფანიკაბული — გასუფთავებულ-გალამაზებული, მოკონტაგებული.

ბააფინანაბა — ფერის მიცემა. იხ. „პეწი“, „პეწინანი“, „პეწენიკი“.

ბაჟიპაული — გავსებული. „ერბოში გაჟიებული იაღლო“.

ბარაოს ტაშა — ტაფა გარაოს შესაწვავი; გარაო ერთგვარ შემწვარ ხორცს ეწოდება, სიმჟავით შეზავებულს.

ბარაბანი — 1. ამბობენ: „ღვთის გარეგანი“, ადამიანის არმზგაესი. (ლ. არაზ. 1936 წ., გვ. 204, 208, 222). „არ ვარგა სწორედ გარეგანობა“ (რ. ერისთ. პუშკინის „ტუნწი გმირი“). „ცუდია მისი გარეგანობა“. (პ. იაშ, პუშკინის „ტუნწი გმირი“). „ღვთის გარეგანი ყოფილა“ (ბარნ. „პროფესორი“). 2. ამბობენ: ჰგიებით „ღვთის გარეგანიო“, („ბოგოოტსტუპნიკი“). „წინა ღლით ამა ღვთის გარეგანმა და უღვთომა“ (კერუბ., 1871 წ. № III, გვ. 33).

ბარა-ბარა — 1. შორ-შორს. ამბობენ: რა გარე-გარე დადიხარ, მოდი რაღა ერთი თალია ჩავარტყათ ყოძარი. 2. გარეთ, შორიანლო.

ბარაბაბა —

ბარიელი — სპარსულად ჰანგის სახელია.

↙ **ბარლიბანდის შუდი** — ბუხრის ქუდი, მხოლოდ მრგვალი და დაბალი.

ბარმა — ბატის გულზე წერილი ბუმბული.

↘ **ბარმიანული//ბარმიანალი** — 1. გარეშე, უცხო, შორეული, არაჩვენი. გარმიანული, გაკიდევანებული, გადამთიელი. ილია ამბობს: „მე ოსტროვბი, ლინიები და სხვა გარმიანული სიტყვები დაქარაზე“ (ილიას ნაწ., ტ. IV, 1927 წ., გვ. 58). მოსე ჯანაშვილიც იხსენიებს ამ სიტყვას: „ამბობენ შიარი გარმიანული სიტყვა“ (ჟურნ. „განათ.“, 1917 წ. № 4-5). „გარმიანულს ენაზედ“ (სოფ., 1888 წ., № 90, გვ. 4). ეაქვას „ეთნოგრაფიული წერილები“, 1937 წ., გვ. 97. (ჩემი ძველი ტფილისის ლექსიკა). „ვაჰ, ჩემო ძმაო, რა გარმიანულსა ჰკავხარ“ „გარმიანულსა ვით კანჭები დაქონ“ (ვაჟა-ფშაველ., 1886 წ., № 35 ილია, III ტ., გვ. 87). 2. გარმიანელი — თურქების ერთი ტომი. (ქართლის ცხოვრება).

✓ **ბაროკა** — ჯოხი გაროკა, ე. ი. გათალა, გაჩორკნა. გაროკილი ხე — ხე, ტოტებგასხეპილი, სწორი.

ბაზარშაშაბული – (იხ. ფარფაში). „გაფარფაშებული ცხოვრება“.

ბაზაშხული – გამოტილა. ფეხებგაწეულად დაჯდა.

ბაზანობა – Реклама. ეს სიტყვა საიათნოვას ეკუთვნის. „ღამეხენი, აკაცობა არ მინდა, ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა, შე გლეხი ვარ, თავაღობა არ მინდა“. და სხვა. (იხ. ჩუბი „საიათნოვა“).

ბაში – 1. სპარსულად ჰანგის სახელია. „გაფი“, მგონი, წარმოსდგება სპარსელების პოეტ „გაფიზის“ სახელიდან. („На рубже Востока“, 1929 წ., № 3, გვ. 76). 2. შექცევა („Описание“ II, ст. 322). 3. საკუთრივ საუბარს ნიშნავს. გაფი – ლექსთწყობის ერთი ფორმათაგანია; სიმღერაში – მელანქოლიური ჰანგი.

ბაშოთაბული – გაცხოველებული.

↳ **ბაძარძარაბული** – ძალზე თეთრი. „ერთი ტახტი და ზედ სუფთა, გაქარქარებული ღოვინი“ (ელ. ჩერქეზ, ავტობიოგრაფია, ზელნწერი).

↳ **ბაძირი** – ჯიუტი, კერპი, უჯიათი, თავისნათქვამა. „ღვთისაგან განაჩენი სჭირდეს ყველა სენი, ვაძობ მინც ამას, ვით გაქირი ცხენი“. (ანტონ განჯისკარული). ჩუბინაშვილს ეს სიტყვა ამოაქვს ილიას „კაცია აღამიანიდან“, სადაც სწერია: „გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა“ და სხვ. (გვ. 17. 1869 წ. გამოც.) და ამბობს: „გაქირ შორისდებულია“ (გვ. 283). ილიას ეს სიტყვა უყვარდა. ერთ კერძო წერილშიაც სწერს: „ამ აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზე გაქირა ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავადგი“ (წერ. დ. ერისთავისადმი მიწერ. ინახება ცენტრარქივში). „ჩვენი ოჯახის ნაამგარი ცხენია... რა უყვით, რომ ცოტათი გაქირი იცისო“ (ი ნ ე ნ – ილია ზურაბ ფსეფდ. „ოვ.“, 1905 წ., № 194; ილია ტ II, 157).

ბაძლესილი – „ერთს დიღმელს გლეხს, ყეცნიაშვილს, ქალაქელი გაქლესილი კაცი შეპხედრია და ფული დაუტყუნია, შეისრის ადგილს გიშოვნო“ („ოვ.“, 1890 წ., № 83).

ბაძვცული – გაცვეთილი. „გაქვცული ქუდი ეხურა“, ე.ი. ქუდი ალაგ-ალაგ მატყლამოგლეჯილი. „გაქვცული ძაღლი“ – ბალანდაყრილი ძაღლი.

ბაძვრაქილი – „ღიღის ნამისაგან გაღვრეჭილი და აცრემლებული ხილი“ (ცქვიტი).

ბაყმენდილი – გაყურებული, გაკმენდილი.

ბაშანშაბა – უთავებოლოდ მიყრა-მოყრა.

ბაშლუაბული – ჩქარი, მარდი, გამშპარი, ფიცხი. „რასა ბრძანებთ, ბატონო, აქურს გამლუებულს ღორს სათოფედს არ მიუღებთ კაცი, არა თუ დაიჭიროსო!“ („ოვ.“, 1885 წ., № 309).

ბაშოტილი – გაფშეკილი, მოუკაკველი.

ბაშხაივა – დაგუბებული წყალი გადაჰღვარე.

ბაჩაღაღაბული – (სომხ.) განათებულ-გაკაშკაშებული ჭალი.

ბაძანადი – გამჩნეველი. ე ც ნ ე ე ა-ემჩნევა.

ბაშაშდენ – ქალაქური გამოთქმაა, წარმოებული წ ა მ ი დ ა ნ. „ყველანი გაჩემდნენ, გაწამდნენ“.

5. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.



ბაჭიანილი – გაესებული.

ბაჭყიაული – პირთამდე აღსავსე.

ბახანიბრაპული – ხეობარიდან. „ფშავეში ყველა კაცი თუ ქალი გამრჯელია, თუ სრულიად გახაობრებული არ არის“ (ვაჟა, „ივ.“, 1886 წ. № 66).

ბახაპაპული – გაშეშებული. ამბობენ: შენ გელაპარაკებიან, ევე, რას გახვევებულხარო!..

ბახიასხაპა – ბერს მოლაპარაკეზე იტყვიან, ზედმეტ მოლაპარაკეზე. „საქმეს ნუ გაიხაიხებ, მე უკანასკნელად გიცხადებ, პარმენი მიყვარს“ (ბ. შაღა, I, გვ. 184).

ბახიასხაპული – გაჭიანურებული, გაშლილი, გაჭრელებული. „მთელს შვიდ ფურცელზეა გაჭრელებულ-გახაიხებული და გვარმოუწერელი წერილი“ (ახანაზ, „ივ.“, 1891 წ. № 960).

✓ **ბახრაქილი** – 1. მოტიტვლებული ადგილი, სიღაც მოსავალი არ იცის; გაფცქენილი, უარარაო. 2. ცარიელი, უწვევო, არარა.

ბახუხული – „გახუხული პური“. „ – თქვენი ქალი, ვითომ ვაჟზე უკეთესიაო? – მაშ არა და გახუხული ასე თეთრიაო“ (ბ. ჯორჯა, „ივ.“, 1891 წ. № 129).

ბაჯანჯალა – გაჭიანურება.

ბაჯილაპაპა – უკეთ გაკეთებული ოქროს ნივთის გაწმენდა და გაპეწიანება.

გ ა ჯ ი ლ ა ვ ე ბ ა – პალიროკა.

ბადნაპარა –

ბადნიკოპალა – მოკლე და მოსქო ადამიანი.

ბაზალქორი – (მელანია, გვ. 37).

ბალა – თორნის სარეველი კეტი.

ბალაზი – თოვლში დაბმული („ვარდფანჯები“ გვ. 124). თიხა?

ბალაქნური – 1. გელაქნური ანუ იშხანი, შავხალეებიანი თევზიან, მეტად გემრიელი, მოხარშულს ვარდისფერი დაჰკრავს. იცის გოგჩის ანუ სევანის ტბაში (დაწვ. ჩემი ა. ჭ-ქე). 2. თევზიან ერთგვარი. „მივიდა ტბას ველაქნურისა“ (შ. ჯანაშ. ნაშრომი, 1907 წ. გვ. 29).

✓ **ბანაბარჩიძის ზატი** – მცენარე, აბუსალათინი, ერთგვარი მცენარეა, რომლისგანაც ზეთს გამოხდნიან. „კახეთში შემამულეებს სურვილი აქვთ გენაგერჩაგის თხვისა და მოყვანისა“ („ივ.“, 1886 წ. № 200).

ბანბიშად – შორიანხლოდ, ხალკათად. სახლები აშენებულია გენგიშადო.

ბარბილი – შნო, მარიფათი. „ამგვართ, კ. მესხი უფრო გერგილიანთ უძლევს საქმეს“ (შ. დაღ. „სახსოვრად ქართ. თეატრ. 50 წლ. დღესასწაულისა“, 1900 წ. აღ. არაპიძის გამოც. გვ. 17). **გერგილიანი** – შნოიანი. „არც ლაშაზი იყო, არც მარჯუ და გერგილიანი“ (ნ. ავაღ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 314).

ბასმიხა – მეტი სახელია ერთი ჩვენუნბელი კაცისა.

ბატატანა – გენაცვალე, გეთაყვანე.

ბაში – კვალი. „გეში“ არის კვალი აიღეს. „მესტამბეს გეშს, დასამტოცებულს საბუთებს უძღვნიან“ („ივ.“, 1887წ. №307, გვ. 4). გეში აიღო, ე. ი. კვალი აიღო.

ბახუტუნა -

ბაჯაბაჰანი - ლამემოსიარულე, მოხეტიალე, თავზე ხელაღებული, უშიშარი.
 ბაჯაიათანი - აბაზიანი ბილეთი აბანოში ლამის სათევად (ჩვეულებრივ 10 კაპიკი იყო).

ბარდუცი - საფლავის ღოღი. მინახავს წმ. მარინეს (ფორაქიშვილების) სასაფლაოზე ქვა, რომელსაც აწერია: „ამა გვარდუცსა ქვეშა მდებარე“ და სხვ.

ბაქლანა - ერთგვარი ჯიშის თევზია, რომელსაც არა სჭამენ.

ბაქლაჰა - ეშმაკი, მლიქვნელი, ქლესა, ორპირი.

ბაირაბი - საქონელი რომ ძალზე გაძღება გვირაბს უწოდებენ. ტფილისელები მოსქო დედაკაცზედაც ამბობენ: მეეცა, კერა ხელამ როგორ გვირაბით მოღისო. გვირაბი - არის აგრეთვე გამონაკვეთი კლდე.

ბაირბავინი - მერცხლის ბუდესაც ჰქვია (მ. მღვ. ლექსები).

ბაირბავინის ცოლი - ე. ი. ჯვარდაწერილი ცოლი და არა ხასა.

ბაიტაჰანახლა - გვემდა, გვირტყამდა.

ბაირივი - 12 შვილი რომ ეყოლება ადამიანს, იტყვიან გვირვი შვილი ჰყავსო.

ბაიური - არამუსულმანი, სხვა რელიგიის ადამიანი.

ბაიზინახს - 1. ქარზე იტყვიან. „დამხურე, ქარი მიგიგინებს“. 2. გიბერავს. „ქარი გიგინებს“. 3. დაჰქრის, ნავარდობს. „ქარი დაგიგინებს“.

ბილანური - გილანი სპარსეთის პროვინციაა, კასპიის ზღვის სამხრეთით. აქედან მოტანილ ძვირფას მარგალიტებს გილანური ეწოდებოდა. მაგ., „გილანური გულქანდა“.

ბილახხია - გიყბენია, გიროშავს.

ბილღიაჰაჯი -

ბინჯლი - „პატარა გინგლა ფოთლები“ (მ. მღვ. 1 ტ. გვ. 129).

ბიჰიაური - მხოლოდ ხეირობს აღბუღალის ზემო მხარეს, თონეთის ლერგარის მთის კალთებზე. ადგილობრივი ხალხი სჭამს, სხვა ვერაფერი ნივლებს, აბრუებს.

ბირპანჰა - მეტი სახელია კაცისა.

ბიყვარღას - სიტყვის მასალაა: გიყვარღეს, ხელად მოვალ; აბა, გიყვარღეს, რას არ გიზამ და სხვა...
 ბიხიჰანღარახს - გიქამანღებს, ავ საქმეს დაგმართებს. „შენთვის იყავ ნუ გადაიღდე ი კაცი, თორემ ვიხიანღარახს“ (ტ. ქუჩ. „ოვანე“, 1 თ.).

ბლასი - ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ყინულს, სარკეს; ჩვენში კი „გლასი“ მიღებული იყო აბრეშუმის ქსოვილის სახელწოდებად. „გლასის კაბა“, ე. ი. კაბა, რომელსაც პრიალა ჰქვია დაჰქარავს.

ბლახარა - მათხორობა.

ბლახარა -

ბლახარა -

ბლიჯიზი —

✓ **ზნასაბამოლუული** — უარაქათო, ჰარაქათგაწყვეტილი.

ზნიასი — ხმაურობა. მგლები ღმუილზე გამიგონია, რა გნიასი შეუდგათო, ან თუ ბევრი ილაპარაკა, ან ბევრი იშრომა და შემდეგ იმის ნაღვაწს როცა აღარაფერი შედეგი მოჰყვება, ეტყვიან: კარგია, გყოფა, ხომ ხედავ გნიასი აღარა გაქვსო.

— **ზობააი** — 1. ყარაჩოღულ-კინტოური ვერცხლის ქამრის ბუშტი. ზოგჯერ ეს გობაკი ისე დიდათ არის გამოხურთული, რომ შიგ ერთი ჩარექა ღვინო ჩადის. რასაკვირველია, პატრონს სასახელოდ მიაჩნდა ხოლმე. 2. ცალკე არითქმის. „გობაკებიანი ქამარი“, ე. ი. ქამარი, რომელსაც წინ რამდენიმე მუშტისოდენა ჯამფილები აქვს. ზოგჯერ ამ გობაკის ბირთვი ისე მოზრდილი იყო, რომ შიგ, როგორც ამბობენ, „ნახეარი ხელაღ ღვინო ჩავიდოდა“ („საათნოვა“, გვ. 37).

ზობილოს აბანო —

ზობლიმობლი — 1. კვერცხის გულისაგან და შაქრისაგან შეზავებული სითხე, რომელსაც ხმარობენ ყავაში რძის მაგივრად. 2. (სადაური სიტყვაა?) ГОГОЛ-МОГОЛ.

ზობოჩუა — ამ სიტყვას ქალურად მქცეველ ვაჟს ეძახიან.

ზობოზი — ღვინის საწყაოა, ხ ე ლ ჩ ა ფ ს ა ჰგავს. „გოგროხებით ყურძენსაც მორჩევს“ („ოვ“, 1886 წ. 213).

ზოჯალი — ლამაზი, მშვენიერი, პეწიანი, ემზნაკრავი.

ზოზინაჟი — „ნიგოზის დანაყვა“-დან.

✓ **ზოთჰარანი** — 1. პასოური პედერასტი. თურქული სიტყვაა. დ. ჩუბინაშვილი ასე ხსნის: „გოთეერანი“ — ამოსაყარდნელი, ИЗВЕРГ. (გვ. 326). 2. არ არის ლიტერატურული სიტყვა და ამიტომ საკვირველია, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მოხვდა (ჩ. გვ. 326). იქ სწორად არ არის ახსნილი. გოთეერანი ნიშნავს პედერასტს. გურიაში გავრცელებულია სიტყვა „გოთაული“, რომელიც ა დ ა მ ი ა ნ ი თ მ ო ე ა ტ რ ე ს ნიშნავს. „ღიღი თვალები და მემპაღუ აზნაურები არიან პირველი გოთაურები. მაღაქია გურიელმა მთელი გურია აიკლო“ (ერ. შარაშიძის პიესა „ღამასხანა ბედინიშვილი“, 1933 წ. გვ. 6).

ბოლი-ბოლი — ერთგვარი თამაშობაა. — გორაობა.

ბოშური — საქონლის სადგომი საზამთროდ.

ბონიო — ღურგლების იარაღია: სწორკუთხიანი სახაზავი.

ბორახი — გამხმარი ბელტი. (კახეთში: კორახი). მარიჯანის ლექსში: გორახ-ნაფხოტი. (შდრ. „გორხანა“).

ბორბოლაჟი — 1. ურმის, ეტლის და სხვა მატარებელთა მცირე თვალი, ბორბალი. 2. პატარა ბორბალი, თვალი — „მაღუნკი კალესო“.

ბორბომიჭალა — კაკლის გულს (ე. ი. მთელ ნიგოზს) უღელს ამოაცლიან, რომლითაც შეერთებულია ნიგოზი და ისე მთელ-მთელს რომ აასხამენ

ძაფზე ჩურჩხელებისათვის, აი, ამ საჩურჩხელედ გამზადებულ ჯაგანს გორგომიჭველას უწოდებენ.

ბორაშ – მოსახლეობის ერთი ფენა, გლეხია, თავადა, თუ რაა (მუსულმანთა ერთი ფენა გურეშ).

ბორი-ბორი – ან გორ-გორ, გორაობა. გამიგონია: ასვლით როგორც იყო აველ, მაგრამ იქიდან კი სულ გორი-გორით ჩამოველო, ე. ი. გორაობით ჩამოველო.

✓ **ბორხანა** – 1. თათრების სასაფლაო. რას ნიშნავს ქართული „გოროხი“? „არხელოვ დ. პ. ფურცელაძისათვის მიუხედავად გამოიკვლიოს ძველი სასაფლაო გორხანები და ქალაქები კახეთში“ (სოვ., 1886 წ., № 112). 2. სასაფლაო. „წარმოადგინეს „ხანუმა“... ავტორისათვის თეატრალური ხელოვნება სიტყვების ქანობას არის ნაცულები. სად ამოუკითხავს ავტორს ან რომელ სცენაზე უნახავს, რომ ერთმანეთს დედ-მამის გორხანას აგინებდნენ და სხვა ბევრს ამკვარს?“ (ი. კავთელი, „თეატრი“, 1886 წ., № 7).

ბორბორხანა – 1. მორევის ტრიალი. „...მაგრამ მტკვრის გორგორხანში (ქორქორხანში) რაც უნდა ყვაილი ჩაგარდეს, რასაკვირველია, თან გასკვება, რასაკვირველია, მორევი ჩაგარდინისს უფსკრულში ჩაიღუპება“ (გ. სუნდ, „ჟარინკას ვეჩერი“, თარ. პ. უ-ისა სოვ., № 5, 1879 წ.). 2. ყაინარი, გურაბი, მალშტრემ. იხ. სუნდ, „პეპო“. გვარიც ყოფილა გორგორხანოვი. 3. Водоворот.

ბოჭა – 1. თევზია. Семга. 2. თევზია ერთგვარი. კუტუმის მსგავსი (Сазань).

ბრა – ღერციკების ნახევარ ადლიანზე ნაჭდევი ხაზები, რომლებიც აღნიშნავენ ზომას. „ერთი გრე, მეორე გრე, მესამე გრე, მეოთხე გრე ვაშლზე“.

ბრაშო – რუხი.

ბროლი – 1. გონჯი, უშნო, ბაიყუში, ჭირი. გროლი ხარ, ჭირი ხარ. 2. უშნო, აწოწილი.

ბროშო//ბროშუა – „გროშო, რომელ არს ნახშირის წამლები და დამცლელი“ (მ. პეტრიძე). „ვისმინე დღეს შუაბზარსა ხმაურობა. მოსდევდა საპალნესა ნახშირისსა გროშო“ (რომელ არს ნახშირის წამლები და დამცლელი“) (მ. პეტრიძე-პ. უშიკ, „კრებ“, 1873 წ., № 8, გვ. 130). ნახშირის მოედანზე ხშირად შეხედებით პატარ-პატარა ლაწირაკ ბიჭებს, რომლებიც ნახშირის ვირის საპალნეს ჩამოსდევენ და თუ აღმოჩნდა ნახშირის მუშტარი, მაშინ ეს გროშუა წაუღებს მყიდველს ნახშირს, თვითონვე დასცლის და სახედარს კი ისევ პატრონის ჩააბარებს. აი, ამ პატარა ბიჭს ეძახიან გროშუას, რადგან გასამრჯელოს რაღაც გროშებს იღებს. „ნახშირის ორმოს პატრონთან გადავიდა, სხვა სახელი და გვარი დიარქა, თავის მამა გროშოსაც“ უთხრა...“ (ალ. ცაგარ. მოთხ, „დროება“, 1867 წ., № 20; კიდეც ვ. ბარნ. „ტფილისის აზრდილები“, გვ. 273). 2. გროში კი – რუსულადაც გროშია? საიდან?

ბუდა – 1. ჩალით გატენილი, ყაითნის საქსოვი გუდა, რომელზედაც ჩამოკიდებულია გამობზარატებული გუგუთა ჯოხები. არის ერთგვარი ბზით გამობზურთული მუთაქის მსგავსი ტომარა, რომელზედაც ძველად, ძველ

ბულხანაში — იხ. ხენეში.

ბუაანი — 1. ეჭვად აღებული აზრი, 2. ეჭვნარევი. მეექვსე გრძნობა. წინათგრძნობა.

ბუმბაში — „სულაუს ქა და გუმბეში“ („ყარამანი“ ახ. გამოც., 1903 წ., კარი 9 გვ. 38. ძველში, 1879 წლის გამოცემაში, გ უ მ ბ ე ზ ი არ არის).

ბუნდა ლააუსტაპი —

ბუნაბიარი — მადიანი, მხიარული, კმაყოფილი.

ბუნაბანაძეობა — ორსულობა, ფეხმძიმობა.

ბურბური — გიზგიზი, ცეცხლის ხმიანობა. ქალ-გაეთა აღერსზედაც იტყვიან: „გურგურებენ!“

✓ ბური — 1. საბრძოლველი იარაღი: ხელში დასაჭერი, თავბურთიანი. „ყარამანიანში“ გვითხულობთ: „თურმე სახლიერს ერთი ფოლადის გურზი შექუჩუნიებინა, ოცდაცამეტი ადლი სიგრძე ქონდა, თავი დიდ ბორცვს უკანდა; ცხრა ადგილას გახვრეტილი იყო და დიდრონი ფოლადის რგოლები ესხა. რგოლებს ორმოც-ორმოცი ადლი ჯაჭვები ეხა. მის ჯაჭვის ბოლოებზე ათ-ათი ლიტრიანი რკინის ბურთები ეხა, — ომი რომ გაუჭირდებოდა, მაშინ იმ გურზს მოითხოვდა“ (იხ. „ყარამანიანი“, კარი პირველი, მეოთხე გამოცემა ტფ., 1912 წ. გვ. 96, 98). გურზი მოხსენებულა „აღლღუზიანშიც“. აგურზი მისი ხმაღას მოხსვდა, ცეცხლი გაჩნდა იქ უმაღლი, გურზი ორად განიკუთა, უნაგირს კხვდა მისი ნალი“ („აღლღუზიანი“, 1885 წ. გვ. 15). 2. დასარტყმელი იარაღი. 3. იხ. „აღლღუზიანი“, მ. ჯან., გამოც., გვ. 106. და ჩემი „ბოჭემის“ ლექსიკონი.

ბურჰა — მასხარა.

ბუზა — სპარსულად ჰანგის სახელია, რომელიც ნიშნავს მოკლე სიმღერას.

- ✓ **დალაჯუნებას** – ცუდი მოსიარულე.

დაამაფიპრაბ – „ღონივრად დაამაწიერებ“ (მ. მღვ. ლექსები, 1936 წ., გვ. 88).

დააფასტაპა – მჭედლები ამბობენ: „რკინა უკვე დაფასტავებულია, ეხლაც გინდა, ის უყავი“, ე. ი. რკინა უკვე დაფეეილია, დაბეეებული.

დაბანდაბა – დაყოვნება, დახანება, ბანდა ნიშნავს შებოჭვას, შეკერას, დაკეტვას.

დაბასჰული ლაჩაძი – 1. დაწინწკლული ლეჩაქი (რით?). 2. თეთრწინწკალშეყრილი ლეჩაქი; დაბასმული-დაჩითული.

დაბატული – იხ. ბატიბუტი. „დაბატული ბატენები“ (გ. ბასიშვილი).

დაბადი – 1. „1878 წლის 13 იანვარს ქალაქის გამგეობის ხსლომაზე ქალაქის თავის დიშ. ყიფიანის თუჯდღმარეობით აღიძრა საკითხი დაბადების სხვა ადგილას გადატანის შესახებ, რადგან ტყავი-ლემი წყალს აუწმინდურებსო“ („Записки технич. об-ва“, 1878 წ., ტ. X, გვ. 230). 2. ტყავის გამომყვანელი, მომქნელი.

დაბახანა – აზიური ტყავის საწყობ-ქარხნები. დაბადი კი ამ ტყავეულობის მეკეთებელი პატრონი (ილია, ტ. IX, გვ. 352).
- ✓ **დაბდაბუდა** – 1. ტუტრუცანა, წარამარა მოლაპარაკე. 2. ბეჩაეი.

დაბდურა – 1. ლაჩარი, დაბდაბუდა. 2. მოდუნებული. 3. ქალაჩუნა. 4. უხეირო, უშნო. 5. უწესრიგო, უქნარა, ზანტი. „მერე რა დაბდურა, ვრათურს ვრ დასდებს, როგორც რიგია“ (ნ. ავაღ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 112).

დაბგავილი – ნაცემი.

დაბაპბული – ბემიცემული, დანაპირი (?).

დაბაჟა – სცემა. დაბეეილი ვაშლი.

დაბაფვილი – ბეწვით შემკული.

დაბუბანა – ცემა.

დაბუღული – Копченый.

დაბუხული – დაბუეებული. „ჩვენმა ქაღალაღმა თავაღმა არც ეს სიცივისაგან დაბუხულები, დათოშვილები დასტოვა უნუგემოდა და უსაყვეღურა დაგვიანება“ (რ. ფაველენ, „შოაბზე“, 1896 წ., № VI, გვ. 24).

დაბაჯული – დაკაწრული.

დაბბუბანა – დაგჯიჯგნი, დაგწეწავ, დაგჩორკავ. ამბობენ: გარუმდი თორემ, ხომ იცი რა მსუქანი ჰოპოპები მყავს, დათვივით დაგბუბნავო!

✓ **დაბრახნილუას დუჰანი** – ცნობილი დუქანი იყო საქეიფო. ასეთი გვარი რუსებშიცაა: Кривотопкин. (წიგნი „Енисейский округ“, 1865).

დაბულა – დახურვა. „წინ გაუძღვების დედოფალს, მიუღწეო რა საყდრის კარსაო, დაგუდვენ კარსა, ამისთვის ელიან მიცუქასაო“ (თეოდ. II. „ანტილოგია“, II, გვ. 165, 1928 წ.). „არ დაგუდოს მუფუბ კარი“ (იქვე, თეოდ. გვ. 168). ეს სიტყვა აღ. ორბელიანსაც აქვს ხელნაწერებში.

დაბულული – დაკეტილი.

დაბურბულაბა – დაყვაება, ღოლიაობა.

დაბჰაჰროთ – ა ცაგარ, „მნათ.“ 1937 წ., № 5, გვ. 45.

დადა – ჭკვიანი. ამბობენ: ეს კაცი ნამდვილად დადა ჯეელიაო, დადა-კაციო, ე. ი. ჭკვიანი და დალაგებული, დამჯდარი კაციო. „დადა ჯეელი“ („საათნოვა“, გვ. 66).

დადაზაბული – ნაუცბადევად. იხ. დეზათ. დეზი მიხვეულ-მოხვეული გზაცაა.

დადაჯული – 1. დაჩითული, დახატული. ღურჯი სუფრა დადაჯულია ნახატ კოვზებით და სხვ. „თაროდან ჩამოიღებს ძველებურად დადაჯულ ღურჯ სუფრას“ (გ. სუნდ, „პეპო“, 1880 წ., გვ. 232). 2. ამბობენ: დადაჯული ღურჯი სუფრაო, ე. ი. ნახატებიანი, სახიანი სუფრაო, ზედ დახატულია თეფშები, დანა-ჩანგლები და სხვ.

დაეპინდა – ენდო (?)

დაეპუშხა – „ვიღაც თაუზეხელაღებულეზა მუშთიღის ბაღში ერთ ახალგაზრდა ქალს ნათი გააასხეს და ცეცხლი მისცეს. ხალხი მიეშჰელა და ცეცხლი გაუქრეს. ქალს ტანისამოსი სულ დაეწვა და ტანის ალაგ-ალაგ დაეპუშხა (აგ.“ 1893 წ., № 155).

დაეხირაბა – უსაქმოდ ხეტიალობს.

✓ **დავა** – დუდუკის ჰანგი. სპარსეთიდან რომ ქარავანი მოდიოდა, აქლემი სიცხის გამო მწყურვალე დაწვებოდა. ჩალვადარი ამოიღებდა სალამურს, უკრავდა და ეხვეწებოდა ადგომას.

დავალოზა – გამიგონია: დავიჭირე, ერთი ღოთიანად დავალოშეო! ვითომ ვცემე, მივტყვიპეო. დოშივით გაგზნდი. ჩილიკას რომ ააგდებენ ეტყვიან: „დოშ“, ე. ი. სწორად დადგეს, რომ ჯოხი დაარტყას.

დავაპოშხა – გაცვეთილ ან გახვეულ საცმელზე რომ სხვა ნაჭერს დააკერებენ შიგნიდან და მერე კარგ პირზე რომ ამოჰკერავენ, ამ ამოკერას უწოდებენ „დამოწმებას“.

✓ **დავაჰარი** – დავიდარაბის მოყვარული, მუდამ მოდავე (ა. ჭავთარ. „ჰურიდიული ღუქსიონი“).

დავაჩი – „ძველ დროში შენ იქნებოდი სახელგანთქმული დავაჩი“ (დონ-იაგო).

დავაცხარი – მივეარდი, დავაფრინდი, ვეცი.

დავათითა – თითი გაუუკეთე (ოყნა).

დაპიდარაბა – წარმოსდგება 'სიტყვა „დავა“-დან და „ღარაბა“-დან. დავა ხომ დავაა და ღარაბა კი ვითომ სასამართლოს კარიო.

დაპინაჰსე –

✓ **დაპრიში** – „ღვრიში საცა უნდა შევიდეს ფულის სათხოვნელად, თუ არ მისცეს, მაშინათვე აიღებს გვერდზე ჩამოკიდებულ რკინის ღულეკს (წაფირი) და ჩაჰყარავს: ეს არის მისი წყევლა“ („სკული“, 1893 წ., № 35).

დაპპარობა – „ქედლის ახლა რკინით დაჭულილი სიკერები, რომლებშიაც შენახულია დასტა-დასტა მთელი მაზრის ტყეილი საჩივრები, დაქარობა და ცილისწამება“ („გოგოლი - გიქოვ. აკრებ.“, 1871 წ., № III. გვ. 4).

დაპპოქა – ამბობენ, საათი უკვე დაკეოქეო, ე. ი. მოემართეო.

დაპინცლა – დავცინცლე, დავცინცლავე, მოტყუებით რისიშე წაღება. „შე ა. ყაზბეგის ლექსები არ მომწონდა, ასიკო (ცაგარელი) აქებდა. როცა ასიკოს ვეტყოდი, რად აქებ-მეთქი, მეტყოდა: სანდროს (ა. ყაზბეგს) ერთი სპილოს ძელის ხანჯალი აქვს ოქროს ნუქერთშიანი, მინდა ის დავცინცლოვო“ („ს პელიქ“, „ღროშა“, 1924 წ., № 16-17, გვ. 26).

დაპალია – როცა პირველად ახალ ხილს შესჭამს ვინმე, იტყვის „დაეძლიე“.

დაძლეული – „ჯერ არავის ექნება მარწყვი დაძლეული“ („ოვ.“, 1891 წ., № 173).

დაზადა დედაკაცი – უშნო დედაკაცი.

დაზორბილი – ბევრი შეკერა.

დათაბა – დათა, დათო, დავით, დაუდ.

დაიაზაბა – მოკრძალება (ფრთხილი).

დაიაჰი – სადალალო, პროცენტი, გასამრჯელო.

დაიაჰით პაჭრობა – საკომისიო გაჭრობა.

დაიზავთა – დაიკავა.

✓ **დაითავითიშაბს** – თავისად გაიხდის. „გულში ჩაიხვია ის აზრი, რომ გმირისეული მოსთინთლავს, დაითავითიშებს (ს. მგაღ., I, გვ. 177).

დაითითაჰეს – გაინაწილეს პერსონალურად.

დაინათლიაჰა – ნათლიად გაიხდა. ნათლიად მოიკიდა.

დაინიშა – დაიქინა. („საქ. მოაზრ.“, 1863 წ., № VII, გვ. 26).

დაირა – ზოგს დაირა ნალარა ჰგონია. Даира - горшок обтянутый кожей (ეურნ. „Природа и люди“, № 6, 1879 წ., გვ. 41).

დაირაძო – წარმოებულა სარქველიდან. „ქელი მოიხდა, შუბლზედ მოისვა ოფლის მოსაწმენდად და მარცხენა შუბლზედ დაირქო“.

დაინაჰლისა – დააკლდა.

დაიტოშა – გაკპურცხლა, გაიქცა. „ძაღლს ხედავთ, როგორ დაიტოშა“ (ს. მგაღ., I, გვ. 78).

დაიფუჰა –

დაიფუჰჰა – დაითუთქა.

დაიშაჰრა – I. „ხელები დამეშაშრა“. „ფაიფური დაიშაშრა“. ნემსივით სიგრძეზე დახეთქვა, დასერვა, წარმოსდგება სიტყვიდან შაშარი (ე. ი.

დამზენილი — დარბაისელი, დაეაჟაკებული, დაბრძენებული.

დამი — 1. ფლავის ორთქლი, სარქველზე რომ ცვრებად გროვდება, ოხშივარი. ფლავს რომ ჰხარშავენ, ფლავის ქებას ჰხურავენ სინს. სინზე კი ზემოდან წყალში დასველებულ ტილოს დაადებენ ხოლმე (თათრები ხანდისხან ცეცხლსაც ჰყრიან სინზე), ორთქლი ცვრებად იკრიბება სინზე და როცა მოხდიან სინს და სინზე დამცვრალ წყალს გადაჰყრიან, ამბობენ: ფლავს დამი მოეხადეო. 2. „საქმეს დამში მოვიყვანო“, ე. ი. ს ა ქ მ ე ს გ ა მ ო ვ ა ს წ ო რ ე ბ თ (ილია „აკაცია-ადამიან“, თ. VII) აღ. ფრონელიც ხმარობს ამ სიტყვას: „ეს პაწაწა ამბავი ცხადად ამტიკებს, საქმე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ მოსულა დამში, და არ მომწიფებულა“ (სოვ., 1890 წ., № 178). „ჯერ კაცი სათუა. - როგორ თუ სათუო? საქმე დამშია მოსული“ (მ. დიდ. „უბედ. რუსი“, გვ. 212). „თუ შენ შემეწევი, ჩემო დამო, და ჩემს პურ-მარინს არ დაივიწყებ, საქმეს დამში მოვიყვანო“ (ილია „აკაცია-ადამიან“, თ. VII; ილია, ტ II, გვ. 208). „წარმოდგენილი პიესები სუსტია... ორსავე შემთხვევაში საქმე დამშია“ (სოვ., 1905 წ., № 148). „აატაჯ, გებრალბოდე, ხსნილდება, მანდ არს გულია, რამდენჯერ დამი აიღო, გახსოვდეს, დაკარგულია“. (ბესიკის ლექსი; „Описание“, ტ II, გვ. 332).

დამიტატანა — დამტუქსა. სიტყვიდან ტატანი (ე. ი. დამცეცხლა). ტატანი — მეტეორი - მორბედი ცეცხლი“ (რ. ერისთ., „თამარანი“, 1887 წ., გვ. 38).

დამქანაქანი — უშნოდ დამჭერი. დამჩროკენე. პარიკმაზერი რომ გაუჭრის სახეს, იმას კნაჭკვა ჰქეიან. (რ. ერისთ., „პარიკმაზერისას“, გვ. 23).

დამოჟენის უბანი —

დამოჟენა — დაჩუმება. ბაგეების დახურვა, ხმაამოულებლობა. „რას დაგიჟენა ტურები და ხმას არ იღებ“.

დამქაში — ამხანაგი, მხარის გამწევი.

დამლა — დადაღვა, დაშანთვა. დამლას უკეთებენ პირუტყვეებს, წინათ დამლას (დალს) მონებსაც უკეთებდნენ. ეს სიტყვა ა. პუშკინის თავის „მოგზაურობა ერზრუმში“ აქვს ნახმარი („Кавказская поминка о Пушкине“, 1899 წ., გვ. 48).

დამჭახდა — „ამას წინად „იჟერიაში“ იყო ნათქვამი, ვითომ ჩვენში ყანები დამჭახდა და მოსავალი არ იყო. ეს სიცრუეა“ (სოვ., 1891 წ., № 247).

დამჯდარი ტუტუტობა — („დროება“, 1970 წ., № 7).

დანა — ეს სიტყვა იხმარება მზითვის სიაში: მაგ.: „ერთი დანა დარაიის ბოღა, ორი დანა თეთრი ჩარსკო, სამი დანა იუფკა“ და სხვ. (მაჩვენა სუმბათ გორგამიანცმა).

დანაჰსული — თვალნაენები. „მოუგდე თავის ბეჭედი, რას ჰყოფ დანავსულმა?!“ (რ. ერისთ., „თამარანი“, 1887 წ., გვ. 30).

დანამასტაპი — საკმეელის მსგავსი: თეთრი და წვრილი.

დანგი — ძველებური წონაა, რაოდენობით უდრის 12 ქერის მარცვლის წონას; ეხლა მისხლის მეოთხედია (უფრო ვრცლად იხ. პროფ. ივ. ჯავახ., „ქართული საფას-სახომთა მცოდნეობა“, 1925 წ., გვ. 98, 107).

დანდალა — 1. მეტი სახელი იყო ერთი უშნო კინტოსი, რომელსაც სმენა არა ჰქონდა ზოგიერთ დიაკვნებისვით და უკემურად ჰყვიროდა: „ატაში“,

„ატამი“ – ვინმეს ყიდვა რომ სდომოდა, ვერ ყიდულობდა. ეს კინტო სულ არ ჰგავდა იმ მენახშირეს, რომლის დაძახილი ისე მიყვარდა, რომ მთელი საათობით დაედევდი უკან მისი ლამაზი ტემბრის ხმის მოსასმენად. 2. მეტი სახელია კაცისა.

დანდანი – ჯგუფად სიმღერის დასასრულს ნათქვამი მოძახილი: „ი, დანდანი, დანდანი!“ („დროება“, 1885 წ., № 37 და ზ. ანტონ, „შპის დახვედმა საქართველოში“).

✓ დანძრეული – „ძლიან მემინან გველისა, იმისი შიშით დანძრეული ვარ ზაფხულობით“ (ვ. ბარნ., ტ. II, გვ. 8).

დაოქაბა – დაცხრომა.

დალუტდა – „Плут“-იდან. „ეს ჩვენი კეთილშობილი ყმაწვილები რომ დალუტდნენ, აღარ შეიძლება, ტყის ყანალები გახდნენ“ (ა. ცაგარ, „ივ.“, 1889 წ., № 242).

✓ დაძარული – დახეთქილი, დაშაშრული. ხესა და ძველ აგურზე ითქმის.

✓ დაჟირჟიპაული – დასიებული.

✓ დაჟღლილი – დანჯღრეული. „ხმა დაჟღლიდა“ (ვ. ბარნ.).

დარაია – აბრეშუმის დიდი მოსახვევი, ქსოვილი; ჩესუჩა. „მათუბის საბაჟოს მოსამსახურეებმა ქალი დაიჭირეს, ვგონათ ტანზე დარაიები შემოუხვევიარ და ორსული კი გამოდგა“ (აკაკის წერილზე „საბაჟოს მოსამსახურეთა საჩივარი, ივ.“, 1887 წ., № 162), „ღამასკოში ერთი სოფელია, რომელსაც დარაია ჰქვია“ (უსმან იბნ მუნჯიხის „Книга назидания“, 1927 წ., გვ. 108).

✓ დარდაკი – 1. გამოჩერჩეტილებული. ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა: „მაგრამ იმ ხოტბა-შესხმას, რაზან „კაი ყმა“ ყოფილა, – უნდა დაჰძინოთ, რომ მისთან დიდი დარდაკი ყოფილა“ (ბაჩ., „განათ.“, 1913 წ., № VII, გვ. 627). 2. სომხ. ცარიელია, ე. ი. თავცარიელი. 3. სულელი, შეუსტივინე.

დარდიმანდი – „არჩილ მუხრანსკი ცნობილი დარდიმანდი, დიდი მოქიფე იყო“; (სოსერძინის წიგ., „25 лет на Кавказе“, გვ. 129). „დარდიმანდს ისე უბრწყინავს თვალები, როგორც ორი ხანჯალამოღებული ყაჩაღი“ (ვილემსი, „Сборник газеты «Кавказ», ст. 82). უხვი, გაბედული.

დარდუბალა – დარდი და ბალა. „წარმოიდგინე, პარიზი თითქმის ცხვირწინ არის და მე კი მისი უნახავი უნდა წამოვიდე. დარდუბალა ამას ჰქვია“ (ილიას წერ. ნ. ცხვედამესთან, „მანტრინი“, 1922 წ., № 19). „ერთმა მთარგმნელმა „и прочего дряхлу“ ასე გადათარგმნა – და სხვადასხვა წარამარა დარდუბლები“ („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 36). „მენისქვილეს ასტეზია დარდუბალა და დვთის რისხვა“ (ხალხ.). „ტბილი სიტყვა წუგეშია, კაცს გულს მოჟფხანს, გულის ფხანა რაღა დარდუბალა“ („ოთ. ქვრ.“, თ. I). „მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია? (იქვე თ. 21).

დარდუხანა – ვაი შენ და დარდუხანა. ჯანაბა და დარდუხანე.

✓ დარიკუას ცირკი – ერთი დარიკუა იყო, ოსის ქალი, სახელგატეხილი, კვირაცხოვლობას ლუდით ვაჭრობდა; იაფფასიანი ცირკი.

✓ დარკილული – ჭიანჭამი. „დარკილული ხე“ – ე. ი. ჭიანჭამი ხე.

დარტაჟა – ამბობენ დარტყმა გაიმართაო, ე. ი. კრივიო.

დარვა – 1. საზანდრის კრებულს დარვა ეწოდება. 2. ჯგუფი. 3. საზანდრის

ჯგუფი.

ღარცაალუსი — ლექსის სტრიქონთა განმეორება; დაბრუნებული (პასუხის სახით) ლექსი.

ღარჯაკი — გრძელი, დამრგვალებული მოსკო კეტი, რომლითაც მშრალ სარეცხს სრესენ და ამით აუთოებენ: ეს სარეცხი, ღარჯაკში გაატარე და ისე მომიტანეო. გამოცდილ და მრავალჭირნანახ კაცზედაც ამბობენ: ესა და ეს კაცი ნამდვილ ღარჯაკში გატარებულსა ჰგავსო.

დასამუნათიბლად — დასაყვედრებლად.

დასაფოლად — იხ. ჩემი ლექსი „საუბარი ასოთამწყობთან“. დასაფოლებელი — „დასწერა დასაფოლებელი შენიშვნა“ („ღრეობა“, 1885 წ., № 109, გვ. 4).

დასაპადებული — შავით მოსილი. ვერცხლზე გადანაფერი სიშავე. სევადა (დ. ჩ. — „სეადა“) შავს ნიშნავს. კ. გამსახურდია წერს: „პოეტი სდილობს ამ ბნელ ტყვრს თაჲ დაღწიოს... მიაღება გორძახს. ამ გორაკის ზუთაჲ შხის სხიფებს მოუსუადება“ („მნათ.“, 1933 წ., № 1-2, გვ. 170). ავტორს ს ე ე ა დ ა ნათელი ფერი ჰგონია. ამ სიტყვას სპარსულ-სომხურ-ქართულად ერთი და იგივე ძირი აქვს სევ-სეე-შავ.

დასიტყვაბული — შეპირებული, სიტყვა მიცემული. იხ. ბელგა.

დასლიკინება — დასლიკინობს. სლიკინს გველზე ამბობენ.

ღარცოსლილი — დახვეული, დამრგვალებული.

დასტა — 1. გამიგონია: წადი და ამაღამი ღუქნიდან ამდენი და ამდენი დასტა საქონელი მოიტანეო. 2. დასი. მომღერალ-მგალობელთა ჯგუფს დასტას ეტყვიან. ამბობენ: დღეს ქორწილი მაქვს და მეწვეიეო. მეორე უპასუხებს: რამდენი დასტა საზანდარი გეყოლებათო. „სამასი არაგველი ღუშეთიდან ჩამოვიდა... ამ დასტამ შეჟოჲს მუფს და ერთი ცღარ გამოვიდა ცოცხალი“ (მ. ჯანაშ, „საქართველოს მოკლე ისტორია“, 1884 წ., გვ. 22). 3. ზურნაზე ითქმის, ღარფა-საზანდარზე. 4. შეკვრა. „ღაკრიფა, გააზმო და დადასტავა“ (მელან, „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 31 და 35). დასტა-დასტა — Кипы. „კედლებს ახლო რკინით დაჭედელი სკივრები, რომლებშიც შენახულია დასტა-დასტა მთელი მავრის ტყეილი საჩივრები“ (ნ. გოგოლი — გ. ჩიქოვე, „ქრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 4).

დასტალული//დასტალოლი//დასტალუსი — გამოწმებ. მოსკოეში აკაკის მიგებების აწერა ყველა გაზეთში იყო დასტაბული, მაგრამ არაკის ისეთი სარგალიტო¹ დასტალოლით არ შეუქმია წერილი“ („ამერეთი“, 1913 წ., № 28). „სამაია სამთავანი გულას გარდამაღე — ამ ბოლო სიტყვებს დასტალულად დაატანენ“ (მ. ჯორჯ. „თვ.“, 1891 წ., № 129). 1. სიმღერის დროს ყოველი ხანის შემდეგ გამეორებული კუპლეტი ან სტრიქონი, რომელიც ლექსის მთავარ მოტივს შეიცავს. დასტალული — რეფრენი (ეს სიტყვა ნახმარი აქვს გრ. ორბ. ლექსში „ტოლუბაში“ ე. კ-ს რედ. გვ. 128). 2. ლექსის ორი სტრიქონი, რომელიც ყოველი ხანის შემდეგ მეორდება. შეად. ღარცკალუსი (ილია ხმარობს „დოსტალული“). „რაც გინდა იყოს, ზემო აღნიშნული დოსტალული პირდაპირ გვანისნებს, რომ „ივერია“ სიფრთხილით და წინადახედულად

¹ ასეა. — რ. კ.

დასაზრული – დახეთქილი. (შაშარიდან – ნესტარიდან?)
 „ხელებდაშაშრული“. დაშაშვერა – ამბობენ, ხელები დამეშაშრაო.
 დაშაშრებული – მზისაგან ან მეტი მუშაობისაგან ხელ-პირის
 დაშაშვრა, ხერხივით გაუხდებათ ხოლმე.

დასტამირ – სახელია.

დასხოშ – ქების შესხმაა! ვაშა! გაამოს! ღვინის სმის დროს, როცა ჭიქას
 გამოსცლიან და ვერცხლის ქამარზე ცარიელ ჭიქას დაიხახუნებენ –
 გამოცლის ნიშნად – მაშინ მეორე ქებას შეასხამს: დაშხოშ, გენაცვა,
 დაშხოშ!.. „უცილებლად დასწერ მხატვრებზე, თეატრზე, კინოზე. – დაშხოშ, ჩემზე იყოს!“
 (ღონ ბზილიო, „საბჭ. ხელოვნ., 1933 წ., № 10).

↳ **დაჩაფაჩაფაშული** – ბებერი, დაჩაჩანაკებული, ჩამიჩად გამხდარი.

↳ **დაჩაწილი** – ჩოფური, ნაყვავილარი.

დაჩითული – ყალიბით დაბეჭდილი მხატვრობა. ამბობენ: კედლები სულ
 ვარაყით იყო დაჩითულიო! ან ეს სუფრა (ჭრელ ლურჯ-შეკლებულ სუფრაზედ
 ამბობენ) კარგად არის დაჩითულიო.

↳ **დაჩლახუნობს** – ფეხმოტეხილზე იტყვიან.

დაჩლეთილი – გადაყველეფილი.

დაჩოლფოტდა – დაუშნოვდა.

დაჩოჩანილი – უსწორმასწოროდ გათლილი.

დაცინცვლა – „თამრიკოს მშენიჯად შესწავლილი აქვს ყველა ხერხები იმ დაწესებულებაში,
 საიდანაც შეიძლება ორდერების მიღება და საერთოდ რაიმეს დაცინცვლა“ (ს. კლდ., „ჩემი
 ნაცნობი ქალიშვილი“, „ს. კომ.“, 1934 წ., № 280). „დაკვიწყდა ის ღოთი საფუნდუკში, –
 ბეწვის ჯუბა რომ დაცინცლა“ (აქმე. „კაპტნის ქალიშვილი“, თარგ. შ. დაღ., 1937 წ., გვ. 104).
დაცუნცვლებს – დადის.

დაფაფაპილი – დაბეგვილი. ჩაქურდარტყმული სხეულის ნაწილზე იტყვიან,
 რომლის შემდეგაც აბებრდება.

დაფანდა – დაიწმინდა, დასუფთავდა. დაწკნდექს – ე. ი. დაწმინდეს.

დაჭიანილი – საესე, დატენილი.

დახაშრვა – „ბოდიში, რომ გახუთის განყოფილებას ამას ვახაზრინებთ“ (აოვ., 1886 წ., № 62,
 გვ. 2). „არ ღირდა გახუთში ადგილი დაკვეხაურებინა“ (აოვ., 1886 წ., № 62, გვ. 4).

დახლი – 1. ფულების შესანახი უჯრა. 2. დახლი არის აგრეთვე შვემოსა-
 სავალი. ამბობენ: დღეს როგორი დახლი გქონდაო.

↳ **დახლიდარი** – 1. ნოქარი. – 2. ამ დახლის გამგე. 3. კასირი, მოლარე. „ოა,
 შენ დახლიდარის ეტლი ბედნიერებათ მიგაჩნია“ (გ. ქიქ. თარგ. ბალზაიის „შაგრენის ტყაუი“, გვ.
 62). „ერთ დღეს უელსის პრინცს წერილი მოუვიდა, რომელშიც ერთი ახალგაზრდა დახლიდარი
 აუწყებდა, გთხოვთ ქორწილში მეწვიოთ“ (აოვ., 1886 წ., № 35).

დახუნკლული – ბევრი ხილი რომ ესხმევა ხეს.

6. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

ღახურული ბაზარი — ეწოდებოდა სიონის ქუჩის ბოლოდან თათრის მოედნამდე, სადაც უმთავრესად ბაზაზები, ფართლეულობით მოვაჭრენი იყვნენ.

ღაჯა — ხის კლიშე, რომლითაც მატერიას ბეჭდავდნენ ინდოეთში, სპარსეთში და აქაც.

ღაჯაბრაბით — „შემდგომად იწყებდნენ ლხინსა და იქნებოდის პურობა, დიდი და სიუხვე სანოვაგეთა, სმა ღაჯაბრებით ჭაბუკთაგან ღვინისა“ (ფ. ციციშ, „ოგ.“, 1891 წ., № 122).

ღაჯალდა — დაჩაგრა. ჯალი (?).

ღაჯანდაბაბული — „ღაჯანდაბებულ მშვენიერ კახური ჯიშის კახს ადვილად ერევა ობი, ნაცარი“ („მოამბე“, 1896 წ., № VI, გვ. 138).

ღაჯანდაპაბული — „ტფილისში ზოგ მუტელს ისეთი გამხდარი და ღაჯანდაკებული ცხენები აყავს, რომ!!“ („ოგ.“, 1891 წ., № 130).

ღაჯაქდა — მორგევივით უშნო კაცზე იტყვიან. „ის, კინც ნევსკაობდა, ერთი მუჭა კაცი იყო, რაღაც ღაჯაქდა რამ ბაჯაქდან“ (გრ. ყიფშ. — მოქასანი, „ოგ.“, 1887 წ., № 218). „ჩვენმა ღაჯაქდამ კიდევ დაიწყო თევზის ჭერა“ (იქვე) ესევე სიტყვა — „ღაჯაქდა“ — არის „ხანუქაში“.

ღაჯანჯილი — „ორლოვის გუბერნიაში ვფხვი გაჩნდა, 10 კაცი დაუშავებია. ამ ათიდან სამი ისე იყო ღაჯანჯილი, რომ გარდაიცვალა. საკვირველია, რომ თითქმის მხოლოდ დედაკაცებს ეტანება. ერთი რაზმი ჯარი გაიგზავნა“ („ოგ.“, 1893 წ., № 171).

ღაჯლა — ჯალეგობა? „ქილილაში“ ასეა: „ნუთუ ეს წერილი ჯალეგობა რამე იყოს“ (გვ. 84 და 98).

ღაჯორჯაბული — „ვანკინმა ღაჯორჯებული სახე აათამაშა“ (აღ. სოლოღ, „ცნ. ფ.“ დამატ., 1903 წ., № 119).

ღაჯუჯაბვა — მოთელვა, მოსრესა, დაჩაგრა.

ღაჯანადიშ — პირდაპირი თარგმნა: კიდევ რა ესთქვა? ამ სიტყვას ყარაჩოღელები ხშირად ხმარობენ საუბრის დროს. „ოპ, ყაფლან... რა გითხრა ანგლიურის ჭკის ცხენის სიმშვენიერე... ლერწამი ფეხები, ვეება გავა, და-ანადიშ? მერწმუნე ყენსაც არ ყვირება ამის მზგავის ცხენი“ (წერილი გრ. ორბ, „მოამბე“, 1905 წ., № II, გვ. 13).

ღაჯიშა — „ფეიქარივით ქსოვს და დგომავს სხვადასხვა სოზურქ მუტყველებს“ (აკაკის პასუხი ზ. ჭიჭინ, „ბანკის გარემო“, „ოგ.“, 1886 წ., № 138).

ღაჯაბუღინად — 1. მთელი ოჯახობით, დიდიან-პატარიანად (იხ. თაინად). 2. ძირფესვიანათ.

ღაჯული — ცოლის ოჯახი.

ღაჯილო — უდრის „матушка“-ს (?).

ღაჯიშობილა — 1. ტიტველი, ტაბარუკა. 2. ტიტლიკანა, სულ მთლად შიშველი, ისე როგორც დედამ შობა.

ღაჯულიათი —

ღაჯირხანა — 1. ანუ დევანხანა. საკუთრივ: მეფის სამდივნოდ, სარჩევად

¹ ასეა. — რ. კ.

დანიშნული დარბაზი, დიდი, უზარმაზარი ადგილი. გამიგონია: მაგ დევარხანა
ოთახს მაგ ფასად მისცემენო... ეგ ოთახი ქალაქში რომ იყოს, ამდენი და
ამდენი ღირსო... ან „მოაჯახუნა დევარხანას კარები!“ 2. დიდი, უშნო
ფარღალალა. „თთი შენობა ქართული თეატრის რაღაც დევერხანა გამოღა“ (ი. გოგუბ,
„ივ“, 1904 წ., № 440 და 44). „თორემ იმ დევერხანა სახლში ოთხ ადამიანს სიცივით ამხრდებთ
სული“ (რ. ფაველენ, „მოამბე“, 1896 წ., № VI, გვ. 8). „გამოაჯახუნა დარბაზის დევერხანა კარები“
(ს. მგაღ., I ტ., გვ. 121). „თავადი ბარძიმი ბრგე და შედგმული ტანის იყო. ეს დევერხანა კაცი, როცა
შუბლსა და წარბს შეიჭმუნენდა...“ (ს. მგაღ., „ივ“, 1905 წ., № 116).

დუზათ — უცბად. „— მოიტა ფული! — ასე დუზათ ვინ რას მოძცმს?“ (რ. ფაველენ, „მოამბე“,
1896 წ., № IV, გვ. 77).

დუკოხტი — ერთგვარი წამალია, რომელსაც შინაური ექიმები შეაზავებენ
ხოლმე სპირტით და ნაირნაირ მცენარეულობით და რამოდენიმე თვის
შემდეგ, როცა კარგად დადუღდება, მაშინ მიიღებს ხოლმე ავადმყოფი. ეს
დუკოხტი წამხდარ სისხლს ასუფთავებს, შველის სისხლნაკლებს და
ასუქებს გამხდარ ადამიანსაო.

დულიბაში — გიჟებისთავი. „და მერმე ვსთხოვ დულიბაშსა, რომ ისიც გაამზავროსო
(„ღროება“, 1885 წ., № 157).

დულიმანდი — „მე მაშინ კარგი დულიმანდი ვიყავი“ (სურენ ხაბაზ ქაშარაძის ლექსები, 1900
წ., გვ. 21, 28).


დუმური — ჭონების იარაღია. სახელია ყვენისაც. „დუმურ ყვინი შიქრა, დაგლო
ხორასანიო, გაღმორა თელავი, თელავის მთა და ბარიო! იქ რომ კარავი დააგო, წითელის ლლის
ფერიო, შიგ დუმურ ყვინ შებრძანდა, რა ტურფა სანახავიო. წერა და წერა წიგნები, შვიდეცი,
შვიდი მხარიო: „ეს ქართლის ბატონს მიმართით, ამისი სიტყვა ჩქარიო; ან ქალი მოძცმს
რუსუდან, ან კაცი ამირანიო“. გაწყრა, გაჯავრდა რუსუდან, თავს გაიშალა თმანიო: — რომელი
გათათრებულა ბავრატინთა გუარიო?“ (ხალხ.).

დურიბი — ჭურჭელია ერთგვარი.

დურივიში — გლახა, მოგზაური, სასულიერო.

დურციკი — 1. თერძი. იყენენ კარგი ხელოსნებიც. ჩვენს უბანში ერთი
დურციკი იყო ტიგრანან სირეკანაშვილი. იმის შეკერილ ჩოხას თუ ახალუხს
ხელად იცნობდნენ, ისე კარგად ჰკერავდა. — მერე კუზი არ უშლიდა? —
ვეუბნები ერთ მოქალაქეს. — მუშტარს დააწვევდა და ისე აუღებდა ხოლმე
ზომას, კუზის გამო ვერ სწვდებოდა. 2. უფრო კი ყარაჩოდულ ჩოხა-
ახალუხის მკერვალი. „ტფილისის სახელოსნო გამგებობის განკარგულებით დაიკეტა ოცამდე
დურციკის ღუქანი“ („ივ“, 1891 წ., № 26. იხ. ვ. გუნ. პიესა: „რაც არ მერგება, არ შემერგება“).
აქ ბესო ამბობს: „ესლა, ბატონო, დურციკობა დამაწყებიანე“. „დურციკები შამაკოსა კაბებსა
და ძიქვებს თარგავდნენ“ (შ. ლაღ, „უბედური რუსი“, გვ. 214). „თელავში გამარცხეს ქოლკოვნიკად
ცნობილის კირაკოზოვის დურციკის ღუქანი“ („ივ“, 1889 წ., № 32).

დესატნიკი — 1 (Десятник). გოროდოვობივით იყენენ. ძველად ეს
დესეტნიკები ეგრეთწოდებულ „дядка“-ში იყენენ, ხელში თოფი ეჭირათ



და, ვინაიდან მაშინ „წესიერების დამცველებად“ ინვალიდები იყვნენ, მთელი დღეები უძინათ და ქალაქი უყურადღებოდ იყო დარჩენილი. გ. ჭალადიდელის სტენარშიც არის, გვ. 156 (ა. ცაგარა, ჩემი რულ. გვ. 170). ქუჩის დარაჯი იყო, წესრიგის დამცველი, მერეგოროდ. 2. Десятские. - До сих пор десятские не могут отыскивать - „ქნობაძლისინ დესეტნიკებს ვერ ეპოვნათ“ („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 38).

ღვრიტა - მონაგარი, სინოციერე, დედა.

ღიამც - „ღიამც, არა გვექონიაო“ (ე. ი. ვითომ). „ნაზარბაქაშვილი გოგია ბატონიშვილთან მოვიდა. მოახსენეს, ღიამც, მამაშენი არ გვეჯლის და დაგველუპაო“ („საქართ.“, 1918 წ., № 25).

ღიამც იყოს - (ილია „მაჭანკალი“, I). „მოდი, ქალაქო, ჩემთან, ხელი არვის აქვს შენთან, ხანთულ-საკმელი დეთის წინა, ავლადიდება ჩემ წინა, წაიქცა ფურცელი, ლექსებს გაუსკდა მუცელი, ღიამც იყოს: მთარე...“ („კრებ.“, 1873 წ., № 7, გვ. 24) **ღიამც იყოს!** **ღიამც იყოს!** - სიტყვის მასალაა, ვითომ **ღიამც იყოსო!**

✓ **ღობა** - 1. ოქრომკედლი ნაქარგი ფარჩა. 2. ოქრომკედლი ნაკერი ჩადრი.

ღიდბულა - („საქ. მოაზბე“, 1863 წ., № XII, გ. ჩიქოვ, სხარტულა).

ღიდრაჯული - „თავისი პენსით იწყო არა ღიდრაჯული, მაგრამ მყედრო ცხოვრება“ (ნ. ლომ. მოთხ., გვ. 282). არა აქვს დ. ჩ.-ს. მდიდარი რაჯა? „1903 წელს საფრანგეთში ყოფნის დროს გაკვირვებით ვათვალიერებდი ღიდრაჯულ შენობას“ (ელ. ჩერქეზ. მოგონებებიდან, ხელ). **ღ ი დ რ ა ჯ უ ლ ა დ** - „ღიდრაჯულად იცამდა, ე. ი. ღიდკაცურად, მდიდრულად, ზედმეტად გააძაბანჭულად“ (დიდირაჯა ინდოეთის მთავარია?) („ტომ სოიერის თავგადასავალი“, 1935 წ., გვ. 209). **ღ ი დ რ ა ჯ ო ბ ა** - 1. ღიდკაცურად ცხოვრება. „პუშკინს მამისაგან გამოყვა... ღიდრაჯობის სიყვარული, მაღალ საზოგადოებაში ტრიალის მოუკლელი წყურვილი“ (გრ. ყოფმ., თხზ. ა. ს. პუშკინისა, 1899 წ., გვ. 81). 2. ღიდკაცობა. „გვიორგი, ბუნებითვე თავისი თავის მპარშიყე, ძლიერ კონტაობდა, ღიდრაჯობდა“ (რ. ფაველენ, „მოაზბე“, 1895 წ., XI, გვ. 48).

ღიჰანა (ანუ **ღელი**) - გიჟი, გადარეული.

ღიჰანო - მუსიკალური ჰანგია აღმოსაელებთურ ლექსებში. ღიჰანს ეძახიან აგრეთვე მოსულელო ადამიანს, რომელიც მუსულმანებს წმინდანად მიაჩნიათ. სპარსულად ჰანგის სახელია.

ღილახანა -

ღილახანო - 1. მოენე. „ღორის მელიქოვის დასაფლავებაზე კაკავიდან დასწრება ბუკოვი, მ. ყოფიანი, ე. ი. ლტივი (მიცულუბლის ნაშახური ღილახანო)“. მგონი მთარგმნელს უნდა ნიშნავდეს („კვ.“, 1889 წ., № 19). 2. თარჯიმანი.

ღილიღო - გახარების ნიშნად. გლეხთა შეძახილი (ჩვენს უბანში მეპანტე გლეხებისაგან განაგონი). „ღილიღო! - ღიამაზა გახარებულმა ნიკა და შემოაროწი-აღლა ცლის ფეხით“ (რ. ფაველენ, „მოაზბე“, 1896 წ., № VI, გვ. 14).

ღილხორი - დილხორში, ინტერესი, ნიაზი. ამბობენ: ამა და ამ ადამიანმა დილხორში ჩამაგდოვო, ვითომ დამაინტერესაო.

ღიმიკიტონი - 1. მატერია. „ღიმიკიტონის ანაფორის კალთები აქეთ-იქით ჰქონდა

ჩაშვებული" (მელან, „ხნელო“, 1891 წ., გვ. 6). 2. ერთგვარი სქელი ქსოვილია, რომელსაც უფრო საცვლებისათვის ხმარობენ. დ ი მ ი კ ი ტ ო ნ ი ს კ ე რ ა ნ გ ი - (ლ. არღაზ., 1936 წ., გვ. 157).

✓ დიპლიპიტო - 1. საკრავი (ნალარა). ტყავგადაფარებული ორი ქილა, ან ილეკროთაგანი, იმგვარივე დაფდაფის მსგავსი, მხოლოდ დაფდაფი ქილაა. ორ გადაბმულ პატარა ქილაკებზე გადაკრულია ერთგვარი ბუშტი, რომელზედაც უკრავენ ორი ჩხირით. „თითებით უკრავდა მუხლებზე თითქოს დიპლიპიტოს“ (ლ. არღაზ., 1936 წ., გვ. 141). 2. საზანდრების ნალარა. დიპლიპიტო შესდგება ორი ქილისაგან, რომელსაც წოწოლა ძირები აქვს. განიერ ზედაპირებზე გადაკრულია თხის ტყავი. დიპლიპიტოზე ორივე ხელით უკრავენ თითის სისხო ჩხირებით (ჩალიკით). ბოლო დროს დიპლიპიტოს ზარიც მიუმატეს.

დირადი - საჭე.

დლაყვი - საქონლის ბარძაყი. არჩილ ჯ-შვილი ხმარობს: „ე, შენი მშენიერი დისწული რომ გატრუყებულ დლაყვებს ერკმალსავით დაატუნებულებდა, მამ როგორ გვიან?“ (ა. ჯაჯან, „მნათ.“, 1934 წ., № 1-2, გვ. 113).

დნბრა - წარმოსადეგი, ჩასხმული, ჯმუხნი, მკერივი, ჭარმაგი, ბრგე.

დოგა-დოგა - 1. გულდაგულ, პირდაპირ, ერთმანეთთან მუშტის დარტყმით მისვლა. 2. დაჟინებით აბეზარი მოთხოვნა, ოფიციალური მოთხოვნა. „დოგა-დოგა დამადგა, გინდა თუ არა მომეციო“. „ჩითხოვის ფაბრიკას ჩვენი უმადური თვითმმართველობა დასდგომა დოგა-დოგა და ხარჯს აწერს“ („თეატრი“, 1889 წ., № 1, გვ. 14). „დოგა-დოგა დამადგები“. 3. სწრაფ-სწრაფად, ჩქარ-ჩქარა.

დოგუში - 1. ჩხუბი და ომი (უფრო კრივი). „ასინის ბოლოს ავიდა, იქ მტერი დეხნალო, იქა ქნეს დიდი დოგუში, დელიბაშს უყვეს ძალო“ (ლექსიდან „ერეკლე ხანზე“, „ივ.“, 1894 წ., № 16). 2. ცემა-ტყეპა, 3. კრივი. „მე კი უთხარი: ვე რა არის, აქ კოსრომაყ ვიცით ცემა, მუტელშია და მერე დოგუშსაც გაჰმართავთ, ყველგან დაუშენთ მუშტებს“ („ივ.“, 1894 წ., № 32, გვ. 3, მე-4 სვეტი).

✓ დოღინა - დაბდურა, უშნო, ნელ-ნაბიჯიანი.

დოვლათი - სიმდიდრე.

დოვლათხუში - ბედოვლათი, მფლანგველი. „შენც შენც, დოვლათეჟმ შენმა თავის მზემ, დააკლი!“ (გ. ბაშინჯ, „ხირიებული მასინძელი“, „სახ. საქმე“, 1920 წ., № 1009).

თაღათი — სოფელ თელეთის ტაძრის დღეობა (ღ. ისარლოვის რუსული წიგნი, გვ. 89). იხ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ორი წიგნი, ერთი რუსული, მეორე ქართული, ორივე მაქვს (საქ. შუხ. მოამბე 1922 წ., № 1, გვ. 88). ლ. მელიქსეთ-ბეგისთვის...¹ „მე წაუღ და აღთქმაც მაქვს, მოვილოცე თელეთსო; თუ ღმერთს უნდა, ჩაგიგდებს ხელში ზღვა და ხმელეთსო“ (აკაკი, „აჭარული ჭკუა“). „თელეთის მადღმა“ (ი. გედევანი, „მსხვერპლი“; ილია, „ოთარანთ ქერივი“).²

თაღათობა —

✓ **თაჯირი** — შირმა.

თაჯლისი — სპარსულად ჰანგის სახელია. ენათმეცნიერების ტერმინოლოგიაში არ არის ახსნილი.

„თვალიდან წაფრფრე აიღიან“ — აქ ისეთი ხალხია, რომ არაფერს შეგარჩენენ, ადამიანს თვალიდან წამწამს აცლიან.

თვალი მარილი — კიტრის წასასმელი მარილი. „პატარადა: ვამე, ჩემო ქისო, ფერად ნარინჯისო, შიგ ნაღებო საქონელო, ფასო ხველეთისო. მასუხი: ვამე, ჩემო ქისო, ფერად ნარინჯისო, შიგ ნაღებო საქონელო, კვნიტი მარლისო“.

თია — ავადმყოფობაა ერთგვარი. გაუქარებელი კორძი. გამიგონია დედაკაცებისაგან: „უი ქის, ნეტავი ჩემს თიებს რაღა!“.. მე მგონი მთებიდან. იხ. „ხანუმა“, გვ.

¹ ასეა. — რ. კ.

19 (ჩემი გამოც.) „უი, შენ თიხბა“ (წყევლა) „შენ თასა ღიად, საკუთარი ოთახი გნებას!“ (პოემაზე, 1896 წ., № 1, გვ. 59).

თიანხვარუხი — 1. ბავშვის დასაძინებელი წამალი თრიაქიდან წარმოებული. 2. ანჩხლი ბავშვის დასაწყნარებელი წამალი. ეკ. გაბაშვილი ასე განმარტავს: „თიანხვარუხი სპარსეთში მომზადებული ხაშხაშია, ბანგივით ათრობს და მტირალ ბავშვებს იმითი აჩუშებენ უმეცარი მშობლები და ბევრჯერ საშუალოდ ამახინჯებენ ბავშვებს“ („ჯეჯილი“, 1910 წ., №1, გვ. 42. მოთხრობა „საწყალი ნონია“). 3. წამალია ერთგვარი, მუცლის ტკივილისა და უფრო კი ანჩხლი ბავშვების დასაძინებელი. თრიაქი.

თიანხი — ჩემის აზრით, უნდა ვიგულისხმოდ მთიები. „მთიები არის შის სხვი, განთადის ვარსკვლავი, და აგრეთვე უმამათა მთავარი, რომელიც წმინდანებში ირიცხება. აი, სახს განმარტავს...“¹ (გვ. 184).

თივთიანი — 1. აქლემის ან თხის ღინღლიდან გაკეთებული (გ. წერეთ. „ჯიბრი“, გვ. 72). 2. აქლემის ბალანი. საბას — თხისური. 3. თივთიანის საბანი.

თითარამად იძა — ლუკმა-ლუკმა, ნაკუწ-ნაკუწად.

თითილბაზი — 1. ცბიერი, ფარისცველი, პირმოთნე. ეს სიტყვა მწერლობაშიც გვხვდება. ცნობილ მთარგმნელს ივ. მაჭავარიანს აქვს ეს სიტყვა ნახმარი. „კარზე ხალხისთვის თითილბაზია, სახლში ცოლისთვის ცეცხლი და ნათი“ (ებრაელების გამოთქმა ექ. ტერტროვის ჩაწერა). 2. ნახმარი აქვს გრ. ფრონისპირელს თარგმანში გოლდონის „ორი ბატონის მსახური“ (ზელ.). 3. თურქები Бродяга-ს თითილბაზს უწოდებენ. თითილბაზი — აქვე იყენენ პატიოსანი მოლაყებნი და უსინდისო ყბედები... „თალითები, ოინაზები, თითილბაზები, ყოპარაზები და სხვა ამგვარი იდეოლოგიური გარემოცვა“ (კ. ალასიძე, მიხ. საყვარელიძის ფსევდ., „კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 103). „გვ მითხარ, მარიკოჯან, ლიფსიმეს იმ ცბიერ, იმ თითილბაზ ლიფსიმეს მოუხდენია“ (ღ. არღაზ. მოთხრობები, პ. კეშელავას რედ. 1936 წ., გვ. 210). 4. მლიქვნელი, ლაქუცა, ტრელი („ქილილა და დამანიდან“). იხ. საანდაზო ლექსები გვ. 137. 5. ცბიერი, ქლესა, გაუტანელი, ძალეაღაკი (იმერ.). ხალხ. ლექსი ამბობს: გაყო, ღედის ერთაო, მინდორთ გაზდილო, ვლათო, ოქროს შიბას ნაგლეჯო, წამოსარტყმელო წელთაო, მარსკვლო შარავნდედო, ქრისტეს ნაჭერო ზელთაო, ნუ ჰფილაფოზობ (ფილოსოფოსობ) ენითა ყელზე ნუ მახვეუ გველთაო (აკვალი“, 1893, № 12, გვ. 8). „შენ გგონია, შენ უყვარხარ, როცა შენთან ვერე ნახობს? თითილბაზობს, თითილბაზობს“ (ი. გრიშ). 6. პირფერი-ტრელი, პირშიმქებელი. თითილბაზობა//თინთლიბაზობა — 1. თვალთმაქცობა, მლიქვნელობა, ფლიდობა, ქლესაობა, ორპირობა, ფარისეველობა, მოლაობა. „შვილებმა შამებს ვადაჭარბეს ენით თითილბაზობაში“ (სოქ., 1888 წ., № 174, გვ. 3). 2. პირმოთნეობა ანუ თინთლიბაზობა (ძირი ამ სიტყვისა მოთინთველიდან). „შაგარამ რაკი ნახეს, რომ იმათმა ფლიდობამ და თინთლიბაზობამ ვერ გასჭრა — უფრო საზიზღარ და შემაძრწუნებელ საღსარს მიმართეს“ (ივ. მაჭავ. „გლეხიკაცის ისტორია“, 1913 წ., გვ. 622). „ვინ შუტ თინთლიბაზობას და პირმოთნეობას გაუწევდა“ და სხუ. (იქვე, გვ. 312). „რამდენად ხალხის მოწინააღმდეგენ თინთლიბაზობენ, სულ სხვას ფიქრობდნენ და სხვას ამბობდნენ, იმდენად გულმართალნი არიან პატრიოტები“ (იქვე, გვ. 324). „მასანძელმა არ გაუშვა, ზაი

¹ ასეა. — რ. კ.

დაავდო, არ დააკერა (აღ. ორბ., გვ. 160) „იქნება კნ. კატომ ჩემი უარი რუსულ „ატკანდ“ მიიღოს“ (დ. ერისთ. კერძო წერ. კ. რ. ერისთავისადმი).

თოთო — „რომელიც თოთო-თოთოდ არის, ის უნდა ამოარჩიო“ (აჭური თქმა).

თოზარი — ანუ არაბ. თუშარ-ალრიცხვა, წერილი, გრძლად ნაწერი ქალაღლი დახვეული.

თოში — ბალახია, რომელსაც გამხმარს თუ ფეხებზე შემოიწყობთ და მერე წინდას ჩაიცვამ — ღუმელივით გექნება მთელი ტანი (სვანეთშიც მოდის).

თორბა — სპარ. ტომარა — თოფრა, რომლითაც ქერს აჭმევენ ვირს, ცხენს და სხვ. ანდაზა: ვირის თორბა სტამბოლს წაიღეს, ატარეს, ატარეს და ისევ ვირის თორბად მოიტანესო.

თორი — „დაიქირავ თამბაქოს საკრუფად, თორებზე ასსხმელად და დასდასტებლად“ (მულან, „ნაგარდობა“, „მოაბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 35).

თოში — 1. ანუ ერთი შეკერა. ამ სიტყვას ხმარობენ ბაზაზი ეაჭრები. ერთ თოფში არის 30 ადლიდან 60 ადლამდე ფართალი. 2. ბაზაზების ტერმინი: ერთი შეკერა ფართალი. „იმ წამსვე რამდენიმე თოფი ფარა გადმოწყო“ (ნ. ავად. თარგ „თავადის ქალი“, 1896 წ., გვ. 172). 3. Кусок (ბაზაზების ტერმინი).

თოშის ღუმა — ღუგლუგი, прикладка.

თოში ჩითი — ერთი დასტა ჩითი, რომელშიაც 20 ალაბია (ე. ი. 20 არშინი).

✓ თოშხანა — საჯაბადრო, ჯაბახანა. თოფი სპარსულად ზ ა რ ბ ა ზ ა ნ ს ნიშნავს.

თოშა — 1. მკვიდრი, მაგარი, მძიმე. ამბობენ: ეს ბეჭედი ნამდვილი თოქმააო ან ეს ქაფქირი თოქმად არის ჩამოსხმულ-გაკეთებულიო. 2. არა აქვს საბას, არც დ. ჩ-ს. 3. თ. სახოკია ე. ბარნოვის „ფერად-ფერადში“ ასე ხსნის „თოქა მსხვილი ნაზონიის მსგავსაო“ (გვ. 515). 4. ჩასხმული. „ამაჩემი ერთი თოქმა კაცი იყო“ (მაკო საფაროვ-აბაშიძე).

✓ თოშაჩი — 1. თითბრის ნივთების ჩამომსხმელი. ეს სიტყვა დ. ჩ-ს შეცდომით აქვს. 2. იხ. აგრეთვე საბას „სიბრძნე-სიცრუისა“ 3. თითბრის მკვერავი, ჩამომსხმელი. Чеканщик. 4. Литейчик. ყალიბის მიმცემი ჭურჭლეულის [...]¹ მხოლოდ თითბრისაგან. „თოქმაჩი თავის სახელოსნოში დახატული ჰყავს მოხე თოიბეს“ („ნ. ფურც“, სურ. დამატ. 1902 წ., № 51). ა. ცვაარელი ასე ხსნის: თოქმაჩი — слесарь, кузнец. („Книга пурდოსტი ი ღო“, 1878 წ., გვ. 204). 5. საკუთ. ჩამომსხმელი თოქ-ჩამოასხი. 6. სპილენძეულის ხელოსანი, მხოლოდ მექვაბე კი არა.

თოშო — სახედრის დასაყენებელი.

თოდ — დაე, „თუ მართლა შაქრო არ მომკვდარიყოს, კატუა იმას შართოთ. თოდ შვილები ქართულად მონათლონ, ყამი არ არის“ (საიდანაც ეს ამოწვერე, ის წიგნი ძალიან ღუფექტურა და არც ავტორის ვინაობა სჩანს).

¹ ასეა. — რ. კ. -

თოშო — იხ. თოქში. „მენახშირე ვირზე ზის და თოშეს ჰყვირის“ (აღ. ცაგარ, „ღროება“, 1867 წ., № 20).

თოხანი — იხ. გ. ერისთ., „თხზ.“, 1926., გვ. 366. „უნდა კოჭი აღჩე დაჯდეს; თუ არ დაჯდა თოხანზე, გაუხურეტ და ტყუას ჩავსახამ“ (გ. ერისთ., თხზ., შ. რად. დ. ი. ბაღასამ, რედ., 1936 წ., გვ. 366).

თოხლი — იმერეთში „ვითოხლავეთ“, ე. ი. ჩავხუთქეთ, გაეტყვირით. 1. თოხლი — „წლის ცხვარი“ (დ. ჩ.). 2. საბა — „თოხლი — ბუწი“. 3. თოხლუა — ჩვენში მეტი სახელია. 4. იხ. ლექსიკონი — ლეონიძე.

თოხაახი — ხის ჩაქუჩი, ზორბლის დასანაყი, ან ხის ჩაქუჩი ქვაფენილის დასაგებად.

თოხუმი — ჯიში, ტამაზლუნი, ხვასტაგი, მშრომელი, თესლი, კვერცხი. ამბობენ: გეტყობა, რა თოხუმიცა ხარო! „ძველ ინდოეთში ხალხი რამოდენიმე ნაწილად, კლასად ან თოხუმიად იყო გაყოფილი“ (აივ., 1906 წ., № 3).

თრია — ციყვი (გურულად).

თრიაძი — მათრობელა სასმელი; ბანგი. „ღამაძინე, თრიაძი გაქვს, ბანგი გაქვს“ (საათნ.).

თრიმლი — დაბდები ტყავის გასაუმჯობესებლად თრიმლს ხმარობენ. თრიმლი ერთგვარი ხის ქერქია, რომელსაც ფქვავენ.

თრინჯული — 1. არეულ-ღარეული, შერყენილი. „აქ ხშირად შეხვდება მკითხველს: ელემენტებიც, აბსოლიუტურიც, მოტივებიც და სხვ. ვაი, საბრალო ქართული ენაჲ ახლა, რომ აიხედოს ერთ-ერთმა ჩვენმა მიძინებულმა წინაარმა და ამ ახალს თრინჯულს ენას თვალი გაუღოს, მოგიწონებდა?“ („ცისკ.“, 1868 წ., № 11, ნომბ., გვ. 119). „რალა თრინჯული ენით ღაპარაკობენ“ (ი. გრიშ, „ესეც შენი ქართული“, 1933 წ.). „ბასტილის მოედანზედ მივიდა ერთს კაცთან, რომელსაც თრინჯული ქელი ეხურა და ხელში კეტი ეჭირა“ (ივ., 1889 წ., № 23, გვ. 4). „თრინჯული ენით რას მელაპარაკები, გასაგებად ილაპარაკე“. 2. „თრინჯული ხალხი“, „თრინჯული ენა“, არეულ-ღარეული. ამბობენ: ის კაცი რაღაცნაირია — თრინჯული ხასიათებისააო. ამბობენ კიდევ: ეს კაცი თრინჯულ ენაზე ღაპარაკობსო. 3. უცხოური, გაუგებარი. „ოპერა იყო იტალიანურს ენაზედ, ე. ი. თრინჯულ ენაზე“ (მ. თუშან, თხზ. 1881 წ.). „რა საჭირო გახლავს ქართული თეატრი მაშინ, როდესაც რომ არის რუსული და ამასთანვე ოპერა იტალიანურს ენაზედ, ე. ი. თრინჯულს ენაზედ“ (მოლაყბე, „ცისკ.“, 1857 წ., № 12, გვ. 58).

თროპიალი — თრევა.

თუთი — ერთგვარი ფრინველია ინდოეთისა, თუთიყუში, ზორაყი.

თუთუბო — თათრ. Сумах (барбарис). („ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 23).

თულო — თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი.

თულუშთან — პატარა გუდა-ტიკტორა („ბოჭქემა“).

თულუხი — 1. საყა ანუ ტყავით წყლის მომტანი. მერწყული. თულუხჩების შესახებ კარგი მასალაა (Записки технического, ტ. X, გვ. 231). 2. „ოკის მსგავსი სპილენძის ჭურჭელია. მთიულეშიაჲ ხმარობენ“ (შ. არაგვ, „არჩ. ნაწ.“, 1927 წ., გვ. 42). თულუხით (ე. ი. ტყავით) წყლის ზიდვა. ტფ. ქალაქის გამგეობის სხდომაზე

1878 წ. 13 იანვარს იყო საკითხი იმის შესახებ, რომ თულუხი ბორჩელებზე შეცვლილიყო, ვინაიდან ბორჩაში წყალი უფრო სუფთად ინახებოდა და გადამდები სენისაგან დაზღვეულია (Запись К.О.И.Р. техн. общества, ტ. X, 1878 წ. გვ. 231). „თულუხი გადაიკიდა, წავიდა წინდის ქსოვითა“. (ბაჩ. ლექსები და პოემები, 1938 წ. გვ. 542). „...იმას მივატენენ // კიდევ რამდენიმე დღეა ცი: ზოგი ტაგანბით, ზოგიც თულუხებით“ (ა. ყაზბ. „შამის მკვლელო“, „სტ. ფურც.“ პრეზია, გვ. 225).

თულუხანი – 1. თულუხნი საზოგადოდ წყლის დამტარებელს ნიშნავს. ეს სიტყვა წარმოსდგება თულუხიდან: თულუხი – ტყავის ტომარა; ძველად ტფილისში წყალსადენი არ იყო, წყალს პირდაპირ მტკვრიდან იღებდნენ და კამერის ტყავიდან გაკეთებულ რუმბებით ეზიდებოდნენ ოჯახებში. 1893 წ. ქალაქის თვითმართველობამ თულუხი „ბორჩეებით“ შესცვალა. 2. მეწყლე.

თუნები – სპილენძის დოქი. (ჭურჭელი).

თუნია – მეტი სახელია კაცისა ჩვენში.

თუნეში – სპილენძის სურა. საღვინე.

თურაჯი – ერთგვარი ჯიშის ნესვი.

თურიწი – იხ. საბას „მოგზაურობა“ („ცისკა“, 1852 წ., № 1, გვ. 9 და 16, მეორე განყ.).

თურღვი –

თუხუხი ანუ თუხუხი – პირდაპირ თარგმანი სპარსულიდან: ახალგაზრდა, უწყვერულვამო, უბალნო, უბეწვო. „თედო ჟორდანა გ. წერეთლის მასხად თავის წერილს მშენიერის სიტყვით (თუქსუზი) ამკობს“ (ა. უშიკ, „ხალხ. სიტყვ. გვ. XXIX). იხ. ჩემი „ტრიოლეტი“ – „მამ ჩემი ლექსი შენ გგონია“. „მურხაყანა იცნო ხანჯლის მომტანი, გაუღიმა და მადლობა გადაუხადა. ეს იყო თურქუსა კანდელაკი“ (ა. ჩხიკ. „მნათ.“, 1936 წ., № 1, გვ. 58).

თუხუხი – (სოფელია კახეთში). 1. ხორნაბუჯი, 2. თუქურმიშა, 3. (თამარის წყარო) დედოფლის წყარო, წითელი წყარო.

თუ ღვართი მჟვალობს, ხატი რას დამაქლავს! –

თულუხი –

თუხალი – სურსათის მიმცემი, მოხელე, კომისიონერი.

თუხალანბი – 1. ფლაგ-საწური. 2. ბრინჯის საწურავი (აქვს დ. ჩ-ს).

თუხთუხი – 1. ჩუხჩუხი, უფრო კერძზე იტყვიან, „ლობიოს კოკობის თუხთუხი“. 2. კერძის ქოთნის ადუღება. 3. თუხთუხი – ძალად ადუღებულზე იტყვიან, ჩუხჩუხი-ბუნებრივზე. მაგ., „თუხთუხებს სამოვარი“. 4. დუღილის ხმაურობა. 5. წყალი რომ კარგად ადუღდება.

თუხუხი – ხარებს რომ მეურმე შესძახებს.

თხლაზა-თხლუხი – „...მეორე კიდევ მივარდებოდა მაწვნის ქილას ან სხვა რამ სანოვაგეს და გაქონდათ თქლაზა-თქლუხი“ (რ. ფაულენ, „მოამბე“, 1896 წ., №1 გვ. 48).

თხლაშანი – „გამოივლის ერთი ვინმე და საწყვალ მუშას თხლაშანს გაადენს, თუ ჰკითხავენ“ – „რათა სცემო“ – გიპასუხებს: „მეჩუქება და კცემო“ (სოე, 1887 წ., № 133).

იამა - 1. ხუმარა, მოსწრებული სიტყვის პატრონი. 2. ოხუნჯი. 3. ხუმრობა (?) „იავა ვინმეა“.

იამარდ - ამბობენ: იაეარდ გამხადაო. ვითომ დამაწერილმანა, გამფლანგ-გამაუბედურაო.

იამობა - ლაი-ლაი.

იათა - ტყის ბალახია.

იათალი - იათალი კქენიო, ე. ი. გამოვიძინეო (იხ. „საქ. სოქველენი“, 1899 წ. სულ ბოლო სტრ.).

იაი - უფრო სწორედ იაი. ჭიანურის დასაკრავი. ზოგნი ქ ა მ ა ნ ა ს უწოდებენ.

იალაღი - 1. მთიანი ადგილების ალპიური საძოვრები, სადაც გაზაფხულობით და ზაფხულობით საქონელი იკვებება; ხოლო დაბლობ ვაკეებს და დაბალ მთა-ვაკეების საზამთრო საძოვრებს - კიშლადი ეწოდება (ვ. კაკაბ. „შინაძრეწვეობა“, 1926 წ. გვ. 116). ქალაქში იალაღს ლაილაღს უწოდებენ. 2. ცხერის ფარეხი, შემოღობილი ან შემოუღობელი, დახურული. პატრონი აქირაჯებს ფარის პატრონზე ზამთარში ცხერის შესაფარებლად. თავისუფალი ადგილი. ფართე და გაშლილი. ხალვათი საძოვარი.

იალღუზი - „მამაშენი თვედორე იალღუზის ოქროებს გამოგიგზავნის საიქიოდგან“ (რ. ერისთ., „თვ.“, 1880 წ., № IV, გვ. 56).

იალღა - „იალღა მუში სუფარაჲტ“ (იხ. საათნოვა). „როდესაც ქალი გახდა თოთხმეტი წლისა, მაშინ აბა იალღა, დატანეს ძალა ტანისმოსსა“ („ცისკ“, 1864 წ. აგვ. №-რო, გვ. 35).

იალქანო - პატარძლის ჯერისსაწერი გვირგვინი.

იამანო - 1. ჭირი. 2. იამანი არის აგრეთვე რომელიღაც ლითონის სახელი, რომელსაც ა ყ ი ყ ს უწოდებენ. ამბობენ: ესა და ეს ნაჭერი იამანზედ მოჭრილიაო. 3. საბეწური, ძუძუს ჯირკვლის აუადობა. ღმერთო მაშორე! ღმერთო დამიხსენ! - ამბობენ ხელის ჩაქნევით - იამან, დაღუპილი ვარო!..

იანა-იანა. 1. გარე-გარე, ობლად, მარტო. „დავიფარ იანა-იანა, გულს მიბეჯენა დანა“ (ქალაქ. სოღერა). 2. კარდაკარ, აეარასავით სიარული.

იანგნო - ხილს ან ლემს როცა ბეგრი მწერი დაეხვევა.

როსტომის საღვამო ოთახი, იღვა ქუჩაზე და გაყოფილი იყო იაქათილით ორ ოთახად" (ლ. არღაზ, პ. კეშელ. რედ., 1936 წ. გვ. 103).

იალლიში//იანლიში – შეცდომა. ამ სიტყვას, წარმოიდგინეთ, იმერეთშიც შეხვდებით. „სწორი ანგარიშია, მაგრამ ერთი „იალლიში“ მოსდით“ (პ. საყვარ., „კომ“, 1929 წ. 11 აგვისტო). „თუ თევზის საყიდლად მოსულხარ, იაღლიში ხარ“ („აქაო“, გვ. 71). ამ სათაურით ლევენდაც არსებობს: „იაღლიში ღებულებსა და სვანებს შუა“ (ს. ღებში ჩაწ., გაზ „კოზნიბა“, 1911 წ., № 189). „ – მე ის მანუხებს, მაღლობა რაღად გადაუხადე. – პო, მაგამი კი ძლიან იაღლიშათა ხარ!“ (შელან, „საქართ“, 1918 წ., № 222). „გითხარით ასე: „ისედაც დაღლის, რომლისთვის მუდამ წამება ყვავის, გთხოვთ მაპატიოთ ეს იაღლიში და სამუდამოთ გაჩუქებთ ყვაუილს“. (ვ. გაბესკ. „მნათ“, 1935 წ., № 3, გვ. 52). ეს სიტყვა ხალხურ ლექსშიც ყოფილა – „იაღლიში ღებულებსა და სვანებს შუა“ (აკ. შან. ბიბლიოგრაფია, „Христианский Восток“, 1913 წ., ტ. II, გვ. 261). „იაღლიშათა ვარ“ (გ. დარისა. „ხიდექვეშ“, III მოქ.) უნივერსიტ. გამოცემა, გვ. 489) იხ. ლექსიკონი (ანუ იანღლიში).

იაღლო – 1. ფურცლადი ქადა (იხ. „ყველიერი“). „ქაღების მაგივრად ბღინები შემოუღიათ. იაღლო ადარავის ახსოვს“ (სა. ჩიტორელიძე, „ივ“, 1889 წ., № 85). 2. ფენიანი ქადა. „თუნდაც ნიკო ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი ახალციხელი ვარლამოვი და მისი გემრიელი იაღლოები“ (ღ. შენგ., „სიტყვა და საქმე“, 1934 წ., № 4, გვ. 4; რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 27). 3. ქადასაკით, ანუ ნაზუქივით შეზავებული ტკბილი პური. „ამ სახლს შორიდან რომ შეხედოს კაცმა, მარტო სახლის ბანებს დაინახავს, ერთიერთმანეთზე ჩარიგებულს, მზგაკსად თითქოს ერთი საცხე თეფში ბღინები არ იაღლეები იყოსო“ (გოგოლი, თარგ. გ. ჩიქოვანა, „პარეზ“, 1871 წ., № 11, გვ. 88). ანპატელოვის სამზარეულო, გვ. 122.

იაღლო – სლაიონი.

იაღლოში – ხალასი ოქრო, შეურეველი, უბეჭედო (უპრობო) პრობ-სინჯი. ბაჯაღლოზე თავანკარა. ამაზედ მაღალი ოქრო არ შეიძლებაო – ამინსნეს ოქრომჭედლებმა.

იაჟთი – 1. წითელი ქვა, იაგუნდი. 2. აშულური ჰანგი.

იაჟთი –

იაზა – 1. საკინძე. 2. საყელო. თუ დაიკარგა რამე, ამბობენ: შენ წადი, მეეზოვეს იაზა ჩაიჭიო. ჩხუბის დროსაც ამბობენ: ჩემს იაზას ნუ იჭერო და სხე.

იაზნი – საჭმელია.

იაზო – (აკაგარ, „მნათ“, 1937 წ., № 5, გვ. 41). 1. წელის ტკივილის დროს გაფიხულ ტილოს სხვადასხვა წამლებით შეზავებულს შემოიკრავენ წელზე. „აღვექ და ქე მიველი, მოუტანე კარკი იაზო“. (ჭართ. შამაღანთა სახალხო ლექსები, 1891 წ., გვ. 71). იაზნი აქ მაღამოღაა ნაგულისხმევი. 2. ფისით, დანამასტაკით, ობოლი (ფხვიერი,

წერილი) საკმევლით, გუნდათი და სხვა წამლებ-მცენარეულობით შეზავებული. ამ იახოს გაჰხსნიან ტილოზე და შემოაკრავენ ავადმყოფს ნატყენ წელზე ან ნალრძობ-გატყენილ ფეხზე. ერთი ყარაჩოღლის გამოთქმა: „აღარ მომეშვა, აღარ მომეშვა, იახოსაით აშკრა რაღა“.

იახტანი - 1. მოზრდილი სკივრი ხელით ნაქარგ-ნაკვეთი. 2. ხურჯინი. **იაჯის ნახვი** - ყვითელკანიანი ნესვი, ძალიან ტყბილია, კანი არა აქვს სუფთა, ხორკლებიანია და პატარა ხაზებიანი.

იზრეული - ახელანჯული, უკულმა. ამბობენ: რატო ვგრე იზრეულად მელაპარაკები, სთქვი რაღა ქრისტიანულ ენაზე, რომ გავიგოვო. ვითომ რა გაუგებრად და არეულად ლაპარაკობო.

იზრეული - დაცინებით სიტყვის მასალაა.

ივითი//ივითბაში - 1. საკუთრივ: ყოჩაღების თავი. ივითბაში ამქრის გამგეობაში მდივნის თანამდებობას ასრულებდა. 2. მამაკაცების უფროსი. ივითბაში რომელიმე ჰამქრის უსტაბაში გზირია. თუ ვინმე გარდაიცვალა, მაშინ ამ ივითბაში ჰგზავნიან, რომ ჰოქუცზე (პანაშვიდზე) დაესწრონ ჰამქრის წვერები. „უსტაბას გუშარჯოს, ვადღვრქელთ თსითა, ჰამქარს და ჰასაფლოს თავის ივითბაშით“. („ცისკ.", 1867 წ. და კრებ. „ციციანთელა“, 1885 წ. გვ. 11). „ყიზითაღა შამბაშოღლი ივითბა მუტისმუტი“ (წიგ. „ქართველ მამბაღანთა სახაზხო ლექსები“, 1891 წ. გვ. 3). „ეს ივითობა რომ ქენი, ყირაღს გუგზავნე ეღრი“ (იქვე გვ. 7).

იუზდი - (ანუ იაზღ) ქალაქია სპარსეთში, საიდანაც საუკეთესო ხარისხის აბრეშუმეული მოდიოდა.

იეთარა - ძველი სახელია ქალისა.

იელი - 1. შხამიანი ბალახი. 2. მათრობელა მცენარეა, ცხვარს აბრეშებს, თუ მოეჭარბება, კიდევც ჰკლავს. ამაზე ანდაზაც არის: თხამ ჰჰამა იელი, შინმოვიდა მშერი.

ივასპახა - იდარდა („უეხ“), იოზრა.

იუპახა - იეღინთება. ამბობენ: ისეთი მიწაა, რომ პატარა წვიმაც რომ მოვიდეს, იხეპება და ვეღარ გავივლია ადამიანსო.

იუშირი - ხის საკვეთელ-საქანდაკო იარაღი.

ითაფა - კედელი რომ ჩამოინგრევა ან გალესილი გავი, იმაზე იტყვიან, ითაფო. თაფი - გადმობრუნებული კოჭის ზურგი. „ჟი ჩჰს თჰს, იობტლა ჰურს სულ ითაფება“ (ა. ცაგარ. „მკითხავი“, მნათ., 1937 წ. № 5, გვ. 56; ბოხრუ, იქვე გვ. 57).

იპლიპაპლი - ზიგზაგი.

იპლიპანტური - მიკიბულ-მოკიბული, მიხვეულ-მოხვეული, ორჭოფული. მაგალითად, კამათის დროს, როცა მოპირდაპირეს მეტი სიტყვა აღარ ექნება სათქმელი და თავს რომ ვეღარ იმართლებს ან ვეღარ აჯობებს, მაშინ დაიწყობს იკლიკანტურს ლაპარაკს, ე. ი. მიკიბულ-მოკიბულს. „ს. დოკრატება ჯერ იკლიკანტური და უშო ოხუნჯაბა დაიწყეს“ (Baton-ის წიგნაკი „სასუზი პროტესტანტებს“, 1906 წ. გვ. 3). „სიტყვას არ იტყვის, რომ იკლიკანტური რამ არ დაუმატოს“ („ცნ. ფურც.“ დამ.

ინდის ხურმა — ინდოეთის ხურმა.

ინდუზმადირი — სანელებელი მცენარე. ხმარობენ წამლად: ყუათს აძლევსო.

ინთილა — „ინთილა მოსდიოდა ბუერი ჭაბით“ (ლუკა ისარლოვის ლექსები, გვ. 145).

ინთილაშა — ბუერი ჭაბისაგან კაცი რომ აეად გახდება, იტყვიან: ინთილაშა ჰკარაო.

ინჩი — რატომ ხმარობენ ან საიდან არის ი ნ ჩ ი? „ქართულად იყო ჩაძეული, თუმცა ქართული „ინჩიც“ არ იცოდა“ (ანასტ. ერისთ.-ხომტარაისი, იხ. „კლიონის კრებული“, 1911 წ., გვ. 315). „გაბოღა რომ დადემუკლიანის თხოვნის დამწერი სამხედრო სამსახურიდამ გამოგდებული კაცი ყოფილიყო და ექიმობისა ინჩიც არა იცოდარა“ (კ. ბოროზღ. „სენანეთის სამთავროს გაუქმება“, „დროება“, 1885 წ., № 120). „ჩვენს ქვეყანაში ბევრნი არიან ისეთი ექიმები, რომელთაც არავითარი სპეციალური სწავლა არ მიუღიათ და რუსულისა, ინჩიც არა იციან“ („დროება“, 1885 წ., № 184). „ორი თვეთ აქა ვარ და ჯერ ინჩი არ ვიცი“ (რ. ერისთ. „პარიკმახერისას“. 1880 წ., გვ. 3). აქეს დ. ჩ.-ს. „საქართველოში მრავალია დღეს სოფლები, დასახლებულნი სომხებით და ამ სოფლებში ხალხმა იცის მხოლოდ ქართული ენა და ინჩიც არ ესმის სომხურისა“ (სანო, „აგ.“, 1889 წ., № 33). „გურკვეველი ხმები, რომელსაც დედუნება გაგულისებული და გერმანულს ენაზე ინჩისაც უცოდინარი ვოლტერი, კიდევ უფრო არწმუნება ხალხს, რომ მართლაც მაიმუნი ყოფილაო“ (გრ. ვოლსკი, „აგ.“, 1892 წ., № 12).

ლ ინჩიინჩი — „დავით ჩუბინოვა ინჩიინჩიც არ იცის“. (მ. მღვ. და დ. ჯან კაბათი, „ცისკ.“, 1865 წ., ნოემბ., გვ. 18).

ვ ინჩხაბარე — წმინდა სომხური სიტყვაა და ნიშნავს „რა ამბავია“. ამ სათაურით („Инцихабаре“) „კაკკაზში“ 1850 წლებში ფელეტონებიც იბეჭდებოდა. „ცისკარშიც“ გვხვდება ეს სიტყვა და ვინაიდან ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაშიაც იპარება, ენის არგოს გამოსაკვლევეად — ეს სიტყვა შემოვიტანეთ ჩვენს ლექსიკონში. აი, როგორ არის „ცისკარში“ ნახმარი: „ამ დროს მეც მივედი... ყური იმათკენ მქონდა. ინჩხაბარე რომ გავიგონე, მაშინვე ვთქვი, უთუოდ ესენი ახალს ანავეს რასმე მეტყვიან-მეთქი, რადგან ინჩხაბარე ისეთი რაღაც ძალის ატრონი არის-მეთქი, რომ: კაცს უნებლიეთ ათქმევინებს, როგორც საიღუმლო და დაფარული საქმე იყოს-მეთქი. მართლა, რომ ინჩხაბარესთვის საიღუმლო არ სცხოვრობს ქვეყანაზე“ („ცისკ.“, 1863 წ., № IV-V, გვ. 605).

იო — ამბობენ: „ეითომ იოა!“

იოლი — ამქრის წესდებაში ჯ ა რ ი მ ა ს ნიშნავს. 1. ჯარიმა. შეგირდი ხელობის შესასწავლად რომ ჩაიწერება ამქარში, ვიდრე ოსტატად არ იკურთხება, იხდის ჯარიმას, რომელსაც უწოდებენ „იოლს“. 2. ადვილი. სპარსულად „ი ო ლ“ გზას ნიშნავს. ამბობენ იოლად წაველიო, ე. ი. გზა ვიპოვეო.

იქაღნი — ძველი.

იღარსლაბა — იფიტება.

იღაღაღაღაღა — იხ. ღეღეღაღაღა. „ი, შვილო, დაწე, ხე იღეღეღაღაღა“ (ს შავლ).

იღლიბანჯური — უსწორმასწორო. „რა იღლიბანჯურად ლაპარაკობ“. იხ.

იკლიკანტური.

იღლიბატური — ორჭოფული.

იღლიბი — ქვეყანა, მხარე. თუ ადამიანი ხასიათით (ნიშაბით, ზნით)

უცბად შეიცვლება, ეტყვიან: ჰა, რა იღლიბმა მოგიარესო. (თ. სახოკ. იღლიბი — температура).

✓ იღმურაღლაბა — ილუკმება. უშნოდ ჭამა. ლუკმებით ლოყებგამობერილ კაცზე იტყვიან.

იღრარიანი — აშულური ჰანგია შეთქმულობისა.

იყინღლაბა — იტენება, უშნოდ-მჭამელა ნაყრიონს კაცზედ იტყვიან.

იშატაპი — მემკვიდრე, დედისერთა; აქ ამბავი, ხსოვნა, სახსენებელი. ამბობენ: იცოცხლე, შვილო, იშატაკი ხარ ამ ოჯახისო! ან შენდა დარჩი დედაშენს იშატაკადო. დედ-მამის იშატაკია.

✓ იშკიღლაზი — ოინბაზი, მატყუარა. უნივერ. რუსულ-ქართული ლექსიკონი (დედ.) გვ. 679. Плут — იშკიღლაზი, ლუპუსტაცი.

იშკიღლი — მოტყუება, ოინის გაკეთება. „განსაკუთრებით თავი გამოიღეს იშკიღლაზი“ (ა ჭუმბაძე, „ხუთი აქიმი“, 1931 წ. გვ. 13).

იშტა — მადა. „ბუღბუღი უარზე დაღვა: განა ყოველთვის ვარ სიმღერის იშტაზეო“ (ვაჟა „ჩხიკვათა ქორწილი“).

იშხანი — ხალიანი თევზია ერთგვარი.

იშხანი — ეშხი.

იფოღლანი — დაწერილებით „სტატია ენციკლოპედიიდან“ — თურქეთი (გაბოც. 1769 წ. გვ. 36).

იფურთაპს — იტენავს.

✓ იფააფა საჰჰა — წერილი, უმნიშვნელო საქმე, შავი საქმე. „ჰანო (მარბელი, ი. გ.) უნდებოდა ანგარიშებს, სესხის გაცემის წერილმანებს, ათას იწაბაწა საქმეს კანცლარიასა და ბუხჰკალტერიასი“ (გრ. ყიფში, „ოღას თხზ.“, მ. გედ. გამოც. გვ. IX).

იფანი — გამოსცადა, ერგო.

იფილო-ბიფილო — იხ. კ. ჩუკოვსკის ნაწერები საბავშვო. ლევ. ასათიანის „მემარცხენეობა“ და ი. ჯავახიშვილის ახალი წიგნიც. „იფილო-ბიფილო, შრომანო-გერიტინო, აღზო, მალზო, ჩიტმა განხოს, შენი ფესვი, ფესმადუკი, აჯექ, მაჯექ, მუფედ ლაჯექ“.

იფაფენის — „ულეაშს იწმანნიდა“ (აგვ., 1887 წ. № 118).

✓ იფოღიფო — წერილმანი.

იჭაჭაბა — ძალიან ყვირის.

¹ ასეა. — რ. კ.



იჭინჭაყლა – „ქველმა წელიწადმა იჭინჭყლა“ („ივ.“, 1883 წ., № 2, მეთაური).

იჭუკაჭუკას – ტკბილად იმასლაათეს, ილაღობეს.

იხვინე – ცხვირი მოიხოცე!

იხტიარი – ნება, ნებართვა.

იხტიარობა – დარბაისლობა. ამბობენ: მოგიხდება, ქალო, იხტიარობაო.

იხტილათი – შექცევა, მუსაიფი, დროს გატარება („საუბდაბლ. ლაღუსი“, გვ. 25).

იხუა – დაიხუილა. „მთაგრი იხუებდა“ („ქრებ“, 1897 წ., № 1, გვ. 21).

იჯაზი – სიმღერის ჰანგია.

აიმაკი — ადუღებული რძის ნაღები.

აპა — 1. ტყბილეული ბაღისათვის. „ცამეტი აპა ჩემი სწყალი ცოლ-შვილისათვის კი კაკა იქნება“ (მელან, „ნაგარობა“, „მოამბე“ 1899 წ., № VIII, გვ. 37). 2. ბავშვები ტყბილ ხილს კაკას უწოდებენ. 3. ტყბილეული ჩვილთა ენაზე.

აპაზას ცოლი — ამბობენ: რას იპრანჭები კაკაზას ცოლივითაო!

აპაროტი — 1. დასაბამიდან სუსტი აგებულების ადამიანი, გამხდარი და აწოწილი. 2. იტყვიან კაკაროტი კაცია, ე. ი. ხმელი კაცი (გამხდარი, ძარღვიანი). 3. „კაკაროტი სიძინდი“.

აპაპი — მოხრილი გრძელი კეტი ვედროებით წყლის საზიდავი. რუსები რომ ხეს გაიდებენ და ვედროებით წყალი მიაქეთ, ამ მოკაკულ ხეს გურიასი კაკეი ჰქვიან.

აპანატლა — 1. ცხერის ძვალი. საზოგადოდ თხელ რამეს კაკნატელას ეძახიან. 2. ხრტილი. 3. ანუ კაკნატი. „ცხერი თუცადიდი არა ჰქონდა, მაგრამ მთელი კაკნატის ნაწილი დაჯირჯელებული ჰქონდა“ (მელან „ბნელო“, 1891 წ., გვ. 12). „კაკნატელა ცხერი აქს“ — გამხდარ დაღუულ ცხვირზე იტყვიან.

აპარა — „რაარის გულა ლელი? პირველად მოსხმული კაკარო ამწიფლება, იმას უწოდებენ გულა ლელს“.

აპაულა — მცენარის სახელია და ადამიანისაც.

აპლაპირი — იხ. ჩემი ეგზემპლ. ჩემი საანდაზო ლექსები.

✓ **აპლმუხი** — „კალმუხის ქუდი“ (ნ. ლომ, „მოთხ.“, გვ. 501). „კალმუხის ქუდი“ — კარგი ღირებულების ტყავი. კალმუხის ქუდი — მაღალი, წვეტიანი, წინ შეკეცილი. სხვათა შორის ასეთი ქუდი ეხურა ყაფლან ორბელიანს (ცხერისსაგან). კალმუხის — ცხერის ტყავისაგან გაკეთებული ქუდი. „სუბუქი კალმუხის ქუდი დაიხურა“ (ნ. ლომ, „მოთხ.“ გვ. 345). „თავზედ ძველებური მაღალი ქუდი ეხურა, კალმუხისა“ (ილია, ტ. III, გვ. 271).

აპმა — იმერულად ცერეცო.

აპნთიულად — გარკვევით, მკაფიოდ. „როცა ჩემს ქალს — ნუცა ანდრონიკაშვილს — ციბირში წერილს ვწერდი, მეც ჩემი შიფრი მქონდა, წერილს უკულმა დაწყობილ ასოებით უწერდი, რომელიც სარკეში წაღმა ხანდა სწორად და კანთიულად“ (სახ. მსახ. ულ. ზერქუზ. ნაამბობიდან, 1932 წ., 15 (IX)).

კანკური//კანკური – ერთი ეუბნება მეორეს: შენ ეი, ძობილო, ეგ ქამარ-ხანჯალი რომ ჩამოგიკანკურებია, რა ოხრად გინდა, ერთი ვიცოდე? შაშილი დიდი ხანსა რაც დავიჭირეთ და ყარსიც აღებულაო. „ყმაწვილებს დაუკანწრებიათ იარაღი“ („მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 51).

კანტარუში – კანტური, თამაშობა – სირბილიცაა.

კანს – ვიდრე, ვინმე. ამბობენ: აზირ აქ მოსულიყავი, კანც იქ მიდიოდო და სხე.

კაპარჩინა – 1. ავსული, კაპასი. 2. კაპრიზნი. „ჩემი ცოლი ცოტა კაპარჩინაა, მაგრამ მეც ხშირად ვაჯაურებდი“ (გ. ყიფში, „ივ.“, 1887 წ., № 112).

კაპიჭი – სარზედ ვაზის შესაკერელი წნელი. კალათის გასაკეთებელი, ნედლი. (სომხ. კაპიჭი – შესაკრავი).

კაპლო – კაცის სახელია.

კაპუნი – საყვედური.

კაპუშაჟა – მეტი სახელია ქალისა (ბ. ჯორჯა „შური“, გვ. 16).

კარაბადინი – საექიმო წიგნი.

კარადა – შკაფი.

კარაპოშა – (როგორც ნიტკის ძაფი).

კარამ – „კარამც უგზავნიდი“.

კარიჭი – მორიელი, ღრიანკალი.

კარაპარა – „კარკარა წყარო“ – „კარკარა ხმა“, ე. ი. წმინდა წყარო, რ ა კ რ ა კ ა ხ მ ა (წარმოებულია „რაკარაკიდან“).

კარბინა – (რუს.) კოხტა, ლამაზი.

კასპასი – ატეხილი და გულიანი სიცილი, კისკისი. „რას კასკასებ, შე არდასაცალებელო!“

კატასუნა – ბაბნიკი.

კაჟანდარა – იმერულად ჰქვია გამხდარ კაცს.

კაჟია – ექსპრომტი, ანუ ყაფია. ლექსობით შეჯიბრება. მოსწრებული ფრაზის გამართვა; სიმღერის შეფარდება, შეხმატკბილება.

კაჟიათი//კაჟიატი – „დაულოცეს საუკეთესო ადგილი, სადაც ისე დაჯდა, რომ ხალხი ხედავდა „კაჟიეთად“ („ცისკა“, 1874 წ., № 2, გვ. 200). მკაფიო. ამბობენ: ამა და ამ კაცმა ლაპარაკი კაჟიეტად იცისო.

კაჟიერად – გარკვევით.

კაჩა – კანჭის ბოლო.

კაჩო – „გამოუკიდინათ ჩვენს ყასბებს ხორცი თავიანთ ღუქებში ტუჭყიან კაჩოებზე“ („ივ.“, 1889 წ., გვ. 139). „ერთგან პატარა კაჩოზე ვეიდა პატარა კალათა“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ., გვ. 271).

კატ – დარჩი (სომხ.) ს ო მ ხ უ რ ი ა ნ დ ა ზ ა: ვორდელ ჰაც, ენდელ კაც (სადაც პურია, იქ დარჩი).

კაძაძაბი – პატარ-პატარა კულულები, ხუჭუჭა ხვეული თმები, კაწაწი – ანუ კიწაწი თმა. „გამიშვი, კაწაწებით ვთარიო“ („ცისკა“, 1863 წ., აგვისტო, გვ. 80).

აპრილს მანქანის წმენდის დროს მუშა ვასო შიხიანცს ხელი მოჰყვა მანქანაში და კვირისტაეში გადაწვიტა“ (გაზ. „ფიქრი“, 1914 წ., № 33). „თუ ხელი მოჰყვა, კვირისტაეი სადა აქვს?“ (ა. ცაგარ, ჩემი გამოც., გვ. 91).

კვირტანარკვი ჩოხა — კვირტნარევი ჩოხა, ე. ი. ხორკლებიანი ჩოხა.

კვინინა — „ღაიწყო კვისინა ხმით ლაპარაკი“.

კვინტი//კვინფი — ნატეხი, კბილი (ნიორზე). „კვინტი მარილი“ — პაწია ნატეხი. „ჩაი კვინტით“. „აა, შეილო, ქისაო, ფერად ნარიჯისაო, შიგ ნადუბო ქვაო, კვინტი მარილისაო!“ (ხალხ.).

კიპიპი — 1. კივილი, ინდაურების ხმაური. 2. კონტაობით სიარული. მოკლე-მოკლე ნაბიჯებით.

კიპო — 1. სათამაშო ქაღალდის სახელია, ერთი ნიშანი რომ უზის, ამ ნიშანს ტუხსაც უწოდებენ. „კიკოსავით დარჩენილხარ“, ე. ი. მარტო დარჩენილხარ, ერთი. 2. ერთი ცალი.

კილიანატური — იხ. იკლიკანტური.

კინტო — 1. თაბახით ხილის გამყიდავი, ფეხზედ მოვაჭრე ბაყალი. 2. — კინტოს სპარსეთში ჰქვიან „ტ ა ბ ა კ - კ ა შ“, ე. ი. თაბახის ამწვევი“ იხ. „ბოჰემა“. კინტო არ არის სპარსული სიტყვა. ასეთ მოვაჭრეს, რომელიც ფეხზე ვაჭრობს და რომელსაც თავზე თაბახი უდგას, ჰქვიან: „თაბახ-ქაშა“ (თაბახის ამწვევი). („Иран“, 1939 წ., № III, გვ. 26). თაბახქაშე, ფალაუანი — პეხლეუანი. იხ. ჩემი „ძველი ტფილისი“ (სახლის ეგზემპლარი). კინტო ნაცია ინტონაცია — სიტყვის თამაში. „შეპოვიდა სხუადასხუაზალი ხილი. კინტოობაღვიწყე“ („ს ჰეჯღ“, თავი III). **კინტოობა** — თავზე თაბახით ვაჭრობა ქურა-ქურა დატარებით. წვინტლიანო ქინთო.¹ 3. კინტო — წარმოსდგება სიტყვიდან „კინტი“. კინტო ჰქვიან იმ დახვეულ ტილოს, რომელსაც თავზე თაბახქვეშ იდებენ კინტოები. (კინტო — კინწი (?), კინკრიხო).

კინფი — (კუნწი-დან). კინწიანი — გრძელყელიანი.

კიანფა — მეტი სახელია ქალისა (ბ. ჯორჯ, „შური“, გვ. 16).

კირიპი — ქილიკი, ყირიკი. ცხენი.

კირაპი ლობიო — 1. უბრალო წყალში მოხარშული ლობიო, ისე პაი-პარად, ხელდახელ. კირკაჟ ლობიოს აჭრიან: ხახვს, ქინძს; ასხამენ: ზეთს, ძმარს; აყრიან: მარილს, პილპილს და სხვ. 2. ჯანი გაუკირკიჟდება, ე. ი. ჯანი გაუმაგრდება. ოფლი რომ შეაშრება ავადმყოფს, იტყვიან ჯანი გაუკირკიჟდაო.

კირაპიტა — „კირკიტა კვერცხი“, „კირკიტა ბიჭი“ (ასე მითხრა კ. მაყაშ. წაღვერში).

კისადარი — 1. ორი მოვაჭრე ერთ ღუქანში შეკედლებული. ღუქნის ქირის

¹ ასეა. — რ. კ.

- მოზიარე. 2. მონახევრე. ერთ დუქანში რომ ორი ხელოსანი იმუშავენ, ერთს ჰქვიან კისადარი (შევრდომილ ხელოსანს ჰქვიან კისადარი).
 აისათი — ნაკლული.
- აისაისი — «ციხეს ქონგურები მონგრევა და შიგ დუბუნათ ყვაებს და კისკისებს».
- აიტარუს — ცუდი სიტყვაა, გინებაა.
- აიტრა — ეაშლის ჯიშია.
- აიტრანა — ზედმეტი სახელია ჩვენს უბანში.
- აიფიბიფო — უეარგისი წვრილმანი ქალის ხელსაქმე. (პოპბუ, 1898 წ. № IV, გვ. 19).
- აიტაბი — საალერსოდ თქმული. პაწა ჩამწკრივებულ-ჩაკაწკაწებული კბილები (ღ. მელიქსედ-ბეგის «სათხოვა», გვ. 119).
- კლააიტონი-კლააიტონოვი — გვარიც არსებობს. ამ ექიმმა პეტრე კლაპიტონოვმა გამოსცა კარაბადინი მოსკოვს, 1826 წ. «ჰაი, როიც მოჟესტრები, როიც მოკლავ საფრას და ჯინს! ჩემო სულის კლაპიტონო! როიც ვიფსკენით, ბუბა, გვირგვინს» (ღ. მესხი, «ამერული სტენებო», 1902 წ. გვ. 25). «ლაპაზ-ლაპაზ ჯაყახელების ბაღებს ჩაუცამთ წითელის კლაპიტონით (ოქროაკედით) მოჭრელებული ახალუხები» (ე. კოპტონ, «ჰგ.», 1889 წ. № 79).
- კლარჯა — სარეველა ბალახი.
- კლდისუბანი — ჰქვიან იმ ნაწილს ქალაქისას, სადაც ცხელი გოგირდის აბანოებია.
- კლჟაჟა — (ქვაბების მკალაეი) სომხ. პირმაგარი. იხ. ბტკერესი. „პირი მოკალული გაქვს“. კლჟკჟა მეტი სახელია ერთი კაცისა ძველად, რომელმაც სულ პირველად მოსჭრა ყალბი ფული და დაიღუპა.
- კლჟაჟი — მკალაეი.
- კლჟარტა — ისეთი ღვინოა, რომ პირს ჰკლერტავსო — ამბობენ.
- კნაჟაკნუფი — „ღათჟა ბატს კნაწაკნუწი დაწყებიან“ (ს. აღნ, «ჟანათ», გვ. 25).
- კნაჟა — გამხდარი და დაღუული.
- კობრჩხილო — 1. მცენარეა ქარქვეტას მსგავსი, იზრდება კლდეში და ყანაში. წნილად ხმარობენ. 2. ერთგვარი ბალახია, საწნილედ ხმარობენ. ჯეჯილებში ხარობს (იხ. შუშანი).
- კოთხუნჯი — უშნო, მახინჯი (ა. ცუგარ, «ჟანათ», 1937 წ. № 5, გვ. 39. ხვანჯი, გვ. 58, ოქე).
- კოპოჟა — 1. ერთგვარი გოდორია ძაბრივით, თევზების დასაჭერად. 2. მოწნული გიდელი, წოწოლა.
- კოპურა — პატარა კოკა.
- კოლორთალი — (სომხ. „რგვალი უბანი“) წინათ აქ იყო მეეტლეთა ბირჟა-აწ-გიორგვესკის მოედანი.
- კოლოტი — პატარა რუმბი. აერთ წელწანს ღვინო აღარ მოუვიდა და ბატონაყ 9. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

კოაიჭი – როცა ბავშვს რომელიმე ადგილი დაეჩეჩქება და ამოებურთება, ამას უწოდებენ კოპიჭს.

კოატნად – მაგრად, უხეშად. „ლოინზე კოატნად დაბაბული უჯრა-უჯრა შალის საბანი ეშალა“ (ნ. ავალი, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 72).

კოატონი – 1. ბამბის კურკას ატარებენ დარჯაგში, ურევენ რაგინდარა უსარგებლო ნივთებს და ხან ცეცხლს უკეთებენ, ხან ძროხებს აჭმევენ. 2. ზეთს რომ ხდიან, დარჩენილი ჩენჩო.

კოჟანდარი – ყველა შვილებზე უმცროსი იყო. როგორც კოჟანდარი, იგი ძლიერ საყვარელი და ნებიერი იყო“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ. გვ. 72).

კოჟოჟი – ნუყრი, კოპი, კოჟრიანი.

კორა – თხელი კრამიტის ყური.

კორიკობს//კორიკაობს – ირხევა, ტოკავს. კენტად დარჩენილი რამ, რომელიც ქანაობს.

კორმა – არღნის სატრიალებელი ჩარხი.

კორში – ბეკობი, შემადლებული ადგილი. „შუა მდინარეზე ჯგუფად მღვარნი ხენი“ (დ. ჩ., გვ. 625).

კორული – ან ყორული. „ერთხელ კურდღელი ბედზედა კარგ ყორულშია გასუქდა“. (ლექსი ლ. ისარლოვისა, თხზ., გვ. 79., 1895 წ.)

კორჩოტა – კორჩოტა ტანი, პატარა კაცი.

კოტიტა – „კოტიტა თითები“ – მოკლე და მსხვილი თითები.

კოტიტი – დაგრეხილფეხებიან და დამახინჯებულ ადამიანს უწოდებენ კოტიტს ადამიანს. ამბობენ: ეს ადამიანი ანგელოზებისაგან არის ასეთი მაიმახიო.

კოტორი – 1. კოტორი ხევესურეთში პატარა პურსაც ეწოდება (ვ. კოტეტი, „ხალხ. პოეზია“, 1934 წ. გვ. 438). 2. კოპი, მელიოტი; გაკოტრებული. „დრუნას (დორს) შესდგომოდა კოტორი“ (ვ. ბარნ).

კოტოში – „ივან ნიკიფორიჩმა თავის რუკა-კოტოში მონახა, რომელშიც ბურნუთს ინახავდა, კოლოფის ნაცვლად“ (გოგოლი, „ჟრებ“, 1871 წ. № 2, გვ. 113). „ივან ნიკიფორიჩი კი თქვენ პირდაპირ ხელში მოგაჩეჩესთ თავის კოტოშს ანუ რუკას, რომელშიც აქვს ბურნუთი“ (გოგოლი, „ჟრებული“, 1871 წ. № 11, გვ. 98). ორიგინალშია – „Рожок“. „კიდევ მივაქვს ტუჩთან თითები? ოპ, ზეტა ეგენი ტუჩის კოტოშად გადაგექნენ“ (ივ. მაჩაძე, „ოტელი“, 1888 წ. გვ. 38). რუკა, ან გრძელტარიანი გოგრის ჭურჭელი, რომელსაც აფარებენ წურბელას – კაცის სხეულზე დაკრულს და „არამ“ სისხლს სწოვენ. „მარცხენა ჭიქუს გვერდზე აქვს პაწია ხალი და ზედ ერთი გრძელი ბეწვი აქვს ამოსული... ბეჭებზედ ეტყობა დასერილი ნაკოტოშარი“ (ა. ფურცა, „ავაჯანი“, 1880 წ. გვ. 83). „ეკიმა ბევრი უწამლა, თხის რქე ასო, ზურგზედ ქილები და კოტოშები კილა (რ. ერისთ., „ცისკა“, 1857 წ. № VI, გვ. 42).

კოტრი – 1. გაკოტრებული. „ჩამჯდარიყო კოტრებში და ერთი ყოფა ქქონდა“. (აკაკი, „ჟრებული“, 1899 წ. № 7, გვ. 44). 2. ვალიანი. დ. ჩ.-ს აქვს, მაგრამ სხვანაირად. „მზად



ვარ პირველ ხეზედ ჩამოვიხრჩო თავი, ვიდრე გაკოტრებულად გამოვცხადდე. — ექ, ძმაჲ, ყველა რომ ასე ფიქრობდეს, ხეებიც კი აღარ გვეყოფოდა“. (სენ. ფურც. დამატ., 1901 წ., № 19, გვ. 13).

ა. ცაგარელს მოქმედი პირი ჰყავს „ხანუმაში“ მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცი. არუთინ კოტროვიანცი — მოქმედი პირი რაფ. ერისთავის „ადეოკატებში“.

„კოტრი კნიაზი“ (ა. ცაგარ. „ხანუმა“). ან ვალი უნდა გადახედნათ, ან სახელმწიფო კოტრად უნდა გამოეცხადებინათ“ (ივ. მაჭუა. „ჯუღუხიკაის ისტორია“, 1931 წ., გვ. 249). ზ. ანტონოვს პიესა ჰქონია „კოტრი ზარაფი“, რომელიც დღეს დაკარგულად უნდა ჩაითვალოს („საქართ“, 1918 წ., № 87). კოტრობა — „ფულზე ძალიან კოტრობა“ (ივ. მაჩაბ. კერძო წერ. დ. მუსხისხაძე; „თ. და ც.“ 1914 წ., გვ. 39). „გაუმარჯოს კოტრობას“ ამ სათაურით ლექსიც აქვს ი. ბაქრაძეს („ჩანგი“, 1892 წ., გვ. 185). „კოტრობით ვარ მდიდარი, ცეცხლიც ბევრს შეგეწია, ჩემბარ ბევრი ვაჭარი დიდ დოვლათს ეწია“. (იქვე) — კნაზჯან, შენი სულის ჭირიძე, მოდი ერთი დაჯვლოცე ესე ჩვენი კამანიით. — ბიჭო, ამისთანა კოტრობაში რა დროს ქეიფია? („ჩანგი“, 1892 წ., გვ. 72).

კოლოპუბრი — 1. ნამკედრევი მიცვალებულის ტანსაცმელი, რომელიც ეძლევა მოძღვარს. ჩვენშიც არის ჩვეულება მგონი. 2. კოლოპურტი არის აგრეთვე ქოშები. „შეკრბენ ფილოსოფოსნი და მეცნიერნი, მათ მიემატა ნიკოლაძის „კოლოპურტი““ (ა. ცაგარ. „დროება“, 1881 წ., № 1). 3. მიცვალებულის ბოლოხანს ნაცვამი ტანსაცმელი, რომელიც დასაფლავების შემდეგ მღვდელს ეკუთვნის. (ზ. ანტ. თხზ. გვ. 243).

✓ კოშტი — 1. შეკუმშული რამ, მაგარი. კოშტი სანთელი. „შეთხაზა მოატანინა კოშტი წმინდა სანთელი, ჩამოქნა კაცის სიგრძე პატრუქზე“ (ს. შკალ. I, გვ. 32). „აშვიკ ყრობმა გამოიღო თუთრის ცხენის ჩლიქიდან კოშტი მიწისა“ (სისკ., 1865 წ., № 1, გვ. 7). 2. მაგარი. „კოშტი შაქარი“.

✓ კოწიანთი — 1. მკედარივით რომ მოდის. „როცა ახედავ პირუტყვებს, მომაუაღს ფეხშიძე და კოწიანით“ — (ს. შკალ. I, გვ. 153). „რბით დამაძლარი ხბორები ფუნდუკით და კოწიანით გარბიან-გამორბიან და მიათრევენ გოგებს“ (ს. შკალ. I, გვ. 91). „ბურთი ტრიალ-ტრიალით და კოწიანით გაფრინდებოდა ჰერში“ (ს. ლომ. I, „ვიგო ღრუბელაშვილი“, თავი I). „ბოლი კოწიანით წავიდა მაღლა ჰერში“ („მოაზბუ“, 1895 წ., № XI, გვ. 45). „ღვინოდალეული მომკლნი კოწიანით და ნამგლის ტრიალით გაქანდებოდნენ მოსამკელად“ („მოაზბუ“, 1898 წ., № IV, გვ. 36). 2. გლეჯა-ფლეჯა. ერთს რომ ხელში რამე ეჭვიროს და მეორე ცდილობდეს გამოტაცებას; მიწვე-მოწვევა. „კოწიანში ჩოხა დამაგლიჯეს“.

კოწიანთი — ძალიან მქაყე. „ბაღში დაესხდით და ერთი ბოთლი ღვინო მოვიტხოვეთ. მკაყე, კოწიანთი რაღაც მოგვიტანეს“ (ივ. მაჭუა. „ჯუღუხიკაის ისტორია“, 1931 წ., გვ. 315).

კოწოლ სწორობით — ეს სიტყვა შემხვედა ვახტანგ ორბელიანის პეტერგოფის აღწერაში. 1738 წ. აგვისტოს 15-ს ყოფილა (იხ. ლენინგ. საჯარ. ბიბლ. ხელთ. № 23, გვ. 27). ამოწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი წინადადება კვლავ ვიპოვნე.

კოწა — 1. სანელებლისათვის. წამლების კარაბადინი. 2. სანელებელი მცენარე. 3. მცენარის ძირია.

კოჭაპი — 1. კარების ყულფი, რომელშიაც რაზას ათავსებენ (ტომ სოიერის თავადასაული, 1935 წ. გვ. 58). 2. კარის კოჭაკი. „კარის რაზა-კოჭაკს აძრობენ და მაიკო“ (სოვ., 1886 წ. № 155). 3. კარების ან ფანჯრების ჩამოსაკიდი, „პეტლი“. 4. კოჭაკი — კარების „პეტლი“.

კოჭაძობს — „სულ ბჯადლო ოქროებით კოჭაობს“ (გლეხიკაის ისტორია, 1931 წ. გვ. 683).

კოჭი — 1. ტივის ხე. კოჭს უწოდებენ ჭერის მუხებს: „ბიჭო, ერთი დათაღე ზემო სართლის სახლის ჭერზე რამდენი კოჭაო. 2. დიდი ტივის ხე, სახლის თავზე (ბანხე).

კოჭის ძაფი —

კოხები — ამბობენ: „კოხები შვეიკურია, ცხვირი დაგიშვია, გამხარულდი, რა, ქვეყნის ხარჯს ხომ შენ არა გთხოვენ?“ კოხები არის წარბების ყალფზე შეყენება. კოხი ყოფილა აგრეთვე რომელიღაც ქვა, რომელიც ცეცხლში არ სკდება. „ილაამ მაშინვე სახე იცვალა, კოხები შეიკრა“ (ი. მანუეტი, „ჩემი წარსულიდან“, „მნათ“, 1935 წ. № 10, გვ. 209). კოხებშეკრული — წარბებშეკრული. გაბრაზებულ ადამიანზე იტყვიან.

✓ კრაახუნა — დამკრახული, ყურძნის მტვევანზე იტყვიან.

კრიპი — ნიშნაეს მუშტებით ბრძოლას. სომხურადაც მუშტით ბრძოლას „კრიეს“ ეწოდებენ. თურქულად კრიეს „დოგუში“ ჰქვიან. კრიეობდნენ რომაელებიც, ბერძნებიც, ინგლისელებიც და რუსებიც, სადაც ძველი კრიევი ნოკს-ის სახელწოდებით იყო გავრცელებული.

კრიპინა — ტყის ხილი.

კრაო — რკო.

კრაო — „კრაო პაპშენსა აქეს, იმ საიქიოს შვიდი გირანჭა ცხონება გვარის დამამშვენებელი გამოხვალ აი!“ (სოვ., 1892 წ. № 253).

კრაოლა — მრგვალი; კრიალა. დაკროლილი კაკალი — ჩენჩოგაცლილი. „თუ არა გკონდა, მა რითინ გადდიოდი კრაოლა მანეთებს და ხუთმანეთანებს შაპშებსა, ჭორწილებსა, ნათლობას და დღეობებსი?“ (რ. ფაულენი, „მოამბე“, 1896 წ. № IV, გვ. 20).

კრაოული — კრუელი (ილაო ტ II, გვ. 177).

კრაოცი — კროცი არის მთელი კაკალი, ნაჭუჭიანი და წენგოგაცლილი. როცა წენგოს შემოაფცქენით, მაშინ ამ მწვანე კაკლის სამოსელს ჰქვიან ლ ე ნ ზ ო და თვით კაკალს კი კ რ ო ც ი. როცა კროცს გასტეხთ და ნაჭუჭი მოშორდება, მაშინ იმ კროცის გულს, ე. ი. მთელ მრგვალ ნიგოზს ჰქვიან კ უ კ რ უ ჭ ა ნ ა და როცა ამ კუკურუჭანას უღელს ამოაცლით და შუაზე გააპობთ, ამ ნახეარს ჰქვიან — ლ ე ბ ა ნ ი და ლებანის ნახეარს კი — ე. ი. კუკურუჭანის მეოთხედს ჰქვიან ყ უ რ ი.

კრაოჭი — კაკარდა. იყო ერთი გრიგოლ კრაოჭი. სილოვანი ოხუნჯობდა, როცა მისი გვარი მთავრულით იწერებოდა. „კ“ მთავრული პ-ს ჰგავს. (ეუკოლიმ გადმომცა).

კრტიმლვა — ტუქსეა. „მოახლე ლაკას დაუწყო კრტიმლვა და ღატუქსა“ (გოგოლი — გ. ჩიქოვ, „კრუბი“, 1871 წ., № 2, გვ. 132).

კრუა — 1. კრუა ქართულად ნიშნავს „კაცს“. ასე უძახიან ერთმანეთს აგრეთვე ტფილისში მყოფი იეზიდები. აქედან წარმოსდგება, რომ ტფილისის ქართველობა ვერ არჩევდა სომხეთიდან ახლად ჩამოსულ სომხებს და კრუას უწოდებდნენ. 2. ტფილისში 70-80 წლებში კურტნიან მუშებათ კრუები იყვნენ. კრუას უწოდებდნენ სომეხ ლტოლვილს. „ერთი უბრალო კრუა ხუთ ჩემოდანს გააკეთებს“ (ა. ფურცა-აგაზაქანი, 1880 წ., გვ. 43). „კრუა-ყარაული უფრო უარესს სიბინძურეს ავრცელებს“ („ივ.“, 1886 წ., № 46). „სახლს ყარაულობა ერთი მუშა კრუა“ (ივ., 1887 წ., № 153).

კუბოკრული — საბანი სხვადასხვა ნაჭრებიდან რომ შეკერილია. (პ. იაშვილმა მითხრა: „მართალია, აქაური სიტყვა არ არის, მაგრამ კარგია“).
კუდბაწარა — ბავშვების სათამაშო შურდული. კუდბაწარას მთაში უხმობენ, ხოლო ლაგადკა — რეზინისაა.

კუდრაჭა —

კუდური — აკაკი ხმარობს ხშირად, პიესაც აქვს „კუდურ ხანუმი“. ერთ ლექსშიც აქვს ეს სიტყვა: „ოჰ, მიეყაროს იმ კუდურს თვალში ნაცარი“. (1 ტ. 1912 წ., გვ. 184).

კუდვიცინა —

კუზიანი კრამიტი — ორად მოგრეხილი კრამიტი, ღარივითაა;

კუზლარა — კუზიანი.

კუთო — წვნიანი კერძი, არა წყალწყალა. „კუთო ღამისხი“, ე. ი. წვნიან კერძში კარტოფილი ან ბრინჯიც რომ იქნება. საბას კუთი აქვს და ნიშნავს „სისქე ხორცთა“, გვ. 178.

კუქანა/კუქანია — პატარა ადამიანი, კაცუნა, ტიკინა. „იმ სუღიას, აიმ კუქანას, სულ ვათამაშებ ღუქურ-ბუქანას“. (გ. ერისთ). „— როგორ მოგწონს ორეცის ქალი? — ღამაში კუქანა“ (ნ. ავაღ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 85, 112).

კუქუხანაი — კუქუხო, უკანა საჯდომის თავი.

კულა — ვერცხლით შეჭედული ყელვიწრო სასმისი.

კულავ — კულავ, კიდევ. „კულავ არ გაბედო, დაგიჯდება ძვირიო“ (სკანდარ.) ფშავე-ხევსურები ხმარობენ კლოვ. „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კლოვ ხარი ირეში მოგაკვლევინოს“ (ვაჟა-ფშავეთილი, „მოამბე“, 1894 წ., № V, გვ. 3).

კულახი — სამსახური, გადასახადი ღვინით (თათრულია).

კუპური მტრადი — კაი ჯიშის მტრადი. იშვიათი თეთრ-ღურჯა. კუპური ლეღვი.

კუნაულა — ნათლია ნათლიდელას რომ საჩუქარს მიუტანს, კუნკულას უწოდებენ. „ელიან კარგ კუნკულას“ (სურამის ციხე“. სახელე, 1937 წ., სასკოლო სერია, გვ. 46, თავი VI). მ. ზანდუკელი: კუნკულა — გამოსარჩენი რამ.

კუნაულაი — პატარა ადგილი.

კუპატია – 1. პატარა, დამრგვალებული ადამიანი, გამონასკეული. 2. პატარა, უმნო. „მეო მისეილ, მონი ამდამ მიუსხდეთ კნაზ გიორგის და მოვრჩეთ ზენი კუპატაბანკების საქმეს“ (წერ. მიხ. თუმანიშვილისადმი, უცნობი). „ჩემ გასართობად დაიწყო ტანცაობა და ორჯერ კადრილი ვიტანე, ასე მგონია, ჩემს გასართობად, გამოჩნდა ერთი კუპატა ქალი, რომელიც სუყველას მივარდებოდა ხოლმე, ეტანებოდა, მაგრამ სწორე ვთქვა, იმის ტანციობა სწორედ რომ კალიას ხტომა იყო (გ. თუმან კერძო წერილიდან მაქვენა ა გაზენამ).

კუპარაჯი – მკუპრავი.

კურაკური – 1. ტკბილი საიდუმლო მასლაათი. 2. ამ სიტყვას ასე ცალად იშვიდათად ამბობენ. მუდამ ისმის ჩურჩულ-კურკური. „სიძონს ეს ჩურჩულ-კურკური არ ესმოდა“ (მოქანანის მოთხრობა „სიძონის მამა“, „დროება“, 1885 წ., № 186). 3. ჩუმი ალერსი, შეფრფინებით ლაპარაკი.

კუსი – მონაზონი (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 28). **კ უ ი ს** – სომხურად ქალწულს ნიშნავს.

კუსაუსი – სიარული პატარა ნაბიჯებით¹. „სიარული კუსკუსით“,

კუსაარა – 1. დალეული ადამიანი. 2. პატარა კაცი, ქონდრის კაცი, კაცუნა.

კუტარი – გაკოტრებული. თუ რომელიმე გამვეღვლი ვყენს საღამს არ მისცემდა (ე. ი. ფულს არ აჩუქებდა), ბიჭები მიაყვირებდნენ: „კუტარია კუტარია, ჯიბეში თავები უყრია“ („დროება“ 1870 წ., № 8); „იმისი კუტრი კნაზები ძლიან დიდი რაზე ჰგონია“ („საქ. მოამბე“, 1863 წ., № VII, გვ. 24). **კუტრობა** – გაკოტრება. „ზოგი ამბობდა, რომ ტიუსოს კუტრობაში ფეხი უღვასო“ („საზ“, თარგ. ილიასი, ტ. I, გვ. 6). „უზლა სმინელი კუტრობა არის“ („აფ.“, 1893 წ., № 13-). **კოტრობა**, ან მოსავალზე თქვი, ან მანდურ შექცევაზე, ან კუტრობაზე, მაგრამ კუტრობა წამოდდა, კუტრობაზე წერას მომწერო, თვითონ მე კარგად ვიცნობ, რა წითელი კოჭიც ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტა ჩამოვახედა, რა ამბავია, თავვეს ისეთი ჯირითი გააქვო, რომ მეტი არ იქნება. სხვა რა მოვწერო, ჩემო კარგო დაგ ჰეტერბურდი ისევე ჰეტერბურდია. ცივი, ქვითმოსილე და უზარმაზარი. ახალი ამბები არა არის რა, ჩემი ჯიბის კუტრობის მეტი“ (ილიას წერ. დისადმო „შნათ.“, 1933 წ., № 8-9, გვ. 270).

კუტუში – თევზი ერთგვარი. კუტუში ჰქვიან აგრეთვე იმ შემაერთებელ არხს, რომელიც ამტრანხანთან არის.

კუფხა-კუფხა სრამლუაბი – (კუფხალიდან).

კუფაბი – 1. გარშემო მოვლებული არშია ან სხვა რამე არშიასავით ვიწრო, მხოლოდ უნდა იყოს ხერხის კბილებივით ოკრობოკრო; დ. ჩ.-ს აქვს **კ უ ნ წ ე ბ ი**. 2. არშიასავით შემოვლებული ჩუქურთმა (?). „შენ სი ზნაცულე იმ გარსკვლავის კუნუბებში“ (ა. ცაგარა), „როგორც მოხველ სვინაო, ისე წახველ შინაო“ („ცნ. ფურც.“, 1901 წ.).

კუფურაპი – იხ. წუწურაქი. „ქუწურაქი რამ არის... მგონი ცოლი რა დღეში ჰყავს, სარეცხს დარეცხავს მარა“ (ანჩისხატელი – პ. უბიკა, „აფ.“, 1886 წ., № 22).

¹ ასეთი სიარული იცოდა გ. თუმანიშვილმა და ანასტ. თუმანიშვილმა – ი. გრიშ.

ლაბა – ბრინჯის და მისთანათა ნახარში წვენი, მოსქო.

ლაბიარი – ანუ ლაბიერი. „მერე მოკრივენი რომ გახურდებოდნენ, შეერევენენ ქვას და ბზრების ლაბარები ერთ წამზე გაქრებოდა“ („დროება“, 1870 წ., № 8). **ლ ა ბ ი ე რ ი** – 1. ბანის გარშემო შემოვლებული აგური. დაბალი გალავანი. 2. კოჭების თავზე შემოვლებული აგურის ანუ ქართული ბანის გარშემო აშენებული აგურის კედელი. 3. აბანოს ირგვლივ გავლებული აგური. 4. ბანის კედლები აგურებშემოვლებული. იხ. „ავლაბარი“.

ლაბლაბო – დახალული სისირი. ლაბლაბოს უფრო ქიშმიშთან ერთად შეექცევიან.

ლაბანი – 1. ტაშტი, წარმოებულია ლანგარი-დან. ლაგანი დალაქების თავსაბანიცაა. 2. მურაბის ტაშტი. ლანგარი – სინივით, Блюдо – ლაგანი. 3. ლახანკა – თურქული ძირია ლაგანი. 4. ტაშტი. „ქილილაში“. ლაგკანი.

ლაბლაბი – წერო.

ლაალი – საკადრისი.

ლაპარდანი – Карниз.

ლაპიჭი – ძვალი მხარის თავთან, კისრის შესართავთან. ყელთან რომელიც ძვალია. ერთი ლაეიწში მაკოცნიეო – გამიგონია.

ლაზათი – სიამოვნება. სიტკბოება. ეს სიტყვა დ. ჩ-ს აქვს. „ჩრდილოეთ ინგლისის მესაფლავეებს განუზრახვით საერთაშორისო კონგრესის მოწვევა. კონგრესმა უნდა შეშიიღოს მესაფლავეთათვის ჰიგიენური ზომები... სხვათა შორის უნდა მოიხმოს სასაფლაოზე სიტყვების წარმოთქმა. ეს წესი განსაკუთრებით საქართველოში იქნებოდა კარგი, რადგანაც ვინც გინდა და არ გინდა წამოხტება და ულაზათო ლექსს კითხულობს“. (ცნ. ფურც“. დამატ., 1904 წ., № 258). „ამაზავს უფრო უმეტესი ლაზათი მისცა“ („კრებ“, 1871 წ., № III, გვ. 35). ლაზათიანი – „რაც შეიძლება უფრო შემოკლებულათ და ლაზათიანად შეთანხმებული ფრაზები გამოთქვას“ (ნ. ნიკ. „კრებ“, 1873 წ., № VIII, გვ. 259).

✓ **ლათაია** – 1. ანუ ლათაიხ – თამამი, თავხედური ლაპარაკი; წინდაუხედავი სიტყვა; ლათაიები. ვ. ბერიძის ლექსიკონის განმარტებით, მიდებ-მოღებული, მიკიბულ-მოკიბული, უსაბუთო ლაპარაკია (გვ. 26). გიორგი ერისთავი „გაყრაში“ მიკირტუმას ათქმევიანებს: „ქინაზ, კიდევ ერთი ლათაიას გითხრაბ – „კტუ

ნა სვეტე ჩენსა ბუდით, ბუდით ნასიტ ზღუბა გუდით" (თხზ., გვ. 143) აკაკის „კინტოც“ ამბობს: „კნიაზჯან, გნებავსთ, ერთი ღათაა ვითხრათ“ (აქრებ., 1889 წ. № VII, გვ. 74). აკაკის ლექსიც აქვს ამ სათაურით: „კნენინების ღათაია“ („დროება“, 1871 წ. № 38). 2. იგავი, თქმულება, ბალადა, ამბავი. აქაშულების ღათაიება“ (გ. ერისთ. „ღავა“, შოკ. III, გამოსვ. I). „გ. ქიქობე მკაცრი ირონიით ანაჲებს ცრუ მუცნიერის, იშხანანის ღათაიებს“ (აქლდე, 1914 წ. № 20, გვ. II). „ბოჰქემა“. „კნიაზ, ღათაიას ვითხრამ, თვალები აქვს იშტარხნის ზიზილალა, ტუჩი ტუბილი, როგორც რომ ყანდის ზალა“ (გ. ერისთ. „ჟაყრა“, შოკ. III). „მიხი პოლიტიკური მოთხოვნანი სხვას არაფერს შეიტყუნ, გარდა ძველი საქვეყნოდ ცნობილი ღათაიებისა“ (გ. გამყრ. მიერ თარგ. კ. მარქსის „კოთას პროგრამის კრიტიკა“, სახელგ. 1932 წ. გვ. 33). ამ ამბავთან ჩართული ტყუილი და ურცხვი ღათაიები“ (ილია, ტ. IX, გვ. 187).

ლაილალი – 1. ცხერის საძოვარი ადგილი. იალალი. 2. იაილალი, სააგარაკო ადგილი, გაშლილი. თავისუფალი. ხალვათად. იხ. იალალი. 3. ერთგვარი ფრინველია, გრძელნისკარტა, ინდოეთიდან მოსული პირველი ფრინველი. ბერძენები, სადაც მთაში ცხოვრობენ, ვიდრე ამ ფრინველს არ ნახავენ, იმათ ზაფხული არ ჰგონიათ. „ლაილაგი“ (ლაილალად – თავისუფლად).

ლაინი – 1. ბამბის წმინდათ ნაქსოვი, რომელსაც ჰღებებენ ლილისფრად. ხამის მოპირდაპირება. ხამი სქლად იქსოვება, ეს – წმინდათ. 2. ბამბის ფართალი. „ჩემი გაღია იტყოდა – შვილო, მორთუა-მოკაზმა და გარეგანი ღიღუბა ქვეყნად რჩეულთაგანს შემუშნის, თორემ მე ლაინის კაბაც კარვად შეკადრებაო“ (აკაკი „თამარ ცბურის“ გამოც. გამო. ოვ., 1886 წ. № 62).

ლაიჯინის ღილი – ლაიჯინი სოფელი იყო შირაზის ოლქში, საიდანაც ძვირფასი ოქრომკედიანი ღილები მოდიოდა.

ლაიჯის ნესვი – ლაიჯის ნესვი ერთგვარი ნესვია, მეტისმეტი ტუბილი, ჩოფურა და ზოლებიანი.

ლაიჯი ძვადი – ლაიჯი სპარსელების ერთი ტომია, რომელნიც სცხოვრობენ შემახის ახლოს. ძველად სპილენძი ლაიჯებს მოჰქონდათ და ძალიან კარგი სპილენძიც იყო. ეხლაც ქვაბი თუ მთლიანია და არა ძირმოკერებული – ლაიჯი ქვაბს უწოდებენ.

ლაკუტი – პირდაპირ ლ ე კ ე ს ნიშნავს. როცა ბავშვები ბლომად მოგროვებდნენ ხოლმე რომლისაშემ კარებ წინ, მაშინ პატრონი გამოვა და გალაღამს შემდეგ სიტყვებით: დაიკარგენით ვილასიც ლაკუტები ყრიხართო, ვითომ ვილასიც ნაბიჭვრები, ბუშები ყრიხართო.

ლალა – გამზრდელი. ჩვენი სიმღერის თაფშურმა ლალე, აქედან ხომ არ არის?

ლაზბაჰი – ანუ ნალბაქი – პინაკი.

ლავუ-ლავუ! – სიმღერის დროს სახმარებელი სიტყვა, როგორც: „ეო-მეო!“ ან „ლალე-ლალე“ და სხვა.

ლანგი – გრძელი კეტი. სალესავი პირის გამოსაწყობი.

ლანდი – გრძელი კეტი. სალესავე პირის გამოსაწყობი.

ლანდრა – მანდი.

ლანთაქა – 1. დონდლო, დუნე, დაბოშებული; 2. მსუნაგი, გაუმაძღარი, ღორმუცელა, ნაყროვანი.

ლანძი – ალბად ალანძულიდან. ბ. ჯორჯაძე ამბობს: „გინდა შემსოთ, შეჭამოთ და ქვეყანაში კი ლანძი მოხდოთ: საბაგელი არის, არავინ შეირთოთ“ („ცისკა“, 1865 წ., სექტ. გვ. 28).

ლანარი – ხოხობის წიწილა.

ლანუსტაფი//ლანუსტაძი – 1. მოლოკიელი, გარეცხილი. 2. წამხდარი, თავლაფიანი (რ. ერისთ., „ჯერ დიხოცნენ მერე იქორწილეს“). 3. თავზეხელაღებული. „ჟი, ქა, რას სჩადის ეს ლანუსტაფი?“ (ბ. ჯორჯაძე „რას ვეძებდი და რა ეპოვე“ „ცისკა“, 1865 წ., სექტ. გვ. 35). „მაგის გიეი ლანუსტაფი ძმა დილა-სადამოს ცოლს თავში უტყაპუნებს. („მოაშბე“, 1898 წ., № IV, გვ. 30). იხ. „ჯერ დიხოცნენ, მერე იქორწილეს“ (რ. ერისთ.). „ვერა ქხედამთ ამ ლანუსტაფს რაებს ამბობს?“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 13, გვ. 15). „ეხლა? ეხლა სულ სხვა დროა, ხალხი გაირყვნა, გალანუსტაქა“ („ივ.“, 1892 წ., № 253).

ლანთხი – ურმის ძირზე დასაგები ფიცარი (მთიულებში ჰქვიათ „ლ ა ნ დ ა რ ი“).

ლანტა – რეიკა.

ლანტიპი – ერთგვარი მაგარი ფართლეული. სატინის მსგავსი შავი ფართლეული, ხმარობენ საახალუხედ.

ლანა – მუხუდოსავით (მუხუდო), ფლავის პირისთვის. 1. მარცვალაია, ერთგვარი სისირის მსგავსი, მხოლოდ წვრილი და დაყოფილი. ლანას ხმარობენ ფლავის ზედაპირისათვის. ლანას სიმაგრის გამო ძალზედ ხარშავენ, შემდეგ ადუღებენ ქიშმიშთან ერთად და აყრიან ფლავს ზევიდან. ამგვარ ფლავს უწოდებენ ყაბლუ ფლავს. თურქ. „მუკაშარ“. 2. ასაბლუ – ფლავი-ქიშმიშ-ლანაფი.

ლანაზი – ლანარი, მხდალი.

ლანთოცია – სახელია უშნოდ მოსიარულე კაცისა. მთიულეთში ბ ა ტ ს უწოდებენ.

ლანა – დედაკაცი, პირახეული დედაკაცი, აწკაგაწყვეტილი, რომელიც ჭორაობს და უთავბოლოდ ლანლაშებს.

ლანა შუანა –

ლანარდინი – მლიქენელი. „სიკვდილს ვერაფერ ემალვის, ვერ ვინ გაეცა რბენითა... ვერც ვინ ცბიერის სიტყვითა, ვერც ლანარდინ ენით“ (ხალხ. „კოლექტივიზაცია“, 1934 წ., № 235).

ლანა –

ლანათლოხუმი – ერთგვარი ტყბილეულია წებოს მსგავსი, რომელსაც თათრები აკეთებენ.

ლანანდრა – ლანდინდრა, არა მუყაითი, ცუდლუტი, ზარმაცი, თაგვიფა.

ლაღანდარას უწოდებენ აგრეთვე რომელიღაც ფერს. „ერთმა ლაღანდარამ თითოც კი დაადო ზედ“ (გ. ლეონ, „მნათ.“, 1931 წ., № 3, გვ. 224).

✓ **ლაღლაღაღაღა** – ლაზლაზებს. ხალვათი რამ რომ იქნება და ქანობას დაიწყებს.

ლაღუნი – ლაღობა. „მივეცი სღმუნებას, ხმელეთით დამწვარი გულო, ყოველი ღვეთვე უსულო, მადირსე ლაღუნებას“ (ახელ კალატოზივის ხელნ. ლექსიდან).

✓ **ლაჯაზი** – 1. (უჯერო ლაპარაკი) უასაკო სიტყვა-პასუხი, ლაქლაქი. ხალხური ლექსი ამბობს: „...მაყრიონი მოძახოდა: „ქალ დაგვიცადეო“, მე იმათ ლაყაფ-ლაყაფს ყური არ ეკვდო!“ (მ. გაჩეჩ. შუღვ. „სახ. კალენდ.“, 1903 წ.-გვ. 147). 2. ლაყობა, ცუდმოუბრობა. „ვინ ჩაგვიღებს ამას მწერლობად? უბრალო ლაყაფიო, ჩაიხუმრებუნ“ (მ. დიდ. „უბედ. რუსი“, 1937 წ., გვ. 270). 3. მეჭორე, ცუდათ მოუბარი, უსირცხვილო კილოიანი. აქვს დ. ჩ.-ს სხეანაირად. „ნეტა რას ამბობ, შენ ბრძენოვ, ლაყაფი რად განაგრძეო“ (ღვეთ რექტორის ლექსიდან, „Описание“, გვ. 225). „ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდს ლაყაფს, მიღმოდებას“ (თეიმ. I-ისა, „Описание“, II, გვ. 323). „ფინთი ლაყაფისა“. „შენს ლაყაფს ვინ აუვაო“. (გვ. 35). „ღონღონის უბნის მოვაკრე იმ თავითვე განთქმული იყო ღოთობითა, ყაპარბაზობითა, და ცუდის ენ-ლაყაფითა“ („ოვ.“, 1892 წ., № 165).

✓ **ლაჟინტარა** – ლაზღანდარა.

ლაჟუზი – თევზის ყბა, ბალყუჩი – თათრულად მეთევზეს ნიშნავს.

ლაზი – ბაგე, ყბა, ჰირი.

ლაზულაზი – ლასლასი.

ლაჩათრიანი – ჭუჭყიანი, უშნოდ ჩაცმული. „აბა, როგორ იქნება ამისთან განიერ ქეჩებში ლაჩათრიანი ბეჭით გამოწნდეს“ (გ. სუნღ. „ჟარინკას ვეჩერი“, გვ. 86). „გიფობზე: (გამოართმევს აღლს და მიტყალს) ი. ლაჩათრიანო, აქ მომეცი!“ (გ. სუნღ. „დაქცეული ოჯახი“).

ლაჩანთრა – უშნო, ლაჩარი.

ლაციცა – ქლესა, ლაქუცა.

ლაჭანი – სილა. „ყმაწვილის სახეზე ლაჭანი გააღინა მილიციონერ ბოლოთაის ოყაინმა მარჯვენამ“ (ან. ყურუა „კომ.“ 1935 წ., № 117, გვ. 4).

ლაჭირაჟი – გველაძეა ყმაწვილი, დაუდგარი, დაუდგომელი, ცელქი, ონაეარი.

ლახანიდა – ბოში, ჩათლახი, უნებისყოფო.

ლახლახი –

ლახლუხა – 1. აღრეული ლაპარაკი ზედმეტი. 2. აისორებს, ქურთებს და სხვა პატარა ერებს ტფ-ებმა (ებრაელებმა) მეტი სახელი დაარქვეს „ლ ა ხ ლ უ ხ ა“.

ლახუსტაჟი – საღებავი, საჭმელი.

ლაჯი – „მაგრამ ჯერ ხუთი ლაჯი არ გადაეღა, რომ“... (ლ. ჯანდოერი, „კონრად კიფერდ“, „საქ. მოაზრ.“, 1863 წ., № IX, გვ. 96).

✓ **ლაჯუნი** – უშნო სიარული. „სუსინკაჟ ვერ მოიღალე გოგო-ბიჭებში ლაჯუნით?“ (რ. ფაულენ, „მოაზრ.“, 1896 წ., № 1, გვ. 32).

ლეკანდი – ანუ ლავანდი. 1. გაფუჭებული, გაღალღებული, ავარა. ლეკანდი ოსმალელ ჯარისკაცსაც ნიშნავს. „...Последним именем (леванды) назывались и милиционеры турецкого войска занимавшего Тифлис в начале XVII века и соответствует современному (...) - букуз“ (Ю. Ахвердов, „Тифлиссские Амкары“, 1883, ст. 35). „შენ გითხრეს თითქოს გაესლახანდი, თითქოს მივეცი თავი ბოკემას, თითქოს მე ვიყო ღოთი, ლეკანდი, ვკლავდე ღვინოში შემოქმედებს“ (ლ. ანან., ლექსები, 1933 წ., გვ. 43). „რა ისეთი, ლეკანდი ვინმე ვარ, რომ ეგ ოინები ჩავიღინო“ (ს. ფაშაღ., „ნაინაგის კრებული“, 1933 წ., გვ. 22). „წახდა რაღა, წახდა ჩვენი საქმენი, შენ ლეკანდო, ვირის თაო, რა პქენი“ (ი. ევლ., მ. განჩი. „ჯიბის კალენდარი“, 1912 წ.). 2. გვარიც არის. „ივან ივანის ძე ლეკანდა იყო დეკაბრისტების საქმეში გარეული. („Восстание Декабристов“, ტ. VIII, გვ. 340).

ლეილაში – Жасмин.

ლეილაღი – მემედ აბაშიძე ხმარობს ლაილაქს: „ლაილაქის ხე“ (მუნეევე, 1931 წ., სახელგამო, გვ. 45). მაისის თეთრი ყვავილია, სურნელოვანი, იზრდება ბუნჩებად. **ლეიწი** – მატერიიაა. ძველ ქალაქებში გვითხულობთ: „ქორინიკოს უოვამ წელს ჩემს რძალს მაიას შავის გამოსაცალი ტანისამოსი მივეცი: მქრქალი ღვინო პერანგის მყვევისათ თავის სარჩულით“ (ეს ქალაქი არტ. გაბუნია მ გადმოცა და ჩემთან ინახება).

ლეკარი – ექიმი (ლეკარსტეო). „რამდენი დიდი კაცი, თქვენგან ნაქები ლეკრების ხელაღებული, მე მოიბრჩენა...“ (ს. ჯორჯა. „ესიკა“, 1863 წ., აკვისტო, გვ. 8).

ლეულაწი – ცივი! ამბობენ ეს ლელეჩი ჩაი რად მინდაო.

ლენფოშა – („ვარინკას ვეჩერი“, გვ. 110).

ლეანა(მ)ი¹ – თუნუქების შემაკავშირებელი, მეთუნუქე.

ლიანწი – „უარებელი, ურიცხვი“ (თ. რაზიკ, „ივ“, 1900 წ., № 199).

ლიეპი – დიდ წვიმაზე ითქმის. „აი დაასხა და რა დაასხა, რო სულ ღიები წავიდა!“ (ს. შვალ., I ტ. გვ. 62).

ლილიზარა – მზესუმზირა. ეს მცენარე ყველა ერში ერთი მნიშვნელობით იხმარება: Подсолнечник (რუს.). გიუნან-ბახან (მზეს უყურე – თურქ.). არევიწალიკ (მზის ყვავილი – სომხ.). 4. მზისუმზირა (ქართ.).

ლილიზარობა – „...მაგრამ ლილიზარობა მოითხოვდა, რომ განგებ თავი მოემდებლებინა“ (ლ. არდაზ., „მორჩილი“, 1936 წ., გვ. 123, 144, 164).

ლილხანა –

ლიოკპია – ერთგვარი მოპარვა, აწაპენა. მაგ., თუ ქარავანს შეატყრეს ცალი, ან ცხვარი გააძუნძულეს სადმე (რუსულიდან).

ლიპირტაში – ლირფი, ურცხვი, ნახე „ლუპუსტატი“. „მე შენ გუბნები, ლიპირტაწ – ლიპირტაწულად ნუ ღაპარაკობ ჩემს წინ, თორემ...“ (გ. სუნდ., „დაქ. ოჯახი“).

ლირფი – 1. უსირცხვილო, გარყვნილი, გაფუჭებული. (საბა, გვ. 161; „პეპო“, გვ. 280.). 2. უნასი. 3. საბას ასე აქვს „სიღირბე-თავებდობა“. „ღირბი თავხედსა, ვინა ურცხვსა პქვიან“ (გვ. 161). „შახე ამ ლირფსა“ („პეპო“, გვ. 72). „ტოტლებენი იყო

¹ ასე - რ. ქ.

გაიძვერა, ღირფი, უნაქუსო, თავზეხელაღებული კაცი“ (საქართ. ისტ. და ბ.ნი ეზოვი“. წერ. ა-ლისა (ა. ფრონელისა?) „შოაბზე“, 1899 წ., № 1, გვ. 49) იხ. ნ. ლომი., „ყოველი მხრიდან“. „თასი ღირფი ვინმეები ჩემი სახლისთვის არ დაილგვა“ (ა. ფრონე. „ავანსკინი“, 1880 წ. გვ. 13). „მაგრამ არ უჯერებდა, რომ ღირფის პირითა თავის ნათქვამს ცხადთა ამბობდა“. (ხელნ. ვლხისა, ჯერ არ არის აღწესხული). ღირფობა — ურცხეობა. (ტომის თავკადასავალი, ძვ. გამოც. გვ. 89). „უარყოფელთა ჯგუფი ნიჰილისტურად ბოროტსიტყვაობს, ცინიკურად ჭკუაზნვილობს, ენას იღვასვენ, ღირფობენ, მიეთმოეთით ერთიმეორეს ჰქირდავენ და ასე გათუნებით დაღამებამდე“. (დ. ჯან, „კომ“, 1936 წ., № 90, გვ. 4). „დასამტკიცებლად არქივისკაოსის (იოსებ არღუთაშვილის) ღირფობისა დაეასხელებ შემდეგს... და სხვა... (ა-ლის (აღ. ფრონელის) წერილი „საქართველოს ისტორია და ბ.ნი ეზოვი“, „შოაბზე“, 1899 წ., № 1, გვ. 51).

ლირფი — ვნებიანი. „დედათა მიმართ დაუცადებელი გულისთქმა“.

✓ ლიფლიზანა — დაირაზე რომ ფულებია, ის არის ლიფლიფა (რ. ერისთ. ტ. IV, გვ. 394).

ლიფსიტა — Селедка. ასეა ნათარგმნი გოგოლის ერთ მოთხრობიდან (აქრებ, 1871 წ., № III, გვ. 7).

ლიძინი — ლაქუცი, გველაძეობა; მლიქნელობა.

✓ ლიზიანი — ენაჩლუნგი მოლაპარაკე, რომელიც სიტყვებში ასოებს (ბგერებს) ჰკარგავს. ენამორჩევილი, რომელიც ლაპარაკის დროს „რ“-ს მაგივრად „ლ“-ს ამბობს.

✓ ლილინი — საესებით საესე. „ე ბელღები ხელ დაილიციცი“ (ს. შკაღ, I, გვ. 71).

ლიჭინი — ჭყაპი. „ორჭყსა და ყინაში“ (ვ. ბარნ.).

ლობიანი — ქამხა, ნაქსოვი.

ლოლიანი — მოზრდილი ქვა, მომცრო ლოდი.

✓ ლოთიანად — დარდიმანდულად. ასეთ სიტყვებს თვით ნ. ნიკოლაძეც ხმარობს: „...საქელაიის წყალობით ქვეყნისათვის საჭირო იარაღი, ვაჭრობა, ანგარიშის ხასიათს ჰკარგავს და ლოთიან თამაშად ხდება“ („შოაბზე“, 1894 წ., № XII, გვ. 134). „ლოთიანად, მითხარი, რა დაგიჯდა?“ (ვ. ბაშიჯე, „სიბერეული მასპინძელი“, „სახ. საქმე“, 1920 წ., № 1009, 19 დეკ.). გული შეუბნება ლოთიანად მიეზილო ეს კაცი“ (დ. თურღ, „ჟიზნ. ახალგაზ. ცხოვრ.“, გვ. 17). სიტყვის მასალაა: რაინდულად! ვაჟკაცურად!

✓ ლოთიანი — ჯიგრიანი, ძარღვიანი. „ყმაწვილებო, ეს იმის სადღერძელო იყოს, ვისი გულიდანაც ეს ლოთიანი სიტყვები ამოღებულა“ (აკაკი, ტ. III, 1937 წ., გვ. 101).

✓ ლოთიბაში — მუდმივად ღვინის მსმელი, ლოთი, ლოთების თავი, კარგი მსმელი. „ჩოხატურის ლოთიბაში პოეტებიც ურევან, რომლებიც გაიძახან — „ღამისხი დამალეონე, ჭკუას მოვალ გონებას“ („კვალი“, 1897 წ., № 7, გვ. 149). „ერთი ჯარისკაცი თავს წამოკვადგა. გადაკრულში ბრძანდებოდა. — ბიძაჩემს გაუმარჯოს, ბიძაჩემს! — ოპ, შენა ბრძანდები, ლოთიბაში? მამ ჯერ არ ჩამოუხრჩვისხართ?..“ (ივ. მაჭავარ, „გლეხიკაცის ისტორია“, 1931 წ., გვ. 79).

✓ ლოთი-ფოთი — დარდიმანდი, ხელგაშლილობის მოყვარე. „ეჟენინის პოეტური

ხმის ღრმად ღირიკული და იმავე დროს ღოთიყოთური ტემბრი შეხამებული იყო იდეოლოგიის ფრიალ ჩამორჩენილ ელემენტებთან". (ნ. ბუხარინი, „მნათ.“ 1934 წ., № 9, გვ. 169).

ლოლიათობა — მოფერება.

✓ **ლოპოზიარი** — „ამ კელსიას ჰხურავს ნათალი ღომიფერის ქვა“ (აივ., 1886 წ., № 164, გვ. 2-3).

ლოპიანა — ზედმეტი სახელია გრ. ორბელიანის ლექსის გმირისა: „ჩემს დარღებს ვინინაღვლის, ვინ არის, ვის რად უნდა, ღოპიანა ვინარის“. ღოპიანი საკუთრივ ნიშნავს „ნამიანს“ (ლოპო — ქერქის ქვეშ მოუძწიფებელი ნოტიო მერქანი); ღოპიანს ეს სახელი დაერქვა მუდმივად წყალში დგომის გამო — ღოპიანა მეჩანგლე იყო, მებადური (გრ. ორბ. ლექსის პერსონაჟის სახელი. შიხუა ერქვა იყო მეჩანგლე).

ლორთუპი/ლორბუპი — უენებელი გველია: გველზოკერა, ანკარა, ძლოკვი. გველის მსგავსი, მაგრამ არ იკბინება. ცხოველი გველივით.

ლორთხი — ძალიან დასველებული რამ, დამბალი.

ლორფინი — Кафель.

ლოტობაზი — ღოტოს მოყვარული, ღოტოს მოაზარტე.

ლოტრანბი — ურჯულო.

ლოფლოფა ბაჰჰი — ახლად დაბადებული ბავშვი.

ლოჰაჰი — მუქთახორა მჭამელი.

ლოჰოჰაჩა — პატარა ღოქო, ღლაჰი.

ლოღარიჰი — ცალ სასწორი (საბა).

ლოღმანი — ჯერი მთა-ბარად, ველად, ღოღმანის საძებნელად (იეთიმ გურჯი).

ლოხი — 1. დუნე. 2. „ლოხი დამა“ („ვარინკას ვეჩერი“, გვ. 110). ღოხოშა — დუნე.

3. ფშავეში ღოხი ჭუჭყს ნიშნავს. „თვალს ღოხად ჩაედებოდა“ („კეალი“, 1893, № 13).

„სე გაგახლეე სურვილსა, ნემსს კელად აეგებოდე, პატარას ნარის ჩიტასა თვალს ღოხად ჩაედებოდე“ (ხალხ.).

ლო ხ ი კ ა ც ი — მძიმედ მოძრავი კაცი. დაერდომილი,

ზარმაცი. დაეარდნილი, ინვალიდი, მოშვებული. ღოხიანი — ღოხი კაცი,

დუნდულა, მოშვებული კაცი. „ღოხიანი მზარა (?)“ (ვ. ბარნ., „ვარდფანჯები“, გვ. 164).

ლოხმა — ღუქმა. ღოხმას უფრო უწოდებენ აქლემის საღეჭავ ღუქმას:

დროს გასატარებლად აქლემს ცომს ჩაუდებენ პირში და აქლემშიც ღეჭავს,

ღეჭავს და არ კი ჰყლაპავს. ხშირად ადამიანი თუ უშნოდ იღუქმება —

ეტყვიან: კაცო, რა აქლემის ღოხმასავით ღეჭავ მაგ პურს, გაათავე და

მორჩი რაღაო. „ამ არა და შენსავით უში ხაშლამ ვიქნები, სანამ რასმეს ვიტყოდე, სიტყვებს

აქლემის ღოხმასავით პირში ვღეჭავდე“ (ვ. სუნდ., „აქაო“, 1880 წ., გვ. 13).

✓ **ლოხოშა** — მეტად მსუქანი და მობაჯბაჯე კაცი. ანუ ღოხი, უშნოდ ჩასქელებული.

✓ **ლოხტა/ლოხტი** — ღაგამი, ჯილაჰი, აღვირი. ამბობენ: „ლოხტა აიწყვიტა“. „ლოხტა ვინო, ვრას ჩადი კარესაო, რასაც იცო, სულ აცინებ ხალხსაო, შლაჰა გიგავს მარტყოფის ჩანახსაო, ვი, იმას, ვინც შენ მოცემს ქალსაო“ (ერთი უავტორო სიმღერიდან).

„პირს ღობტა გაგწყვეტია“ (გ. სკანდ.)

ლუბუმი – ტლანქი. „გაზფხული მიწვევს საანცოდ, მაგრამ ლუგუმად მერქნება მისი სიმღერა“ (დ. თურღა „ერთობა“, 1920 წ., № 270).

ლუღლუმი – ენამორჩეული მოღალატარა.

ლულაძაბაბი – საკუთრივ ნიშნავს შ ა მ ფ უ რ ი ს მ წ ვ ა დ ს. მწვადი საბას ლექსიკ. შ ი შ ლ ი კ ი. Люла кебѣн. იხ. დ. ჩ. შალიაპინი წერს: „ვიპოვე ცხვირსახოცი, შიგერთ კუთხეში გამოკანძული იყო ოთხი უზალთუნი, მაშინვე გავეჩანე თათრის ღუქანში და ვჭამე ლულაქაბაბი“ („Страницы из моей жизни,“ 1926, ст. 128). იხ. ქაბაბი.

ლულიანი/ლულიანი – 1. ლულიანი, ე. ი. მილიანი ქეთლი სპილენძისა, რომელსაც სპარსელები ზარულაში ხმარობენ, გარედ გასვლის დროს. 2. სარწყული – 3. თიხის ჭურჭელია ხელების დასაბანად (ბოლოს სპილენძისაც შემოვიდა). „ქაღები წაგვეღებენ ხოლმე ხელს, თითქოს ჩაიდნის ლულინის ყურს წაფულს ხელიო“ (ცოგოლო, აკრებ., 1871 წ., № 2, გვ. 135).

ლული – „ზღაში სიეწროვისაგან და სიდაბლისაგან სმინელი ღული და ტოთი იდგა“ („დროება“, 1885 წ., № 181). „სურში სიცხის ღული ტრიალებდა“ (ნ. ღომ).

ლურთი – 1. ხორცის ძალზე მსუქანი ნაჭერი. (ეს გ. ლეონიძესაც აქვს მგონი). 2. ლურთი – ძალიან მსუქანი (თ. რაზიკ, „თე“, 1900 წ., 132). 3. ნამი, ნესტი, ჭყანტობი.

✓ **ლურთხი** – ნესტი, ჭყანტობი.

ლურსა ცხვირი – წმინდა და თხელი ცხვირი.

ლურჯი სუფრა – ადგილობრივი ტილო, ზედ კევის ფიგურებს აკრავდენ, ჩააგდებდნენ ლილაში და გამოდიოდა ლურჯი სუფრა.

ლუსტაჰანტ – (ე. ი. ლუწ თუ კენტ) თამაშობაა ერთგვარი: ლუწი ნიშნავს წყვილს. სომხურად კი ლუწი „უღელს“ ნიშნავს.

ლუტა – „სიღელსა, რანაირად უყვარდა ი ლუტა კამბეჩები“ (ანადირ, „ჯლიონის კრება“, 1911 წ., გვ. 269).

✓ **ლუჰურტი** – 1. ღუნე, მოშვებული ადამიანი, უსიამოვნო. 2. უმი ხორცი, 3. უგემური წყალი. 4. ცუდი, უგემური. „(მიხეილმა ტბარზანი დალია.) – როგორია? – რაღაც ლუყურტი გემო აქვს“. 3. „ერთი ყური უგდეთ იაკობ სიომონიძეს, მუზიკალურ კრიტიკოსს... დარდაკოვის სიმღერას ლუჰურტად და უგემურად აქვს“ (სა. ჩიტორელოძე – მ. ზ. ყიფიანი, „თე.“ 1889 წ., № 88).

✓ **ლუხი** – ყომარის თამაშობის დროს ოთხივე კოჭი რომ თაფზე მოვა.

მაღარჯაი - (სადაურია?) წმინდა და კარგი ხარისხის მიტკალი, ჩადრებს
 ჰკერავდნენ.

მაპანი - ამბობენ; მავანმა სთქვა, რომ ეს კაციო და სხვა... ვითომ ამა და ამ
 კაცმაო. როცა არ უნდათ რომელიმე პირი დაასახელონ, მაშინ სახელს არ
 აღნიშნავენ და ამბობენ: მავანმა და მავანმა, ფლანმა და ფსტანმაო და სხვა.
 მაპარანი - სპარ. პანგის სახელია.

მაზა - 1. თვალსაჩინო რამ, შესანიშნავი, სანუკვარი. ამბობენ: „სუფრის
 მაზააო“ - საათნოვას ლექსი. ვითომ სიკობტავე, სუფრის დამამშვენებელი,
 სუფრის სანუკვარიო (კარგი გემოიანი საქმელი). „ახლა მუფე გამოვიდა, ბიძაშვილებს
 უდარბაზა, ხილზედ დასხდნენ, მოიტანეს უცხოები, ბევრი მაზა, ღვინოს სმიდეს მანურსა,
 უკეთესი რომ ევაზა, ასრე დახვდნენ ორი ძმანი მამისაგან ეანდაზა“ („არჩლიანი“, გვ. 4, გამოც. 1853
 წ.) „ანუ რაიმე ტბილელი: მაზა რამ მწვანილელი, შაქარღამა“ „თითქოს მაზა რამ ყოფილიყო“
 (ნ. აუაღ, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 92, 113).

2. სუფრის სიკობტავე; სანუკვარი
 საქმელი. შდრ. დ. ჩ. „...ყველგან მიღებული სუფრის მაზათა“ (საათნოვა). „შენ ვით დარი
 დარობ, მზესთან შესადარო, ხშირად იყავ შირა და ყოველთვის მაზა“ (ი. ვაკელი, ლექსები, 1929
 წ., გვ. 162). „გადაიგბტი, გადმოიგბტი, მოგიტანე მაზა-მაზა, შე ჩემანლა გოგონა, ეგრე რამ
 გაგალამაზა“ (ზაღხ.). „ჯეირანი აღარ ჩანდა, მათი მაზა სანაზვი“ (ი. იმედ. „ნორჩი ლენინელი“,
 1938 წ., № 55). „მშვენიერი გოჭი გახლავსო, თქვენებურად შემწვარი სუფრის მაზა იქნება“ (ვ.
 ბარნ. „ფერად-ფერადი“, 1934 წ., გვ. 76). „გადაღბიელის (გადაღბიელი ფსევდონიმი იყო
 ანთიმოზ ჯუღელი - ი. გრიშ.). წერილი გამოდგა ისეთი უგებური მაზა“ (ი. გოგება. „მუცერების
 ამყობა“, „ივ.“, 1881 წ., № VII, გვ. 109). „რაკი სოფელი ცრუა და უნდო, მე ეს ვარჩიე თქვენთვის
 მაზათა“ (ვ. სკანდ. გ. სუნდუკიანცისადმი „საარშიყო სარკე“, 1890 წ., გვ. 5). „მავრამ ლევანიერს
 თანდათან აგონდებოდა შემწვარი ინდაურები, მაზა-მაზა საქმელები“ („ივ.“, 1886 წ., № 32). „რომი
 ლამისა წაღვეოს არსსოვანამ და შენი მოჩმასული ძეგლები რისი მაზაა“ (კ. გამს. „უკრაინის
 თემილი“, გვ. 115). „ეს უგულბებლყოფილი რისი მაზაა?“ (კ. გამს. „წიგნი“, 1933 წ., № 2-3, გვ. 43).

✓

მაზალო - 1. შესანიშნავი, საინტერესო, მოწყობილი, მოხერხებული. 2.
 საოცარი, საკვირველი. „ჰა, რა მაზალო რამ არის და!“ (თაგუნას თხზ., 1919 წ., № 50). 3.
 Забавный (განხივის ლექსიკონი, გვ. 37) ეს სიტყვა ნახმარი აქვს ა. შანშიაშვილს
 („ქართ. მწერ.“, 1930 წ., № 3-4, გვ. 55). „ერთი მაზალო საქმე მომივიდა“ („ს. ფაშაღ. „ნონაგი“, 1936
 წ., № 8). „მაზალო ამბავი“ (ი. გრიშ. „ნონაგი“). „რა მაზალო კაცი იყო ცხოვრებული ემპეტეაშვილი,

სახრჩობელაზე რომ ავიდა“ (სოვ., 1890 წ., № 1) „ნისიად არავის. სამეწერძნლო ღუქანი ზურაბ და გრიგოლ ანტონოვებისა. ნაღდათ, იაფად; მოდი ნახე რა მაზალო რამე! (ღ. ჯან. „ზურაბ ანტონოვი“, 1934 წ., გვ. 4) „მართლა, ერთი მაზალო რამე უნდა გითხრა“ (ი. გრიშ. თემ. ჟურნ. „წმინდა გიორგის შუბშათარახი“, 1907 წ., № 1) „მამ ნიკა მოგიკვდეთ, თუ მაზალო სიტყვა არ გითხრათ“. (ი. ევლ., 1905 წ., № 184) იხ. ჩემი სცენა ფირუზას ფსევდონიმით (მაზალო ამბავი“, „ნინავი, 1933 წ., № 3) „გინდათ ერთი კარგი მაზალო რამე გითხრათ?“ (წიგნაკი „შურდული ივერიდან“, 1904 წ., გვ. 27; ს. შანშ., „ქართ. მწერ.“ 1930, № 2-3, გვ. 55) „ო, ერთი ხეა შექნება, ნახავდი, რა მაზალო რამეს ვიტყვიდი“. (ს. შანშ., „ქართ. მწერლობა“, 1930 წ., № 3-4, გვ. 55)

მაზანდა — ნიხრი. „შეიძლება მაზანდა ამალლების მაგიერ ძალიან დაიწიოს“ (ნ. ნიკ. „მოამბე“, 1894 წ., № XII, გვ. 33)

მაზმანი — „მაზმანსაკით დამაბრუნეს დართული“. საბა თავის „მოგზაურობაში“ ამბობს: „ერთი მაზმანური ჩოხა ეცა, თავსაც ისევე მაზმანური თხისური ეხურა... (საბა „მოგზაურობანი“, „ცისკ.“, 1852 წ., 1-4; ანტოლოგია II, 1928 წ., გვ. 134)

მაზმანნი — თოკის ოსტატი. ბაღნის მქსოველი. წინათ თოკებს და სხვა მისთანებს ბაღნისაგან აკეთებენ. ბაღნის თოკების მკეთებელი.

მაზნიერი — მაწყინარი.

მაზრავი — დასაკრავი წვირა.

მათა — 1. დიდი რამე ღირებულება. მათა რამე! ასეთი ფირნიშიც (ვივესკაც) არის. „შუღამ დღე მათა რამე საჭმელი“. („ნინავი“, 1934 წ., № 2) 2. ვინც მარაქაში (ლექსი სიმღერის შეჯიბრებაში) დამარცხდება, მათას უწოდებენ. ამ სიტყვას ხმარობენ დაცივნით: ის, რომელი ქალი იყო, აგეთრიაო, შენ მათა რამე აგერჩიაო და სხვა.

მათლაბა — ღრმა თეფში.

მათრათი — 1. თიხის ამოღრმავებული და პირგაშლილი ჯამი. ამ ჯამით ფურნეში ხშირად აძლევენ ხორცს. თავას მაგიერობას ეწვევა. 2. თიხის პირგანიერი ჯამი, ძრო ვიწრო აქვს. „წვენით სუხე მათრათი შეღა“ (ნ. აკლ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 245) ჩანახი, თიხის პირღია დიდი ჯამი, რომლითაც ფურნეში ხორცს აძლევენ.

მათრავი — „პატარა რკინის კეტი“ („მნათ“, 1937 წ. № 8-9, გვ. 277)

მათუნჯის ფლავი — იხილე ახპატელოვის „სამზარეულო“, გვ. 46.

მათხავი — 1. ხის ან ძელის გასახვერეტი იარაღი. 2. ოქრომჭედლების იარაღი, პატარა ჭახრაკი.

მაია —

მაიაძრათ — ნასყიდობის ფასად.

მაიამხი —

მაკილატი — 1. გონებამახვილი, ოხუნჯი, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი, ქილიკი. 2. ხუმარა, მოხუმარი. „ასიყო ცაგარელი სამიწელი ცელი მაკილატი იყო“ (ს. შგალ., „ჩვენი დროება“, 1913 წ., № 26)

მალატიანი — ზოლ-ზოლად დაჭრილი ოქროსა და ვერცხლის თხელი პატარა სხეულები ნაჭერზე დანაქარგი. „ეს სარტყელ-გულისპირი მალატიანით ნაქარგიაო.

მალალი — 1. სათუთი, შეუმწიკლაეი. 2. მინაზებული. იხ. ჩემი „დამიბრუნდი“.

მალაიტი — 1. (სპარს.) ფასი, ღირებულება. გადასახადი ხარჯი (იხეო ოსეშვილი „გადასახად“, გვ. 9) ამბობენ: რა გენანება, მაგის მალაითიო დაიქცესო. 2. ღირებულება. „კინ იცის, ისეთი დრო დადგეს, რომ ლუკმა პურის მალაითი რა არის, ისიო კო გენატრებოდეს“ (სოე., 1892 წ., № 253; ჩ. გვ. 663; ვ. ბერიძე) „მაგის მალაითიო დაიქცეს“. „ამის მალაითი რა არის“ — ხშირად ამბობენ აქ.

მალლა — კალატოზების იარაღი. კედელზე წასმულ გაჯის დაუთოვება. ამ იარაღით შეიძლება კედლის შელამაზება-შესწორება. ქაფჩისებური სწორცხვირიანი თხელი კალატოზის იარაღი. კედელზე ბათქაშს ამ იარაღით უსვამენ.

მამაილა — შეილი მამის მსგავსი.

მამასისხლად — მეტად ძვირად. „თითო ლუკმას მამასისხლად აფასებს“ (ნ. აზიანი, „ფული და ხარისხი“). „ტფილისში რიგიან ხილს მინც იშვიათად იშოვის კაცი და თუ იშოვა, მამასისხლად ფასობს“ (სოე., 1888 წ., № 146). **მ ა მ ა ს ი ს ხ ლ ა დ ფ ა ს ო ბ ს** — ძვირად ფასობს.

მამლაჟუჩა — მამალი. „იმათა მამლაჟუჩამ ფრთა შემოკრა ფრთასა (გრ. რჩეულ, „ანუკა ბატონიშვილი“, 1896 წ., გვ. 57).

მამლიპი — მამალი ბატკანი. ცხვარზე იტყვიან მამლიკი, ეგვიპტურადაც ყოფილა (1866 წ., გვ. 295, „Новые заметки о древней истории Кавказа и его обитателей“).

მანა — 1. პალო, მომცრო მარგილი. 2. თავ-შემოსავლებელი ფული, რომელსაც შემდგომ ხატზე დაჰკიდებენ.

მანდილაპი — მანდილისაგან რუსული დაბოლოებით წარმოებული სიტყვა.

მანეზიანი — კაბა ან საბანი. უცხო ქვეყნის ფართლეულობა, რომლის ზოლები ქართული ანბანის მანის სახეობისა იყო, რის გამოც ხალხმა მანეზიანი უწოდა.

მანეზიანი საბანი —

მანჯაროლი — ერთგვარი ჯიშის ნესვია, ძალიან ტკბილი.

მანსური — ჰანგია აღმოსავლური. საკუთრივ „ძლევამოსილს“ ნიშნავს.

მანული — გროში, ცოტა ფული (ს. შკალ).

მანარი — ვინტოკა.

მანია — ელამივით მაცქერალი.

მარალი — შველი, ნუკრი, ირემი, ჯეირანი. „ახ, მარალი, მარალი, ჩემგან რისთვის წახველი, ვიტი უცხად რომ მოჰკლავს შენი დარდი, ნაღველი“ („კოლექტივისაცია“, 1935 წ., № 80). „შენ ჩემი მარალი ხარ“ (არშინ მაღ-ჟღან).

მარაჟა — 1. ლაშქრის დგომა. იხ. „ნამუსის“ ლექსიკონი და ჩემი „ძველი ტფილისი“, გვ. 244. 2. საჯარო კამათი, ორთა შორის პაექრობა სიმღერით

და ლექსით; თაქარლამა; ხალხის შეკრება, შეკგეუფება; აქედან: აშულების მიერ საჯაროთ გამართული შეჯიბრება. „მარაქა შეჰკრა“ - კამათში გამოიწვია; „მარაქაში გაერია“ - ხალხში გაერია. 3. აშულთა შებმა, გაჯიბრება, გაშიარება სიმღერით. 4. ქალთა საზოგადოება.

მარასოში – ტკბილ-მომეყვო. მარახოში. ხოში. ზარხოში.

მარიჟათი – 1. ლაზათი, უნარი, ზრდილობა. „თუ იძენდა გაიწვრთნები და იძენ მარიჟათს გამოიჩენ, რომ არენ გაიგოს, აილე ქრთაში“ (მ. ხუბუს თარგ. „ჯემალზადეს ნოელები“, „მნათ“, 1935 წ., № 5, გვ. 113). „ოქეთმერნემ მიქიანხან, გვედრები მხოლოდამას, შენს მარიჟათს ვნაცვალე, ნუ მოგვკალებ სმას და ჭმას“ (ლ. კავს კუბულეტიდან, ნათქვამი კრებულში 1937 წ. იანერის 17-ს). „მარიას და წმინდა ნინოს არ ქკონდათ სულ მარიჟათად მტრებისაგან ხალხი დაეცათ ან გაერთათ არაქათი“ (ს. თ-ია, „შებრძოლი უღმერთო“, 1935 წ., № 23). „აბრამ მარკოვიჩ, ნუ გვერათ ცრუ ხმები... სიტყვის დარღვევა არ შეეძლო, ვოცი თქვენი მარიჟათი. სადგური დელეგაციებით გაიჭედებოდა, როლანის კატეგორიული თხოვნა იყო“ (ს. ამაღობელი, რომენ როლანი მოსკოვში, „ს. კომ.“, 1935 წ., № 177, 4 აგვისტო). „ნურავინ წაეტოლება გრსელიშთოს მარიჟათში, გამჭრახხა-მოხერხებაში, იგი სულ სხვა ნიჭის ატარონა“ (მ. ბურდული, „კომ.“, 1936 წ., № 323, გვ. 429). 2. შნო. („ფერად-ფერად“, ვ. ბარნ, გვ. 99). „აუღესანდრე თავის მარიჟათის სიჭარბეზე ხშირად იცხვხინდა“. (ანდუსტრ. ქუთაისი“, 1938 წ., № 72, გვ. 4). 3. უნარი, ზრდილობა. 4. საკუთრივ „მერიფეთ“ ნიშნავს ცოდნას – знания („На Кавказе“, 1909 წ., № 5 გვ. 15). „მარიჟათიანი პურმარილობა“ („მოამბე“, 1905 წ., № 11, გვ. 29 (მეორე განყ.). ეს სიტყვა ნახმარი აქვს არაქართლელ მწერალს რ. გვეტაძეს („ქართ. მწერ.“, 1930 წ., № 3-4, გვ. 17). „ვის უთხრეს, შენი მარიჟათი რა არის და, კედი აიწია“ (ქალაქ ანდაზა). 5. სიმარჯვე, მოხერხება („კვ.“, 1900 წ., № 119). „მოფრება შეატყვს, რომ აქ კარგი არაფერი იქნება და მთელი მარიჟათი მოიხმარეს“ (ლ. მეტრ., „კომ.“, 1928 წ., № 245). „ვენსცალე მარიჟათიან სახეში, ვინც ერთობა მოიგონა“ (ი. ევდ. „კვ.“, 1905 წ., № 184). „მე ასეთ რამეებში დიდი არაფერი მარიჟათი ქკონდა“. (დ. მ. როსტომაშვილი, „ატფილისიდან ზნაქენკამდე“, 1933 წ., გვ. 24; რ. გვეტ, მოთხ, „ქართ. მწერ.“, 1930 წ., № 2-3, გვ. 17). „ჩემში სიცილს იწვევს მისი თხრობის კილო, სახის გამოძეყველება და მარიჟათი“ (რ. გვეტ, „ქართ. მწერლ.“, 1930 წ., № 3-4, გვ. 17). შნო, უნარი. „ჩამოდექით ზღვებო და ტრამალებო, წინ, წინ გასწით სულის მარიჟათებო!“ („სამხისო“, ნ. ზომღეთ, „კომ.“ 1931 წ., № 100).

მარტოქანა//მარტოქინა – მარტოდმარტო.

მარჰაზა – დამხმარე ძალა; მასველი რაზმი.

მარჰრიტა – მარგარიტა.

მასაბძაღლი – რჯულძაღლი. „მასაბძაღმა ზარმა დიდი ტარო მოგლიჯა“ (ს. შვალ, I, გვ. 32).

მასათი – 1. ყასბების დანის სალესავი, რომელიც წელზე უკიდიათ - დანასა ჰგავს. 2. დანების სალესავი, დანასავით ვიწრო. სალესავი ფოლადისაა, ხოლო ტყავს ჰქვიათ - თალათინი, ნატა. 3. ფოლადის ნაჭერი, რომელიც ყასაბს ქამარზე უკიდია და ხორცის ჭრის დროს ალესავს ხოლმე.

ლხენამ, მატურს ლაგადგამენ" (ს. მგაღ. I, გვ. 207). საფლავის ქეგლი. „მამჩემი მეტყოლა ხოლმე: მამა გიციხონდა, როცა მოკვდებო, თითოთ სამარე არ გამოითხარო და ოქროს მატური არ ღამადგა!" (მ. ბერძენ ნაამბობი, 1932 წ., 14 (XII). 2. სომხ. სიტყვაა: პატარა ეკლესია რომელიმე საფლავზე.

მატჩი-მალაჩი — (სკვ., 1888 წ., № 192, ილას ფულეტ) „ეს უხეირო ჯამაზი თავისი მატჩი-მალაყებს ასე ურცხვად გადაღის“. ასიკოს აქეს მიჭკამალაყი.

მაძანა — 1. გამოსადეგი. „ამა რის მაქანა ვართ“ (გ. ბაშინჯი „ახირებული მასპინძელი“ „სახ. საქმე“, 1920 წ., № 1009). 2. მაქნისი, ვარგისი. ამბობენ: თუ არ იმუშავენ, მაშ რის მაქანა ხარ, რომ მოსულხარო. ვითომ რის მაქნისი ხარ, რა საჭიროვო. რის მაქანაა-რის მაქნისია, ე. ი. რა გამოსადეგია. „გვგა თუ არა გაქვს, ხარ რის მაქანა“ (ჟურნ. „მოლტი“, 1931 წ., № 27, გვ. 2). „ერთი მითხარით, თუ რის მაქანეები ხართ?“ (ნ. აზიანი, „ფული და ხარისხი“, I შოქ).

მალარიჩი — არაბ. ხარჩი, ე. ი. ხარჯი გაილე.

მალდანი — მალდანიოზი.

მალდანოზი — სანელბეგელი მცენარე მწვანელი, ოხრახუში (იმერ.).

მალრანი — სპარ. მფრინავი თაგვი (?)

მალულ-მელარი — აშულ ყარიბის სატრფოს სახელი.

მაყალი —

მაყაში — 1. მაყაში იყო ერთგვარი მაკრატელი, რომლითაც ქონის სანთელს „ცხვირს ჰხოცდნენ“. 2. მაკრატელი, რომლითაც ქონის სანთელს წამწვარ თავს სჭრიან, „ცხვირს მოხოცვენ“ (ძველებური გამოთქმა).

მაშალი — „ქერსიდსკიე სკაზი“ (აკად. გვ. 427).

✓ მაშალლას — დიდება ალახს. „მაშალლას“ იმხდნენ მუსულმანები“ (სკვ., 1891 წ., № 133). ქების შესხმა.

✓ მაშარაში — (ნარ-შარაბ) ბროწეულის წვენი. სპარ. „ნარ“ ბროწეულს ნიშნავს და „შარაბ“ წვენს.

✓ მაშია — მალალყელიანი წულა (ფეხსაცმელი).

✓ მაშარაბაში — მოხეტიალე მსახიობნი.

მაჩანალა — „მაჩანალა-ზედმეტი“ (თ. რაზიკი, სკვ., 1900 წ., № 133).

მაჩათალა — ღამურა.

მაყაყარა — მოუსვენარი, ყველაფერს რომ ეტანება.

მაინა — შიკრიკი (ეყას ლექსი ამ სათურით, სკვ., 1886 წ., № 198).

მაწანარა/მაწანარა — მაწანწალა (ანუ მაწუნწარა) უვარგისი, ბოგანო, ცუდი კაცი.

✓ მაწანარი — ტილო ქვევრის ამოსაწმენდი. (აქვს ღ. ჩ-ს).

მაწიარი — 1. ანუ მაწიერობა. ყუათიანი. „სი-სი მცენარის რძე ისეთივე შებრვა და მაწიერი, როგორც საუკეთესო ძროხის რძე“ (ღ. აღნ. „ჯუჯილი“, 1898 წ., № 5, გვ. 55). ჩვენი კება ვეგეტარიანულს ჰგავდა, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს კერძს აკლდა მისი მაწიერობა, ნოყიერება, ცხიმები“ (ღ. თურღ. „ეპიზოდები ახალგაზრდათ ცხოვრებიდან“, 1933 წ., გვ. 5). 2. სინოყიერე. „ამ პურს მაწიერობა არა აქვს“. „ის ყველი კარგია, მაგრამ ამის უფრო მეტი

მაწიერობაქეს“. გუესებ ჯიქანს ფურ-კაქეჩს, სახლში გაგზავნი რძინას, ღონივრად დააწიერებ ყველა რქინს და ურქოსა“ (შ. მღვ., I ტ. გვ. 39).

მაჭათა – მატრაკვეცა. იხ. მატაოცი. „ღამაში მაჭატა გოგონა ამ სტუმრების ნებიერი და საყვარელი სათამაშო იყო“ (ნ. ლომ., მოთხ., გვ. 259; ლ. მეტრ. წიგნი „ჯაგანი“, გვ. 171).

მაჭათი – ბლინი.

მახალაი – საესე რუმბის დასამაგრებელი.

მახვილაი – 1. ლაპარაკში რომ კილოს გამობამენ, ხუმარა, კვინწარი, დასავლეთ საქართველოში „მაღვალაკი“. მახვილაი – მე მაქვს ა. ცაგარელში. „მახვილაი ქაიხოსრო“ ამ სათაურით ბ. ახოსპირელს მოთხრობაც აქვს („ნაკად.“, 1913 წ., № 19). 2. ხუმარა. „გარდაიცვალა საფრანგეთის მწერალი აღრიან დეკურსელი, რომელიც მეტად მახვილაი და ოხუნჯი თანამშრომელი იყო „ფიგაროსი“ (აჟ.“, 1892 წ., № 189).

✓ **მახლას** – 1. გადაწყვეტა. იხ. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 67. 2. ეს სიტყვა პირველად ლიტერატურაში გამოიტანა ი. ევლახიშვილმა, რომელმაც ამ სათაურით დაწერა ფელეტონი (აჟ.“, 1853 წ., № 21). ამ სიტყვას მხოლოდ ტფილისში გაიგონებთ. არაბ. „მლახს“ – ნიშნავს გადაწყვეტას (ფარს გორგიჯ. ლექსიკონი, გვ. 67). „და სხვადასხვა“ (არაბულია).

მახმური – ხავერდი. „გაიხარე, თან იქეიფე, ჩაიციო მახმური და ხარა, ერთი გულშიც ჩახედეო, ყველამ გაიხარა?“ (ხაღს.). „პირ-მახმური ხავსი, შენი მზგავსი არსად იქნება“ (პაზირა).

✓ **მახონი** – 1. ქილაში ჩაჰყრიან ქატოს, ჩაადებენ ცომს, დარჩება ორი კვირა, ამოიღებენ, გაიწურება, უზამენ მწვან. ისპანახს, ქინძს, ზეთს, ნიორს, მოადულებენ. დიდმარხვაში კერძია, საჭმელი. შეჭამანდი – ასე ეთდება: ჯერ პურის ხაშს გასთქვეფავენ წყალში, ამ წყალს დაახამენ ქატოს, რომელიც ერთ ჭურჭელში იქნება მოგროვილი, მერე ჩაახამენ ქებაში, ისე დასტოვებენ ცოტა ხანს, მერე გასწურავენ, აადულებენ, თუ მუავეა ძალიან, წყალს მიუმატებენ. თუ სქელია, შეათხელებენ. ვის როგორ ეამება. ქატოს ჩაჰყრიან წყალში და დაამუავენ. შემდეგ გასწურავენ, ქატოს გამონაწურს მოადულებენ, შიგ დანაყილ ნიგოზს, მწვანილს და ნიორს ჩაჰყრიან; დიდმარხვის საჭმელია. „უნდა სჭამოთ კარგი კაქეჩის ზორცი, კარგი ღორის ზორცი, კარგი პოლანდიის ყველი, ფაჟა, ფლაჟი, წაბლი, შაქრის პური და მახონი, რათა შეწებდეს და მოსქელდეს სისხლი თქვენი“ (ივ. მაჩაბ., თარგ. მოლიერო, „უჭვით ავადმყოფი“, გვ. 64, აჟ.“, 1879 წ., № 5-6). „მითომ უნდოდა ჩემგანაც მიეღო ტუბილი პასუხი, მაგრამ მის მაგივრად მე მოუეღლე მახუნი“ (ბაჩ. ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 378). „მანდ ქართველები ისე ეუბნებიან ერთმანეთს „გამარჯვებო“, თითქოს კითხავენ: რა სჭამე დღეს – მახუნი თუ დო?“ (კაჟა, „თ. და ც.“, 1916 წ., № 20). არსებობს ერთი არაკი: ტერტერა მახონს აქებდა, მოლა – ფლაეს. სომეხი ჯიუტობდა და არ უთმობდა. ბოლოს სპარსელმა უთხრა: კარგი, ეს ბრინჯი ქატოში გაიბარე, მაგრამ ამ ერბოსი მანინც აღარ გრცხვენიაო? „ქატოს შეჭამადი, მუავე“ – ასე აქვს ღ. ჩ-ს. ეს არ არის სწორი ახსნა. აი,

რატომ არის მუაეე და როდის ჭამენ: მახოხი...¹ 2. მღვრიეს სინონიმად ხმარობდნენ. „ბაქოში მილი გამართეს და ეითომ ზღვის წყალს სწუმენდავენ, ნამდვილად კი მილში წყლის მაგიერად მახოხი მოდის“ (აგ., 1893 წ., № 171). „შენ განა კაცი ხარ და ქელი გზურავს? შენ სისხლის მაგიერ მახოხი ვიდგას ძარღვებში“ (მოასახო, „რენარის შორევი“, გრ. ყოფმ. თარგ., აგ., 1887 წ., № 218; ლ. პეტრ. ანდაზები, გვ. 48). იხ. ღ. ჩ.

მაჯამა — ომონიმები; ორი სიტყვა, რომელიც ერთგვარად ისმის, ხოლო აზრით სხვადასხვაა. მაგ., „ღმართ-ღმართ მივლიოდი მე ნ ე ლ ა, სერზედ შედგე, ჭმუნვისალი მე ნ ე ლ ა“ (აკაკი). „თუმცაკი ბეურს ჩხუბობდა, და ო ბ დ ა, მაგრამ მინც ქველი სიტყვა დაობდა“ (გრიშ). „მაჯამების“ საერთოდ გასაცნობად იხ. „საათნოვაში“ ნახსენები წყაროები (გვ. 73, სხოლი).

მაჯამა — სამურაბე ლარნაკი, ვაზა.

მაჯაში — წამალია ერთგვარი, ძილის მიმცემი, მოხუცთათვის ასაღლევებელი.

მაჯაში — მურაბა, ღონის მომცემი.

მაჰანა — მიზეზი, საბაბი, გამოისობით. „მაჰანა სიყვარული იყო, კარგი შხითევი კი გაიკრა“.

მაჰური — თარის ჰანგია.

✓ **მდაღე** — პატარძლის მყარი.

მდასტურა — თანხმობის მიმცემი, დამადასტურებელი.

მდაზახი — „გაჰას ყურადღება არ მიუქცევა ბიჭისთვის და მოუღუნა ბიჭისთვის“ (აგ., 1887 წ., № 188).

✓ **მეზარნიშა** — ჩემი მამათლის პას პირველი მეზარნიშეყოფილა (აგ., 1877 წ., № 4, გვ. 15).

მეთანაღრება — „გული როგორღაც მეთანაღრება“ („ოტელი“, ივ. მაჰაბ. თარგ., გვ. 83, 1888 წ.) „სეთი დამოუკიდებელი ცხოვრება იმისი ძლიერ მეთანაღრებოდა“ (აგ., 1892 წ., № 86).

✓ **მეთულუხა** — „(...სლამის დროს) მართალია, ხანდახან ფუნულა ხელის ხელში ჩადება სასიამოვნოა, მაგრამ ეს იშვიათია და უფრო ხშირად გასერილ-გატლახიანებულ ხელს გვაჩქებენ ხოლმე ხელში და რა სასიამოვნოა, უნდა მეთულუხე უკან დაგდევდეს, რომ წამდაუნებ ხელი იბანო, თორემ ხომ გაუწმინდურდი?“ (აკაკი, აგ., 1883 წ., № 209).

მეიხანა//მეიხანი — სამიკიტნო.

მეიხანაჰაბა — მეინტერესება. მიამბება.²

მელთუხ — მაგრამ, ხოლო, ეითომ.

✓ **მეითვარია** — მთვარეული.

მეიშუტრაბა — შეემუშტრა და სხე.

მეიღარი — მომღერალი.

მენენიკი — იმენიკი (როგორც რიკრიკა — ვიკროიკა), სახნიობა, მეღლეობა. „წელსა ჩემი (1817) ალექსანდრე ჭაკვაძის ასულს ნინას მენენიკის დღეს მიუძღვნე იამბიკო ესე დიმიტრი თუმანოვიან“ (საქ. ცენტ. არხივი, № 495, გვ. 11; ძვ. ლექსიკა, გვ. 246). „გილოცეო

¹ აქ წყდება — რ. კ.

² ასეა — რ. კ.

მენიკს" (ტრ. რამიშვილი, „მონადირე ქალები“, მნათ., 1937 წ., № 5-6, გვ. 91).

მეპიტანაპაბა — „ამის ცარიელი ხელი რაში შეპიტანაპაბა“ (ილია, „მაჭანკალი“).

- ✓ **მერდინი** — 1. წმინდა ქსოვილი, ქალაღია. „უღლ-ჩაყვით, ყელზედ ჩით-მერდინითა, რა ჭკვეთთ გავსწვევთ ორთაჭლისკემ“ (გრა ორბ.). 2. საცერი, ფეკილის გასამტკიცად; ჯერ 1. მერდინი (წმინდა საცერი ძუასგანაც შეიძლება). 2. ცხრილი. 3. ცხაეი (ამ ორ უკანასკნელს ტკეჩისაგან აკეთებენ. (ტკეჩი არის კაპრის ხის ან თხილის ხის ანაგლეჯი — ანატკეჩი ტყაეი). „ჩვენს ეტლს ამშვენებდა ლაქია სოლოონა აზარფემით ხელში, ყელზე მერდინობხვეული“ (ელ. ყაზბ. მემუარები, „მნათ.“, 1924 წ., № 5, გვ. 315) იხ. „ჩით-მერდინი“. „უკან კარი კიდევ გაიღო და ლუქნის პატრონი შემოუღღვა შორთულ-მოკაშულს ოსის ღელაკაცს, რომელსაც პირისახეზედ ჩამოეფარებინა მერდინი“ (ა. ყაზბ., „ამის მკვლელო“, „ცნ. ფ.“, პრეშია გვ. 228). „მოიგლიჯა მერდინი და კაცებს ჩაუგლო შუაში“ (იქვე, გვ. 242).

მატუჩაპაბა — ტურის მიკრავს, მებუტება.

მაუაირულაპაბა — მეეჭვება. არა მკერა. „არა, მძავ. მეროგორღაც მუეპირულება, ერთო ბეწვა ცაღებო და აძღვნს კი იწონის“ (მელან, „ნაგარღობა“, „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 39).

- ✓ **მაფიონი** — ნეფის ხალხი, მაყრიონი, სიძიანი (ილია, „მაჭანკალი“, მეორე მოქ.).

მაქალაქანი —

- ✓ **მაწი** — ცხერის ტყაეი, მიშინი (სპარ.).

მაჩანღლა — მეთევზე.

მაჩაპაბა — „არ მერეშება“, ე. ი. ჩემად ვერ ვხვდი, ჩემი არ არის, ჩემებურს არა ჰგავს.

- ✓ **მაწარილმანა** — ძველად არ ნიშნავდა მოხეტიალე ვაჭარს. ეს მეწვრილმანეები იყვნენ შეითან ბაზარში (ეორონცოვის ქუჩა, თათრ. მოედანთან), სადაც სხვათა შორის იყიდებოდა ყოველგვარი სამკურნალო წამლეულობა; ძველად აფთიაქის მოვალეობას ეს მეწვრილმანეები ასრულებდნენ (აქ იყიდებოდა ტავზი, არიაქა¹ და სხვა).

მაწარლა — მწარალშაქარა, შაქარლამა.

მათაპარი ცნაპა ღამაპარაბა — ე. ი. „გონება დამეკარგაო“.

მათინთლავს — მიყვაებს, თავს მიქონავს, მამბრიყვებს, მეფერება, პირში მაქებს. ამბობენ: ის კაცი მთინთლავს, რა არის, იმაზედ კარგი ვსთქვაო, ე. ი. მეფერებაო. თინთვლა — ლიქენა.

მიბაღლაჯუანაპა — მიდის და მიიქვს ყველაფერი, წინ არ იხედება, ყველაფერს ეხლება.

მიბაპოსა — მიბატმასნა, მიიკრა, მიუმატა.

მიამიტი//მამამიტი — გულუბრყვილო. „თავიდან ვიშორებ იმ წარსულ მამიტი“ (ნ. ზომლეთ. „სოფლის სახლე“, მნათ., 1929 წ., № 4, გვ. 1). ანუ მეამიტი. მეამიტი ნახმარი აქვს ე. ბარნოვს, „ვარდფანჯები“, გვ. 49. არც მალავდა თავის უზნეობას, ესე შეამიტად გვიამბობდა თავისგან ჩაღწილ აუაჯაკობს“ (ე. ბარნ, „პროფესორი“, თ. I; „ლიონის

¹ ასეა — რ. კ.

კრებ., გვ. 231). „ნორჩი ვარ! – და შამშიტი ყოფილხარ, წადით, გამშორდით“ (სუნ ფურც., სურ. დამ., 1901 წ., № 4). „მტრედევით უგუნური“ (გლეხური თქმა). ხალხურად მ ე ა მ ი - ტ ი (ეს სიტყვა არც ერთ ლექსიკონში არ არის). გულუბრყვილო ჩვენს მწერლობაში გავრცელებულია. „არსებობს თუ არა დედაძინის ზურგზე ისეთი მუამიტი ადამიანი“ (გ. ქიქ. თარგ. ბალზაის „შაგრენის ტყავი“, 1932 წ., გვ. 42 და 59). „სდგან კლდეები შამშიტები“ (გ. გაბლიანი, ატო სევანდში, „დროშა“, 1932 წ., № 18-19). „მატლურმა სიყვარულმა ტინი და გული მოუწამლა და მის შამშიტ გონებაში ცხოვრება გადიშალა, როგორც დასწყისი ჯადოსნური ზღაპრისა“ (არ. ჯაჯან. თარგ. „გამოკეტოლ ოთანში“, 1938 წ., გვ. 90). საბას და დ. ჩ. -ს არა აქვთ ეს სიტყვა. „ამოდენი შამშიტობა – ეგზომ ნათელი გონების გვერდით...“ (ახალგაზრდა ვერტერის ენებანი, თარგ. კ. გამს, 1928 წ., გვ. 23). „შამშიტმა ჟურნალისტმა, როგორც ჩანს, არ იცოდა“ (ვ. კოტეტი, „ქართ. ლიტ. ისტ.“ II, გვ. 26). „რას ემართლები სწყაღს, თავისთვის ალალ-შამშიტად, კრიალონის ჩხარა-ჩხურით დავითნსა ქითხულბს“ (გ. სუნდ. „დაქცული ოჯახი“) ეს სიტყვა არ ესმით ლიხსიქითელებს: კრიტიკოსი ხომლეული (რომანოზ ფანცხავა) სწერდა ვ. ბარნოვის მოთხრობის გარჩევის დროს: „სავთი, შამშიტი და ბეღა სრულებით არ მესმისო“ (ჟურნ. „ერობა“, 1920 წ., № 10). „ამ საკვირველი არსების ორმაგობა, ბავშური შამშიტობა“ (ა. ჭუმბ. რომ. „თეთრი ლამები“). შიბინარდა – „ქალმა თვალები მიღულა ისევ და შიბინარდა“ (რ. ფაულ, „პოამბე“, 1895 წ., № XII, გვ. 5).

შიბლახილი – ამბობენ: თვალებშიბლექტილიო!

შიბულული – დახურული, მიხურული (აღ. ორბ.) „ამ სახლს ზოგი ფანჯარა მიგულული ჰქონდა“ (ი. ქერხული, „მუსიკა“, 1930 წ., გვ. 32).

შიდვაბა – მუყაითი, საქმეზე თავგადამკვდარი. მიდევა ლაპარაკი.


შიეხირება – მიდის, შეიძლება თავისდაუნებურადაც.

შიზანდარი – ინჟინერი.

✓ **შიზრაფი** – 1. თარის დასაკერელი. წკირა. რქის ძვლისაგან განაკეთები, მიზრაფი რქისაგან, ალუბლის ხისაგან გაკეთებული პატარა ფირფიტა, რომლითაც თარს უკრავენ. მიზრაფი ხანდახან სპილენძისაგან კეთდება. ზოგიერთ შემდებულს ოქროს მიზრაფი აქვს დასაკრავად. მიზრაფი რომ ადვილად იყოს ხელში დასაჭერად, აკრავენ ცვილს. 2. ძველად სამხედრო იარაღი იყო: თავკომბალა დასარტყმელი ჯოხი (მზრად); ესლა მიზრაფი თარის დასაკრავი წკირაა – რქის ძვლისაგან გაკეთებული პატარა ფირფიტა; მიზრაფი რომ ხელში ადვილად იყოს დასაჭერი, წმინდა სანთელს აკრავენ. მიზრაფით თარს უკრავენ, ხოლო ჩონგურის დასაკრავ წკირას თ ა ზ ა ნ ა ეწოდება, თ ა ზ ა ნ ა ალუბლის ხის ქერქისაგან კეთდება. თარისთვის: ყუხი, ჩანახი, ჯაირა, ყურია, ფადა (საათნოვა გვ. 73).

შითელი – ლეიბის შავი პირი, რომელშიც მატყლია ჩაყრილი. „ჩრდილის ქარი იყო მითელი, მაგრამ ნათელი, გორავდა ყვითელ ფოთლის მითელი და კამათელი“. (გ. ტაბ. „მნათ.“, 1924 წ., № 5, გვ. 11).

✓ **შითილი** – 1. შეუგნებელი, უქნარა. 2. ოხერი (?) „აღბთ ფული უფრო ძვირი



ყოფილა ბრილიანტზედ, რა ბითილი დრო შეიქმნა და!" (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8).
მიანავაბული – მისუსტებული.

მიარუსფიფილაბული – „მიკრუხწიწილებული ქალაქი“, ე. ი. შემჭიდროვებული.

მილათი – თემი, ერი. „თუ არ გვეოლოდნენ იმერლები ჩვენს იმედათა, არ წაუხდებოდით ასე ძრიელ, მეტისმეტათა, მუფე ირაკლი სხვა მილეთსა შეპყრებდა მხათ“ (სტ. ფერშანგ. ლექსი, „კვალი“, 1895 წ., № 39). აქვეს დ. ჩ-ს, გვ. 735. (მ. ჯავახი, „ცხრა ქალწული“, „მნათ“, 1935 წ., № 7-8, გვ. 65).

მ/ო/ლთონი¹ – ხეპრე, უშნო. „ეე, რა მილთონი ვინმე ხარ!“

მიმიფანიარაპია – შემოფარებია. მიიფანიერა („ოვ.“, 1891 წ., № 16, გვ. 2, სვ. 3). „ბუერი ქალი მყოლია და მიმიფანიერებია, ალაგზე მიმიგდია“ (ს. შკაღ. I, გვ. 191).

მიმრო – რიოში მარგალიტი.

მინაბრაბული – 1. მინდობილი, დამოკიდებული. 2. ოხრად მიტოვებული.

მიანაშარი – არის შელოცვაც და არის კბილში ძვირფასი ქვაც.

მიანარათი – მეჩეთის თაეი. კომედიით ადგილია, საიდანაც მოლა აზანს იძლევა, რომ ხალხი შეიკრიბოს სამლოცველოთ მეჩეთში (შინარეთი არაბ. სიტყვაა).

მიანასი – ჰაცინტი. „ვინც ოცდათერთმეტ ყურანის მარცვალს დილით უზმოზედ შესკამს, თავისღღუში ექიპის მიანასი არ გახდეს და არც ისეთი აუღმყოფობა შეხვედეს, რომ ექიმი დასჭირდეს“ (კარაბადინიდან ჩამაწერინა ვლ. ცაგარ.).

მიანაში – ათასის თაეი.

მისამარ – სიტყვის დამაკავშირებელია, ცალკე არ ითქმის. წინადადების მასალაა. „მისამარ, შენთვის იყავ“ – დარჩი შენი თავის ამარა, შენ ქერქმი დაეგდე და სხვ. „მისამარ, ჩხარა შემოიტანე თხოვნა, თორემ ფიცხლავ მოუხდენ კრებას და დაგითხოვთ“ (ლალიაშ. საქმე, „ოვ.“, 1886 წ., № 130). ამბობენ: „მისამარ, შენთვის ეგდე, თორემ...“ ლიტერატურაში არის: „შენ ეი, ცეცო, მისამარას თაეში ნუ იწევ, თორემა...“ (ს. შკაღ. I, გვ. 98). თედო სახოკიას შეცდომით აქვეს ახსნილი. ვ. ბარნ., იხ. „ფერად-ფერადი“, გვ. 518. „ხელი არ ახლო, მისამარ, ამ ჩემს ყვინჩილა მამალს“ (შ. მღვი. I ტ. გვ. 181).

მისამართი – „ელისაბედი შუახნის დედაკაცია. მკითხოვია, გაჭირვებისას ექიმოცა და ყველას მისამართი“ (ს. შკაღ. I, გვ. 131). „ღამეს და დღეს ვასწორებთ, ვხნავთ და ვთესავთ – ეს არის ჩვენი მისამართი“ (ს. შკაღ. I, გვ. 73). „ხალხმა შეიყვარა სულით და გულით ვასილი; ხალხისათვის ვასილის მეტი არავინ იყო მისამართი“ (იქვე, გვ. 120).

მისთარჯაპს – მიჰკერძაქს. „ღლიკანს რომ ღვინო მოსწყურდება, მღვდელს მისთარჯაქს შემდეგ ჯერი ჩემზედ მოდგებაო“. (ანლაზა).

მისხითი – შთამომავლობა, ოჯახობა (ამბობენ: იმ კაცს მისხით-მისხით

¹ ასეა - რ. ქ

ვიცნობო. ან: კაცო, რა ცნობისმოყვარე ხარ, ახლა თუ მისხით-მისხით არ შეიტყე ეს ამბავი, არ იქნებაო ...

მიტმასნაბა – მიმატება, მიკერება.

მიუსალაპა – ხალით ხე დაბერტყა (ხალა ხეთა საბერტყი ჯოხი) „მხსლის ხესთანმიიჭრა, მოხალაჲ და მოხალეა კომბალი, მხსალი ხრიალით ჩაოცვიდა ძირს“ (ს მკაღ., 1, გვ. 89).

მიზანირაპა//მიზანირაპული – მიფურჩეხებული. „ამ პიესის წარმოსადგენად არც შრომა დაეხარჯა რეჟისორს და არც გულის ყური, ისე თათრისხანად იყო ყოველივე მიფანინერებულ-მოფანინერებული“ (აფ., 1891 წ., № 24).

მიფუტანდილ-მოფუტანდილი – მიყრილ-მოყრილი, აქოთებული (ამ სიტყვას ქართლურის გაგებით ეხმარობ). „ჩემს ამხანაგს მიელაგებინა მიფუტანდილ-მოფუტანდილი ბინა“ (ე. ბარნ., თარგ., აფ., 1886 წ., № 134).

მიძარაპ – ზედმეტი ლაპარაკი, გადამლაშებული, წრესგადასული. „მოქარავს მკუპრავ გიორგისო, ტიკი მივე მოსაკუპრად თხისო, აუღია, მოუცია სხვისო, მოქარავს მკუპრავ გიორგისო!“ (ქალაქ ხალხუ ლექსი, გადმომცა ჯ. ფერმანგიშვილმა) „არწივმა კოღალა გაათვისუფლა და უთხრა: ეგ მიქარვა მიასტივია“ (ეფა, აჩხიკეთა ქორწილი“).

მიღმა – იქით.

მიყუფული – მიკრული.

მიჩლახუნობს – კოჭლზე იტყვიან.

მიჩხიჯური – ჰანგია ღუღუქზე.

მიწამფარა – „ფეხების წყლულს, მიწამწვარას, დამაშურას, ეკაღ-უკაღში კნჭების ხვეწას გლეხი არ უტყდება“ (აღმის მუხრე ცეცო“).

მიჭვრიტინა – სარკე.

მიჭამალაპი – „ზარფეშები ართურმას (იხ.) და მიჭკამალაყს გადაღან“ (აფ., 1888 წ., № 87). „გამიშვი, ერთი ისეთი დაუღო, რომ სამჯერ მიჭკამალაყი გადაიაროს“ (ა ცაგარ., „რაც გინახავს, ვეღარ ნახე“). სათამაშო გასართობი: ირიბათ ყირაყირა გადასვლა, სარტალ-მარტალი.

მიჭუჭუული –

მაკდართა შუა – შვის ჩასვლის დროს რომ გარემოს უნაბის ფერი მოყვითანო ნათელი დაადგება (ჩემი ლექსები „უნაბისფერი საღამო“, ტ. II).

მაპარაპი – ტიკის.

მლთონი – კერპთაყვანისმცემელი, სხვა ქვეყნელი. ამბობენ: არ ვიცი, რა მლთონის კაციაო.

მოამაზრაბს – ამბობენ: ეს ქალი რატომ ასე მოამაზრებს წარბებსო.

მოანარუპა – ნარუქი.

მოაჰანდაკა – 1. გაასწორა, გააეკა. 2. მოასუფთავა. „ადგილი მოაჰანდაკა“. „ოჯახი მოაჰანდაკა“.

მოგოზაბული –

მოვაჰამირა – „ძლივს მოვაჰამირე იქაურობა“.

მოვი – აბრეშუმის ქსოვილია, რომელსაც მეტწილად საპერანგედ

გულს მოუგებს“ (ს მგაღ. I ტ. სახელგ. 1926 წ. გვ. 173) აქ ამ სვირს ეყურებ, მერე ცალ-ცალკე მოკითხთლავ“ (სტისკ., 1866 წ. № III, გვ. 52).

მოსმა — ერთგვარი ბადეა თევზების დასაჭერად, გრძელი. ერთი ჩადგება წყალში, დაბამს ამ მოსასმელს, შემდეგ ჯობით უჩუჩუნებს თევზებს, თევზი ფრთხება, სარგებლობენ ამით და იჭერენ თევზს.

მოსტაცა და გაიძვადი —

მოსხაილი — კოწწია, სხარტი. კაცზე იტყვიან: „მოსხეპილი ბიჭია“-ო.

✓ მოსსრუპული — მოხრილი, მოგრებილი. „წინ დაუხვდა ხელში ყვარჯენით მოსსრუპული სათალებიანი ბებერი“ (ს მგაღ. I, გვ. 194).

მოსტანტალა — Потаскыа. (აერბ., 1871 წ. № III, გვ. 32).

✓ მოტარტარა — „მოტარტარე ქალები“ (აერბ., 1871 წ. № III, გვ. 82). „ენა-ტარტარა, საქმე-არტალა“.

მოუთათუნავს — თათს წაუსევას. მიუალერსებს.

მოუთარუა — ე. ი. მონახა, მიაგნო.

მოუთუთხა — ხელდახელ მოუხარშა.

მოუჟარაჟი ბადაჟახა — ე. ი. სტომაქში გადაუძახე საჭმელი ან სასმელიო.

მოუსვა — მოკურცხლა, გაქანდა. „რა მარიო ღინანა, ბტონიშვილი წაიღეა და მოუსვა“ (გრ. რჩეულ. „ახუკა ბტონიშვილი“, 1896 წ. გვ. 57). „არსით იყო სმუველი, თბილისისკე მოუსვეს“ (ბაჩ., 1938 წ. გვ. 400). სიტყვის მასალაა: „მოუსვი, ბიჭო“.

მოუტარა — „იმ ხატს რად მოუტარავს ხელი“ (ს მგაღ. ტ. I, გვ. 16).

მოუზარაბული — ასაკში შესული.

მოუზოზოზაბული//მოუზოზოზაბული — სახელდახელოდ, უხეიროდ გაკეთებული საქმე. აჩქარებული, ხელად შემზადებული.

მოჟონვა — „ის თავის მოქონვის დრო წავიდა“ (გ. წინამძღ. თარგ. „სუბარი დაბად ღაღუასი“, 1879 წ. გვ. 41).

მოღადღად — ბრწყინვალე. (ღადღადი). მოლაქლაქე.

მოიძვადი —

მოზადი — „კიდევ მოშავი?“ — კიდევ მოხვედი? კიდევ მოეთრიე?

მოზანულა — მიჰყარ-მოჰყარა, უწესრიგობა შეიტანა, აურ-დაურია, მონაგვიანა. „იმის ოთახის იატაკს ზედ მოშანულული ქაღალდის ნაგლეჯებისგან ხშირად სანაგვის სახე ჰქონდა“ (ს აუაღ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 195).

✓ მოზადლავედა — შუადღე განდა.

მოზუზა —

მოზოზოთიბული — ღუნდულა.

მოცადი — „ღილა იყო... მოუდიოდათ მოცადი საქონელი სანახიროზე“ (შოაბე, 1896 წ. № I, გვ. 67).

მოცაძული — მცირე, პატარა. მცირე კურკლივით.

უბრძანა: „ამ სასხლის ასრე მინგრეულობისთვის ერთი მუნასობი ლექსი გვითხარო“ („საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ., გვ. 321) ან კიდევ: „წყალობას ვითხოვ, რომ ჩემთვის ერთი საფარაუკ ან საფილონე, რაც მუნასობი ნახოთ, იმისთან რამ გამომიგზავნოთ“ („აგ.“, 1902 წ. № 229). „წასვლა სუგობს წარმავლისა“ – ეს მუნასობად არისო“ (თეიმ. II, ანტოლოგია, II, გვ. 169). „თქვენ მუნასობი ლექსები, ყმისა და ქალის ქებანი“ (თეიმ. II, ანტოლოგია, II 1928 წ., გვ. 162). „ვისაც აქვს ცოდნა, გამოჩნდეს... ღზინს ნახეს მუნასობზედა“. (იქვე, გვ. 167). „თქვენ მუნასობი ლექსები, ბრძენის რუსთელისაგან თქმულები“ (იქვე, გვ. 164). „მე მეფისძის ძე გრიგოლ დიდის გულბოდინებით ვეცადე, რომ შემეყრიბა ძველთაგან თქმული მუნასობი ანუ სიმღერისა ლექსი, ანუ ზმანი, ანუ იამბიკონი, ანუ ოხუნჯობანი“ (საქ. მუხ. ხელნ., № 2130, გვ. 1). „აუ ზეპირს მუნასობსა ლექსსა იტყვიან“ (აქილია და ღამანა, გვ. 11).

მუშუაში – ძმარში გამგდარი გოჭის ფეხები (წნილი ღორის ფეხებისა) შეზავებული დაფნის ფოთლებით, ჰელითა და დარიჩინით.

მურაზი – 1. გულის სურვილი; გულის საყვარელი; ნანდაური, ნაინატრი. აქედან: „ბემურაზი“ – უმურაზო. „ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი“ („ტრიოლეტები შეითანაზარში“), „რომ შეხედავ, ერთი მურაზია“ (ასე აქებს ეატარი საქონელს). 2. წადილი, სურვილი, ნანდომი, ერთმანეთს წადილს შეუსრულებენ, ერთი ექნებათ გულის მურაზი“ (ა. სამსონიძე, ლექსი „კონსტიტუციაზე“, „კომ., 1936 წ., № 212, 12 სექტ.) „ესე მურაზათ ჩამიდგია გულში სწავლა და შენ კი ნებას არ მაძლევ“ (ლ. მეტრ., „ილიერი“, 1935 წ., № 13, გვ. 2). „არც მე ვაწყენ, არც ისინი მაწყენენ, მურაზები ეშხინად მაღზენენ“ („თეატრი“, 1885 წ., № 15, გვ. 147). „მე არ მოუსწრებოდი, ჩემო ნათლიად, – წამოიტრახაზა მელაძემ, რომელმაც ზაქათალიდამ ნიშნობის ღღეს მოასწრო, – მაშინ ნახავლით ამის გულის მურაზს“ (ა. ბერიძე, „საქ. მოამბე“, 1863 წ., № 1X, გვ. 25). „კოტრი კაცის მურაზი წასულა. რა ძალა ეს ოხერი ფულია“ (ა. ევდ.) ამბობენ: „ერთ მურაზათ ღირს“, ასეთი გამოთქმა საბამეც იცის („მოგზაურობანი“, „ცისკი“, 1852 წ., № 1-4 და ანტოლოგია, 1928 წ., II, გვ. 133). „მე გავხდები კნენი, მაშინ ჩვენი მურაზი ავისრილით, ვიხილით“ (წიგნაკი კოთამაშე თამარა, 1914 წ., გვ. 7). „ერთი შეხედე მათ მურაზს, იმათ იერს“ (იქვე) „გრ. ორბელიანმა განმარტა: ნიო ბარათაშვილი შესანდმნავი ყმაწვილი იყო, უღარიოდ გაუუქდა უმურაზოდ“ (ზ. მთაწმინდ. წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 14). „მაშინვე გაუსხლტებთან ხელიდან თავიანთ ქრებს, თავიანთ პატრონებს და რაც უნდათ, იმას იზამენ, ეწყვიან თავიანთ სურვილს, თავიანთ მურაზს“ („მოგზა“, 1901 წ., № 2, წერ. ვინმე მესხისა, „წმინდა მოღვაწე ნინო“, გვ. 131-132). „უნდა მოსძებნოთ ოთხყურანი ბალახი და ოქროს ბუტლით გასტრათ, ყოველივე გულის მურაზი შეგისრულდებათ“ (ქალაქ. ცრუმორწმუნეობა, „Кавказ“, 1889 წ., № 132). „გულში კი ჩარჩა ნახული ხარის მურაზი“ (ლ. მეტრ., „დროშა“, 1933 წ., № 23, გვ. 16). „მურაზათ ნაყოფი ხარო ახოყუნა თავის ტოლს“ (იქვე). „საიდუმლო ღმიმლით უმურად მურაზით აზვირთებულ ქაბუკს“ (ე. ბარნ. „კვარდფანჯები“, 1929 წ., გვ. 63). „მე მას მურაზი დაკარქე“ (ე. ხიმშიაშვილი, „პ. მწერ.“, 1934 წ., № 8-9, გვ. 16). „ბოკპემის“ შემდეგ გაერცულდა. „სიკვდილი არის მურაზი, შორს უჭრის იმას გონება, ვაყკაცებში გამოარჩევს, რომელიც მოეწონება“ (ხაღს. ვ. კოტეტი გვ. 262). თ. რაზიკაშვილიც ხმარობს ამ სიტყვას: „მურაზი – გულით სანდომი ნატურა“ („აგ.“, 1900 წ., № 133). ეს სიტყვა ჩემს ლექსშია: „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“, 1928 წ. [...] მერე სხვებმაც. „ისინი ეცნობიან მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის გულის მურაზს ეუქველ დაღუპას გადარჩენენ“ (შ. ღად. თარგ, ლერმონტოვის „ქვენი დროის გმირი“, 1936 წ., გვ. 86). „რა საქმე გქვს იმ გოგოსთან... შენი გულის მურაზი ზომ არ არის.“ (კუშქინი,

- 160). „ბერჯელა სცადა ატეხვა შუღლის და სისხლის მღვრელობა, მაგრამ გაუგეს ბუღამი, არ გაუეილა ველობა“ (ფარსად. ლექსი, „ნონანგი“, 1931 წ., № 15, 03. 5).
- მუხაიითი** — მაჰანა. ბეჯითი.
- მუხაიში** — მატერიაა, „ერთი მუყაიშის ბოხა“.
- მუხაო** — მოსქო ქალაღღი; კარტონი.
- მუხაბახი** — „მუხაბახის ფერი ოქროს კოლოფი“ (?), „სავარცხელი მუხაბახად მოჭრილი“ (?), („ბოქემა“, გვ. 56, 567).
- მუხამბი** — გასანთლული ტილო.
- მუხარაბი** — ფერადმინებიანი ფანჯარა.
- მუხამბარი** — „იე.“, 1890 წ., № 226.
- მუხამბახი** — კონვერტი. „მოხელე თავის ქალიშვილის საქმროს გადასარჩუნად კოულობს მუხამბახს (კონვერტს) შემდეგის წარწერით“ და სხვ. („ოვ.“, 1892 წ., № 221, გვ. 3). „ივერიაში“-ა ასე — კონვერტი ფრჩხილებში.
- მუხამბური** — ერთგვარ ყურძენს ჰქვიან, ბაღლინჯოს გემო რომ აქვს.
- მუხაი** — ამბობენ: რა მუშკივით ლბილი ხარო; ამბობენ კიდევ: მუშკის სუნი უღისო.
- მუშკულათი** — 1. დროს გატარება. „შიღღ ღღე-ღამეს გაგრძელდა სჯა, მუშკულათი, მჭვეროა“ (ფარსადანი, „ნონანგი“, 1937 წ., № 23-24, გვ. 13). „ქონდა სიტყვები და მეუ მომწონდა სჯა, მუშკულათი, კამათი, შეხლა“ (ი. გრიშ, II ტ., 1922 წ., გვ. 64). 2. ბაასი. „ზოგი პღღერს, ზოგი იღიშვის, ზოგიც სღღმს — როგორც მისანი, — სანს, ღღღს ეღღან მუშკულატს, სანს, ღღღი უწვეთ მიზანი (ფარსად. ლექსები პოეტთა წმენდაზე, „ნონანგი“, 1931 წ., № 14, გვ. 7). „კამათი და მუშკულათი დაიწყო და გაცხოველდა“ („ს. ფარსადან-ფაშალიშვილი, „ნონანგი“, 1934 წ., № 22). „ღარბახს ჩაეჭრა ჩოჩქოლი მათ მეცნიერთა დასთაცა, სამუშკულათოდ წამოღღენს — ერთი ეკვთის ასთაცა“ და სხვ. (ფარსადანი, „ნონანგი“, 1934 წ., № 22).
- მუშტა** — 1. ხარაზების თითბრის იარაღია, რომლითაც აბრტყელებენ ტყავს დაზგაზე. 2. ხარაზების იარაღი: ხელში (მუშტში) დასატყერი უტარო თითბრის კვერი — საძირე ტყავის (ლანჩის) დასატყეპნელი.
- მუშტაზადი** — სპარს. ჰანგის სახელია.
- მუშტარი** —
- მუშტაი** —
- მუშტაუანი** — ალაყაფის კარის ჩაქუჩი; სარაკუნი.
- მუხალიში** —
- მუხამბაში** — 1. აშუღური ლექსის წყობის ფორმა (ხუთტაეპოვანი ლექსი). ამას გარდა — ოთხი ან ხუთი სტრიქონი სულ ერთი რითმით არის და შემდეგ კი სხვა რითმაა, რომელიც მეორდება ყოველ ხანის ბოლოში. მუხამბაში მეტისმეტი ტყბილხმოვანი ჰანგია. აი, როგორ ახასიათებენ: „მუხამბაზო, ოჲ, რა ტყბილი ხმა ხარო, შამჩიმელქო ფარანოზის ყმა ხარო!“ არ არის ახსნილი ენათმეცნიერების ტერმინოლოგიაში, გვ. 52. 2. „არის არაბული,

11. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

ნათალი//ნათალი – 1. მეათედი. „სიზარულისა ვარ თანზიარი, სიტყვით ნათლის გამოთქმა ახლა კი შემოძლია (ბ. ჯორჯ, „ცისკა“, 1863 წ., აგვისტო, გვ. 33). 2. სახსენებელი. „ბრძოლის უკანასკნელი წუთები ნათალი არ იყო ამ მღვდმარეუბასთან“ (კ. ზეზუაშ. „ბორკილები“, თავი 25; იქვე, თავი 32).

ნაალი//ნაკალი – 1. სახურავისათვის ქვეშ გადებული. 2. ლეიბი, დოშაკი, მატრაცი. „ერთი ნასალი, ერთი დაგლეჯილი მუთაქა“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8). „ზღვის ბლახით გატენილ ნაალს ხელი შეახო“ (ნ. აყალ, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 73). „ერთი ნასალი თავისი შემკობილობით“ (მზითვის სია).

ნაარმევი – არამიდან წარმ. „ნაარმევად შემოზიდული სარჩო“ (ნ. აზიანი, „ივ“, 1905 წ., გვ. 75).

ნაახად – 1. უდანაშაულოდ, უსამართლოდ. ამბობენ: აფსუსს, ესა და ეს კაცი რა ნაახად დაიღუპაო. 2. უმიზეზოდ, უბრალოდ.

ნაბანი – წყალი, ეკლა. იცოდნენ ფეთხანობას.

ნაბახური – ნამთვრალევი.

ნაბიჭვარი – ნაბუშარი. ნაბიჭვარი მხოლოდ აქ იხმარება. ნაბიჭვარი წარმოსდგება სიტყვიდან ნაბიწვარი (ბიწი, ბიწიერება).

ნაბნაბით – ნება-ნება, ნელად, ჩუმად.

ნაბოლარა –

ნაბუარი – მტკერი (კ. ბარნ, „ვარდფანჯები“, გვ. 114).

ნაბაუარულა – ტივის ხის გვერდის ფიცარი. ზოგან ფოშტად წოდებული, რუსულად...¹

ნაბოგარი – გოგოდ ნამყოფი.

ნადარილიაზი – იმ წმინდა გიორგის სახელია, რომელმაც აშულ-ყარები არ(დ)² ზიდანის მთიდან ტფილისში ჩამოიყვანა.

ნადიმი – დინჯი, ნელი. ამბობენ: რა ნადიმით დადიხარო, ვითომ დინჯათო. გაღვივებულ პატარა და კოხტა ცეცხლსაც უწოდებენ, აგრეთვე: იფ, რა ნადიმი ცეცხლიაო, ვითომ ნელიო. „ნადიმი ცეცხლი“, ე. ი. გაღვივებული, ნელი, სამწვადე ცეცხლი. „მიყვარს ნადიმად მუშაობა“, ე. ი. ნელ-ნელა,

¹ ასუა – რ. კ.

² ასუა – რ. კ.

ნება-ნება. „ოთხფეხების ბელიც კი შემპურდა, რომლებიც თბილად, ნადიმად იწვნენ ერთ ალვას და გამოიყურებოდნენ უღარდელად“ (ა. ცაგარა, მოთხ. „ღროება“, 1867 წ., № 20).

ნავლი – ფერფლი.

ნავნაბი – ვნების მომტანი. ტანჯვა-ვაების მეთაური. „რამდენ ნავნებსა შვრება“ (ბბელო, გვ. 21).

ნავსი – ნავსიანი, ბედუკუღმართი, დანავსული. უზმონზედ შეხვედებიან ან მღვდელს, ან ისეთ უქმურ ადამიანს და იმ დღეს თუ ცუდად და ფათურაკად წაუეა საქმე, იტყვიან: ამან და ამან დამნავსაო. ხმარობენ სხვა მნიშვნელობითაც – მეღუქნეს თუ ქესეტობა აქეს, ეტყვის გამკლელ-გამომკლელს. მოდი, კაცო, რამე იყიდე და ნავსი გატეხეო.

ნავსიანო – იხ. ნავსი. „ღიდი ნავსიანი დღეა ეს დღე ჩვენთვის“ (ლ. მ. როსტომ, „ტფილისიდან ზამენკამდე“, 1933 წ., გვ. 26).

ნაზი – ისე ლამაზი სიტყვაა თავისთავად, რომ ეს სიტყვა ბალზაკს თავის მოთხრობაშიც აქეს: „Отец Горно“. ერთ ქალს ჰქვია ნაზი. რასაკვირველია, ეს სიტყვა შექმნილია. სომხებს აქვთ ნაზიკ (დროშაკ, დანაკ).

ნაზირის ბალი – იყო ვარანცოვისაკენ. „ნაზირის ბლთან ვიჯექი, საყვარელი გვერდით მეგდო, დეხაროდი, მას დავტრფოდი, უეცრად ცეცხლი მამელო“ (დ. ბერიძე, კრებ. „ჩანგი“, 1892 წ., გვ. 137).

ნაზლი – ენის ნაოფლი.

ნაზუჰის სალდათი – სათამაშო ქაღალდის რომელიღაც ჯარისკაცს ჰქვია (ბედნიერი ქორწილი, კომედ. ალ. ცხვედ. გამოც. 1871 წ., გვ. 21).

ნათბილარაპი –

ნათლიჯალაბი – ნათლიას მეუღლე.

ნაიბი – მოწმე.

ნაილაჯობა – „გორის სას. სასწავლებლის შენობა ისე დაძველებულია, რომ იმაში ყოფნა ნაილაჯობისა“ (ივ., 1886 წ., № 133). **ნ ა ი ლ ა ჯ ო ბ ა** – 1. ვაი-ვაგლახით, დიდის გაჭირვებით, ვაინაჩრობით. „ეს იყო ბეჭედი მისი ნაილაჯობით გამოკებისა“ (ს. მგაღ. ტ. 1, 1926 წ., გვ. 50). 2. ძლიე-ძლიეობით. „ჰაჰაჰისინ შენს პაპამს ორიოდ სამ სტრიქონსა სწერი ხოლმე, იმასაც რა ნაილაჯობით“. (დომ. ყიფ. წერ. ნინო ყიფიანისადმი, „განათლება“, 1915 წ., № IV გვ. 310. ივ. გომართლის წერილი: „ჩვენი მოღვაწე ქალები“) იხ. დ. ჩ. გვ. 949.

ნაინაალი – გრძელი და ვიწრო ნაალი. ძველად ტანტზე შლიდნენ და ნაინაალს ზედ სუზანს აფარებდნენ და ფეხმორთხმით სხდებოდნენ სკამების ნაცვლად.

ნაინად//ნაინანად – ამბობენ: უწყინრად, ჩემთვის ნაინად მოვდიოდი და ამ დროს კი... და სხვა, ვითომ ფიქრში გართულიო, მივდიოდი და სხვა. მე ჩემთვის ნაინანად მივდიოდი, ე. ი. არხეინად, ჩაფიქრებული.

ნაილბალ – ამბობენ: არ მინდოდა, მაგრამ ისე, ნაილბალ წაველო. ვითომ ბედის გამოსაცდელადო წაველო.

ნაჰაჰი – ხორბლეულის დარკვევის შემდეგი ნარჩევი. ამბობენ: დღეს ნაჰაჰი დაუყარეს ქათამს, კრუხ-წიწილებსო და მტრედსო.

ნალათი — „კალატონი: ნალათ, შენ ეშმაკო!“ (აქაო, გვ. 35)

↪ ნალბანდი — სახედრების, ცხენების და სხვათა ნალის (ლუმბის) მჭედად-დამკერული. ნალებით მჭედავი.

↪ ნალბარი — ნალების გამოშვანი. მჭედელი ნალების, ნალების გამკეთებელი და არა ნალბანი — გამხვრეტი ფორმის.

↪ ნამაზი — სპარს. ლოცვა.

ნამალი — სახსოვარი.

ნამარდი — 1. არაკვაყაცი; უხასიათო; გულდელალი, უღირსი, გამწირავი, დაუნდობელი, მზაკვარი, უკეთური, მუხთალი, მოღალატე, უნამუსო, ვერავი, გაუტანელი, თავკერძი. 2. არაკაცი, ჯაბანი, ჯომარდის ანტიპოდი, არსებობს ხალხური ზღაპარი: „ჯომარდი და ნამარდი“. „ქრისტე სხვებსაჲთ ნამარდი არ იყო“ (ორანი — ახნაზ, აკ. 1888 წ., № 87). უკეთესია წყალმა წამილოს, კიდრე ნამარდი კაცისაგან გაკეთებულ ხალზე გავიაროვო.

ნამთავი — ღამენათევი.

↪ ნამაქა — ნამცეცა, კიკნა, ერთიბეწო.

ნამნამა — ჩათლახი, უშნო, ღობოშა.

ნამორი — წმინდათ გაკერილ ჩითს როცა გადმოჰკეცენ და ხელმეორედ გააშუალებენ, ამას „ნამორს“ უწოდებენ. ნამორს საზოგადოთ გვერდგადაკეცილ ნივთს უწოდებენ; შეიძლება რკინის ნამორიც.

↪ ნამოღრაბალი — პირველად ილიამ შემოიტანა. იხ. მისი მოთხრობები. „ახალს ნამოღრაბალს ბერის ქსეობა ჩანალი“ (გ. ჩიქოვ. „საქ. მოაზრ.“, 1863 წ., № 7, გვ. 93).

ნამუსი — ჰატიოსნება, სინდისი, თავმოყვარეობა.

ნამუბოზა — დიდმარხვის დასაწყისში პირველ ორშაბათს კიდევ სჭამენ მარხვას. ამ დღეს (ორშაბათს) ნამცეცობას უწოდებენ, რადგან არ შეიძლება, რომ თეფშზე სუფრაზე სახსნილო საჭმელი არ დარჩესო, ხშირად წამოადულებენ ნაცარს დიდქვებით, ქონიან ჯამ-ჭურჭელს შიგ ჩაჰყრიან, რომ კარგად გაირეცხოს და სუნი დაეკარგოს.

ნამჯა — 1. მაზარა, ფარაჯა; „ნაბდის ქელებით და რუსული ნამჯით ჩამოიარეს“ (დ. შვალ, ტ. 1, გვ. 50). 2. ყანის მონატერი.

ნანაჯობად — იხ. „ანაჯობად“.

ნანდაური — იხ. მურაზი.

ნანაზირი მსხალი — გვერდწითელა მსხალი. თხელკანიანი, ნაყოფით საშუალო. ძალიან ტკბილია.

ნანიანატრი — ფრიად სასურველი, ძალიან სანატრელი, სანატრიონი. „ამ ის ნანიანატრი დედინების უსნიფრას სული წამინწყამეს, თუ შელა მახოზი (იხ.) შევლა“ (დ. ჯორჯა, აკ., 1891 წ., № 153). ნ ა ი ნ ა ტ რ ი ი ვიკუა.

ნანიანუნი — კრძალვა. ამბობენ: ისე ნანიანუნით რომ შევდივარ იმის ოთახში, იმას ჰგონია რომ მეშინიანო, ვითომ ისე მოკრძალებით რომ შევდივარ იმის ოთახშიო და სხვა.

ნაოჭიანი სტაჰანი —

ნარ/ნარი – ერთკუზიანი აქლემი, მამალი აქლემი.

ნარაქლემი – მამალი აქლემი; ქართულად – ლოინი. „ვახუშტის მაღალ მთას ვუქრება კვერთხი, ნარაქლემს აშინებს ზანგალაის ჟღერით“ (დ. გვიგეილი).

ნარდი -- ნარდიონი, სუმბული (ყვავილი).

ნარდიბაზრობა – ამ სიტყვას ხმარობენ ვაჭრები. თუ მყიდველმა უნიხროდ მოიხსოვა საქონელი ან ცოტა შეაძლია ვაჭარს და ვერ მორიგდნენ ვაჭრობაში, მაშინ ვაჭარი ეუბნება: მაგ ფასად რომ მოგცე, რა, ნარდიბაზრობა ხომ არ არისო!..

ნართაუშლობა – უსიამოვნება, არეგ-ღარევა ოჯახში ან მეგობრებში. ნართი ბამბისაგან გაკეთებული ძაფია.

ნარიმანდა – შენობის ფიცრები რომ ერთიერთმანეთში არის ჩასმულ-გადაჭდობილი, ამას ნარიმანდას უწოდებენ.

ნარიმანდი – (დურგლებისათვის) ფიცარზე ერთგვარი იარაღით ოდნავ ამოთხრილი ღარისებური ფიგურა.

ნარიმანდი – ფორთოხლის ფერი. არის სიმღერაც: ნარინჯი ხარ, თურინჯი ხარ, შეგიყვარებ, თუ ღინჯი ხარ!..

ნარნარადი -- ნარნარი.

ნარუში – „პირველ-წყოფი, პირველ ქმნილი და შემოდებული საქმე, უცხო და ახალი ხელოვნება“ (საბა). მონარუქება (ი. ფანცხვა, „თხზ.“, 1903 წ., გვ. 271).

ნარცხი – ხელ-პირის ნაბანი. „კოლეი ნინუა, ზერტელ მკითხავთან ნარცხათაჲ არ გამოდგება“ (ს. შავა, I, გვ. 21).

ნასაღრი – ჯალათი, მტარკალი.

ნატიხუსაღრი – „ისე გაუღარიბდით, რომ სულ ნატიხუსაღრი აკვდიოდა“ (პატირა, „ივ.“, 1891 წ., № 5; ლ. არაზ. 1936 წ., გვ. 20).

ნატიფი – მოხდენილი, სუფთა.

ნაფაზი – 1. საკუთრივ სუნთქვას ნიშნავს; ნაფაზი – თუთუნის მოწვევის დროს ბოლოს შესუნთქვა. „გააკეთა ჩიბუხი, მოსწია ნაფაზითა“ („საქართ. შოაბე“, 1863 წ., გვ. 10). 2. ქოშინი. სუნთქვა თუთუნის წვევის დროს. იხ. დ. ჩ., 264. ნაფაზი – ცხენის სწეულებდაა ახსნილი. „სიმონას გაუგონია, რომ ვინც ნამდვილი თამბაქოს მწეველია, მან ნაფაზი უნდა დაარტყას!“ (გუგული, „პირველი ნაფაზი“, „ეშმაკის მათრახი“, 1916 წ., № 38). „გააკეთა ჩიბუხი, მოსწია ნაფაზითა და დაიწყო მოთხრობა“ (მ. ყიფ. მიერ ქართ. თარგ. ლერმონტოვის „ქვენი ღრუბის გმირი“, 1863 წ., „საქართ. შოაბე“, № X, გვ. 10). „ორიოდე მძლავრი ნაფაზის შემდეგ“ („კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 96).

ნაძნარობა – ჩადენილობა, მოქმედება.

ნაძნარობა – მოქცევა, ქცევა.

ნაღვანის ხმა – სასიამოვნო ხმის პატრონი. მომღერალს რომ ხმაში სიღბო ექნება, იტყვიან „ნაღვანის ხმა აქვსო“ – რუსულად Бархатный голос (ი.

გოგებ. რეცენზია ტარტაკოვის და ზარულნაის კონცერტზე, ოგ., 1889 წ., № 51).

ნაღლი – ზღაპარი.

ნაღმი – იხ. მულამა.

✓ ნაყაში/ნაყიში/ნაყშარი – 1. კარ-ფანჯრების მხატვარი, კედლების დამჩითაი. Маляр. 2. ნაკლი, დაკლებული. 3. საქმე ნაყიშად დამრჩა, ე. ი. ვერ მოვათავე, დაუმთავრებლად დამრჩა. ხელოსნისათვის დაუმთავრებელი საქმე, ნაყიში დამრჩა.

✓ ნაყიშ-ნაყიშ – ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

ნაშა – შავი, ყარაჩი, შვეტხა.

ნაშტარი – ნესტარი (ძველებურად შაშარი) სისხლის გამოსაშვები.

✓ ნაშური – 1. ერთგვარი შავი ფართლელა, რომლითაც ძველად დერციკები ყარაჩოლულ ახალუხებს და შარვლებს ჰკერავენ. 2. ლურჯად შეღებილი ნარმა; უბრალო ფართალია. „ნაშური ახალუხი“ იაფფასიანი ახალუხია. ნაშური – აგურის ჩამომტკრეული ქიმი; ნაშური – ტივის ხის გვერდებიდან ჩამოხერხილი ფიცარი; ყუა-ფიცარი. „ნტონ პოკოფინს ესეთი ჩვეულმა სჭირს: ზაფხულში მუდის ტანისამოსს იცამს და ატარებს ზოლზე და ზამთარში – ნაშურისას“ (კრებ., 1871 წ., № III, გვ. 68). „შავი ნაშურის ახალუხი აცოა“. „წამოიძახა ერთმა გლეხკაცმა, რომელსაც ეცვა ვრძელი ნაშურის სერთუი“ („ცისკა“, 1863 წ., № IV, გვ. 612. ლ. არღაზ., 1936 წ., გვ. 157, ნ ა შ უ რ ი ს შ ა რ ვ ა ლ ი – ნაშური რაღაც მატერიაა. „ერთ ხუთ მინუტ შემდეგ ივან ნიციფორინის ნაშურის შაღვარი აღიმართა კაერში“ (ცოგოლი, „კრებ.“, 1971 წ., № II, გვ. 104).

ნაჩხატი – ყანებს შორის დარჩენილი გასათიბი ადგილი.

ნაცილი – ცილის დაწამება. „ყველას გამოუგდებენ თურმე რაღაც ნაცილებს, აუტეხენ დავიდარაბას, და ჯიბიერ შეეთ ყველა დაშინებული ჰყავს“ (ოგ., 1887 წ., № 144). ნაცილი – „კალუმბია“ („სევილიელი დღაქიდან“). „თამარ და დავით რუსუდანის ნაცილისაგან ბევრს ტანჯვას გამოივილიან“ (რ. ერისთავი, პოემები, 1936, გვ. 187). ამბობენ: რა ნაცილს მიგონებ, ძმაო; ვითომ ცილს რად მწამებო. ამბობენ კიდევ: აი, ნაცილი გამოგივარდეს და თან გადაგიტანოსო ნულარვეო – ვითომ სატყივარი გაგიჩნდესო. „ადე, წადე, პური გზაღაგზა ჰამე; ესენი (მამასახლისი და გზირი) ზომ ნაცილები არიან (აღ. შირიან. „ბედუქულმართი ჯაღაბობა“, 1883 წ., გვ. 16). „იქნება ახალი ნაცილი მივარდა“ (იქვე, გვ. 33). „თავი იღრიკა, დარცხვნით, ამას არ ვამბობ ნაცილს“ (რ. ერისთ., „თამარიანი“, გვ. 5). „შაღვამ წარმოსთქვა: ეგ რა სთქვი, რა ეჭვი დამდე ბედურულსა, ნაცილი ჩემზედ მომართე, წყულღზე მიმატებ მე წყულღს“ (რ. ერისთ., „თამარიანი“, 1887 წ., გვ. 22). „ქართველები ბაქიები ზართ და ჩვენი „აქაო“ დაჩეხეთო. ნაცილი თუ გინდათ, სწორედ ასეთი უნდაო“ (სანო, ოგ., 1889 წ., № 33).

ნაყიბური – ცხვირსახოცის, სუფრის და სხვა ფართლელის გადაკეცილი ნაპირი (მარიჯან, „მზიანა“, გვ. 78).

ნაყოფი – ნაწოწიალი, ნათრევი.

ნატჲ – დასაგები.

ნატჲაპურტაბი – შიგენულობა.

„ნიშაბურის ფირუზი“ – უმაღლესი ხარისხის ფირუზი. ნიშაბური ან მონატანი ფირუზი.

✓ ნიშანაზი – 1. ნიშანში მსროლელი ანუ ჩუბინი. ჩვენს უბანში გიგონა ლბანდიანი იყო, რომელსაც მეტსახელად ნიშანაზი ერქვა. რას ისროდა? შეიძლება ქვას – კრივის დროს – შურდულიდან. 2. შულერი.

ნიშანლობი – ნიშნეულად, დანამდვილებით.

ნიშარა – ურიცხვი, აუარებელი, უამრავი.

ნიშათი – ძღვენი. (არა აქვს საბას).

ნიშარუხ ბაირამ – ახალი დღე, ახალი წელი, პირველი დღე.

ნიშოვა – მეტი სახელია კაცისა.

ნიშო – ფარას მოწყვეტილი ნაწილი (აოზ., 1921 წ., 3/IX).

ნიშარი – მონა, მოსამსახურე.

ნილა – „ნილა“ ია ეკალაძის მოთხრობაში („მთვარიან ღამეს“) კანტორის გამგეს ჰქვია.

ნილაია – ერთგვარი ტომია, და ჩვენის აზრით, მეტისმეტად მახინჯი და ცხვირ-პირჩამოღლეტილი. „ნაღირს ზღბს ცხვირი ნოღათა აქო, აქუა, უშნო, უღაათო“ (აოვ., 1887 წ., № 190).

ნიშბარი – 1. ახლად შემოსული იშვიათი ხილი. „ამ წუგბარს მიირთვე და კი არ შეჰსარი“ (ივ. მაჭავ. – მ. გორკის „იტალიური ზღაპრები“ „მნათ.“, 1936 წ., № 10-11, გვ. 79).

„ისინებით წუგბარს ხილს მიართმევდნენ“ (ა. ახანაშვილი, „პუშკინის „მეფის მკვლარი ასულის ზღაპარი“, 1937 წ., გვ. 14). „და, ზუარონ ამ ხეივანს და იგემონ სიტკობ და სიღამაზე ამ წუგბარ ხილეულისა“ (ლ. მეტრე, „ქართ. ანდაზები“, 1926).

2. დელიკატეს. „თავისი დავიდარაბიანი ჯოჯონეთის წუგბარი ისევ უკან წაიყვანოს“ (აოვ., 1887 წ., № 1). Нуграти (იხ. „Зак. вестиник“ 1849 წ., № 5, გვ. 1).

3. ახალი. ქალის სახელიცაა თურქებში. „საგანგებო წუგბარი მოგლით“ (აღფ. დოღ. „შებრძოლი ათვისტი“, ი. მაჭავ. თარგ. 1938 წ., № 8, გვ. 43).

„ღორები ცხვირს ჰყოფენ ყოველგვარ უწმინდურებაში და თანაც ისეთი ნეტარებით დრეტუნებენ, თითქოს რჩეული მზარეულის ოსტატობით დამზღებელი წუგბარი ყრძი იყოს“ (კ. აღმასიძე – მ. საყვარელიძე, „ჟოლექტივიზაცია“, 1934 წ., № 265).

„გვიანლოვდება დეკემბერი ეს უკანასკნელი წუგბარი ამ წლისა“ (აოვ., 1890 წ., № 249). იხ. საბა (აკ. შანგაძე, გვ. 251, სიტყვანარუქი). „მისი დელიკი კი ზამუშ-ზამუშ (იხ.) გაანარებს ზოღმე სოფლიდან წუგბარად გამოგზავნილი ამანათით“ (ლ. მეტრე, „პიონერი“, 1935 წ., № 12, გვ. 3).

„ოჰო, შენც დაიოქვე ძველებსავით, ეგ ზომ გაცვითილი ზღაპარია, რომელსაც ბრანძები დამფრიალებს და მიინც არ ამორებენ, თითქოს წუგბარი ტეშმარტება იყოს (დ. თურღ. წ. I, გვ. 160).

წუგბარი რამე მიინც იყოს, ერთი რაღაც ბებერი ქალი იყო“ (ს. ფაშაღ. „ნინავის კრებული“, 1933 წ., გვ. 22). იხ. საბა გვ. 251 და 260 (აკ. შანგაძე).

„ახლა გამოსწნდი შენ, თაზ წუგბარი“ (ცენტრ. არხივის ზღღ. № 495). „სამოთხის წუგბარი რამ იყო“ (აოვ., 1888 წ., № 87).

„წინასწარი ცნებუა ერთნაირად სწუგბარო არ არის“ (ილია, ტ. III, 1892 წ., გვ. 247). ე. ი. სანუკეარი. „სიყმეს მზემ, ამას რომ შესჭამ, პირში გეო ჩაგრჩება, ისეთი წუგბარი რამ არის“ (კ. კარდანახელი, „საღღგომო საჩუქარი“, 1914 წ., გვ. 8).

„თვით იმ აზრის ბუნებაში იმოდენა სწუგბარო და სწეტარო რამ არის, რომ ბუერს მიიმზრობს და გაიტაცებს“ (აოვ., 1886 წ., № III, მეთ. წერილი დღმ. ყოფიანზე). შეიძლება აქ ავტორს სანუკეარი უნდა ეთქვა – ი. გრიშ. ნ უ გ ბ ა - რ ი ხ ი ლ ი – ახალ-ახალი ხილი, ნორჩი და იშვიათი (დელიკატეს). ქორფა ქალზედაც ამბობენ: წუგბარი გოგონააო.

ნუნა – ლეინო (ბავშვურად).

ნულაბ – ვითომდა!

ნულარვა – ამ სიტყვას ხშირად ხმარობენ მშობლები თავისიანების დაწყველის დროს, რომ წყევლა არ გამართლდეს. მაგ. „ი გაგისდეს დეღამინა და თან ჩაიტანოს ნულარვე“. „იმ გულშეკლარმა – ნულარვე – ჩამიგლო გულში სიყვარული“. ერთი სიტყვით: ნულარვე წყველის უკანვე წაღებაა. ნულარვე დაწყველაში ხმარებული სიტყვაა, ე. ი. ნულარ შესრულდებაო. ისე როგორც „შე არ დასაცალებელო“, „შე არ გასაწყვეტო“ და სხვ. „დაჩემი, შე არ გასაწყვეტო, თორემ აგერ ოთარანთ ქერივი მოდისო“ („ოთ. ქრ.“, თ. I, II). „ღამაცა, შე არ დასაცალებელო“, დაუძახა მათხოვარს“ (იქვე, თ. II). „რას უშმაკობ და მაიშუნობ, შენ სასიკვდილე ნულარვე!“ (ნლომ, მოთხ., გვ. 453). „უი დეღამინა გასქდეს და თან ჩაიტანოს, ნულარვე!“ (გ. სუნდ., „აქაო“, 1880 წ., გ. 223). „უი დამიდგეს თვალები ნულარვე!“ (ს. შვალ., „წარსულიდან“, „მოამბე“, 1899 წ., № III, გვ. 53 და 63). „თავზე ლაფი რაზე დაგვასხი, შე გულშეკლერიშვილო, ნულარვე“ (ს. შვალ., I, გვ. 107). „დეღამინა გასქდეს და თან ჩაიტანოს, ნულარვე“ (გვ. 15, „აქაო“).

ნულლი//ნუყლი – ფქვილისაგან და შაქრისაგან შეზავებული მოკლე და მრგვალი კამფეტი. „მისი ტიტინი აღხენდა, აჰმევა ნულსა, ხალვასა“ (რ. ერისთ., „თამარინი“, გვ. 35). „ჩემი ცოლი ისეთი რამეები იცის, მურაბე, ნუყლი“ („გაყრა“, მოქ. შესაძე). ია ეკალაძე ნუყლს ასე ხსენის: „ნუყლი-ნუშის გული დაშრეტილი“ (ანთოლოგია, III, გვ. 110).

ნუშურა ფიცარი – ტივის ხიდან ჩამონახერხი გვერდის ხორკლიანი ფიცარი.

ო

ობა – დღეობა, ხატობა, გვარობა, დღესასწაული. „ობა მხოლოდ ქართულში იხმარება“ – სწერს აკაკი (კერბ., 1899 წ., № 2, გვ. 103) იხ. ბარბარობა, ბოლნისობა, ღვთაებობა და სხვ. „სადაც დიდი, არაჩვეულებრივი საყველიერო ობა“ (ც. გაბ. აივ., 1892 წ., № 106). „სადღესასწაულოდ წაიყვანა, თვალს გააღებს და შეეჩვევა მეჯლისს, ობას ხალხის ყრილობასო“. (ვ. ბარნ., „ვარდფანჯები“, გვ. 117). „ობებში ძნელია მდიდარ და ღარიბ ქალების გარჩევა“... „დღევანდლამდენ რამდენ ომებში (კოორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს ობებში – ი. გრ.) ჯყოფილვართ, მენ თუ ნახამ სადმე ახალგაზრდა ქალს ჩითის კაბითა და კისეითა?“ („ცისკა“, 1864 წ. აგვ. №-რი, გვ. 357). „ისე, ბევრი ხალხი მოაწყდებოდა, როგორც ეკლესიის ობაში იცის“ (ნ. ავალ., თარგ., „თავადის ქალი“, გვ. 7).

ობოლი მარბალიტი – ცალკე-ცალკე დაშორებით. „ღეკური ვითამაშე და ბუღენიამ გულზე გამოყარა სამ ობოლ მარგალიტანს ქინძისთაჲ“ (ულ. ჩერქეზ. ავტობიოგრაფიიდან, ხელნ.).

ობოლი საამელი – წერილი საკმეველი.

ოდაპარი//ოდიპარი – ამბობენ ომი და ოდაგარიო. იხ. „საიათნოვა“, 33. 1. დავიდარაბა, ჩხუბი, ომი; აურზაური. „ერთი მტკაველა მიწის გულისათვის რა ოდიგარი არ მოხლდომია“ (დ. გვითშვილი, „ქალაქის ახალი ბოინი“, გვ. 12). „ომი და ოდიგარი“ (ზ. ჭიჭინ., „ვანატანგ ორბელიანი“, გვ. 15). 2. მოუსვენრობა, არეულობა. „ომი და ოდიგარი“ (ზ. ჭიჭინ. წიგნი „ოლია ჭიჭიჭიკაჲ“, გვ. 20).

ოდრობლა –

✓ **ოთურბი//ოროთურბი** – (ლოთორლა) ხანჯლის თასმა, რომელსაც ქამარს გაუყრიან ხოლმე, მაგარი, ხამი ტყაყისაგან (ეს სიტყვა ილიას აქვს).

ოინგაზი – ოინის გამკეთებელი, იხ. იშკილბაზი. ✓

✓ **ოინდარი** – თვალთმაქცი, ოინბაზი. „ღამისხი საკუთრივ ჭიჭიჭიკის ზერის ღვიწი! – ეს ვთქვი და წარჩინებული ოინდარი უცებ „გაშრა, დაიკარგა“ (მოლაყუბ., „ცისკა“, 1858 წ., № 1, გვ. 21). „ეს წარჩინებული ოინდარი გაქქა“ (მ. თუმან., ლექსების წიგნი, 1881 წ., გვ. 51).

ოპრო-ბოპრო – უსწორო-მასწორო, ღადაღუდა. „ოკრო-ბოკრო დახტის ბიჭი“ (მ. მღვ., „გუჯილი“, 1906 წ., № III, გვ. 4). „როცა ისე ოკრო-ბოკროდ დავდიოდი მე ამ სოფლად“ (ი. გრიშ., „სონას“, „თ და ც.“ 1914 წ.). „სეიდაბდის უბნელები უჩივიან უსუფთობას. ცოტა ქვემოღმარაფუხსა და შეითან ბაზარს შორის ოკრო-ბოკრო და ჩაზრამული ქუჩებია“ („აივ.“, 1886 წ., № 135).

ოლე – „ეს ოლე ობლად იდგა სერზე, ტრიალ-მინდორზე“ (ნ. მგალ., „ღელა მათ“, თავი I) დ. ჩ. ს. აქვს „ჭაობი“, გვ. 993.

ოლი - „ოლის ძირიც დატუალიერე“ (ს. მკაღ., I, გვ. 77), „ოლის ძირში მიწვება სულის მოსაოხებლად“ („ღამის მეხზე ცეცო“, თავი II).

ოპასიანად - რიხიანად.

✓ ოპაღლო - ერთგვარი სურნელოვანი ბალახია, ჰგავს ქონდარს, მოდის ჭაობიან ადგილებში. ხმარობენ საჭმელში სანელებლად.

ოპოპრობს - ჩხუბობს.

✓ ონჯოხი - უშნო.

✓ ორაძალა - ოქრომჭედლების იარაღი, რომელზედაც აწყობენ თვლებს და მერე იქიდან სხამენ ბეჭედში.

ორაბუცი - კალენდარი (სომხ.). „ - უქმე-მეთქი, გუბნები. - ბიჭო! (იზერულა ეს ბიჭო). აბ, ორაციცი ნახე“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8). კალენდარი, დღის მაჩვენებელი.

✓ ორთაყვირი//ოშთაყვირი//ოშტაყვირი - ნავეის ან ტივის მოსასმელი. კეტი. „ტიო, ჩემო ტიო, მორთული და მოკაშულო, ორთაყვირო მოსასმელო, ზედ კულავ და ზედ სასმელო, სატიოზედ ჩასულიყავ, ორმოც თუმნად გაასულიყავ“. (ხაღს.). „იაკობი ცდილობდა ერთი ოშტაყვირი დაეჭირა“ („წარღვნა“ ეპილ ზოლასა, თარგ. ივ. მაჭავ.).

ორთაჭალა - მდინარე როცა ჰყოფს ჭალას, ორთაჭალას უწოდებენ.

✓ ორთოვლი - კვანჩხი. РЮМКА.

ორთმი - გრძელი ფართე ფიცარი ცომის დასაგუნდავებლად ან ჩირის გასაფენად.

ორთბრიალი//ორთბრიალი - (ა)ყალბაყალი, დგანდგარი. „მოსლიოდათ ჩხუბი და იყო ერთი წივილ-კივილი, ორონტრიალი“ („მოაბე“, 1896 წ., № 1, გვ. 48); „ერთი ოში და ორონტრიალი გადაიხადა თავის ქალის გულისათვის“ (იქვე, გვ. 58); არა აქვს დ. ჩ.-ს.

✓ ორთტოტო - იხ. ღოროტოტო (ან ჰოროტოტო) (ივ. კერესელიძე). „უშში რომ შევიდოდა, ჩამოვლებდა თარს ხელს, კედელზე რომ კვიდა ჩონჩურთან, დირასთან, ოროტოტოსთან და სხვებთან ერთად, და შემოსძახებდა თავისებურად“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, სახელგამი, 1937 წ., გვ. 90).

ორუჯი - 1. მაჰმადიანთა მარხვის დღე. იხ. რამაზანი. 2. თათრების დღესასწაული: პურს არა სჭამენ მთელი დღე - ღამის განმავლობაში.

ორჟაბაზი - ორპირი. „გლისპია სიბერე, ღირფი ორჟაბაზი“ (დ. თურღ., წ. I, გვ. 81).

ორჟაბაზობა - ორპირობა. იხ. ითილბაზი.

✓ ორზარაძალა - შერქმეული სახელია ერთი კალატოზისა.

✓ ორჯაძალა ანუ ყორჩაყალა - მთის სახელია ხარფუხის თავზე. 1. ეს მთა ხარფუხის თავზეა, და თავდება წყაროს უბნამდე (იხ. სურდოს ხატის აღწერა ამ მთაზე ჩემს საიათნოეაში). 2. ანუ ყორჩიყალა, მთაა ჩემი სახლის თავზე.

ორხოვა - ხაოიანი საფენი; ხალიჩა ორპირად ნაქსოვი. „ვისაც უჩვენ, უკვირდის, ღვთისა თქვის მან საწაულად; არც ღარულად ჰკებოდა მას ქსელი, არც ორხაულად“ („ვეფხ - ტყაოს“).

ოსმალთ - კოჭის ერთ თამაშობას ოსმალთს უწოდებენ: დანიშნავენ მიჯნას, დაამწკრივებენ კაკლებს, დანიშნავენ ადგილს და იქიდან ესერიან ჯილებს. თუ მიზანში ვერ ამოიღეს, მაშინ ისევ გაიმეორებენ ჯილის სროლას, მხოლოდ ახლა მეორე მხრიდან, სადაც დაეარდა ეს ჯილა. წინ ის ესერის, ვისი ჯილაც ახლოა.

ობლაჟი - 1. ოყრაყი, აყლაყუდა. (ილა ტ III, გვ. 39, „ოთ. ქერ“.) 2. უხეიროდ მაღალი კაცი. ახმახი, უხეიროდ მაღლა წასული კაცი. ილიას „ოყრაყი“ აქვს. „არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქერივი დელა შენი, მამა, თუ შენი მოკლეა, რომ შევიანხო“ (თ. II).

✓ ოტროვალა - წარმოსადეგი, მაღალი ადამიანი, ხეპრე.

✓ ოტროტოტო - ტლანქი.

✓ ოშლაჟი - დიდი, აყლაყუდა.

ოშუთი//ოშუთი - პანაშვიდი (სომხ. ჰოქეიც - სულის მოსახსენებელი ლოცვა). „ფართამეტა ოქეს უეხს ტირილით, ტერ ფაზარ ჭოიათურთ ყირილით შიხილით ფათას აძლევს ფირილით“ (საქ. შუხ. ხელთ. № 2130, გვ. 3).

✓ ოღრაში - 1. კაცი, რომელიც როსკიპი ქალებით ვაჭრობს, ხშირად ოღრაშს თავისი „საყვარელი“ ჰყავს, და იგი მას აქირაავებს; ოღრაში ქალის სხეულით მოვაჭრეა. იგი ამით ცხოვრების სახსარს იჩენს. 2. სუტენიორ, ალფონს. 3. მაჭანკალი კაცი, რომელიც როსკიპ ქალთან ცხოვრობს და ამასთანავე აქირაავებს („მაჭანკლობს“). 4. ნამდვილად: ხორცის მპარავი. ქალებით მოვაჭრე, ალფონს, ქალზე რომ ექსპლოატაციას ეწევა.

ოღური - ბარაქა, მაღლი.


✓ ოილაჟი - უშეულებელი ადამიანი. იხ. აყლაყუდა.

ოიხარი - 1. ბატკანი. „მამისმკვლელი“, გვ. 280 („ცნობ. ფურც“, პრემია) შეს ოიხარში ფულად იყო კამეჩების თვრიელი, ჩემს ოიხარში ბისტათ არი კამეჩების თვრიელი (ხალხ. „ჯეჯილი“, 1894 წ., № 2, გვ. 67. დანერ. „ხალხ. სიტყვიერება“, I, ვ. თაყიშვილის რედ. გვ. 125). 2. მეცხვარეთა მეჯლისი („საქ. კალენდ.“ 1890 წ., გვ. 413).

✓ ოიხი - 1. დაწნული კალათა, რომელშიაც ქეებს ჩააწყობენ და წყალში ჩაუშვებენ ზამთრობით თევზების დასაჭერად. 2. (თევზი) ამბობენ ოიხი თევზი - პატარა გალავანს გააკეთებენ მდინარეში, შიგ ჩააწყობენ ქეებს და დასტოვებენ ერთ-ორ კვირას. ამ ხნის განმავლობაში თევზი ეჩვევა იქ და ბუდობს მთელი სახლობა, შემდეგ დაუხურავენ კარებს და დაიჭერს თევზს (დაბანი).

ოიხუმი//ოიხუმი - ძმადნაფიცობა; აეთანდრობა. ტფილისის სომხები აღდგომა დღეს ეკლესიაში ეამბოროებიან ერთმანეთს (მხოლოდ არა ტურ - დადებით), ძმად ეფიცებიან. როცა სახლში მოდის ოჯახის წევრი, ეუბნებიან: ოიხუმი აილეო? არის სიმღერაც: „შენ ხარ ჩემი ოიხუმი, გინდ მოდი, გინდ არა!.. ე. ი. ჩემი ძმადნაფიციო (ხალხ.).“

ოცად - ოცი - „ყაჩღ ქარმს უკონია ოცდაათი თუმანი... გულია ზანღუკი, ამოღია სწორედ ოცად - ოცი თუმანი და წასულა“ („დროება“, 1880 წ., № 125).



ოცობოლო — „მეხი კი დაგაყარე ოცობოლო თავზე!“ (რ. ფაველ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 35).

ოხადი — სიამოვნების გამოსახატავად შესძახებენ ხოლმე. მაგ., წყალს დალევენ და როცა სასმისს გამოსცლიან, იტყვიან „ოხაი“. „ოხაი, რა კლასიფიკაცია და!“ (მ. ჯანაშვილი, „ქართ. მწერ.“, ტ II, გვ. 82). მე მინახავს დამამშვრალი მგზავრი, რომელსაც მწყურვალს მოუკიდიდა ცივი ხელადა, ჯერ პირი გამოურეცხია (ალბად ცივმა წყალმა კბილები არ დაუზიანოს) და დაწაფების შემდეგ წამოუძახნია: „ოხაი!“ მიამა! ჯან! იფ! ვიშ! მაგალითად, სიცხე - პაპანაქებაში ცივ წყალს რომ დალევენ და სასმისს მოიშორებენ ტუჩებიდან, იტყვიან: ოხაი!.. ე. ი. როგორც მიამა და გამაგრილაო. ჯან, გული გამიგრილა. სიხარულის ტერმინია.

ოხრახუში —

✓ ოხრობა — ტიპლობა, უპატრონობა. „ბერი უკნესა და ოხრობა შეუთვლია ბუღისთვის“ (ს. შაველი, I, გვ. 4).

✓ ოხტი — უინი ანუ ოეთაში, ჯავრის ამოყრა. ამბობენ: ახ, ნეტა შენს ოხტში როდის უნდა მოვიდეო, ე. ი. როდის ვიძიებ შურს, სამაგიეროს როდის გადაგიხდიო („თქვე წყურებო და მ... ბო, მე თქვენი ქართული ლექსები კი არ მინდა, რომ გლეხების ენაზედ სწერთ და ლაპარაკობთ. აი, ამის დაწერა ისწავლეთ, ამის დაწერა, რომ ამის ძალით ჩემი ძმის ოხტში მოვიდე და თავი არ დაკარგავინო (ვახტ. და გრ. ორბ. ბაასი, ჩაწ. ზ. ჭიჭინაძე, „საქართ.“, 1916 წ., № 250). „თუ სასამართლოშიც ვერ მოვედი ოხტში, სენატში გაუასაჩივრებ“ (წარწერა ბ. კუპრ. სტენარგაკეთებულ კინოფილმის „ნახვამდის“, 1934 წ., V/XI). „ჩვენი ქალაქის გამგეობა ვერ იქნა, ოხტში ვერ მოუვიდა ჩვენს თვითნება ყასბებს, რომელნიც ხორცს ძვირად ჰყიდიან“ („ივ.“, 1889 წ., № 64). „მაგრამ თქვენის ოხტიდან ვერ მოვა“ (გ. სუნდ, „დაქცეული ოჯახი“ (ხელნ.) და „პეპო“, 1880 წ., გვ. 233). „ღმერთმა იცის, ვერ მომიხვალ ოხტასა“ (ტფილისის ხალხ. ლექსიდან). „მაგრამ შენი ოხტიდან ვერ მოვედი“ („პეპო“, გ. სუნდ. 1880 წ., გვ. 69). „თქვენი ოხტიდან ვინ მოვა“ (იქვე, 26). „ადამიანის ოხტში ვერც დევი მივა, ვერც ეშმაკი“ (დ. ნახუცი, „ნაცარქექია“, „ნაკად.“, 1923 წ., № 10, გვ. 19). „მე ურქიანთ ელენეს მუძახინ და მე შენი ოხტიდან მოვალ“ (ანჩისხატისუბნელი — პ. უმიკ, „ივ.“, 1877 წ., № 3, გვ. 16).

✓ ოხჩაბაზობა — „მე რა ვიცოდი, თუ ეშმაკის მანქანება იყო და მაგდენი ოხჩაბაზობა შეეძლო“ (რ. ერისთ., „ცისკ.“, 1868 წ., № 11, გვ. 35).

ოჯახხეპტიანი —

ოჯახხლამა — საოჯახო. „ოჯახხლამა ყველიო“, ყვირიანი.

ოჯახხორი — ქორი სომხ. არის ბრმა ოჯახი.

✓ ოჯახაზი//ოჯახლაზი — ჯადობაზი, გრძნეული კაცი. „ის ოჯახაზი კაცი გავხადე“ (გ. ერისთ., თხზ., 1884 წ., გვ. 438).

ოჯახლიჯადო — ძლიერი ჯადო (გ. ერისთ., „ბუნწი“, გამოხვლა მერვე). ერთ სახელმძღვანელოში შეტყობით სწერია: ოჯახლი-ამართულს ნიშნავსო („ქართ. ლიტ. ქრესტ.“, 1939 წ., გვ. 88, „ყარამიანისში“).

პაპრობა - კამათი, ცილობა, პოლემიკა.

პაპულა - მასხარა, ფლარუნებით მოარული (არა აქვს დ. ჩ - ს). (ოლია ტ II, გვ. 258; IX, გვ. 149; X, გვ. 61)

პაპულაშობა - ნ. ლომ., „გიგო ღრუბელაშვილი“, თ. XI.

პანდური//პანჯური - მუხლის თავით კუკუს ამოკვრა, გაგდება. ფეხის აქნევით გაგდება. მუხლით ამორტყმა. „...და როგორც კი ნახვენ, რომ საჭირო აღარა ვართ, პანდური და პანჯური“ (ივ. შაჰვე, „გლენისკაცის ისტორია“, 1931 წ., გვ. 74 და 94). „მასწავლებლები ძველად ძალიან ცდილობდნენ არაღუგაღურ ეერნალების თანამშრომელთა გაგდებას და გაპანჯრებას“ (დ. თურღ, „ნორჩი ლენინელი“, 1936 წ., № 29). იხ. იქვე ჩემი ლექსი. „ჩვენ დაუკითხავთ ჩვენი ფულები დახარჯეს, მაშასადამე, პანჯური და პანდური არაპიოთხეთო“ („თეატრი“, 1888 წ., № 7, გვ. 1)

პაპასხილი - ტყბილი და თეთრი ქლიაევი.

- ✓ პაჟარნი - 1. გავარდნილი, აშაღლარა, გარყვნილ - გაქსუებული. 2. (რუსული სიტყვა) ცეცხლის გამქრობი. „გასაკვირელი არ არის, რომ ღვეს ამას იტყოდა, ამიტომ რომ ასეთი ამფონები ეშოუნა, რომელთათვისაც ქვეყანაზედ წმინდა აღარა იყო რა - ესენი გახლდნენ ერთი ბაყალი, სამი შიკიტანი, ერთი ყასაბი, ერთი მეთამბაქოე და ოთხნიც უსხლკარო და უხელებო კაცები, რომელთაც უწოდნენ პაჟარნებად“ (რ. ერისთ., „ცისკა“, 1857 წ., № V, გვ. 36). იხ. „რაც გინახავს, ევლარ ნახაე“, ჩემი გამოცემა, გვ. 117. „ეს რეები დაწერია, ძლივ წაკითხუე, ყარსეთი და პაჟარნები რომელია?“ („კაპიშონი“, 1880 წ., გვ. 22). „...ცაგარელი ისე იღაღურად გვიხატავს ტფილისის პაჟარნებს, რომ უცხო კაცს, რომელიც არ იცნობს უმანკოების და სვინდისიანობის შესახებ, ამ საზოგადოებას უპირველესობას მისცემს“ (ი. კეთელის წერ. ა ც - ს „რაც გინახავს“, „თეატრი“, 1886 წ., № 4, გვ. 31). „ეს პაჟარნები ვის დააძინებენ“ (რ. ერისთ., ტ. IV, შ. რად. რედ., 1938 წ., გვ. 6). „თითონ პეპოს“, ამ ზოგად გმირს სომხის „პაჟარნისას“ ქართველი არტისტები ქართველ ახანურად მორთვენ ხოლმე, ხოლო მდიდარი არუთინ უთოდ სასაცილო სომხის ვაჭრად გამოჰყავთ“, სწერს ჩიმიშკიანი (აგ., 1889 წ., № 27, ილიას მეთაური ჩიმიშკიანის საპასუხოდ). „ამ ნახეთ ის ქართველი პაჟარნი ნაბაღწამოსხმული, ლოთურად ჩითქერდინით ყელზედ“ (ოლია ტ IV, გვ. 20). „პაჟარნი“ - იხ. ბროშურა „პეპო“ (რუსეთში გამოვიდა) გვ. 6, 7. „ვინცა პლუტი მანწანაღა

აანაი — ჭიჭყინა, ჭირვეული, ჟინიანი, მიზეზიანი, ჭინჭყელიანი.

ააფანიი — 1. პეწიანი, სუფთა, კოპწია. 2. Белоручка. „მიხმა ღიდრონმა ჭერმაღალმა სინათლით სავსე დარბაზებმა და პეწენიკა, სუფთა მანქანებმა“ (ი. ტატიშ, „ჩიტო“, „კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 160, 14 ივლ.) იმერ. „პიწიკი“. „ორივე პიწკათაა გამოწყობილი“ (პ. მ. საყვარე, „ეკლან გზაზე“, თ. II). „გაუჩნდა თავსა ხელმწიფე, დარქვეს კანფარია, იმას რომ ცოლი მოაკვარეს, პეწენიკ დედოფალმა“ („კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 76). „საცი მიუკა პეწენიკს“ („ხალხ. სიტყვ.“, ე. თაყ., I, გვ. 336). „ისე კონტად და მოხდენილათ იცვამდა, რომ ყველანი პეწენიკს ეძახდნენ“ (თ. სახ., ბოკაჩიო „დეკამერონი“, 1929 წ., გვ. 96).

ააფი — 1. კარგი იერი. 2. სილამაზე. „თავზე კაღმუხის ქელი ეხურა საქაოღ პეწგაცილი“ (ე. გამს., „ტონთით“, „ლიტ. საქართ., 1939 წ., № 34). „განა დაჟარავს ჩემს სიმახინჯეს ფარჩის სიღბო და პეწი?“ (ე. ბარნ., „ვარდფანჯები“, გვ. 241). „ერთი არტისტი ქალი ძველ ნაშთების მოყვარული იყო. მოახლეს გგონ, რომ ქალბატონს ვასიამოვნებო და ეს ნაშთები გარეცხა, განაახლა, განასვეტა და პეწი მისცა“ („სოფ.“, 1887 წ., № 206). „აღარა მაქვს პეწი, ფერი“ — დოდო მარჯანიძის ლექსიდან (იხ. „ნაკაღული“). პ ე წ ი ა ნ ი — „თითონ ცხოვრებაც იმ აბრეშუმით პეწანია, მოცინარი და ფერად-ფერადი“ (ი. ტატიშ, „ჩიტო“, „კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 60). „დაბეჭდილი იყო პეწიან ქაღალდზე“ („ახ. კომ.“, 1935 წ., № 162, გვ. 4).

აილატას ცრეპლი — არაყი.

აიშარია — პ ი მ პ რ ი კ ე ბ ი.

აინა — 1. ხის მომცრო ჯამი. ს. მაკალათია კი ამბობს „სპილენძის ტაშტიო“ („მთიულეთი“, 1930 წ., გვ. 53). „ოსებში ჯარი შევიდა, სულ აიღეს კოლი ბინა, შერცხვა მათი დაეღობა, ვერ იშოვა ორი პინა.“ (ხალხ., „ქარბ.“, 1899 წ., № IV, გვ. 29). 2. ხის შაქეშა ანუ ჯამი. „პირსაბანი ტაშტები გამოჩნისიკეს და კერძებით კიღემდის გააპიინეს“ (ე. გამს. თარგ., რემარკის „დასაუღეთის ფრონტი უკლეღა“, „მნათ.“, № 10, გვ. 117).

აირაღაბით — სრულებით.

აირახუული — დაურიღებელი. მოლაპარაკე, ყბაღია, ურცხვი, მოლაყბე; ცილისმწამებელი, ლაპარაკში თავდაუჭერელი. (ილია ტ IX, გვ. 325).

აირაბაპიანა — პირმრგვალი, პირმთვარიანი. მთვარეზედაც გამიგონია: აი, მთვარე ბაკს იკეთებსო.

აირაბანდი — პირის კარი, პირსახვევი. ძველად ქრისტიანი დედაკაცები პირს აიკრავდნენ, რომ მაჰმადიანებისათვის არ დაენახებინათ სახე.

აირაბოში — სიტყვის შეუნახველი, ლაქლაქა (იხ. ბოში). „აღლეღა ამ კაცის პირბოშობა“ (ნ. ავაღ. თარგ. „თაყადის ქალი“, გვ. 161).

აირაბუღალი — მსუქანსახიანი.

აირაღაპოული — უტყვი.

აირიანა — პირობის ადამიანი, პატიოსანი, თავის სიტყვის შემსრულებელი (ილია ტ III, გვ. 56, „ოთ. ქვ.“).

აირის მაქათაბალი — „იყენენ ისეთი დედაკაცები, რომლებმაც იცოდნენ პირის გამოქნა, ე. ი. ქალთა სახეზე უწინწყენელად და ძაფების საშუალებით ბაღნის ამოგლეჯა“ (ე. ბარნ., „ლობისი“, 1922, № 2, გვ. 9).

12. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი

პირისსანახავი — ქორწილში მიღებული ადათი იყო. პატარძლის სანახავად და გასაცნობად ნუფის ნათესაეები და მამრები ვალდებული იყვნენ, პატარძლისათვის ძვირფასი ნივთები ან ფულადი საჩუქარი მიეტანათ. იმერეთში ამ ადათს „თავგადასაგდები“ ეწოდება. „მართველიან მამაშილი და ღელაშილი სძალს პირისსანახავს, ვის რამ შეუძლო“ (ფანასკერტელი-ციციშვილი, წ. კ. ს. ხელნ. № 1489 და „ივ.“, 1891 წ., № 121). ძველად პირისსანახავად მთელ სოფლებსაც აძლევდნენ. პ. იოსელიანი წერს: „მეფემან გიორგიმ უბოძა პირის სანახავად თვისსა რძალსა გურჯანი, სხასო კაცები, მახსანი სოფელი და ქარვასლა ქ. ტფილისს“ („ცხოვრება მეფე გიორგი XIII-ისა“, გვ. 231, 1895 წ.).

პირაპაბა მამა — სიტყვის მასალაა, ე. ი. სახტად დავერჩიო.

პირაპაბა — იხ. ტოპრაკი.

პირს უბნება, რა ვჭამო, ტანს უბნება, რა ჩავიძვარო — ამ სიტყვებს ნებიერ ადამიანებზე იტყვიან. რა დარდი უნდა ჰქონდეს, „პირს უბნება რა ვჭამო! ტანს უბნება“ და სხვ.

პირუთვნალი — მიუდგომელი, არაფარისეველი და არამლიქენელი.

პირფარი ადამიანი — პირმოთნი, პირში მაქებარი.

პირჰარიანობა — ყბელობა.

პლუტი — 1. ამ სიტყვამ რაღაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და თითქოს სალიტერატურო ენად გადაიქცა, მაგ. „ზმა გაყარა მთელ ქალაქში, რომ პლუტურად მოგეცნენ“ (ვ. შურული, „ერთი შემთხვევა“, „მოამბე“, 18-¹ წ., № VI, გვ. 38). 2. ეს სიტყვა ქართული ჰგონიან და იხმარება თარგმანშიც იმ მნიშვნელობით („ერუბ“, 1871 წ., № III, გვ. 33). ეს სიტყვა აქ ძალიანაა გაერცვლებული, თვით რაფ. ერისთავიც ხმარობს (იხ. „ჯერ დანიხოცნენ“). წარმოებული პ ლ უ ტ უ ს ი ს სახელიდან, რომელიც, დანტეს სიტყვით, „კაცთა მოდგმის უდიდესი მტერი იყო“. „შენ, შენ რაღას იტყვი, შენ პლუტო?“ (ც. კერეს-„ცისკ.“, 1868 წ., № XII, გვ. 38). „მოდი, მოდი, შე პლუტო, დიდი ხანია არ მიიკონია“ (აკაკი „ჰინტო“, „ერუბლი“, 1899 წ., № 7, გვ. 88). „კაცი კარგია, მაგრამ ცოტა პლუტობა დასწამდა“ (იქვე, გვ. 43). „პლუტ ჩინოვიკს ქალი მიეციო“ („შხის დახვეწა“, ზ. ანტ.). „სამიკო პლუტაძე“ ამ სათაურით მოთხრობაცა აქვს პლებების (არჩ. რუსნაძეს), „სახ. გამ.“ დამ., 1914 წ., № 207. „პაი, თქვე პლუტებო! ეს რა კარგი აქლემი გამოიკეთეთ-ღა!“ (ბ. ჯორჯა „ივ.“, 1891 წ., № 153). „მალაყს გადაღიან პლუტ ქალბთხან“ (ხოხოს ლექსებიდან.) „ნახევრად პლუტს ძნელად გაუგებ, რაში სტყუის და რაშია მართალი“ („დამაკვირილი“, გამოც. „ივერიის რედაქციისა“, 1887 წ. გვ. 157). პ ლ უ ტ ი ნახმარი აქვს რ. ერისთავს მეორე პიესაში „მბრუნავი სტოლები“ („ცისკ.“, 1868 წ., № II, გვ. 46). „ვინცა პლუტი მაწანწალა, ქალაქის პაფარნები“ (ა. ცაგარ, „კომედიები“, ი. გრიშ. რედ., 1936 წ. გვ. 117). „საქართველო უნდა დამხობილიყო არა იმდენი ქართველების

„ოსლოკ ჰავაქას რათ ეძახდნენ? ჰავაქა მთვრალ კნიაზეში ჩავარდება; ეტყვიან, ამ ყავადანით თავზედ მღულარეს დაგასხამთ და ეს სუთი მანეთი შენი იყოს. აიღეს და დაასხეს. მას შემდეგ პუსლიკ ჰავაქას ეძახიან (ა. ფურც., „ჰეზაქანი“, 1880 წ. გვ. 14; ილია, „ქართ. წიგნი“, გამოც. III, გვ. 274).

პოზა — ყვენი და გამოციტულთავანი.

პრასა —

პროშები — ტურჩები, ლაშები. „ერთი დიდის საბერველის ოდნათ ხომ ბერვა შეუქლია მაგის პროშებს?“ (საქ. სიძველენი, ტ. III, გვ. 385). **პროშიანი**//**პროშებიანი** — დიდროვანტურჩებიანი, დიდტურჩიანი. „ეს შევირდი იყო ერთობ შავი, პროშიანი“ (ს. მგაღ., მოთხ. „წარსულიდან“, მოამბე, 1899 წ., № X, გვ. 27). **პროშიანი ტურჩები** — გადმოშვებული, სქელი ტურჩები, როგორც მაგ. ზანგებს. „იჭვიანი ხასიათით შენი გაბრტყელებული პროშიანი ტურჩებით“ (ნ. კურდღ. თარგ. პუშკინის „პეტრე დიდის ზანი“, 1938 წ., საბლიტვაში, გვ. 49).

პროშტი — ხმიანი კოცნა. ტყლომნა. „ყვირა თავის ცოლს პროშტს უგზავნის“ (მ. თუშან. წერილიდან დაწ. ჩვენგანს და-სმარტას). კოცნა, ამბორი. საბაბს განმარტებით: „ამბორი არის სულიერი, ხოლო კოცნა — ხორციელი“ (გვ. 152, რ. ერისთ. რედ.) პროშტი წარმოებულია პროშებიდან — ტურჩებიდან. ეს სიტყვა იმერეთშიც იხმარება. „გაიხივლე, მოდის ჯიხვი... რქები აქვს ნაყარი, გაფუსუნდი, გაულურსდი, გაუმართე ხელი, ერთი კი ვაროშტე ხელი ჩახმასს, გამოუშალე ფეხი და წამევიდა“... (მ. ჯაჭვადის — გ. გაჩეჩ. „სახ. კალენდარი“ 1901 წლისა, ზესტაუონი, გვ. 107). „ცხელის პროშტებით ჩაჩუმებდა (მ. გურიელის ლექსი პუშკინიდან, გეგაჩენა ი. ბარათულმა). „მოლაკო არის ბუკოსტი, ტვიო კაკულტებე გოსტი, პაზვოლ იემუ აღინპროშტი“ („თეატრი“, 1886 წ., № 34). „— ამისთანა პროშტს ძაღლის პროშტი სჯობია. — ეგ არ იქნება, არ შეიძლება საერთო პროშტი! — არ იქნება? ვა! პროშტიც ჩემია და ქეიფიც ჩემია“ (აკაკი, „ქრებ.“, 1899 წ., № 7, გვ. 71).

პუა! — ამბობენ: ყურადღებას არ აქცევდა ჩემს მასლათს, დაჰკრა ფეხი და — ჰუკ! გაიქცაო.

პუაღუს//**პუაღუსი** — „აქ ერთს მოატყუებ, იქ სხვას ტყავს გააძრობ და — პუაღუს მერე ქაიხოსრო თავზე წამოგაჯდები“ (ა. ჯაჯან., „მნათ.“, 1934 წ., № II, გვ. 80). „შენ ეხლა ბაყაყსაც ვერ დაიჭერ, არამც თუ ჭანარსა, დამრჩი ცარიელზედ, პუაღუს! აგრე უნდა შენისთანას“ (გრ. ყოფმ., „მოპასანი“, „ოვ.“, 1887 წ., № 218).

პუაღუს — 1. „საქმე გურიეო, მერე აიღოს და პუაღუს, პირში ჩაღა გამოპავლოს“ (ილია, „მაჭანკალი“). „ღუქანს დარაბები გამოუყარე თუ არა, პუაღუს, ვილაც შემოეთრია, „პუშკინოვის“ სასარგებლოდ (1890 წელს დაუდგეს პუშკინის ძეგლი. ამჟამად პუშკინის სახელობის ბაღში ამ ძეგლისათვის ფულს აგროვებდნენ, ი. გრ.) უნდა მომცეო. ვინ შეწერილმანე, ვინ პუშკინოვი?“ (ოვ., 1890 წ., № 44, გვ. 3). „რა ჩოჩორიც იყავი, ისევე ის ვირი გახდი. ესტო პუაღუს, ენდი პუაღუს, შიგრა ბრია-და!“ (ოვ., 1892 წ., № 253; „ნამუსის“ ლექსიკონი). „მაგრამ მძღლა რომ აიხედა, ნახა რომ ის ურჯულოებით მივიდნენ და, პუაღუს, პირდაპირ ჩამოუშწორივდნენ“ (გ. სუნდ. „ჰარინკას ვეჩერი“, თარგ. პ. უშიკ., „ოვ.“, 1899 წ., № 5-6, გვ. 103).

2. ქონდრის კაცი, დამრგვალებული, დაბალი ტანის კაცი.

აურის თაზლი - ფიჭიანი თაფლი.

აურტი - ჭიპი.

აუტნაღალი - („საათნოვა“, გვ. 58). იხ. ვოტნალი.

აუტრიაკ - 1. პატარა ტანის კაცი, დაღუული. 2. კარლიკი. ლილიპუტი. იხ.

აჯუჯმაჯიჯი, ან აჭმაჭუჭი. 3. მაწაწო, კორჩოტა.

აუტრუხი - ინდაურის თაე-ფეხი.

აუცი - 1. ქალის საშო. 2. ქალის ასო შემოკლებულად.

აუჰაუჰიანი - კაბა.

აუხრო - ყეყეჩი და გამოფიტულთაეიანი.

ჟ

ჟამი — უმზგავსი, უშნო, მეტად ულამაზო. „ქალის მაგიერ შევირთო ჟამი“ („მეჯღან“).
ჟამაააა — მოძველებული, დამყაყებუი, ძველი აზრების მიმდევარი. „ვინ
ბრძანდება ეს ჟამააა, კრიტიკოსი და ცრუ პატრიოტი, რომ პისარევზე ჯლიყინებს?“ (ზ. ჭიჭინ,
„ნიკოლოზ ბრათაშვილი“, 1885 წ., გვ. 25). ძველი (იხ. აჯამი). **ჟ ა მ პ ა პ ა კ ა ც ი**
— ძველისძველი კაცი.

ჟანბაროს შერი — „ქველი რაც აივანს ეჭირა, იყო შელებილი ბაც ჟანგაროს ფრად“ (ლ.
არდაზ, 1936 წ., გვ. 163). ჟანგის ფერი. „ჭუჭყისაგან ჟანგარო ფერი დასცეოლა“ (რ. ფაულენ,
„პოპბუ“, 1896 წ., № 1, გვ. 32).

ჟაააჟააი — სახრით ცემა.

ჟააუნი — სახრის გარტყმა („ტომ სოიერის თავგად“, 1937 წ., 47). „მათრახების
ჟაპუნო“.

ჟინჟლი — 1. წითური ფერი, ჟინჟლიანი — შეწითლებული, ნაქეიფარი.

2. ჩირაღის ცეცხლი. „ჟინჟლივით ბიჭი ვიყავ“ (ვ. ბარნ, „ტკბილი ღუღუკი“).

ჟიჟმატი — წერილი. „წერილმა ჟიჟმატმა წვიმამ გაჯაურებით წამოუშინა“ (ნ. ლომ, მოთხ,
გვ. 37).

ჟუჟა — ჟლეტა, ხოცვა.

ჟღაპიჟღუპი — ალიაქოთი, ხმიანი საუბარი, ჟივილ-ხივილი.

ჟღალი — ყომრალი, ნაცრისფერი.

რ

✓ რაბინდარა — „ვერცხლის კოვზები და სხვა წერილმანი რაბინდარაც ბევრი ჩაქუჩუნე
ჯიბეში“ (შელან „საქართ.“, 1918 წ., № 332). რ ა გ ი ნ დ ა რ ე ბ ი — წერიმალღი.
ამბობენ: დღეს რაგინდარების სასყიდლად ვიყავიო.

რაზა —

რაზი — 1. მადლობელი, კმაყოფილი (ოსმალ., თ. სახოკ, აგურია, აჭარა, „მოამბე“,
1901 წ., № III და ჩემი „სათნოვა“, გვ. 110). 2. თანხმობა (არაბ.) (ი. ყიფში, რუს წიგნი
„ჭანური ენა“, 1911 წ., გვ. 30; იხ. ბესიკის ლექსები). არ მომწონს რითმა ბესიკისა —
გაზი თუ რაზი. „ჩვენ კარგა ხანა ხელი აგოღია, რომ უამულოდ კაცი ადარავს გასყოფივით,
თუ ის კაცი თვითონ რაზი არ იქნება“ (შეფე ერეკლეს დროინდელი არზა „მოამბე“, 1900 წ., №
1, გვ. 32).

რაპარუჰი —

რაპაზანი — ანუ ორუჯი. მაჰმადიანთა თქმა, დღესასწაული, რომელიც
გრძელდება დაახლოებით ოცდაათი დღე (დწერ. ი. აბულხაღის წერ. ჟ. „რელიგიის
წინააღმდეგ“, 1931 წ., № 2-3, გვ. 14).

რამლი — კამათლებია ერთგვარი, რომლითაც კაცის ეტლს მკითხაობენ.

რამოდენერთა — ბევრი, აუარებელი. „რამოდენერთა სიძინდები იყო“ (ს. შავაღ. I, გვ.
70).

რანგი — 1. ფერი, ნირი; საღებავი; 2. რანგი — ზნე, ჩვეულება; 3. რანგი —
ხარისხი, ღირსება; 4. რანგი ყოფილა აგრეთვე „თაფლიანი წყალი“ (შ. ლაღ,
„აიესებო“, 1923 წ., გვ. 389); რანგი სპარსული ლექსიკონის მიხედვით მრავალის
სხვადასხვა მნიშვნელობის გამომხატველია. იხ. ბედრანგი. სენეთში
თაფლისაგან გაკეთებულ სასმელს ეწოდება (ეფ. გაბლიანი, „ჯიხვი სენეთის
მთებში“, 1930 წ., გვ. 42, სახელგ.). 5. რუსულ ხალხურ ლექსებში „რანგი“
იხმარება, როგორც „ჩინი“, „წოდება“. „Как ни слово себе доброго и ни
рангу себе высокого“ (პუშკინი, „Капитанская дочка“, თავი VII).

რანდა — შალაშინი. ჭოპოსანი, ქუსტარა (დიდი რანდა).

რასტი — 1. საკუთრივ: ჭეშმარიტება, სისწორე, პირდაპირი. „სიმღერა
რასტის ხმაზე“ — სპარსული მუსიკის პირველი ხმა. 2. ჰანგის სახელია
სპარსულად.

რატატაში – ამბობენ: უპ, შენი რატატების ჭირიშე, რა მოქარგული ენა გაქესო.

რატრატში – ბარბაცი. „ფრაზების ერთად შეერთებით ისეთი უაზრო და უთაზოლო რატრატში გამოდის, რომ სრული განზოცოვებაა ქართული ანდაზისა: „ბერუას გაუმარჯოს და აკურას მივიღიარო“ (რევ. პიუსაზე „ეკგენი ეკგენი ზანზალოვი“, „დრ.“, 1885 წ., № 175).

რავა – სარკმელთან მიმდებარებული თახჩასავით ან თაროსავით ვიწრო და გრძელი ფიციანი, რომელზედაც აწვობენ ძვირფას პატარ-პატარა ნივთებს, ხოლო მიეიტნის ან მეწვერილმანეს დუქნებში მწკრივად ბოთლებს, თამბაქოს და სხვა. „პერლაშის სასაფლაო ენახე. ყველა სავარაუდოს ცალ-ცალკე პატარა ოთახები აუგიათ, შიგ სკამები, გირგვინები კედლებზე ჰქიდა, რაფაზედ შანდლები დგას“ (მსახ. ელ. ჩერქეზ. მოგონ. ხელთ.). „იულიამ წამოავლო ხელი რევოლვერს, რომელიც ბუხრის რაფაზე იღო“ (გ. ყიფში, „ივ.“, 1887 წ., № 112).

რავათა – 1. თონეზედ ჰურის მისაკრავი ბალიში. ეს სიტყვა – რავათა-მერე გამრავლდა ხალხში: დაჩუმდი, თორემ მოვიდა რავათაში. (დ. ნ., 1033) იხ. სიფათი. 2. ყოფილა ჰურის საცხობი ბალიში, მაგრამ ტფილისში კი რავათას ეძახიან პირისახეს. იტყვიან: ჰა, ჩუმად, თორემ მოვიდა რავათაშიო! 3. ადამიანის სახე. „დასდე, თორემ რავათაში მოვიდა“, ე. ი. სახეზე სილას გაგაწნავო. რ ა ვ ა თ ა მთაში კაცის სახელიცაა. საბას განმარტებით რავათა ლავაშის დასაკრავი ბალიშია.

რალა – ლაპარაკში იციან. მაგრამ ეს ქალაქური ჩასართავი სიტყვა დასაველეთ საქართველოშიც არის გავრცელებული. ა. წერეთელი სწერდა გ. წერეთელს: „ტყუებდა რალა თვალსა და ხელს შუა“ („ქართ. მწერლ.“, 1929 წ., № 11-12). „მაიამ გული თავის ბუდეში მოასვენა იმ იმედით, რომ ეს არის რალა, უშველა ლებრთა“ (ს. მგალ., I, გვ. 18).

⚡ **რამრამი** – ყელში წყალს ან წამალს რომ გამოივლებენ. „ხუნაგისთვის: მოიტანე ნიშადური და ყინვარი შაქარი თითო ღრამი, ორ სტაქან წყალში ჩაყარე დანაყილი და ყელში ირავრავე, მორჩები“ („მდივანოვის კალენდარი“).

⚡ **რამილ** – სახელია, საკუთრივ ალალმართლობას ნიშნავს.

⚡ **რამრამი** – ბარბაცი.

რამარაუფა – დეზების ხმაურობა.

რახვანი – რაიმე მძიმე რომ დაეცემა ძირს. „ამ თავში რა რახვანი გააღინა“, ე. ი. თავში კეტი ან სხვა რამ დაჰკერეს. ბრახვანი, ხმაურობა.

რამი – ღირსება. გამიგონია: კარგი ხმა აქვს, რამინიო.

რამიანი –

რახი – უკმეხი, ტლანქი.

რამანი – შამპარა.

რამის კური – დიდი ნადიმი. ძველად, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა და არ იყო კლუბები და სხვა... ტფილისში, ტფილისელთა

შორის იმართებოდა რიგის პური, ე. ი. ამხანაგ-ნაცნობები ერთმანეთს რიგ-რიგად უმასპინძლებოდნენ ხოლმე. მაშინ ერთ კაცს სამ თვეში ერთხელ ძლივს მოუწევდა რიგის პური, რადგან რიგრიგობით უნდა ესადილნათ ერთიმეორესთან. თითო ნადიმზე რამდენიმე ასი კაცი იყო... შეეძლო ამ ნადიმში ახალჩამოსულ კაცსაც მიეღო მონაწილეობა, რომელსაც სადილი უნდოდა, თუ, რასაკვირველია, ნაცნობი ეყოლებოდა... ამბობდნენ, დღეს ფლანთან თუ ფსტანთან რიგის პურიად (მოხსენებულა გ. სუნდ, „ხათაბლაში“, I მოქ. დანვ. ქიშიშვილის წიგნი, გვ. 13, თავი XII).

რიზლი — ტეხნიკური ხერხი ქარგლობის.

რიპი — ალაყაფის კარის პატარა მოკაუჭებული რკინა, დასარტყმელი.

რიარიკა — (Выкройка) თარგი, ყალიბი, ზომა ტანთ-საცმელის გამოსატყრელად. ილია ამბობს: „ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ“ („საქართ. მოამბე“, 1863 წ., № 1, გვ. 126). ყალიბი, ფორმა. (ჩემი „ქვ. ტფ. ბოქემა“) გვარიც ყოფილა. ეს სიტყვა პირველად ილიამ იხმარა („საქ. მოამბე“, № 1) და ილიას ყველაფერში ბაძავდნენ. „ამ რიკრიკაზედ ჩვენი სცენის ბერი პიესა არ გამოიზომება და არ გამოიჭრება და რაღა მე მომთხოვენ სწორედ ამ ყალიბზე ჩამოგვისხიო“ (მანველიძე-არტანუჯი, „ივ.“, 1889 წ., № 249). „ღურსმანზე გაკეთებულია შაქრის ქალაღისაგან გამოპირილი ბშმაკების რიკრიკები“ (პიესა „ქაპიზონი“, ტერ-აქტეატურაონისა, 1880 წ., გვ. 5). რიკრიკაძე — „ქიროვის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი რიკრიკაძე 23 აპრილის დღის 1 საათზე, წერეთლის ქ. № 8, საჯარო ვაკრობით გაყიდის არტელ „ენერგიას“ ქონებას თანამშრომელთა ხელფასის დასაკმაყოფილებლად, თანხმად აღმასრულებელ ფურცლებისა № 2, 725 და 2/937.“ სასმ. აღმასრ. რიკრიკაძე („მუშა“, 1937 წ., № 93).

✓ **რიოში** — ყალიბი მარგალიტია (იხ. თაღლითი).

✓ **რიჯა** — ოქრომჭედლობის იარაღი: ყალიბია ერთგვარი, ოქროს ან ტყვიას ადნობენ ბუთაში და შემდეგ ასხამენ რიჯაში.

როპი — გაუგებარი, მოუარშიებელი, ახლად მოსადრეკელი. „ისეთი როპი კცია, რომ“... (დ. ჩ.-ს აქეს, როგორც „ნუქრი“). „ხის შტოს ძირი“ (საბა).

✓ **როპანა** — ჩორკნა. „კომბალს როკინის“.

როფი — ლახანკა.

✓ **როფიდი** — კამეჩის ბღაველი.

როში — წისქვილში ბორბლის ტრიალში როცა ხორბალი იფქვება, აქეთ-იქით სცეივა ქერქი ხორბლისა, რომელსაც ჰქვიან „როში“. რ ო შ ე ა წარმოსდგება ამ სიტყვიდან.

როშიპი — ამბობენ: ადამიანმა როშიკი ლაპარაკი არ უნდა იცოდესო, ე. ი. ამაყი, დიდგულა, გოროზი.

✓ **როჭიპი** — 1. ჯამაგირი. გვარიც ყოფილა: „როჭიკაშვილი“ (ი. ქართ. მემუარები“ ტფილისის აოხრება აღამამაღსანის მიერ“, „სიტყვ. თეორია“ გრ. ყოფშ. და ეპ. კირონისა, 1908 წ., გვ. 178). 2. პენსია. სომხურად ჯამაგირია და არა პენსია. 3.

არის ულუფა. (მ. ჯანაშ. საეკ. კატ. III, გვ. 128, 129). „მე თუ ისევ პეროჭიკე კყოფილიყო“ (ი. ხელაშვილი: წერილი „საქართ. არქივი“, წ. II, გვ. 187; „ქოლილა და ღამანა“, გვ. 112).

რუბა – სპარსულად ჰანგის სახელია. რუბი კი მეოთხედია, ნაოთხალი. მაგ., თუ ეტყვი, რამდენი საათიაო, გეტყვის სამის ერთი რუბიაო, ე. ი. ორიდან გადასულია ერთი ჩარეკიო (15 წამი).

რუბანია – ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელშიაც აზრის მთლიანობა საესებითაა გადმოცემული.

რუბრაჰანდი – სამკურნალო წამალი კუჭის ტკივილის წინააღმდეგ (გასაწმენდად).

რუღუნება – გარჯა, შრომა, ღვაწლი.

რუზლი – ბედი, ყისმათი, იღბალი, აჯალი, წერა. „და ჯერც თავის ბედსა და რუზლს დაჯერებას იქს“ (ალ. ბარამ, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1932 წ., სახელგ. გვ. 307). რუზლ-მდღევარს იტყვიან (იქვე). ხვედრი – (რუზლიანი, იღბლიანი). „საათნოვა“, გვ. 7).

რუზები – რუსები ეძახოდნენ: „Черные кожаные мешки“ (от Владикавказа до Тифлиса“, 1891 წ., გვ. 94) გ. ლეონიძეს შეეცდომით აქვს: რუზები, ძროხისაგან აკეთებენო (საბას იავ.) რუსული სიტყვები ქართულად – ჩვენი ხალხი ამბობდა: „ჩინოლიკი“, „ლევიზორი“, „პარტაკოლი“.

რუზაპი – მულის და დედამთილის საჩუქარი დამოყვრების დროს. რძალი დედამთილს ან მულს რომ მიუტანს დამოყვრების დროს რაიმე საჩუქარს – ამას რუფაკას უწოდებენ. ძველად რძალი, რომ მივიდოდა ოჯახში, დედამთილს ან მულს საჩუქრად მიუტანდა ან ქირმანშალს ან საკაბეს, ამას რუფაკი ერქვა. მზითვის წიგნშიცაა მოხსენებული.

რუზია –

რუზა დაჟურსული – Сгущенное молоко.

საათსაზი - მესაათე.

საააჲრანი - (ილიას „მაჭანკალში“).

✓ საარი - 1. დილის სიმღერა, რომლითაც ეგებებიან ცისკარს, მზის ამოსვლას, აისს. დუდუკის ერთგვარი ტკბილი ჰანგია, რომელსაც უფრო დილაობით (უფრო ქორწილის მეორე დილით) ააზუზუნებენ ხოლმე. 2. საკუთ. დილას ნიშნაეს; როცა ამ ჰანგს დუდუკზე უკრავენ (და არა ზურნაზე, როგორც ეს მ. ჯაეახიშვილს ჰგონია („არსენა მარაბული“, გვ. 601), ამით გამოჰხატავენ „ლოცვას მზისადმი“, უფრო მიღებულია ქორწილის მეორე დღეს დილით, როცა ჰაერზე გამოვლენ მოქეიფენი; ძალიან მელოდიური და გულისხალმძერელი ჰანგია.

საბაბი - მიზეზი, მაჰანა.

✓ საბარაქალო - „შენ რომ საბარაქალოზედ ჯიხვებსა სცილიდი, რაღა გადგრჩობოდათ?“ („ციხე“, 1865 წ. გვ. 5).

საბაძი - მოთავე, მოწინავე.

საბაელი - თხის ბალანიდან გაკეთებული თოკი.

საბაჲური - Накидка.

საბრი - წამალია ერთგვარი. გამხმარი ნაღველა.

საბუი - უზმოზედ ჩაღვევის მოყვარული. სასმელის მოყვარული დილაობით. „საბოჰი“ ფსევდ. იყო აზერბ. მწერ. მირზა ფატალი ახუნდოვის (1812 - 1878).

საბჲირანი - მთავარი ფალაგანი, მძლეთა - მძლე, ფალაგანთ უხუცესი, ფალაგნების ბელადი. (ილიას აქვს ეს სიტყვა „მაჭანკალში“).

საბოჲილა - Бочка რაჭაშიც (სოფ. ლებში) იხმარება ეს სიტყვა, სადაც წყლის ზიდვა უფრო გახშირებულია.

საბულისაბულოდ - შენთვისა მაქვს ამორჩეული.

საპათოზა - (?) გასაქანი.

საპატოზა - ღონე, ილაჯი. საეატობა აღარ ჰქონდაო - ამბობენ. საშველი, გასაქანი. „ისე ცუდად იყო, გენაცვალე, რომ საეატობა აღარ ჰქონდა“ - ელ. ჩერქეზ. ნაამბობი.

საპეი-სურხი — საკუთ., მწვანე-წითელი. საეზი-სურხი ძველი გასართობთაგანია. სათანადო ფიცარზე — ჭადრაკულად დახატული იყო მწვანე და წითელი ფერი. მოთამაშენი: ერთი წითლის მხარეზე იყო, მეორე მწვანისა.

საზანდარი — „Сазандар музыкальный инструмент в роде волынки“. „С робкими мечтательными глазами настраивал зурну“. „ლიბსიქითა მცხოვრებნი საზანდარს მ ე ს ტ ვ ი რ ე ს ეძახიან“ (აგუთანი, 1914 წ., ლექსიკ. გვ. 394).

✓ **საზანდო** — აზიური მუსიკალური იარაღების ოსტატი.

✓ **საზი** — საკუთრივ ძნობას, მუსიკას ნიშნავს; აქედან **საზანდარი** — აღმოსავლეთის ორკესტრი; საზი გრძელტარიანი ჩონგურია, რომელსაც რვა სიმი აქვს. იკვრება ოთხ ხმაზე. საზი — განსაკუთრებით აშუღების ჩონგურია; ჩვეულებრივ ჩონგურს კი რამდენიმე სახელწოდება აქვს: „ჯურა-ჩონგური“, „ყოფუზა-ჩონგური“ და სხვ. ჩვეულებივ ჩონგურზე მოგრძო ჩონგური. ტარიანი ფანდურივით. თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი საზს ეძახის „სამსიმიან საკრავს“ („На рубже Востока“, 1928 წ., № 8, გვ. 34). მოხსენებული აქვს ლერმონტოვს თავის „აშულ-ყარიბში“. ეს ოსმალური ზღაპარი თარგ. კონ. კოლუბანსკიმ („ციცკა“ 1865, № 1, გვ. 1). „შიყ-ყარიბი (აშულ-ყარიბი, ი. გრ.) უკრავდა რა საზსა და აქებდა ძველთა მოღვესთა თურქმანისათ“ („ციცკა“, 1865 წ., № 1, გვ. 1). „მუხამაზიც ხელში საზით თქმული ამ ხმისა, შედგენილი აღექსანდრე სტეფანოლისა“. (გვ. 7, 1878 წ. „ახალი ამბავი“ შედგ. ჩაქჩორლანისა, გვ. 19). „საზი — ლერმონტოვის განმარტებით „ბლაღაიკა“ („აშულ-ყარიბი“ — აბრამოვიჩის რედ. 1916 წ. ტ. IV, გვ. 277). ჩემი გაშლილი გული გაქვავდა და დამიძუნჯდა. მომღებნი პირი საზი, ჩონგური, დაირა, ჩანგი და თარი მე მბულს, ვითარცა ჭირი“ (დათა გუგუნა¹ „ღროება“, 1885 წ., № 197).

სათაელი — ეშმაკი, მაცთური, სატანა. „სათაელი ეშმაკი ან მიცვალებული რომ გამოსცხადებოდა, ისე არ გაოცდებოდნენ“ („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 80).

სათალი — ხმელ თევზთაგანია: ზურგიელის მსგავსია, რომელიც დანით სათლელია და ამიტომაც ჰქვია „სათალი“. (გ. ერისთ. თხზ., გვ. 438, გვ. 456; ვაჟა, ტ. V, გვ. 465).

სათამაშო ძაღალის ნიშნები: Черва — თხილი, ლობიო, გული, ქუფა. (ქუთ-კათოლიკ). Бубна — აგური, წყენტი (გურული), თავანი (ქუთ. კათოლიკ). Пика — ყვავი, ძაჩა (ქუთ. კათოლიკ.). Трефа — ჯვარი.

სათარა//სათარი — „დაგურგურებ ღიდ სათარს“ (რ. ერისთ. თხზ., პატარა“ გვ. 75, „საბრუს საზლარი“). დ. ჩ. — ნალო, შუშა მოთრეული, გვ. 1071. „გადაპირიბიყო შუაგზაზე ვემა სათარივით და შეეგუებინა ნაკლი“ (ე. ბარნ, „უარღფანჯები“, გვ. 197).

¹ ასეა. — რ. კ.

სათილი/სათლი – პირველად სათილი – ვედროს მნიშვნელობით შეგვხვდა ალ. ჭყონიას თარგმანში („მოამბე“, გარიბალდიები¹) ამ სიტყვას – სათილს – ვედროს ადარებს თ. სახ. („ფუნთუშა“ მოასანის გვ. 86). 1. სპილენძის ჭურჭელია, ძირგამობურთულია, რომელსაც სველად ქალს ატანდნენ მზითვად საწყაულის ნაცვლად. 2. სათლი ანუ სათილი ეწოდება დალაქების თაესაბან ჭურჭელსაც; „სათლი აბანოსი“ („საქ. სიძველენი“, ტ. I, 1899 წ. გვ. 406). 3. ვედრო. „მისღება ღს ცემს სათლით ხელში“ (გ. ერისთ. თხზ., 1884 წ. გამოც. გვ. 456).

სათლიჯამი – ავითმყოფობაა ერთგვარი გაციებისაგან მომდინარე. ანუ სათილიჯამი, ნიშნავს შეცივებას (ავადმყოფობაა). „– სათლიჯანი რა არის? – საოფლე ხურკებს რომ მოგახსენებენ“ (მ. გარიყული, მოთხ., 1932 წ. გვ. 19).

სათული – ხორცის დასანაყი ბრტყელი დანა. ხორცის საჩუხი ყასბებისათვის („სათული“ თ. რაზიკ, სვგ., 1900 წ. № 138). „ძეჟის მოსაჭრელად ჩვეულებრივი წაღი არ ვარგა... ამ საქმისათვის ის სათული სჯობია, რომელსაც ნამგალივით წვერი ქვემოთ აქვს შემოხრილი“ (ვ. ბარნ, თხზ., ტ. II, გვ. 25).

საია – სარკე, უბრალო, სადა, უმხატვრო სარკე.

საიათნოვა – ახალი მწერალი – საიათ სპასუღლად მ წ ე რ ა ლ ს ნიშნავს და ნ ო ვ ა – ახალს („სათნოვა“).

♣ **საიასარამ** – სადა, უვარაყო, უჩარჩო სარკე.

✓ **საიასალო** – ვარგებული. „ვისაც კი ან ბაღს და ვენახში, ან ბოსტანში ეღვა ანუ ეთესა კარგი, საიასალო რამ, ბეჟუაშვილს კლანჭები უნდა გაეკრა“ (ნ. ლომ. მოთხ., 1926 წ. გვ. 206). „საიასალო კაცია, ზრდილი და გულკეთილი“ (ნ. ტ. დაღ. „სამბრო გამოცანები“, 1897 წ. გვ. 27). **საისა** – შეძახილი ბატებისათვის (ვითომ: „სად მიეხიერები, ნაპირ-ნაპირ ნუ მიდიხარ და ამხანაგებს ნუ სცილდებით“).

სააღაბა – ეს რუსული სიტყვა ქალაქში ითქმის გადაყრუებულ მოხუცზე.

საადამელი – უთარგმნიათ Поносного („კრებ.“, 1871 წ. № III. გვ. 32).

საანატონი – შესაჭმელი, გამოსახარავი. იხ. კ ა კ ნ ა ტ ე ლ ა.

სალა – ბავშვთა სათამაშო სიპი რგვალი ქვა, ხელში დასატყერი. სალაობაში (ბავშვთა სათამაშო) სიპი და მრგვალი ქვა. მდინარე დიდ ქვას სალაეს ეხლება წლიდან წლამდე.

სალარობა – საბავშვო თამაშობაა. წარმოებული სალი ქვიდან. სალა ე. ი. მაგარი ქვა (ს. მაკალათას „მოთულები“, გვ. 126).

სალავათი – სპარსელების დილის ლოცვა, და აგრეთვე ლოცვა ომის წინ. ჩვენში ვისმეს წყენა რომ უნდათ, ეტყვიან: სალავათ ძაღლოვო, ვითომ სალოცავ ძაღლოვო. რჯული. „შენი სალავათი კი დაიქცეს“ (დ. ნახუცრ., „ჯოტები“, 1914, გვ. 9).

სალავათი – ამბობენ: საღ-სალამათი კაციო, ვითომ ჯანიანი და კარგად მყოფიო.

¹ ასეა. – რ. კ.

✓ **სალამ-ალეიქუმა** – ნიშნავს – Мир с тобою ("Восточ. сборт.", 1924 წ., I, გვ. 146).
ს ა ლ ა მ ა ლ ე ქ ე – (სალამ-ალეიქუმ) – სალამი შენდა!

სალამურა თიჰვი – ერთგვარი თევზია, რომელსაც უფრო შამფურზე სწვავენ და ისე გვახლებიან.

სალამ-ქალაში – წარმოებულია, „სალამ-ალეიქუმ“.

სალაზარდა – იხ. „ყარამანიანი“ (1875 წ. გამოც. ტ. II, გვ. 149; 1912 წლის გამოც. გვ. 77).

სალახავი – ფეხქვეშ დასაგები ფეხების გასაწმენდათ. (აქეს დ. ჩ-ს).

სალახანა – I. გარყვნილი, გაფუჭებული, გაქსუებული. „რასაც მონახელებდნენ, აგებდნენ ქაღალდსა და ყოზარბაზობაში სალახანა ქუჩის ბიჭ-ბუჭებთან“ (რ. ფაულენ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 40) დ. ჩ-ი სალახანას სასალახოს ადარებს. დ. ჩ-ს ახსნა სხეანაირია Бойная, 2. **ს ა ლ ა ხ ა ნ ა**, ადგილი იმ მკვლელებისა, სადაც ოთხფეხი საქონელი იკვლება. „ქვეყანაზე მრავალგვარი აკაცობა, მრავალგვარი სულდაბლობა და სალახანობა“ (ილია, აივ., 1888 წ., № 16, შეთ.). 3. **ს ა ლ ა ხ ა ნ ა** – მიეთ-მოეთი, შენ-ჩემი, მასხარა. ანუ სასალახო. „სამა მე თქვენ მოვეზმაროთ, მანამ არ დაძობდითო, პოლიტენიკუმს ვაშენებ მყარ სალახანის გვერდიო“ (ნოშრევანიძე – ნოშრ. შერკვილაძე, აღმ. „კონდანი“, 1913 წ., № 2, გვ. 4). „დახედე იმ სალახანას, კაცად რომ არ ჩამაგდებსა“ („არსენას“ ვარიანტი, ჩემთან დაკული ხელს“) „ეგ რაღა ძველი უცნაური აზრებია, ღუქანში სალახანების გასართობად მოგონილი“ (ივ. მაჩაბ., „ოტელო“, 1888 წ., გვ. 36).

სალახი – საქონლის დამკვლელი, სასალახო კი ადგილია, სადაც ყასბებისათვის ჰზოცავენ საქონელს. ოთხფეხა საქონლის ჯალათი.

სალგი – ბზა, ბზაკალი, ბაია, ხეა ერთგვარი. ამ ხიდან განსაკუთრებით აკეთებენ ყუთებს და სკივრებს, რომ ჩრჩილმა არ დაღრღნას.

სალგისურმან – ყარამანიანის მოთხრობის გმირი ქალი. „არც ქალი ურიგო, – დაიწყო სუტენიამ, – როგორი ყარამანიც შენ ხარ, იმისთან საღბისურმან ის არის“ (ილია, „კაცია აღამანი“, თავი VI).

სალგუნი – მალამო.

სალდასტი – საკუთრივ ხის ხმალს ნიშნავს. „სალდასტის კრივი“ – კრივი შურდულებით და ხის ხმლებით.

სალთი, სალთად – მარტოდ, კენტად, უოჯახოდ. „ღუშეთს ვიყავ სალთად გადმოსული სამსახურის თაობაზე რაღაც მოწერილობის გამო“ (ბაჩ., საჭირო ბიბლიოთეკის „შრომები“, წ. III, გვ. 153) ამ წერილების რედ. სალთს ხსნის „უბარგოდს“ (სალთად-უბარგოდ) (იქვე, გვ. 194). მარტოხელა, ამბოკარი, ტლუ, კენტად მცხოვრები. „ვიხა ხარ, სიღამ დაძინავი, ვისი მომესმის ხმანია, არც შევარ სალტად, თანა მყავს ჭირში ნაწრთობი მანია“. „სალთად ტარება დროისა“ (ვ. ბარნ., „ფერად-ფერადი“, გვ. 327).

სალთჟი – ქალის დაბეწვნილი წამოსასხამი.

სალიანგო – მასსიური. ლიანგი – მასსა.

სამაია – სპარსულად ჰანგის სახელია. სამაია არის აგრეთვე ცეკვა, როკვა.

1. სამაია — სპარსული ლექსწყობის ერთგვარი ჰანგია 2. სამაია — ცეკვა, ფერხული, შუშპრობა. „აქლემბე უთხრა ვირსა: „მამო, მინდა დავროკელ და სამაია და ცეკვა კქნაო“ („სობრძენე სიტრუისა“).

სამაინი — ზღვარი ქვისა.

სამაზაური — ქოლგა.

სამი თითის დადება — „რომელი სათა? — შვიდს სამი თითის დადება აკლია (ქალქ-თქმა), ე. ი. მეოთხედი, ჩარეკა, ნაოთხალი, რუბი,

სამორინა — ქალაღდის სათამაშო სახლი; საყომარბაზო ადგილი; კაზინო.

სამურახო — უსუფთაო („ძმური სიტყვა“, იხ. ლექსიკ.).

სამღვთო — ხატისათვის დაკლული ცხვარი; ტარიგი. სამღვთოს ხატსაც უწოდებდნენ (პროფ. ივ. ჯავახ. „ქართვ. ერის ისტორია“, 1913 წ., ტ. I, გვ. 130). „ზარაზო ამქარი საღვთოს შემდეგ ცისკენ შუშხუნებს უშვებდა („ივ.“, 1891 წ., № 131).

სანათური — ჭერში დატანებული ფანჯარა.

სანაშურა — მოზრდილი ჭურჭელი, რომელშიაც აგროვებენ სხვადასხვა სასმისთაგან მონარჩენ ღვინოს და მისთანათა.

სანატრიონი — იდეალი.

სანაძი — წყლის ჭურჭელს ნიშნავს (ი. ტატიშ. მოთხრობაშა ეს სიტყვა „მნათ.“, 1929 წ., № 1, გვ. 80).

სანაწური — ვირის მოსართავეი.

სანდალი — ერთგვარი წითელი ხეა, გამძლე და მაგარი, საიდანაც აკეთებენ ძვირფას ნივთებს; ხარობს ინდოეთში, სურნელოვანი ხეა, მუქ-წითელი.

სანთი — ხერხი. სანთიანი-ხერხიანი. ამბობენ: სანთიანი ადგილია, სანთიანი

ბიჭია და სხვა. „გამგეობას კიდევ ეამება, რომ ყასბზანა აქ დარჩეს, რადგან მას არა აქვს ისეთი სანთი და სახერხო ადგილი, როგორც არის მუხრანსკის მამული იარმუკში“ („ღროება“, 1884 წ., № 3).

ს ა ნ თ ი ა ნ ი — მოხერხებული, მარჯვე. თ. სახოკიას ვ. ბარნოვის მოთხრობებში („ფერად-ფერადი“, 1934 წ., გვ. 520), ეს სიტყვა სინათლისაგან

ჰგონია წარმოებული და ასე აქვს ახსნილი: „ნათელი, სინათლიანი, მარჯვე“.

ეს მარჯვე სწორია, ხოლო პირველი ახსნა ზედმეტია. მოხერხებული (გურიამიცი გამიგონია: „სამთიანი“, „სენთიანი“).

სანთური — ყუთი, რომელზედაც ჩხირებით უკრავენ ორივე ხელით. „ჰროგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დაწკარუნო ადენი ხნის დაღმებული შენი სანთური“ (ნ. ბარათ. წერ. გრ. ორბელიანისადმი) ამ სათაურით („სანთური“) დაბეჭდილი აქვს ლექსების

წიგნი კირილე ლორთქიფანიძეს (თომა კარგარეთელის ფსევდონიმით). წინწილი. ციტრა („ივ.“, 1889 წ., № 196).

სანიავა — Фортыха. „აღლუზიანში“ კი (მ. ჯანაშ. გამოც., 1897 წ., გვ. 126) ნახმარია „სასულე“.

სანსალა — წყლის ლიფსიტას მსგავსი პატარა ჭია.

საოტობა — არაქათი, ღონე, ძალა. „რა ჯანი და ღონე რჩებათ, ეს არის საკორველი,

წინდახედული, თადარიგინი. „ველსიანი სარისტანი კაცა და ამიტომ მან ნოტარუსის ბეჭედიც მოიშველია...“ (სირუსი, ვახ. აკომ., 1936 წ., № 20, 26 იანვარი). „სარისტანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი“ (ს. შვალ. I, გვ. 83). ყველაფერ საქმის მომწყობი; კილოინი. „მართა სარისტანი აღმანია“ (ნ. ლომ, მოთხ., 1926 წ., გვ. 466). „ის სარისტანი აღმანია – იმას ყველაფერი აქ“ (ა. ფურც., „ქიტეს“, 1890 წ., გვ. 9). „ამას ხელს უწყობს მილიციელის თავდაჭერილი, სპრიონ-სარისტანი ქცევა“ (ნ. ზომლეთ., „შუშა“, 1934 წ., № 2). „როგორც მეოჯახე კენინა ვენო ჯორჯაძის სარისტანი, შეუღარებული და მეტად კარგი დიასახლისი იყო...“ („იფი“, 1889 წ., № 56). სარისტანიობა – თადარიგი. „...პეტრე ბაგრატიონის სარისტანიობამ საზოგადო ყურადღება დაიმსახურა“ (აქლდე, 1912 წ., № 1, გვ. 9-11).

სარსალი – უჯერო ლაპარაკი, ტარტარი. „დაბეზლება და ენის სარსალი“ (ს. შვალ., I, 8.).

სარსარაპი – „თქვე, ოხრებო, თქვე სარსარაქებო, ამოდენა ხანი ერთად გვიცხოვრია“ (გ. ბაშინჯ., „ახირებული მასინხელი“, „სახ. საქმე“, 1920 წ., 10 დეკ.).

სარსალი – ტუტუცი, ჩიტირეკია, ქარაფშუტა.

სარტაქალ-გოლისაირო – თავდახურული დედაკაცის საცმელის მასალა. სარუაუში – ყიდვა-გაყიდვის დროს ეინც ზედმეტს მისცემს. მაგ., თუ ერთმა იყიდა ნივთი მანეთად და მეორემ კი 1 – 20 შეამძია, ამ ზედმეტს (20 კ.) ჰქვინან სარუეუფი. უფრო დუქნის გაყიდვის დროს იციან: „აჲ, მეტი რა უნდა, ათ თუმანს ფულს ვაძლევ სარუეუად და თოდ დამითმის რაღა ის დუქანიო!“ ს ა რ უ ე უ ფ ი – დუქნის ან ბინის დასაცლელად წინასწარ მიცემული ქრთამი.

სარუა – გამორჩენა, მოგება.

სარაში – დუდუ, სარქი ამოიღე.

სარაგულაპი – გინებაა.

სასალი – „სასალი ბიჭი იყო, მაღალი, სუსტი აგებულების“. (ვ. ბარნ)

სასალი მსხალი – საადრევეო მსხლის ჯიშია, ნაყოფი წვრილი, ტკბილი, თხელკანა და სურნელოვანი.

სასთუმალი – თავსადები.

სასმიდი – სასმელი.

სასუნსლაპი//სასუნსნაპი//სასუნაპი – შესამჭელი რამ. (ლ. არღაზ., 1936 წ., გვ. 152). იმერ. საცუცნავი („გულქანი“).

საური – ზეწარი, ჩარსავი, ბალიშის პირი, საური არის აგრეთვე ჯარიმა, გადასახადი. მიტკლის საურგადაკრული დიდი ბალიში იღვა (ნ. აუჯ., თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 72). ბალიშის პირი (არა აქვს საბას). ბალიშის თეთრი ზედაპირი. „ოღისფერ ატლასის ბალიშებზე გადაკრული იყო წმინდა ტილოს საურები, რომელზეც გარშემო ეკერა ნაკერი ბატისტზე არშიები“ (ლ. არღაზ., პ. კემულავას რედაქცია, 1936 წ., გვ. 107). „ამჟამად ზეწარი, საური, პირსახოცი, ხელსახოცი და ტრუსები უნდა დარეცხილიყო ბავშვებისათვის“ (მარიჯან – კ. ჩუკოვსკის „მზიანა“, 1936 წ., გვ. 70).



სავუტუნეპალი – სასტვენი, საკრავი.

საქონრიდან კოჭამდე – თხემით ტერფამდე.

სალამო კარაპოვნიცა – ე. ი. სალამო მშვიდობისა (ძველებური სალამი).

საღარღელი – „კრუბ“, 1871 წ., № III გვ. 8.

შაბირღანა - „მხოლოდ შაგირღანასთვის მაქვს თფლები ღია?“ (გ. სუნდ. „დაქც. ოჯახი“).

შაპათ და ბნალათ - წყველაა.

✓ შაპი ორშაპათი - დიდმარხვის პირველი კვირის ორშაპათი.

შაპი ფული - სპილენძის ფული 1-5 კაპ-მდე. „გადასწყვიტეს, მარიამ დედოფლისათვის ეძლიათ ჯამაგირი, ზოგი შავ ფულად და ზოგიც მთელ და მაგარ ასიგნაციებად (აგ., 1889 წ., № 185).

შაპი ყარტლი - ყურძნის ავადმყოფობაა (აგ., 1889 წ., № 29).

✓ შაპნაბადა - ტფილისიდან 5-6 ვერსით არის დაშორებული. ჩავარდნილი ადგილია. შაპნაბადას ეკლესია სდგას თელეთის მთაზე, ტფილისიდან სამხრეთით. როგორც სამრეკელო, ისე ტაძარი აშენებულია მეცხრამეტე საუკ. პირველ ნახ-ში. ეკლესია აშენებულია ძველის ნაცვლად, რომელიც წმ. გიორგის სახელობაზე იყო აგებული. როგორც ქართველებს, ისე სომხებს წმ. გიორგის შაპნაბადას ეკლესია სწამდათ და თაყვანსა სცემდნენ. შაპნაბადობა - სომხ. წმ. გიორგობაა. მისი დღესასწაული მოდის ენკენის თვის 22-29-ს, ჯვართ ამაღლების მესამე კვირას.

შაპტუსა - შავგრემანი.

- ✓ შათირი – შიკრიკი, კურიერი, იფრინდა (საბას აქეს).
- ✓ შაითანი – თარის სიმები მაღალ ხმაზე, მომართული და ერთმანეთზე დაშორებული მაღალ ბგერით. შაითან – სპარს. ნიშნავს ეშმაკს. შაითან ბაზარი – ეშმაკის ბაზარი (იხ. შ ე ი თ ა ნ ბ ა ზ ა რ ი).
- შაიიკი – თავის ტკივილი (?)
- შალაფა//შალაფი – სარეველა მცენარეა. „სიმიონდ შალაფა აღრზობდა“ (ყოლმ. ხმა, 1955 წ. № 62). „ყოლმ. ნაკვებებში შალაფის მოჭრა სასტიკად აკრძალულია“ (აღაზნის განთ., 1957 წ. № 8, გვ. 2).
- შალახო – ერთგვ. ყარაჩოღული ცეკვაა ზურნის ქვეშ.
- შალაზი – ტყის სარგებლობისათვის ფულადი გადასახადი.
- შალბი – სარეველა ბალახი.
- ✓ შალდი-გალდი – (შაი-გელდი). შაი თათრ. შაჰს ნიშნავს, გელდი – მოვიდა, ე. ი. შაჰი მოვიდა. საერთოდ ნიშნავს დაუსრულებელი, დაუბოლოვებული. მაგ.: ვინმე რომ ბევრს გალოდინებს და მერე მანინც მოვა, ეტყვიან: კაცო, შენი მოსვლა რა შალდი-გელდი გახდაო, ვითომ შენი მოსვლა რა შაჰის მოსვლა გახდა, რომ ველარ ველირსეთო.
- შალთაი-ბალთაი – „შაგან შალთაი-ბალთაი კარგად იცის და იმითმ ეხვევა ყმაწვილკაცობა“ (რ. ფაველენ, „მოამბე“, 1896 წ. № 1, გვ. 58).
- ✓ შალითა – 1. ბალიშის პირი, 2. საბნის გამოსაკრავი ზეწარი.
- შაშათი – ანუ შარამათი. ფათერაკი. ამბობენ: ეს რა შარსა და შარამათს შეეყვარეო. ეგ შენი ქონება სულ შარითა და შარამათით არის მონაგებიო.
- შაშაია – პირდ. თარგ. – შაჰის თევზი. ეს თევზი გაკეთებულია, გამოსულია და გამობოლილი. სამეფო თევზია.
- შაშაში – ნესვის ერთგვ. ჯიშია, ნაზკანიანი, ყვითელ-ყავისფერზოლებიანი, პატარა ბურთივითაა, გემოთი ტკბილი არ არის, მაგრამ სურნელოვანია. ეს შამამი ქალის ძუძუების ეპითელტია ყველა აღმ. პოეტისათვის.
- ✓ შაშანი – ნაქაჩი. წყალ-მაჭარა (ჭაჭაზე რომ წყალს დაასხამენ, შემდეგ დაღვინდება) დაბალი ღვინო. ჩხუბის დროს ამბობენ: გაჩუმდი, თორემ შამანს გადმოგადენო. ამ სიტყვას ხმარობს ა. ცაგარელი და სხვ.
- შაშბი – მაღალი და მსხვილი ბალახი. შამბნარი – გაბმული ბალახი.
- შაში – სანთელი.
- შაში-შაში – შეშმუშენა. „ხაურობამ ყველა გამოაფხიზლა, ყველა შაშიშუმში მოიღა“ (ს შკალ. ტ 1, გვ. 68).
- ✓ შაშვიშაპიანი ძათიბი – ფულებ (თუნუქისა და თითბრის) ასხმული ქათიბი, რომელსაც ხმაური გააქვს და ჟღარუნობს. ამ ქათიბს ეხლა ხმარობენ ყარაბაღში და ახალციხეში.
- შაშვიშარუთი//შაბიშარუთი – ამას მეტსახელად არქმევდნენ ხოლმე. უშნო და უგულისყურო, უნიჭო ადამიანი. „ეე, შაბიშარუთ, გაიგონ რაღა.“

- ✓ **შამჩი მაღაძო** — იყო ავლაბრელი მესანთლე (შამჩი სანთელს ნიშნავს), შემდეგ კი ცნ. აშული, გვარად მელქუა გულქანოვი.
შანა — ხატისათვის შესაწირავი და გულზე ჩამოსაკიდი.
- ✓ **შანარ-შარანო** — ოქრომჭედლების იარაღი: პატარა და პრტყელი ქლიბი.
- ✓ **შანიშინი** — ჰქვიან დარბაზში ერთ მხარეზე გაკეთებულ გაღერეას ანუ ერთ კუთხეში გაკეთებულ ბალკონს. ძველად ამ შანიშინში მადლიდამ დასახედავად ადიოდნენ ან ახლად ჯვარდაწერილ ნეფე-პატარძალს დააძინებდნენ.
- ✓ **შანჭარაძი//სანჭარაძი** — 1. ოთხმოციან წლებში შანჭრაქებს უწოდებდნენ სომხეთიდან ტფილისში მოსულ ლტოლვილებს, რომლებიც ავლაბრის მიდამოებში ცხოვრობდნენ. შან — ძალღია, ჭრაქ — ჭრაქი ე. ი. ძაღლის ჭრაქი. ეს სახელწ. დაერქვათ იმიტომ, რომ ოთახში ძაღლის ქონისგან გაკეთებულ პატრუქს ანთებდნენ. ამბობდნენ: შენი ფულით ან შენი ქცევით შანჭრაქებს გააკვირვეო. 2. შანჭრაქები არიან სომხეთში (ერევანში) მოსიარულე ბოშები. ეხლა ეს შანჭრაქები, როგორც ლტოლვილები, ცხოვრობენ ავლაბრის ერთ-ერთ უბანში. „იო, მეხი კი დაგაყარე მაგ შანჭრაქა თავზე (საქ. მოაბზე, 1863 წ., № 7, გვ. 35). „ეროა ვინ არის და შანჭრაქა ვინ“ („ცისკ.“, 1864 წ., სექტ. გვ. 41).
- ✓ **შარაბანდი** — ერთცხენიანი ეტლი.
შარანდი — სატკიერის მიზეზი. „ოჰ, ერთხელ კბილი მტკივა, იმის შარანდით თვალი მტეხავს.“ (ა. ახანაშ, „ღვესები და სცენები“, 1912 წ., გვ. 137).
შარდანა —
შარი — ცილისწამება (სკანდალი). „გაჭირების ტალკუსია ჩვენი მიხა, რომ ცოტა შარი არ იყოს“ (ს. მგალ. ტ. 1, გვ. 82). „რა შარებს მიგონებ“ (გ. სუნდ, „აეპო“, „დაქც. ოჯახი“). „შარი ხეირად გადაექცაო“ (ხალხ.). „დედაკაცის შარი, მოვარდნილი ღვარი“ (ანდ.). „გაროზგვისას მომიშარებდა რასმე და დამიკივლებდა“ (ვაჟა, „მოგონა“, ასევე, „როგორ გაჩნდნენ ქვეყანაზე ბუბიო“). „სიშართლე გაცკითლა, დრო შექმნილა შარული“ (საღზ. საზანდარი, 1912 წ., გვ. 95). შარიანი — „ყველაზე შარიანა კრიტიკოსებმა კი ჯერაფერს მოსდეს შარი“ („კომ.“, 1949 წ., № 204, გვ. 3).
- შარი-შური** — 1. თახახიანი ფართლეულის შრიალ-ხმაური. 2. ნარნარი ხმაურობა. 3. ჩონგურის ხვეული ჰანგი.
- შარ-შარამათი** — იხ. შარი.
- შატაბუტა//შეშატაბუტა** — 1. არასერიოზული, ცანცარა, ტუტრუცანა (ქალზე იტყვიან). 2. „ჩქარი და უგვანოდ მოუბარი“ (დ. ყოფ.). „ერთი შატაბუტა ვინმე“ (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 30) ამ სიტყვის თქმა იცოდნენ ლოტოს თამაშის დროს.
- შატალო** —

- ✓ შაქარდანი - საშაქრე.
- ✓ შაქარლამა - შაქრით და ფქვილით შეზავებული კვერი. „გან იხინი შაქარლამის ჭაბით დაიხონენი“ (ანტ. ფურც, „პასუხი ნიკოლაძეს“, „პრუბ“, 1873 წ., № 10, გვ. 146).
 შაქაშა - თიხის ან ხის ჯამი, პატარა. ჯამისებრი ჭურჭი, ფიალა. „საყვარელო, ძვირფასო, ერთ წუთას შენთან დამსო, შენის ბროლის თითუბით შაქემით ღვინო მასო.“ (ხალხ).
- ✓ შაქი - ალჩუ. ამბობენ: შაქზე დაჯდა, სტუმარი მოვა. „ღურგლოპც გოღონია... შაქის გამოღება ფარგლებით უცხოდ იცი“ (გრ. ბატონიშ. ლექსი).
 შაქრის ძაღალი -
 შაყა - დაკლული და გატყავ. ცხერის ერთი ნახევარი (საბას აქვს შუყა). „ყასბი მიუახლოვდა ნახევარ შაყა ხორცსა, უნდოდა მოჭრა...“ („ციცკა“, 1857 წ., გვ. 42).
 „შემდგომ პირეს შაყა“ („სურ. ციხე“, 1832 წ., გვ. 51), ე. ი. გასჭრეს შუაში.
 შაშა-შუში - შრიალი, შარიშური. „მამ ხელში ქაღალდით შამა-შუში გააქვსო?“ (გ. ნასიძე, ქრესტ., 1885 წ., გვ. 45).
- ✓ შაშარა - სურნ. მცენარე, რეჰანი.
- ✓ შაშანდურა - ცანცარა, ქარაფშუტა.
 შახა-შუხი//შახი-შუხი - „ის იყო... შახა-შუხით მოლაპარაკე“ (პ. უშიკ, „ივ.“, 1899 წ., № 209).
 შახი - სპარს. ხეხილის ტოტი. გადატ. ჩვენში ამბობენ: შახს არ იტეხსო, ე. ი. ისევე ფართი-ფურთობსო. „მენი ზართ პოს-ქართლოსის, ნუ გაიტეხამთ შახსო“ (პაზირა, „ბეღალი“, 1904 წ., გვ. 15). „ღასღინარ შახით, ბროლის ხახით, გუგარ მთვარესა“ (პაზირა). „ფულს რომ დინახავენ ჩემს ქისაში, მაშინ სულ სხვა შახი შექნება (ე. გუნ „დეღისურთა“, 1910 წ., გვ. 19). შახად - ყოჩაღათ, კარგად, შნოიანად, ლაზათიანად, თამამად. „თქვენ შახად იყავით...“ („სუნ ფ.“, ღამატ, 1903 წ., № 102). „შიველი და მეც ერთი შახად დაებრძანი“ („პურღ“, 1904 წ., გვ. 28). შახიანი - „ალიონი, მალიონი, ვალაქტიონ ხმალიონი, კობტა არის, შახიანი, ღმერთო, იმ დროს ნუ მომასწრეფ, ყოფილიყო ქალიანი“ (ხალხ.) მწ. გრ. ნახუცრ. ერთი თავისი წიგნი („მამამ გამომგზავნა“) მიძღვნა შემდეგი წარწერით: ი. გრიშაშავეილს, რომელმაც შემაყვარა ქართ. ლექსი და შახიანი ქართული ენა“ (წიგნი ჩემს ბიბლიოთეკაშია დაცული). „მე მიყვარს შახიანად გავლა-გამოვლა თაჰომწონე ახალგაზრდებში“ (ლ. მებრა, „სურათვალა შუე“, 1939 წ., გვ. 123, 170).
- ✓ შახინი - თავმომწონე.
- ✓ შახსანი-შახსანი - შემოკლებულად წარმ. სიტყვიდან „შახ-ჰუსეინ, ვაი ჰუსეინ“. ამ სიტყვას იმეორებს ყოველი კაცი, როცა თავს იბეგვამს ჯინჯილით.
- ✓ შახტია - მეტი სახელი დედაკაცისა.
 შაჰიე შაჰი - მეფეთ მეფე.
 შაღლიყაითან - კაცი რომ საოცარ რამეს ჰყვება, ეტყვიან: ეეე, შბღლიყაითან!
 შა ამოსაპარდნო - წყევლაა.

შაითახა — სუფრაზე რომ დასხდებიან, მასპ. სტუმარს შოთი პურს მისცემს და ეტყვის: შეიტყებ — ნახევარი პური მასპ. დარჩება, ნახევარი სტუმარს. არის ასეთი გამოთქმა: როგორ გიღალატებ, შენს ოჯახში პური გამიტყვნიო.

შაითაპაუნა — შერჩა, დასტყუა. „მაო აღქსანდრე (ეს აღქსანდრე იყო გვარად თოიძე, მეტად პატიოსანი პიროვნება, სასტუმროს პატრონი. ლექსებსაც წერდა „სანდრო ბიჭის“ ფსევდ-ით ვ. აბაშიძის „თეატრში“-ი. გრ.), შეიძლება მენდოთ და რამდენიმე თვის ვადით ორი თუმანი მასსსოთ? განზრახვა არა მაქვს, ამ ფულს ვისესხებ და შევიტყაუნებ-მეთქი. ეს ტერმინი — შეტყაუნება ი. ჭკუაჰისა და მარხლის ეხლანდელ ფელეტონებში ვისწავლე“ (ეგ. ნინოშ, ტ. 11, გვ. 5).

შაიფაუნა — სიტყვობის გამოსახატავად ან კოცნის დროს ამბობენ: ტურები შეიწმუნა, ე. ი. ჩაიწუნა.

შაიხი — სასულიერო ძმობის ან თემის წინამძღვარი.

- ✓ შაი — ქერა კაცზე იტყვიან. ქალაქ ნუხას ძველად ერქვა შუკი. აქაური ხალხი ზომ არ იყო ფერმკრთალი ან მქრქალი?
- ✓ შაოაიფაბული — შეკრული, წარბებშეკრული.
- ✓ შაოარაპუნა — მოულოდნელად შემოგოგმ-შემოვარდა.
- ✓ შაოტანტარდა — შემოიბოტა, ინდაურივით შემოვიდა.
- შაჰხვადრი ძარი — რუს. სკოზნიაკ.
- შანივთაბა — შეკავშირება. „მწყობრად არიან დაწყობილი, რაზმ-რაზმად და ისე მჭიდროდ, შენიუთებით მიდიან“ (გრ. ყოფშ).
- შანს მაბივრად შვიდი უცხო ბამაზარდა, არ ხაოზდა? —
- შანჯაშობა — ორპირობა. კაცზე იტყვიან, რომელიც ხან ერთი აზრის მიმდევარია, ხან მეორესი.
- ✓ შაჰიფინაბული — შექეფინებული.
- შარაილი — მოსულელი, ჭკუნაკლები (აკაი, ტ VI, 1956 წ. გვ. 309; რ. ერისთ., ტ IV, გვ. 237).
- შართი — 1. პირობა. 2. შართი, ტყბილსასმელი.
- შასაბაჰი — შესაფერი.
- შასაჰანილი — განათლებული, განსწავლული.
- შასტრანბი — ფლავის თავი, შემზადებული ერბო-კვერცხით და ხახვით. აგრეთვე, ერბოში მოხრაკულ ხახვს ჯერ უმატებენ ძმარს, ალუჩას ან შეინდს, ან სხვა მომჟავე რამეს.
- ✓ შასიდიპაპაზი — შეფრფვივით, გატაცებით შესცქერის. წარმ. სიტყვიდან — ციცა, კატა.
- შაჰუთნალი — თბილად შეხვეული.
- ✓ შაჰუთჰანილი — ახლად აყრილ ხეებზედ ითქმის, რომლებსაც ბევრი ნაყოფი აქვთ.

ვაფუფულა – ნაჩქარეულად გააკეთა.

ვაღაპათი – შეება. შეღავათი მომეცა.

ვაფუფა – შეფარვა, შეხიზუნა.

ვაფაფურა – შეიშმუშნა.

ვაფიფი – 1. შეშლილი, გილდარა, დამთხვეული, 2. შიშისაგან შეშკრთალი. შეიძლება წარმ. ჰაშიშიდან (სწორედ ჰაშიშიძეობის კაცი არის ასეთი). ამის გაგონებაზე ერთი ეს ღიბა: „შენ!“ და შემშიშით გახდა, საჩქაროდ წამოფრინდა და გაფარდა“ (ბ. ჯორჯა, „ოქ.“, 1893 წ., № 165). „არა, ყურუმალა, ისე როგორ გაშეშისებულხარ, რომ ექვსი წლისა გამოგყავს შენი თავი („ჰაშიშ.“, გვ. 16).
შეშმეშობა – ტფილისის ქუჩებში ვიღაც ღელაკაცი ღიბარება, რომელსაც, როგორც ეტყობა, შეშმეშობა სჭირის“ („ოქ.“, 1892 წ., № 92).

ვაფუფი – იშვიათი ნიეთი. საეჭვრო დუქანში იშვიათი საქონელი, რომელიც მუშტრის შესაჩქევად ყოველთვის და ყოველ დროს იშვიება დუქანში. შეიძლება ეს საქონელი მუშტარმა წელიწადში ერთხელ მოითხოვოს, მაგრამ იმ საქონლის ეაჭარი შეშუდისთვის მაინც ინახავს თავის დუქანში (სხვანაირად ვერ აეხსენი). „მინდოდა გამეხსნა ერთი კი დუქანი, გამეჩინა ყველანაირი შეშული“ (შელან, „ფიორგი და გეორჯი“, გვ. 7). „დღემდე გურჯაანში ვჭრობდნენ მელიქა და კაპო. ღვთის წინაშე, ყველა შეშული აქვთ“ („ოქ.“, 1886 წ., № 133).

ვაფუფა – ადგილის ამოხერხვა (დამწერისაგან და სხვ.).

ვაფუფა//ვაფუფა – ფიცხი, გიჟი, ცქრილა, სწრაფი. „აი, მეხი კი დაეფარე მე ვაფუფა თავზე, რომ შეშუდისაგან კარში გაფარდი“ („ჰაშიშ“, 1880 წ., გვ. 31).

✓ ვა ნაღაპართახაულის შვილი –

ვა ჩასაპაროფო – წყველა ხუმრობით.

✓ ვა ჩაფის უჩაღთუნიანი – კინტოების გამოთქმა.

ვაფაფა – შიში?

✓ ვაჩანხლა – შესანსლა, ჩანთქა, გადაყლაპა. ხმ. გადატ. მნიშვნელობითაც: შეხანხლული – „ჩრებული შეხანხლული გამოვა“ (ბ. გოგუბა, გ. „შუქი“, 1908 წ., № 4, გვ. 4).

✓ ვაჩანხლული – „წითლად შეხუნხლული შვინი“ (ცქვიტი).

✓ ვაღირღობადა – უშნოთ შეჰყურებდა, აღერსით უყურებდა.

ვაფული – კალატოზის გრძ. ბაწარი, რომელსაც ბოლოში მძიმე თითბრის გირი აბია.

ვაფაფი – აკვანში ჩასადები ხის მილი, ბავშვთა საშარდე. შიბაქს აკეთებენ ხარატები სათლელით და საჭრელით. დ. ჩ.-ს მისი კარგი ახსნა აქვს, მაგრამ შაბაქა შეცდომაა.

✓ ვაფი – თვალმარგალიტებიანი ნაქსოვი.

✓ ვაფლახა – მოჩერჩეტო, მოქერქეტო, ცანცარა.

ვაფნიტიპური ენით – ღრმა ენით. „იბეჭდებოდა ღერუების ოღა... შინიტიკურის ენით“ (პ. უშიკა, „ქართ. თეატ. და ლიტ.“, 1900 წ., № 1).

✓ ვაფნიტიპანი – ღრმად, რამდენიმე ოთახის სიღრმეში.

ნიშნავს. აქედან: სიმღერა დავრდომილთათვის. ძველად ქალთა საგალობელი ყოფილა.

შიშაჰ(ბ)ი – „ღა შიშაჰ ხორცა, რიგზედ მოჰაჟულს“ (ღ. ბერივეი, „ცისკა“, 1859 წ., № 9, გვ. 10).

შიშისაგან ფახეაპი ააბლანდა –

შიშლიპი – შაშლიკი?

✓ შიშმატი – სათუთი ხეა ერთგვ., სწორი ბზის მსგავსი, იზრდება გრძლად და სწორად. მისგან აკეთებენ ხის კოჭებს, ჩამჩას, სინებს და სხვ. აქედან: შიმშა (იხ.), სახაზაევით სწორი საზომი (ლინეიკა). შიმშატას სწორ კიტრსაც ეძახიან: ვა, ვა, რა შიმშატი კიტრია! ასევე, შიმშატივით მაღალი კაცი.

შიშინა – მცერიანი მწეადი. შიმშინი – მწეადის ხმიანობა.

ℳ შლააუნი – ფეხით ფლოსტის თრევა, შლაა-შლუპი.

შლაბიანი – დაუდებარი, თავზეხელაღებული, ხელი.

შლადანი – ცხერის შიგნეული, რომელიც აუცილებლად იხმარება ყველის გაკეთებისას.

შაშილი – ოდნავი, ხელი ხმაური.

შოთი – კახ. პური, „დედას პური“.

შოთხვი – ხეა.

შორაქანი – „გაყილულები უცხოეთს, ვით შორაქანის კონები“ (ღ. მჭედლ.).

შორვა – 1. წერილად დაჭრილი ცხერის მოხარშული ხორცის წვენიში ჩაყრილია ხახვი, ჩაყრილია პური და სჭამენ ხელით. 2. ბრინჯნარევი წვენი ავადმყოფისათვის, უხორცო. აჭმევენ, აგრეთვე, ქათმის შორვას. ბულიონის მზგავსია.

შორ-შორი – ხელდახელ. ამბობენ: დღეს სადილათა მაქვს ისპანახი შორ-შორიო, ე. ი. ხელდახელ ცხელ წყალში გაფუფქულიო.

შოული – შვეული. კალატოზის იარაღი, საზომი ძაფი (ღ. ჩ.).

შოჰია – კოპჩია, კოხტა თავმომწონე.

შრაჰუნი – შრიალი.

შრაჰი – დასაწებებელი. „ირაკლიე წებოსი და შრეშის სუნი იღვა“ (მ. თომაძე, „ერთი ქუჩის აბავი“, ხელთნაწ.).

შრტიალი//შტიალი – დატუქსეა. „მოიჭრა ხელახლა მამასახლისი ლანძღვით და შტიალით“ (რ. ფაულ, „მოაბე“, 1896 წ., № 6, გვ. 9).

შტოში – რუს. კლიუკა.

შუა ბაზარი – რუს. არმიანსკი ბაზარ.

შუაქაური – ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი.

შუაა – შესახვევი (რუს. პერეულოკ).

შულო – ხვეული ძაფი. შულოს ყველი.

შუმი — უსაბუთო, დაუსაბუთებლად ლაპარაკი ან უპასუხისმგებლო საქმე.

შუმი ღვიწი — (ივ. გომართ.).

◀ შუმიწარი — მოახლე, გოგო.

შური — სპარს. მძიმე ჰანგის სახელია.

შურთხი —

✓ შურა//შური — ხარაზების იარაღი, ტყავის გასახეხ-გასაქერქი.

• „ღაზაზელ აწყვეა თითბრის მუშტა და ერთი ტყავის გასაქერქი შურა“ (ქაიძე, 1880 წ. გვ. 5).

შული — ჩხუბი („ივ.“, 1889 წ., გვ. 271).

✓ შუშა — „შუშა თითები.“ „შუშა კიტრია“. „მე არ მიზიდავს შუშა თითები“ (ა. გრ. „ერთ ქალს“). „გაუსინჯა დედამ შუშანს ბეჭელი და დაუკონა შუშა თითები“ (ვ. ბარნ. „ხაზართა სახლო“, თ. IV). „სურამის ციხეშიც“ არის ეს სიტყვა. მის რუს. თარგ. კი „ნათელი თითებია“, ნამდვილად კი უნდა იყოს „შუშა თითები“, რაც ნიშნავს — წვერილი, გრძელი თითები. ხალხ. ლექსიცაა: „თითები გაქვს შუშა-შუშა“. არის შუშა კიტრიც, რომელიც ასევე სწორი, ქორფა კიტრია და ადვილად ტყდება (შუშასავით). „ბიძაჩემმა თან ერთი კალათა შუშა კიტრები მოიტან“ (ნ. ღოზ. „ყოველის მხრიდან“, თ. V).

შუშაბანდი —

შუშანი — თეთრი ყვავილის სახელია, რომელსაც ექვსი რტო აქვს, მოგრძოა და ქარქვეტასავით მწნილად სდებენ. „ყელი თლილი, რუსეთული შუშანი (გ. ერისთ.)

✓ შუშაყი — ცხენის ავადმყოფობაა. ფეხები უსკდებათ და უჩირქდებათ.

შუშაარა — ჩქარი, ფიცხელი (ძველად ცეკვაც ყოფილა).

შუშააი — ფერუმარილი.

შუშტარი — სპარს. მუსიკ. ჰანგი, აღმოსავლეთ ქალაქიდან — შუშტარიდან წამოსული ჰანგი. „შუშტარი არს ქალაქი“ (ფ. თაყ.)

შუშტარმოსხალიფი — ძვ. ხელნაწ. წერია: „შუშტარი არს ქალაქი, მუსალფი — ნაღა (სასიმღერო ჰანგია).

შუშტააში — უმარილის მოსალესი ჭურჭელი.

შუშტალი —

შუშტარი — (შუსტრი-), მკვირცხლი, ცქიტი, მარდი.

შუშუ — ჭყუნაკლები, მოსულელო.

შუშუტა — 1. ცანცარა, ჭყუნაკლები. 2. კარაქის დღვების დროს სადღვებელს სულის მოსაქცევად ნაჩრეტი აქვს გაკეთებული. ამ ნაჩრეტის დასაცობ ხეს შუშუტა ეწ. (ვიწრო გრძელი ხეა, სალამურსა ჰგავს).

შუშუალი — ანუ შხეპლა, ფიჩხის ტოტი. „გერდს უღვთ შუშუალი კაშების ასქეუად (ს მგალ. „ღამის მუხრე ცყო“).

შუშუაშია მშპალი —

✓ მხლოსი შპანი — აელაბარში ხოჯივანქის მახლობლად.

ჩააპაუნა —

ჩააშარა — ორივე ხელით ჩაარტყა თავში, არა ხელის მოხვედრა. „ფართუთებში ჩაფარებს“ (აქომ. 1931 წ., № 100).

ჩაბლიტა — თვალები ჩაბლიტა (აგე, 1882 წ., № 10, გვ. 67).

ჩაბშირება — სიცილად გადაქცევა. „მელვინე მელვინისაგან მიბრუვეით მოცინრობენ“ (აქლ. და დამ., გვ. 166). ჩაბჟირებული სიცილი.

ჩაბჟუტული — ოდნავ ჩამქრალი.

ჩაბუთბუთბული —

ჩაბაზილა —

ჩაბიხელა — ხელში ჩაგიგდებ. „არაღ ჩაგიხელე ზარფუნში ან ჯრაზე, იმდენს გირტყამ, რომ ტირილით გადახვიდე მღერაზე“ (ი. გრ. აქსარობტი) ეს ექსპრომტი მიძღვნილია მკერავ ცერაძისადმი.

ჩაბტიბა — დედაკაცების წყევლა. ორივე ხელით ქოქოლის მიყრა, ვითომ დაგმარზე და მაგრად ჩაგტენე მიწაშიო. „ორი ხელით ქოქოლა მიაყრა და წაიხუნა-აი, ჩაგტიბე!“ (ს. შკალ, „ორი მუზოხ ისტ.“ გ. მზე, 1908 წ., № 3, გვ. 3).

ჩაბჟოლა — „სიგრილის მუტი არა მოსწონს-რა? — აი ჩაქოლე!“ (სტ. ჭრულ, აგე, 1891 წ., № 173).

ჩადრი — თეთრი წამოსასხამი. ძე. აღმ. ქალების ზეწარი — ზედსამოსი, რომლითაც მთელ ტანსა და თავს იფარავდნენ. მხოლოდ თვალებისთვის იტოვებდნენ პატარა გასახედს, რომელიც ორთავე ხელით ეკავათ.

ჩაპასაქლავა — ჩაგკალი, ჩაქოლე.

ჩაპაქოხა — ქონი ჩავდგი.

ჩაპაქაქლავა — არაყი დავალევივინე და საერთოდ ვასვი, ვაჭამე ცეცხლად.

✓ **ჩაპაქიჭმასუროთ** — გადაეკრათ, ყელი ჩავისველოთ, დავითვრეთ.

ჩაპყაჭა — „ოცი თუმანი ჩაყაჭე“ (რ. ერისთ., აგე, 1880 წ., № 4, გვ. 64).

ჩათალა — ჭდე, გაკობილი ჩხირი, დაჭდეული, ნიშანი.

ჩათალალაპი — მომწვანო-მოყვითალო ქლიავი, ტყუპ-ტყუპი. ორივე ცალს ერთი ყუნწი აქვს, კურკა ორია. ტკბილია და კურკა წვრილი და სათუთი აქვს. მისი ნერგი კათოლიკების მიერ სხვა ქვეყნიდანაა (სტამბულიდან) მოტანილი. ხარობს დასაელეთ საქართველოში.

✓ **ჩათლახი** — უზნეო, გათახსირებული, პედერასტი, გაცვეთილი, პირველყოფილობადაკარგული ადამიანი. იმერ. ჩათლახს უწ. ჩლარტიან კაცს. საკუთ. ნიშნავს ჭუჭრუტანას. არ არის ლიტ. სიტყვა. „რა ვაძინებს, შე ჩათლახი“ (დ. შეტრ. „ქსრათუჯა შვე“. 1941 წ., გვ. 224). „სად შქონდა თვლები, როცა ამ ჩათლახს ვირთავდი“. (განათ. შუმა“, 1927 წ., გვ. 55). ვაჟაც ხმარობს ამ სიტყვას (ტ. IV, გვ. 288).

ჩათოხლავს — ჩანთქავს. „სლაროში თუ რაიმე სწუნყარი ხელთ ივლო, იგი მაშინვე ჩათოხლავს...“ (თეოფ. „დახასიათებანი“, 1889 წ., გვ. 14).

✓ **ჩათუქსანა** — ეს სიტყვა ნახმარი აქვს დ. მესხს თავის სცენარებში. მე მივწერე ავტორს, როგორ გესმის-მეთქი ჩათუქესანი და აი, რა მომწერა: „ეს თითქმის იგივე ავარა, მხოლოდ უფრო ზრდილი და პტიოსანი. ავარა ხელს აწერს ბერ სიბინძურესაც. ჩათუქესანი ამისთანებს არ იკადრებს. მოქეიფა, მძაბუობს, კარგი უნარიც აქვს. ავარასთან შედარებით მაღალი ფენისაც არის... თეო, ვ. თ. ჩათუქესნები მოიჭამნენ“ (დ. მესხის წერ. ჩემდამი, 1935 წ., 10 პაისი). 1. მოქეიფე. „შშირად მოხდარა, რომ ქელს თან ასყვება პარიკი და თუშობწონე ჩათუქესანი სირცხვილეული რჩება“ (აკაკი, „სლამი“, „თე“, 1886 წ., № 209). „ერთხელ ვ. ამაშივე დამთვარა და პოლიციაში წაუყვანათ. მორიგეობ რქში შეადგინა და ვასო მთებურნა: — რა გვარი ხართ? — ალექსეი ვასილევოი ჩათუქესანსი — ირონიულად მიუგო ვასომ (ალ. იმედ.). 2. ავარა, ჯიბის მომჭრელი (დანით ქისის, ფულის მოჭრა). „უეტრად საიდამაც მიწის გველივით გამოტყვრა ერთი ჩათუქესანი ბიჭი, პატარძალი თვალწინ მოხტაცა და თავისთან წაიყვანა“ („დრ“, 1883 წ., № 85). **ჩათუქესნობა** — „... ჩვენის დროების რაინდს ჩათუქესნობას უქებენ“ (ილა). „კინ არის თ. გრიშაშვილი? ერთი თმ უბნელთავანი, საიდანაც... ჩათუქესნობის გზას დადგენენ“ („კომ. განათ“. 1936 წ., № 48). **ჩათუქესნური** — „შემოვიდა ჩვენი ირაკლი დეკანოზის შვილი წითელი ქლაჯით, ჩათუქესნურად მორთული“ (აკაკი, წერ. ს შერკე-თან).

✓ **ჩაიბბარდნა** — თავი დაიძალა.

ჩაიღანა — რუს. ჩაინიკი.

✓ **ჩაიფხუა** — მუქარის ხმა აღმოხდა.

ჩაიჟინდა ხმა —

ჩაიჟოკლოზინა ვალი — გემო ჩაატანა, ყელი ჩაიტკბარუნა ტკბ. და სასიამოვნო საჭმლით. ჩასაკოკლოზინებლად — ჩასატკბარუნებლად. „სარდაუში ჩვილ ყელის ჩასაკოკლოზინებლად“ (ცქვიტა, „ლ. ლაღაშ“. 1941 წ., გვ. 15).

✓ **ჩაინარჩუნა** — გულში ეს ამბავი ჩაინარჩუნა“ („თე“, 1886 წ., № 32, გვ. 2).

ჩაიფრუტუნა — დაციწვით ჩაიცინა.

ჩაიფრუტა — ჩაიხარშა. „თქვენი მტერი, ჩვენ ჩავიფრუტენით“ („თ“, 1889 წ.).

ჩაიფრუტა — ჩამარცვლდა

ჩაიფრუტა — „უჭიკა გამოსცა, პირში კარგად ჩაიწერია“ (ვ. ბაშინჯი, „სხირ. მას“, „სს. საქმე“, 1920 წ., 19 დეკ.)

ჩაიხინდა — გაიჩხინა.

ჩაიჯობა — ოსტატურად ჩაიდო ჯიბეში.

ჩაიანთა — დაწერილებით მოთხრობა ამბისა.

17. თ. გრიშაშვილი, ქლაქური დეკანოზი.

ჩაიფიციფიკაციის — ჩამწკრივებული (კბილებზე იტყვიან უფრო). კიწები — კბილები.

ჩაინატუნება — „მან ასწავლა ნორჩი ყლორტების ჩაკნატუნება“ (ე. ლევიძე, „ოქტ“, 1945 წ., № 12, გვ. 24).

ჩაინება — თხელი კედლის ასაშენებლად, შუაში რომ ჯვარედინად ხეებს გასდებენ და შემდეგ აგურით ან გაჯით შეავსებენ ამ ხეებს (აქვს საბას, მაგრამ ახსნილი არ არის).

ჩაინაჯი — ბეჭის ნაჭერი ხორცი, სუკის თავი (დ. ჩ.-ს აქვს — ბეჭის ზემო ნაწ.). „ეს ჩაინაჯი“ (ე. გამს, „მნათ“, 1947 წ., № 6, გვ. 20).

ჩაინახა — მათარაშის დასახვევი თოკი (აქენისაც). „ეს თეტიური გრძნობა ჩაინახებში ინახება“ (ა. გრ., „საიან“, გვ. 63). „თუ მტრის ჩაინახებში არ იქნა გათხეული“... (ა. გრ., ლექსი „ნაწვი“).

ჩაინადარი — ქარაენის გამძლოლი (არც ერთ ლექსიკონში არ არის).

ჩაინთა — 1. ნამიანი მიწა, სადაც ბრინჯი ხეირობს. „დიდუბის ჩაინთაში მწვერა მახე ღვევ“ 2. იგივე ბრინჯი ყოფილა, მხოლოდ ნედლი. „ჩაინთა დათესე“. საჩაინთა — საბრინჯე ადგილი.

ჩაინება — სტრაფილი, სახურავის ბოძები.

ჩაინი — თურქ. ცდა. ჭანურად — საქმიანობა (ი. ყიფში.). იმერ. — ჩაინი. ჩაინობს — ცდილობს. „ცხოველთა სამყარო სულ ჩაინობს, რაც შეეძლიან“ (გრ. ყიფში. თარგ. „ამ ცხ. სამეფოს“, 1897 წ., გვ. 10). „ქეთისი ჩაინობს ახალი თუტრის ასახება“ („თ. ლ. ც“, 1916 წ., № 14, გვ. 3). ბევრი ვიჩაინიშე, მაგრამ არაფერი გამოდნაო — ამბობენ. მოკითხვის დროს პასუხობენ: ვარ რაღა, ვიჩაინობ. ჩაინობა — „მერე გვიან იქნება მთავრობის ჩაინობა“ („თვ.“ 1891 წ., გვ. 1).

ჩაინი — ქართლში ლახტის ერთგვ. თამაშია. „რო ჩაინი ბიჭებში ჩაინი და ღვერანას თამაშიში, ისე ღვერანა, როგორც ბერბუშელა (ა. ნადირაძე, „ლიონ კრებ“, 1911 წ., გვ. 271).

✓ **ჩაინა** — დაძაბუნებული, ყველასაგან ყბადაღებული. უშნო კაცზე იტყვიან, რომელსაც შარვალიც არ შეუკრავს. „წინაღ რომ პეტრეს ჩაინა კაცად სთვლიდნენ“... (მ. ნათელა, „ორი პიუმა“, 1932 წ., გვ. 16).

✓ **ჩაინი** — დაბლების იარაღი, ცელივით, რომლითაც ტყავს ფხეკენ.

ჩაინა — აბრეშუმის დიდი წით. ბაღდადი. პატარძლები ხშირად სახეზე ჩამოიფარებდნენ ხოლმე.

✓ **ჩაინა** — ყურიანი ქვაბი, ცეცხლზე ჩამოსაკიდი.

ჩაინთა — „მზე, სიცოცხლე ჩაინთა“ (ა. სარსაძე).

ჩაინთა — „ჯერ კიდევ დიდი დრო ჩაინთა, ვიდრე ხალხი მიეჩვენა“ („თვ.“ 1887 წ., № 158).

✓ **ჩაინთა** — ჩამოიხვეტა, ჩამოვიდა. „თავდაზნაურა ჩაინთა ქალაქი“ („თვ.“ 1888 წ., № 17, გვ. 1).

ჩამოვასაგებელი — ფასდაკლებული. „ჩამოვასებული საქონლის მალაზა“ (გზნ კოლხ., 1952 წ., № 186, ფრთი).

ჩამოციქაძა —

ჩამოციქილი — რაიმე სველს რომ ჩამოჰკიდებენ. მაგ., ტირიფის ტოტები ჩამოციქილია.

ჩამოციხი — აბანოს გასამშრალელებელი ტილო. აბანოს ხალათი.

ჩამოციანი — არის სამეცნ. წიგნი: „სომხეთის ისტ.“, შედგ. არქიმანდრ. მიქაელ ჩამოციანის მიერ. ამბობენ: შენ ისე ლაპარაკობ, თითქო ჩამოციანი წაგეკითხოსო. ვითომ გონიერულად, ჭკვიანურად მსჯელობო.

ჩანა — 1. ადამიანის ქვედა ყბა ნიკაპამდის. ამბობენ: ბევრი ცემით ჩანები ამოვარდნილი აქვსო. „დალო ჩანა“ (ს. შანშ, „შანა“, 1956 წ., № 5, 1 გვ. 100) 2. ეწ. აგრეთვე სიმებიანი საკრავის ჩანახს (ალბათ ადამიანის ქვედა ყბის მიმსგავსებით). „ეშოკ ალა მობრძანდება ჩანითა, ზუზუნითა, ღიღინითა, ხანითა“ (გოდერძის ლექსი) 3. „ჩანა მივეცი“ ე. ი. ბევრი ვეხვეწე, ილაჯი წავართვი.

ჩანაბი — ტიალი, მუდრეგი. გამიჩანაგა.

ჩანბი — ჩანგი ხომ ჩანგია, პოეტების საქებარი მუს. იარაღი, მაგრამ ჩვენში ჩანგი ეწ. თურქ ქალსაც, რომელიც მღერის და ცეკვავს. ეს სიტყვა ნახმარი აქვს გრ. ორბ.-ს: „...ნუხში ღიღის ყოფით დავეხლა ნუხის ხანი რამაზ თარხანოვი ზურან-ნარით, ზორხანის მოთამაშებით, მუთრუხებით (მუტრიბნი? — ი. გ.), ჩანგებით და სხვადასხვა მრავალფეროვან შესხმებით“ (წერ., ტ II, გვ. 79) რ. ერისთ.-ს თავის ერთ პიესაში მოქმედ პირთა შორის გამოყვანილი ჰყავს „ჩანგი“.

ჩანბური — „ნატო შუბოვა. ჩანგური ტანისამოსი აცვი, ე. ი. თათრული — წითელი ახალხი და ყვითელი პერანგი, შუბლზე ოქროს ღიფლითანები აქვს გაკეთებული. განიერი წითელი შარვალი აცვა, ყვითელი წულუბი და ღიღია უჭირავს ხელში“ (რ. ერისთ., „ბიძისთან გამოხუბრება“, „გვ“, 1880 წ., № 1, გვ. 178).

ჩანთა ბუღა — პორთეული.

ჩანთით მარაზა —

ჩანთ — ჰქვიან იმ ცემენტით ამოლესილ ორმოს, რომელშიაც დაბლები ტყავს ინახავენ, ე. ი. ამ ჩანაში მზადდება ტყავი. ტყავი ჩანიდან გამოჰყავთ. ამბობენ: ორი ჩანი ჩადისო.

ჩანჩალა//ჩანჩალი — უძველურ კაცზე ითქმის. „ასეთი ჩანჩალით და ბორძიკით, როგორც იქნა, წინ წავედი“ (საზორა, „გვ“, 1891 წ., № 5).

ჩანჩხურა — ზედიზედ ასხმული რამ.

ჩარა — საშველი, საშუალება, ღონისძიება, ილაჯი. „პეტე ჩარა არ იყო, ვეზირმა გადასწყვიტა, მოკლა საკათე“ (ს. შურცი, „ბრძოლა საქართ. მოსასობად“, 1892 წ., გვ. 381) „პეტე ჩარა არ იყო, შინ უნდა წამოხულიყო“ (ს. შვალ, ტ I, გვ. 5).

ჩარაგაწყვეტილი — (აღ. ბირიან).

ჩარათი — ქერის ჯიში, რომელიც ოთხკუთხევი ისხამს მარცვალს (გ.

კოტეტი „ხალხ პოეზია“, გვ. 429). „ქალაქ ქერი ხარ ჩართი, საღ რა არ დაეთესები“ (ვაჟა-ფშაველას „საქართველო“, 1889 წ., № 201).

ჩარბა - აღმ. პანგი, უკრაინე ჭიანურზე, თარზე, სეველის გამომხატველია. „შენ მოვიწერია, რომ სახნდარს ქორწილში ჩარბა დაგაკრევიანოთ“ (დ. ყორღა, გრ. ორბ-ს).

✓ ჩარაქა - ერთი მეთხედი.

✓ ჩართარი - მუსიკ. საკრ., ოთხსიმინიანი თარი.

ჩართი - ჯერი. „ჩართი არ არის, ე. ი. ჯერი არ არის (მაგშეთა თამაშობის დროს).

✓ ჩაროზი - სადილის უკანასკ. თავი, ყელის ჩასაკოკლოზინებელი, სასიამოვნო და ტკბილი რამ. სირის კუდი (დესერტი). „ვოლგა, იგი შენს ნაპირებს... გუმინ შთანთქმას უპირება, როგორც ჩაროზს, შემონახულს“ („ნოანგი“, 1942 წ., № 40 გვ. 1).

ჩარსაპი - ზეწარი. „ღუნინკანში წითელ ჩარსკიანი მაგიდა სავსეა სხვადასხვა გაზეთებით“ (რ. გუბტი „თეთრ ქალაქში“, „კომ“, 1931 წ., 25 იანვ.).

ჩარუთი - ჩადრი.

ჩარუა - „ვერსად ვხედავ ღურჯ სუფრას, ჩარუა ტახტზედ გაშლილს“ (გ. სკანდ.).

✓ ჩარუშანა - 1. მხიარული თამაში, ცეკვა ფერხულივით. არიფანა, პატარა ლხინი. 2. აღიაქოთი, ორომტრიალი. „შეხეთ თქვენ ამ ჩარუშანამ აქც არ მოგახევენო“ (დ. თურდ. „საკად“, 1910 წ., № 19).

ჩარჩაული - ჩარჩეული სახე - ასე იტყვიან ხოლმე სასიკვდილოდ განწირულ ავაღმყოფზე.

ჩარჩი -

ჩარჩუბალი - პატივებზე შემოსაკრავი, წვივსაკრავი, იმერ. - ლეკვერთხი. მამაკაცთა „პადვიაზკა“ და ფორებიანი, სახიანი ზონარი.

✓ ჩასაანდი - ყოჩალი, მარდი, მნოიანი, მოხერხებული და არა გაქნილი. „ქართული პიესებიდან ისმოდა... გულცივი ვაჭრის, დარდიანდ მიკიტნის და ჩასაანდი ყარაჩოლის შინარის მოკლებული ხმა“ (დ. ბელიანო, „ა ყაზბეგი“, 1939 წ., გვ. 152). „მოვიდა... დედაც სიღონასთან, რომელიც გარიგებაში ჩასაანდი იყო“ (მ. გულისამ, მთხ. 1935 წ., გვ. 107). „ვერის სასულაოზე თურმე დიდი კაცია, არც ძალიან ჩასაანდი, არც ისე ზარბაქია (შმაგა - მ. დელაშ. „ლახტი“, 1914 წ., № 2, გვ. 7).

ჩატაქაილი -

ჩატაქაული - ფუნთუშა, ჩამრგვალებულ-ჩასუქებული.

ჩატაროქა - ჩახედვა, ჩაჭვრეტა. „სარკეებს მოსვენება აღარა აქვთ. დღეში ათჯერ თუ არ ჩაიტრუკვთ, არ იქნება“ (აღ. თეთ. „უმაჯო პატარა“, 1880 წ., გვ. 42).

ჩატუთაქა - თავში ჩაუთაქა, ე. ი. თავში ჩააფარა.

ჩატუთაქა - დაწვრი., მოურიდებლად მოახსენა, ჩაუყაჭა.

ჩატუთარაქა -

ჩატუთაქრა - ჩაუტკბილა.

ჩატუთაქანი - თავში ჩარტყმა. „იქით-მეთქი, თორემ მოვიდა ჩატუთაქანი“. „შენ აღბად ჩატუთაქანი მოვინდა“.

ჩაზარიში — ნაოჭებზე, ნაპირებზე და ნაკერებზე დასაკერებელი ლენტის (ტისომკა), რომელსაც თერძები ახალუხის ნაოჭის სიმაგრისათვის შიგნით აკერებდნენ. „უკაიონ იმის უბრალოდ თუთ ჩაფარიში მორთულობს“ (ნ. აუა, თარგ. „თავადის ქალი“, 1896 წ., გვ. 72).

ჩაზარხანა —

ჩაზაზრული — ჩაბუებუებული, პურჩაყრილი კერძი. ალ. ორბ. სწერს: „არ ვიცი რა პატრიოტობა იყო ჩემგნით ამდენი ღობიის ჭამა, მერე რითა? — კარვის ქართლის პურით ჩაფარული, არა კეზით, არამედ ქართველურად — ხელით“ (წ. კ. ზ. ხელნ., 1659).

ჩაზლატანა — 1. უხეირო. 2. ფლოსტებს რომ ხმაური გააქვს.

✓ **ჩაზრასტი** — 1. თვალ-მარგალიტით ან ოქრომკედით ნაკერი. ქათობის მოსართავად ხმარობდნენ ქართულ კაბაზედ. 2. ქამრის ყულფი. 3. დედალ-მამალი ღუგმები, ღილ-კილო. ჩაფრასტს აკეთებდნენ ქართულ კაბებზე: მაჯებზე და გულის პირის ორთავე მხარეს. დ. ბაქრაძის განმარტებით: ჩაფრასტი სხვა არა არის რა, გარდა მკერდზე ჩამწკრივებული ღილებისა. 4. ხერხის კბილების გადასაწვევად მოსაწვევი იარაღი.

ჩაფსიტული — ჩაშარდული.

ჩაფუნა — პატარა ჩაფი.

↳ **ჩაჰანი** — სპილენძის ჩაფი.

↳ **ჩაჰაბი** — ჩოხის უკანა ნაოჭები.

ჩაჩოლვილი — დაღუპული, ძირიანად ამოგდებული.

ჩაძსული — 1. ჩაქსულა კაბა, ბეჭებში ვიწროდ შეკერილი, დაბლა ნაოჭებიანი, ჩაქებიანი, გვერდჩახეული კაბა. აერთო ჩაქსულა კაბა და იმისი უანი“ (ილია ალ. ნაბზ., ტ. VIII) „პურანე ეცა წმინდა ტილოსი, გახამებული. ზემოდან — ჩაქსული აბრეშუმის ზაღათ“ (დ. არზ., 1936 წ., გვ. 111). 2. ზოლი, ხაზი. აუნაჟ ერთი მოწითალო ვირი შავის ჩაქსულებით“ (რ. ერისთ., თხზ., 1936 წ., გვ. 347).

ჩაღი — „ეს ფართო და ჩაღი საღერო“ (ი. გოგებ., კერძო წერ., ხელნ.).

ჩაღილული — მწკრივად დაკერებული ღილები (ზემოდან ქვემოლ).

ჩაღლული — ღვინოგადაკრული, ოდნავ მთვრალი, ნასვამი.

ჩაღსაჰარავი//ჩაღსაჰარავი — წვივზე შემოსაკრავი ჩაფარიში, ფოჩებიანი (ილია); პაჭიჭი. დ. ჩ.-ს აქვს ჩაღსაკრავი და მოჰყავს „კაცია-აღამიანიდან“ გვერდი, საიდანაც ამოუწერია (ან ამოუწერინებია) ეს სიტყვა. სინამდვილეში ილიას აქვს ჩაღსაკრავი და არა ჩაღსაკრავი „არ ჩაღსაკრავი ნაქსოვი სამსხუროდ ღობისა“ (ც. ხევისუბ., „ცხენის წერბ“, 1896 წ., გვ. 17). „ღანარჩეს სამს გვებთ ძაფები და ჩაღსაკრავებსა ქსოვდნენ“ (მელაქ., „პნელი“, 1920 წ., გვ. 40).

ჩაჩანაჰი — 1. წისქვილის ხელსაწყო. 2. დაუძღვრებული.

ჩაჩხუბალი — წვივსაკრავი, ლეკვერთხი (პოლვიანჯა).

ჩაჯადა — დაჯედა, სქელ და ძნელად საძრავ ადამიანზე ითქმის.

ჩაბიჩი//ჩაზიჩი — დიდი თხა, რომელიც ცხერის ფარას უძღვება. „ქალქი ერთი მღვდელა ჩეფის მიუგავს წვერია“

ჩათი — კაპიკი, გროში (?).

ჩაიი — სარი. „ზალია ახლაკი ჩეით ხელში მიადა სხლის კარებს“ (ს. მგალ. ტ. 1, გვ. 108).

ჩალოვაა — ზედმეტი სახელი იყო ერთი მებახოვესი.

ჩამანალა — ჩემო ლალა, ჩემი ნალო (სომხ. ჩიმანამ?).

ჩამთაის ჩხირი არ გადაბიბრუნება —

✓ **ჩაიი დლა და მოსფრება** — ჩემი დლე და მოსწრება სულ ჩაგჩიჩინებ, ე. ი. მთელი ჩემი სიცოცხლე, რაც თავი მახსოვს, სულ ჩაგჩიჩინებო.

ჩაიი დლანი დათვლილია — ქალაქ. გამოთქმაა.

ჩაიი ფახი პიივა იყოს თქვანს ოჯახში —

ჩაიი ცოღვით სასა — წყველაა.

ჩანო — მზესუმზირის ჩენჩო.

ჩაშაიი — სათვალე (სპარს. ნიშნავს თვალს). ერთი მოქალაქე სათვალეებიან პატარა გოგოს ხუმრობით ეუბნება: „ჩაშაიკები რათა გაქვს დეღამენი ბრმა?“

ჩაჩი — 1. სიმინდის მარცვლებგაცლილი, გაცეხვილი ტარობი. 2. ბლომად. „ფულს დაიყრი ჩეჩივითა“ — სიტყვის მასალაა (მზხ. გოგიაშ). „სეტყვა მიწაზე ჩეჩივითა ქერა“ (სოე, 1890 წ., № 100). „ბრილიანტები ჩეჩივით ვყარა ჯიბეში“ (სოე, 1886 წ., № 32).

ჩიი — პატარა, დალეული.

✓ **ჩიიუხა** — ზედმეტი სახელი იყო მამაჩემის მიერ გალახული კაცისა.

ჩიბინი — აბრეშუმზე ან თეთრეულზე წმინდათ ამოქარგული სახე-ამბობენ: ჩიბინით ნაკერიო.

ჩიბოლი — ჩიტია ერთგვ. ალბად რუსულიდან (შჩეგოლ) არის სახელი შერყენილი.

ჩი(ი)თი — ოქრომჭედლების იარაღი (მაშა).

✓ **ჩით-მერდინი** — ჩითი და მერდინი. თხელი ქსოვილის თავსახვევი ან ყელსახვევი. „ეს ხომ ჩით-მერდინი არ არის“ (მოლაფხე, „ცისკა“, 1862 წ., № 10, გვ. 175). „ყელზე ახვევია აბრეშუმის ჩით-მერდინი“ (გ. ბაშინჯი, „სახ. საქმე“, 1920 წ., 19 დეკ.).

ჩიქა — ხის ოსური სკამი, ზურგის მისაყრდნობით.

ჩიქორო — პატარა ბზრილა. გადატ. პატარა ტანის მსუქანი კაცი.

ჩიქოიი — 1. ერთგვ. ფრინველია. 2. მარჯვე, გამრჯე. დ. ჩ-ს არა აქვს.

✓ **ჩილიქა** — პატარა ჯოხი, ჩილიქა-ჯოხის თამაშობისათვის. იმერ. რიკთაფელა. ბავშვების სათამაშოა (მეც ბევრჯერ მითამაშენია). მომგები

ჩილიკას სადამდისაც გასტყორცნის ჯოხით, წამგები იქიდან უნდა უსუნთქებელი იწიოწოს (იხ. წიოწობა). მწერლობაშიც არის ეს სიტყვა. ა. ახნაზაროვი აღწვას ფსევდონიმით წიქვლაკდა ჩვენს მოღვაწეებს. ნ. ნიკოლაძეზე ამბობს: „უცხო სახელმწიფოების ყველა მოღვაწესთან ქონდა დამოკიდებულება - ღვი ბლანთან ათურმა უთამაშა, ფერისთან - ჩილიკა-ჯოხი („თ“, 1889 წ., № 7)“.

✓ ჩილინგარ/დარბი - კლიტეებისა და გასაღებების ოსტატი. „ზეინკლის, მენახმანის ანუ ჩილინგარის იარაღები“ („ქრებ“, 1871 წ., № 3, გვ. 30). „ერთი ახალგაზრდა ჩილინგარი დნება ერთი ღამეში კალისთვის“ („სი“, 1887 წ., № 197).

ჩიწი - 1. ფაიფური. „ქეიფი მანც მოგვივა, გოგრითა ვსვთ თუ ჩინითა“ (აღ. ჭ-ძე). ჩინის თეფში (ფაიფური). ჩინის ფერი - ფაიფურის (ნიჟარის) ფერი. 2. ჩინეთი. 3. სასმისია ერთგვარი.

✓ ჩიწი-მარჩიწი - ჩინეთი, ხატაეთი. ჩიწი - ჯიჯღინი, გაჭრობა საქონელზე. ჩიწიხპარი - ჭალაში დარჩენილი გამხმარი ბუჩქის რტოები და მისთანანი.

ჩიწიკა - მეტსახელია ტფილისში. ✓ ჩიწი-კიწი - ცხერის მოხარშული შიგნეული, ნაწლავები და სხვ. ხმარობენ ხაშისთვის. ცხერის გულ-ღვიძლი ან შიგნეული მოხარშოთ ცივად, მერე დაიკეპოს. უნდა მოიხრაკოს ხახვი და ეს ხორცი შიგ აირიოს. მწვანელი უნდა. როცა ყველაფერი ეს მოიხრაკება, ზედ უნდა გადაესხას გათქეფილი კვერცხი. კარგია შილაფლავისთვის. უფრო ზამთარში მიირთმევენ.

ჩირბანარი - ჩირთი-ჭირთი - არაფრის შნო არა აქვს და მაინც ხლაფორთობს. „ჯეირი: გამაურინეთ, დამალეთ, ერთ ჩირთი-ჭირთში ვარ“ („ს ფაშაღ, „ნანგის კრებ“, 1933 წ., გვ. 27). „მეტ ლაპარაკს ერიდება, როდი უყვარს ჩირთი-ჭირთი“ („მ. მღვ., „ოქტ“, 1933 წ., № 8-9).

ჩირაძი - ცარცია ერთგვ., შაურიანის მსგავსად მოზეულილი, რომელსაც ტფილისის განაპირა უბნებში ფერუშარილის მაგივრათა ხმარობენ. ეს ჩირქი აბანოშიც მიაქვთ. ამბობენ, ჭუჭყს აცლისო.

✓ ჩიტიბულა - მეტი სახელია კაცისა. ჩიტინაური - ვაზია, რომელიც რაჭაში ვერ ხარობს. გადაშენებულია. ჩიტირაქია - თავქარიანი, ცანცარა.

ჩიფთი-ფუფუ - ერთგვ. საცეკვაო ჰანგია. პირით ღიღინებენ, ტაშს ააყოლებენ და დაუელიან კიდეც. კეკელა დედაკაცები ხშირად სარკის წინ კოხტაობენ. თვითონვე მოსწონთ თავიანთი სილამაზ-სიმშვენიერე და სიამოვნების გამოსახატავად ხელებს გაშლიან და ჩაიღიღინებენ: ჩიფთი-ფუფუ! ჩიფთი-ფუფუ!

ჩიქოლა — ლეჩაქი.

✓ ჩილვინაური — იმერ. ვაზია. თეთრი კარგი ჯიშის ყურძენი იცის. „შენ, ღვინო, ჩილვინაური, უცესლოდ გაღმოდინდები“ (ხაღ.).

ჩიხია — ხორცი ბავშვ. ენაზე.

✓ ჩიჩაბური — უგულოდ მომუშავე. ჩიჩმაგურობს — უგულოდ მუშაობს, დროის გასატარებლად რაღაცას აკეთებს, ჩხირკედელაობს.

ჩიხი-მასო//ჩიხო-მასო — წერილმანი რამ. „ქურთებს სხვა ჩიხი-მასოებიც კი არ დაუგდათ“ (ს. ზაქარ, „ღრ“, 1875 წ., № 20). „რამი მინდოდა, რომ ეს ჩიხი-მასოები“... (აგ“, 1881 წ., № 2, გვ. 38).

ჩიხირთვა — აღმ. საჭმელია.

ჩიხლიაიტი — გამხდარ-გამჭკნარი, გაღუული და ჩამოღლეტილი. „ეს ჩიხლიაიტი კლმოსნები“ — (ი. გრ, „საიათნ“. 1918 წ., გვ. 70).

ჩიხრიხი — „ბაბის პარკის შუაგულში თესლა, რომელსაც ჩიხრიხით ამორებენ“ (ი. გოგუბ, „ბუნ კარი“).

ჩიხტი-კოპი — გაღატ. „ვისი ჩიხტი-კოპი გამრულა“ („ციცკ“, № 5, გვ. 293).

✓ ჩლა — ფითილი ჭრაქისა. ამბობენ: ათას ჩლაშია გამოსულიო. მოლა ჩლაში ჩაჯდა სალოცავადო, ე. ი. განცალკევებით მოთავსდაო. ეს კაცი ჩლაში შევიდა, ე. ი. დაფიქრდა. ჩლანაძენძი — (იხ. სხა).

ჩლაპი — ფლავი უერბოდ, რომელიც შეზავებულია მომყავო თავმოსართავით (ისრიმით, ქლიავით, ან მჟაუნათი შეზავებული). მსურველთათვის ერბოს ცალკე მოიტანენ. „ფლავს აკეთებენ ერბოთი ჩვენებურად; აკეთებენ უერბოდ, რომელსაც ჩლავს ეტყვიან“ („სპარსეთი და იქაური ქართუ“, 1896 წ., გვ. 266).

ჩლარტანი — ღიდ ცოდნას შეიძენენ ჩლარტანი გოგო-ბიჭები, ტყესა და მინდორში ხეტაღით“ (რ. ფაულენ, „მოაბე“, 1896 წ., № 1, გვ. 33).

ჩლაში — ძე.დავრიშები ტანისამოსს იცვამდნენ, რომელთაც შიგნით სარჩულის მაგივრად ეკლები ჰქონდათ. მერე თავზე ნაცარს წაიყრიდნენ — ხორცს ავენებდნენ სულისათვის.

✓ ჩლახუა//ჩლახუნა — კოჭლი (ჩოლახიდან ხომ არ არის ნაწარმ.?). მიუჩლახუნდა — კოჭლობით მივიდა. იხ. ჩოლახი.

ჩლუბი — ღუნე, მოფუშული.

ჩობან ბოზაში — ცხერის ფაშეში გამოკრული ხორცია (ქუფთასავით), რომელიც ნაცარში იხარშება. ზაფრანის ფერია, შიგ წიწკას ღებენ.

ჩობანი — უკრაინულადაც ჩობანია.

✓ ჩოდარი — შუაკაცი ცხენების ყიდვა-გაყიდვაში. „მათი პაპა ჩოდრობას ეწეოდა“ (ს. ჭიჭინ, „ჩოდრიშოვლების გუარის წევრი“, 1928 წ., გვ. 4).

ჩოთურმა —

ჩოკი — ერთი კვირის ჩოჩორი. ჯერ ჩოკი, მერე ჩოჩორი, მერე მუტრუკი (ვირიშვილი), მერე ვირი. ჩოკინა — სამი თვის ჩოჩორი.

რომელია — რუსის სალდათის ცოლი.

როლახი — კოჭლი. „ნუთუ ის ჩოლახი ადმინისტრატორი... მე დამცინის?“ (აღ. იმედ. „მეშარები“, ხელნაწ. გვ. 154). „ყურებზე ხაზი არ დამპყრა, შე ჩოლახო“ (სა. მგაღ. „მოაბბე“, 1899 წ. № 8, გვ. 57). ახ. მაიძენ, მაიძენ, ჩოლახ, ჩოლახ, მაიძენ“ (ქუჩაში ასე ათამაშებდნენ).

როლფოტიანა — უშნო, მოუხერხებელი.

↳ რომბასი — კომბალი, გრძელი კეტი, ჯომბარი, თავმოკაუჭებული, თავდალურსმულიც (მწყვესებისთვის). „აბაზდა ზიჭი, მოუქნა ჩომბასი და სულ ერთიანად ამოელიტა ის ყორნები“ (დ. კასრ. „აორის ღლები“, „მნათ“, 1942 წ. № 7-8, გვ. 101) ჩომბასიდან წარმ. ომბოხი — ხის ფეხს ნიშნავს.

რონდარი — წაბლის ბურძგვის გასარჩევი წვერწათლილი ჯოხი.

↳ რომნორი//რონრომიამ — ვირის ან ცხენის განაეალი (საბა აქეს). „გზაზე ცხენის ჩონჩორი შენიშნა“ („ბონზა და პატარა მორჩილი“, 1956 წ. გვ. 9).

რორთი — უსიამოვნება, უთანხმოება. ამბობენ: ჩვენს შორის ჩორთი უნდა ჩამოაგლო?

რორლამიში — ჩახეთქვა, ჩაცეცხლეა. ამბობენ: ორი საათია დუქანთან ვდგევარ, იქნება არაყი ჩორლამიში ვინმემ მაქნევიოს, ე. ი. გადამაკერევიოს, ჩამახეთქოსო. „ერთი იმისთან ვინმემ გაიარო, რომ ერთი სტაქანი ჩორლამიში მიყოს“ („კაიში“, 1880 წ. გვ. 7).

რორსო//რორჩო — ოთხკუთხედი. 1. ბაღდადს რომ კეტავენ, ამბობენ: ჩორსოდ დაკეცეო, ე. ი. ოთხად დაკეცეო. სიტყვა ჩორსი აღ. მაჩაბლის სტატიამიც იხსენიება. „სოფ. ქერთა თავის სახნავ-სათესით იქნება დახლოვებით ხუთი კვადრატი (ჩორსო) ჯრსი, თითქმის თანაწორი სიგრძისა და სიგანის“ („კაიის კრებ.“). 2. ჩორსო ბაზარი, ეს ბაზარი იყო თათრის მოედანსა და სიონის ტაძარს შუა (ახლა ებრაელთა ბაღია). ვიწრო ოთხკუთხა ბაზარი იყო. აქ იყვნენ ყაზახები და თოქმაჩები (იხ.). მე-18 საუკ-შიც იხსენიება ეს ადგილი. იესე ოსეშვილი წერს: „მოედანზე ქვეშ ახალი და ზედი ორი დუქანი. აგრეთვე, ვარეთხის დუქანი და ჩორსოსთან დუქანი“ (მისი „თავგადას“, 1913 წ. გვ. 32). ამრიგად, ეს ადგილი — ბაზახხანიდან რომ გამოხვიდოდი და ურიების უბანს (იერუსალიმის ქ.) აუხვევდი. ჩორსო ოთხკუთხედს ნიშნავს და აქაც ოთხი კუთხე იყო. სიონის ქუჩის დასაწყისი, იერუსალიმის ქუჩის დასაწყისი, პატარა სირაჩხანის აღმართი და დახურული ბაზარხანის დასაწყისი. „ერთი კარგი სახლი მქონდა ჩორსო ბაზარში“ (რ. ერისთ. „თ“, 1889 წ. № 9. იხ. აგრეთვე, „ღვრიშანი“, 1913 წ. გვ. 12). „რაც შეეხება ქართ. ენას, მას ბაზარში და ჩორჩო ბაზარში ნუ დაუწევებ ძებნას“ (დ. არღ. „ცისკ“. 1861 წ. № 6, გვ. 165).

რორუმსა — ნამდვ. ჩორ უ ცავ, წყველაა, როგორც „ღვთის რისხვა“, „ზაპრუმალა“ და სხვა. ჩორ — სიხმელე, ხმელი; ცავ — სატყეივარი, ე. ი. მოგეცეს სატყეივარი, რომელიც გაგახმობს. დედაკაცი თავის ქალიშვილს ეუბნება: „აი გახმი“. ეს სიტყვა ნახმარი აქეს ზ. ანტონოვს („თხზ“, 1876 წ.



გვ. 255). „აი, ჩორუმცა და ლეთის რისხვა“ (გ. სუნდ., „ლაქც. ოჯახი“). დ. ბატონიშვილსაც აქვს თავის ლექსში.

ჩოვში - თმის (შპილკა) ან გრიმის გასაკეთებელი ჩხირი.

ჩოვურა - დაკენკილი, ნაყვავილარი სახის ადამიანი, ჩოფკა.

ჩოქი - ვირის შესაჩერებელი ძახილი.

✓ **ჩოღრატი** - სპილენძის ტურჭელი (აბანოსათვის), ტარ-ღარიანი ჯამი. ვერცხლის დიდი კულა ყელგადაგრეხილი, ტარივით გაშვერილი სასმელი ღარით (ი. აბულა, „შამ-ნაჰე“).

✓ **ჩოღუმი//ჩოღუნი** - ქარბუქი, ცუდი ამინდი, რომელიც ადამიანსაც ჰკლავს, თუ მოუსწრო. „ყოლას სახლობა შარშან თებერვლის თოთხმეტს ჩოღუმმა მოკლა“ (ყარბი წერ. მთეზელ, 1909 წ.). მეთევზეები ამბობენ: ჩოღუმი დაიწყო, წავიდეთო.

✓ **ჩოყლოყინა** - აყლაყუდა. ლოტოს თამაშის დროს იცოდნენ ამ სიტყვის თქმა.

ჩოჩათი - სოფელია გორის მაზრაში ახალქალაქთან. საქმე რომ კარგად მიდის, ამბობენ: აი, ეხლა წახდა ჩოჩეთი.

ჩოხუგად - ბითუმად.

ჩუბიბი -

✓ **ჩუბი** - მთლიანი ხისგან დამზადებული უძვ. მარტივი კავისებური სახენელი იარაღი. დადასტურებულია საქ. მუზ. ეთნ. ექსპედიციის მიერ 1926 წ., ქვ. ქართლში (სოფ. ჩხიკეთა). იხმარება ანეულის მეორედ მოსახნავად (ასაჩუთავად) თესვის წინ (ივ. ჯავახ. „საქ. გეონ. ისტ.“, ტ. 1, 1930 წ. გვ. 177-178).

✓ **ჩული** - ძველი, უეარგისი ძირს საფენი.

ჩუნესა - უნარმოკლებული (უუნარო), უქნარა, ჩანჩურა, უხეირო, უნდილი, ბეჩაეი. „წადი, შე ჩუნესაე!“ (ა. ცაგარ. „კომედოები“, 1936 წ. გვ. 200).

ჩუპარი - თოჯინა, დედოფალა („აკცა-ადამიანი“?). „სა და პაწაწინა ნიგუზის ტოტი ჩუპარი, ჩუპარი ჩუპარი, ჩუპარ, ჩუპარი ღარეჯანსა, ურაა!“ (იქვე).

ჩურბანი - 1. კოჭების თამაშობაში კოჭის მოტაცება. „ჩურგენი“, „პატივი“, „ქისი“, ბოჭოს, მე მოვივე“ (გ. კოლეჯი, „ნაკად“, 1919 წ. № 1, გვ. 10). 2. საჩუქარი. „ჯერ ჩუნს ქვეყნებს ჩურგენი მოუხდინეს“ (ცინზე - ნ. შირაღოვი, „ოქტ. ლიბლი“, 1932 წ.).

ჩურთი -

ჩური - კოჭის თამაშობის დროს, ვინც ყველაფერს წააგებს, იმას ასესხებენ ხოლმე ერთი-ორ კოჭს, რომ ითამაშოს და გული არ დასწყდეს - ამ სესხს ჰქვიან ჩური („კლდე“, 1912 წ. № 1, გვ. 7).

ჩურუქი - 1. დამპალი. „რასა ბრძანებთ, ენაზო, განა იმისთანა ჩურუქი ადვოკატო-აგანი ვარ?“ (რ. ერისთ., „ოე“, 1880 წ. № 4, გვ. 63). 2. მცირე. „ის არ იცნობს წერილსა და ჩურუქს ხალხსა, თორემ იმას ვინ არ იცნობს“ (ი. კერეს, „სისკე“, 1868 წ. № 12, გვ. 44).

ჩურჩა - გამხმარი, უკურკო შვინდი. ბატი ჩურჩით - ცნ. საქმელია.

ჩურჩუბი — „გან ცოტა დარს ჩურჩუტი ზღზი“ (ა. ჯაჯანი, „მნათ“, 1933 წ., № 11, გვ. 76).

ჩულურამ ბარმონი ბაჭულა — ე. ი. რომ გააბამს და აღარ გაათაუებს ლაპარაკს.

ჩულურეთი — ჩაღრმავებული ადგილი. ჩულურ — ნიშნავს ღრმას. ტფილისის ნაწილი, უბანი.

ჩურჩუნი — ნელი ლაპარაკი.

ჩურჩუნნი — ადამიანზე ითქმის, დაასმინა, ჩაურჩუნა, უჩურჩუნა. ამბობენ კიდევ: შამფურით ცეცხლს უჩურჩუნა.

ჩაპაში — მცირეზმიანობა, კრინტი.

ჩაიჭი — „აინცტი“ (აღრ., 1885 წ., № 188).

ჩხა — ყურძნის აკიდოსავით. ყურძნის ერთ რქაზე რომ ბევრი მტევანია.

ჩხიმალა — გამხდარი.

ჩხირი კაღალს — მოლოდინის შემდეგ რომ რაღაცას ეღირსები.

ჩხნდა — რაღაც ხარახურა, უვარგისი.

ჩხუნკალი — მერცხლების ცხარე კამათი. ერთმანეთში ჩხუნკალი ასტეხს (მერცხლებმა).

✓ **ცაანა** – სახელი იყო ერთი ბაყლისა.

ცალგანი – ერთი განი, ერთი კეცი მატერიისა. **ცალგნით** – ცალ მხარეს.

✓ **ცალაჲ-მალაჲ//ცალაჲ-მალაჲ** – საბაეშეო თამაშობა, ერთ ფეხზე ასკინიელია ხტომა. „ცოტა ხნის შემდეგ სხვა ბავშვებთან არხეინად ცალაჲ-მალაჲს ვთამაშობდი“ (კ. ღოდუა, „საქ“, სურ. ღამ. 1916 წ. № 44). „ლაქიები თუფებით დახტიან, თითქოს ცალაჲ-მალაჲ ღაღონას თამაშობენ“.

ცალუღად –

ცალკვალა – დომის მსგავსი თევზის სახელია.

ცაანა – აწაანვა.

ცაცია – მარცხენა ხელს რომ ხმარობს. დასაე. საქ-ში ცაციას უწ. **მარჯაკვეს**. პირველად ეს სიტყვა გავიგე საჩინოელი კაცისაგან. „გან თქენი ქარი ცაცია რომ მარჯვენა ხელი დაიჭრა“? (გრ. ყოფი, „იფ“, 1887 წ. № 112). საბას ლექსიკონით – ჩალიკავა. **ცაცუკა** – მოფერებით მეტი სახელი იყო მოკრივე საქულასი.

ცაცუნე – ალერსით ხელის მოსმა, ლუტუნი.

ცაგუა – ციბრუტი (მთაში ამბობენ).

ცაქო – ცერების ათამაშება ცეკვის დროს. „...გაშალე მკლავი, გაჩვენე ცაქო, აძენი ხეწნა რა არის, გვეო!“ (დ. ბერიუო, „ცისკ“, 1861 წ. გვ. 308, ღმკ.).

ცარად – გეზად, ირიბად. „შეჰხედა ცერად“. „...რის გამოც კელი გზით ცერათ შუაზე იყოფა“ (შ. არაგვისა, „შიო თავადი“, გვ. 54).

ცარცატი – ტუტუცი, ცეტი, ჩერჩეტი.

ცატარი – (ასეა ყველა გამოცემაში). „გახსოვს შენ რომ ფეხი დააგე ცატერსა“ (ს. მგალა, ტ. 1, გვ. 70).

ცატმანა – გიჟი, ცეტი.

ცახვა – სუფგეურქას ეკლესიის გვერდით ჰარისას (იხ.) ამზადებდნენ. დიდი ჩაქურით (კომბლით) ცეხვაგდნენ ხორბალს.

✓ **ცივანა** – ზედმეტი სახელია.

ციფფია – ცელქი, ანცი. „ეს რომ მისმა პატარა ციფფია შალვამ შენიშნა, გოზინაყით პირი ჩიგემრიელა“ (აღ. შირიანაშ, „ნაკად“, 1914 წ. № 1, გვ. 18).

სიმამი — „თბილისი გაიტანეს“ (სე., 1886 წ., № 163) ციმციმად — ნელა, ფრთხილად. ამბობენ: ციმციმად გაიტანე, არ გასტეხო“.

სინგლი — ცხვირის ღორწო.

სისმარა დღე//სისმარა დღე — მთელი დღე, დილიდან საღამომდე (არა აქვს დ. ჩ.-ს). „რეაქტორგადგებული დაფრთხილებს ცისმარა დღე ბნულ“ (ს. შავა, ტ. 1, გვ. 201). „იარალი შეიძინა და ყოველ ცისმარა დღე ვარჯიშობდა“ (რ. ფაქი, „შობა“, 1895 წ., № 12, გვ. 29). „წლებზე ფეხს იდგამდა, ამ ცისმარა დღე და ღამე სულ განუწყვეტლად მუშაობდა“ (ნ. ლომ, „მოთხ.“. 1926 წ., გვ. 59).

სიცი — „სი, ციც დაკრეფაში ნუ შესდიხარ“ (ვაჟა, სე., 1891 წ., № 63).

სიცა — კატა. „სიცა და თაგვი შეიბნენ“ (საღ.).

სიძაძა — ყურძენი. გვიან შემოდის, მერე ერთბაშად მწიფდება.

სიძანა — მომცრო.

♣ სიხის აბანო — ეწ. ყოფ. ორბელიანების აბანოს, რომელიც მდებარეობს დაბახანის ხევის თავზე. „სიხის აბანო“ ხალხმა დაარქვა. თვით პატრონებიც ამას უწოდებდნენ. „სიხის აბანო სრულად შუკუთეს და მოწყვეს. ვანები, საჯდომები და კედლები მოხაკით მორთეს, ქალების საერთო დიდი აბანო გაიხსნება მარასკეს, ნუგზირიდან“ (სახ. საქმე, 1913 წ., 9 ნომბ.).

სილანგი — ეშმაკსა და გაიძვერას შორის.

სიასენი — (პირის).

სიასენი — „თქვენი ღამსარკი წვერების ცმაკურად არა ღირს“ (შექს., ა. შაბა თარგ. „ქორიოლანო“, 1928 წ., გვ. 48).

სიპალი —

სიუპაპა —

სოლიკაური — ყურძნის იმერ. ჯიშია. შვერული მტყეანი იცის, თეთრი. ნაკლებ მისდევნენ.

სორინა — ბავშვთა თამაშობა. ამ თამაშობაში სიტყვა ცორინე ნიშნავს — მოგროვდით.

სოტა-შატა — ცოტ-ცოტა, ქვეშ-ქვეშა, ცბიერ აღამიანს უწ. ამბობენ: შენ კი არა ხარ რაღა ცოტა-შატაო. „ცოტა-შატაო კი არ არიან ქალაქლები“ (სს. ა. ზეჯღა, თ. 1).

სოფის შიბა — ესპანეთის ბუზს უწ. ჩვენში და წამლათ იხმარება.

სოსხალი თიანჯი — ერთგვ. წვრილი თევზია (ფიჩხულა, ღურჯა, ჭიჭყინა, მურწა, ნაფოტა და სხვ.).

სრამი — მოხუცებულობას ფერიც ისეთი აქვს — ცრეცი და მკრთალი.

♣ სიბაბი — ცრიაგი ცა.

სიუპანტალა — სიცრუის მკენტილი (მატყუარა).

სუდა — უსაქმური (იხ. ა. გრ. ლექსი „სე“, 1950 წ., 8 ოქტ.) ცუდად უსაქმოდ, უმუშევრად. „ახრავნე ცუდად დარჩენილ მძაბიჭებს უფასოდ აჭმედა, ახმედა და ჯიბის გროშებსაც აძლედა“ („დრ“, 1885 წ., გვ. 182). ცუდაობა — უსაქმობა, უმუშევრობა.



ცუდალა — წარმ. ცუდ-უღელადან, ე. ი. უსაქმური, უქნარა, ზარმაცი.
 ცუდადი — ნაყარ-ნუყარი, უეარგისი, უხეირო.

ცუდადიდი — ამაყი, მედიდური (ილია, ქართ. ბანკის საქმე). ცუდმედიდობა
 — „მ წაშში ცუდმედიდობა დასძლია...“ (ნ. ავალი „თაყაღის ქალი“, 1896 წ., გვ. 179).

ცულისაძირა — მცენარეა მარცვლოვანი (იხ. ახპატელოვის „საშუ“, გვ. 87).

ცუნდრუკა — ცანცარა, თავექარიანი.

ცუნდრუკა — მხტომელი.

ცუნდული —

ცუნდრუკი — ცანცარა.

✓ ცუნდუხი —

ცაღიანი —

ცხანის კუკუ — იშვიათი ყურძენია. თეთრი და მოგრძო მარცვ. იცის.
 განჯურ ყურძენს ჩამოკვავს, მაგრამ მისებრ ტკბილი და ამო არ არის.
 ღვინისთვის არ ხმარობენ.

ცხრა — ცხრა წყარო, ცხრა ძმა, ცხრაკარი. „ორი ცხრა ცხარი დაიკლა“ (ღ.
 გურამ).

ძ

ძაბა-ძუბი — ანუ დაგა-ღუგი, მცირე ხმაურობა (გულისა).

ძაბძაბი —

ძალო//ძალუა — (რძალიდან). ბიძის ცოლი, ბიცოლა. „საქროების ჳერა ჩუულებრივად, ღედების და ძალუების საქმა“ (პ. კოგანი „დას ვერ. ღიტ ისტ“, თარგ. ვ. კოტეჯ, 1832 წ., თ. 25)

ძაღუში — ძალიან ძლიერი.

ძაშაღაბით — ბაწარაღებით, განუწყვეტლივ.

ძაღა — 1. ერთგვ. ბალახია, რომელსაც ხმარობენ სამღებროში. „მუზღომ გაურიე დანაყილი ძაღა“ („საშზ“, 1885 წ., გვ. 172) 2. ქათიბის გარშემო მოკერებული ბეწვი. ბეწვის ქვეშ ბაფთა.

ძაღღაბის უბანი — იყო შავსოფლის რაიონში, ორთაჭალის წყლის გაღმა, მნაცაკოვის ხიდის გაღმა.

ძაძა — სოია.

ძბიღა — კედელი, ტიხარი (რუს. პერეგაროღა).

ძაძალი — კვერცხი საბუღრისათვის.

ძაძიღი — ხარაზების დანა, მჭრელი პრტყელი ტარით, რომელზეღაც ტყავი აქეს დახეული.

ძაძტანა — გოგრის ჯიში.

ძაძაძი — შესაღობი ხმელი ტოტები.

ძაძორტიღლი —

ძაღღ-რბიღი — ძეაღი და ხორცი. ამბობენ: ძეაღღ-რბიღში გამიჯღაღ, ე. ი. ერთნაირად იმოქმეღაღ.

ძაღღაღანი — ძეელი რამ.

ძაღღაღაძი — შავი წენიანი ყურძ., ძალიან ბეერი ღვინო ღგება მისგან.

ძაღრი — ცუღი, ნაკღი. „...ვიწუნებ, მაგრამ შენს ძვირს კი ჳერ ვათქმეიწუნებ ენას“ (აკაკი).

ძიღ — ბიძია. ძიღაკაცი. — გაჭრების გამოთქმა გღეხების მიმართ.

ძიბღ — წიწიღა (?). ძიბღ მეტი სახეღია აღ. აღავერღოვისა (ხარფუნის მსახიობია), იმიტომ რომ ცხვირზე კაკნატელასავით მეჭეჭი ჰქონღა. ბაღღები წიწიღას ეძახიან — ძიბუას.

ძიღღი ზამიღაღა —



ვაბლუხდა – წაეთრია, წაეიდა.

- ✓ **ვაველა** – 1. პაწია კოლო, რომელიც მწვავედ იკბინება (გურ.) წაველა – ფსევდ. იყო მწ. ირ. გოგოლაძისა. 2. წყლის ცხოველია, მელისაჲ ჰგავს. მისი ბეწვი კარგ ფასებში იყიდება.

ვათხი – მარილიანი წყალი ყველის შესანახად.

ვაჰა//ვაჰა – ყველისათვის მომზ. მარილ-წყალი (საბას სხვაგვარად აქვს) ამბობენ: ეს ყველი წაკაში ჩაედევო (იბერ.)

ვაჰაპული – „წაკაული ძაბრი გადმოჰყურება უფსკრულს“ (დ. კასრ.)

ვაჰულაჰი – მწვანე ნედლი ნუში (ან განჯისკარ, „ჰინტოს გოდება“, 1904 წ. გვ. 5). საბას არა აქვს ახსნილი.

ვალდუნა – პატარა წალდი.

ვალი – კარაეთ გასაბმელი თოკი.

- ✓ **ვალიონი** – ნიავ-ქარი (?). „წალიონმა ხეზე გამჯბული ვაზები და ხეხილები გააოხრა“.

- ✓ **ვალო** – ლოგინის ჩასალაგებელი. კარადა, კედელში დატანებული. არა აქვს დ. ჩ-ს. „თაროს და წალოს აღარ უყურებთ?“ (დ. ბერიევი „ციცქა“, № 12, გვ. 317). „მივარდნენ წალოს, ლოგინი გადმოფუტკ-გადმოქციეს, ხალიჩები და მუთაქა ნაძვის ხეებად აქციეს“ (შ. მღვ. „წელს არ ჰქონია ნაძვის ხე“, „ნაკად“, 1916 წ. № 2). აერთო თვალის დანამზამებაში პოეტი წალოში გადახტა“ (გ. ერისთ., თხზ., 1884 წ. გვ. 45).

- ✓ **ვაშალხანა** – „გაფართოვდა ტფილისში ვაშალხანა“ (მრეწ. წარმ. და ისტ. ზუბალ-გვარისა, 1906 წ. გვ. 216).

ვაშოვაჰანტაღი – უცბათ ეთქვი, ცუდად ეთქვი. ყრანტალი არის ყორნის ხმა.

- ✓ **ვაშოვროხა** – დაუფიქრებლად სიტყვა ეთქვი.

ვაშოთოთლავს – წამოასკუპებს.

- ✓ **ვაშოთბრუჰა** – წინ აეტუზა, წამოსკუპადა.

- ✓ **ვაშოთხლარჰა** – დაუკითხვად, უშნოდ წამოწვა.

- ✓ **ვაშოვალაჰული** – გართხმული, გამხლართული.

18. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

ფინანსებს – წივის, წიკვინა ხმით ჰკივის ან ლაპარაკობს, წიკვინებს.

ფითელი კოჭი – „ეუტრობაზე ზრას მომწერო, თითონ მე კარგად ვცნობ, რა წითელი კოჭოცა ბრძანდება“ (ილია წერ. დისაღში „მნათ“, 1933 წ., № 8-9, გვ. 270).

ფიკვინებს – იხ. წიკვინებს.

ფიკო-ფიკო – „გარედამ მოისმოდა მთერალი მაყრების სიძლეა, ბუხიკის წიკო-წიკო და ტაში“ („მიწა“, 1906 წ., № 5, გვ. 7).

ფიკო-მაიკო –

ფიკვიკო –

ფილჩაობი – ერთგვ. აუადმყოფობაა, ხელ-ფეხის და თვალის კილოების ქავილი იცის, ეგზემა.

ფინამასფარა – მეტიჩარა, არამკითხე, მატაოცი (რუს. ვისკოჩკა).

ფინამო – თმა-ღაწეთა გაშვენებული (საბა).

✓ ფინანაური – წინანაურის ტაძარი, წითელსარტყლიანი ღვთისმშობელი, მდებარეობს კრწანისში, ზევით, ხევეში. წინეთ ქართველებისა ყოფილა. ამის დღესასწაულია სომხ. „გელეართობა“ (წინანაეორ – წითელსარტყლიანი ღვთის მშობი).

ფინ უხურა – წინდახედულად ილაპარაკე.

ფინფანაჰარი – სულადის ცხარე არაყი. „მამ, თითო წინწანაჰარი მინც დავილით, კარგია, მუხლებში ყიართს მოგვემს“ (ე. მარუთ, „სენ ფურც“, დამ, 1903 წ., № 141).

✓ ფივილი – ჩიტის ნაღვლიანი ხმიანობა.

ფიოკობა –

ფიო-ფიო – წიოკობა, დაწიოკება.

